

სვანეთი

ნუმიზმატიკური საჩანდური

მაია პატარიძე  
Maia Pataridze

NUMISMATIC TREASURE OF

Svaneti

# სვანეთის ნუმიზატიკური საგანძურო

**MAIA PATARIDZE**

**NUMISMATIC TREASURE  
OF SVANETI**

**Political-economic and  
ethnological-confessional aspects  
(5th century BC – 18th century AD)**

2020  
Tbilisi

მაია პატიარიძე

# სვანეთის ნუმიზატიკური საგანძურო

პოლიტიკურ-ეკონომიკური და  
ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები  
(ძ3.ნ. V – აზ.ნ. XVIII სს)

2020  
თბილისი

**ავტორი**  
მაია პატარიძე

**სამეცნიერო რედაქტორი**  
† გიორგი დუნდუა

**რედაქტორი**  
ეთერ შენგელია

**თარგმანი**  
ნინო მიწიშვილი

**დიზაინერ-დამკაბადონებელი**  
დათო მოსიაშვილი

**გარეკანის დიზაინერი**  
ნინო ანდრიაშვილი

**ფოტო**  
მირიან კილაძე  
გურამ ბუმბიაშვილი  
ვახტანგ ნავერიანი  
ფერნანდო ჰავიერ ურკიებო  
გაბრიელ სალნიკერი  
მაია პატარიძე  
ვალერი სალნიკერი  
თამარ აღაპიშვილი  
სალომე გურული  
ნინო კიტოვანი  
დავით ჯაფარიძე  
თამარ გიგანი  
მამუკა წურწუმია

**Author**  
Maia Pataridze

**Scientific Editor**  
† Giorgi Dundua

**Editor**  
Ether Shengelia

**Translator**  
Nino Mitsishvili

**Layout Design**  
Dato Mosiashvili

**Book Cover Design by**  
Nino Andriashvili

**Photos by**  
Mirian Kiladze  
Guram Bumbiashvili  
Vakhtang Naveriani  
Fernando Javier Urquijo  
Gabriel Salniker  
Maia Pataridze  
Valeri Salniker  
Tamar Aghapishvili  
Salome Guruli  
Nino Kitovani  
David Jafaridze  
Tamar Gigani  
Mamuka Tsursumia

**წიგნი იპეჭდება მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით**  
The book is published with a financial support of Mestia Municipality

© საავტორო უფლებები დაცულია  
© All rights reserved

ISBN 978-9941-8-2209-4  
თბილისი 2020 Tbilisi

## პეტორისაგან

მონეტა იურიდიული ხასიათის დოკუმენტია, რომლის მოქრა სახელმწიფოს პრეროგატივაა, ამიტომაც, ამა თუ იმ რეგიონის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ისტორიის შესწავლის კუთხით, ნუმიზმატიკურ ძეგლებს სხვა წყაროებისგან განსხვავებით გარკვეული უპირატესობაც გააჩნიათ სანდონბის და ობიექტურობის თვალსაზრისით. შესაბამისად, ნუმიზმატიკური კოლექციების შესწავლა პრიორიტეტულია ნებისმიერი მუზეუმისთვის. სვანეთის (მესტია, უშგული) მუზეუმში დაცული მონეტები და სამონეტო განძები ადგილობრივად არის აღმოჩენილი, რაც გამოარჩევს მას არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რეგიონალურ მუზეუმებს შორის, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

2009 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ძეგლების ინვენტარიზაცია-აღრიცხვის მიზნით სვანეთში გაემგზავრა სპეციალისტთა კომპლექსური ჯგუფი, რომელიც მივლინებული იყო მესტიისა და უშგულის მუზეუმებში. პროექტის ხელმძღვანელი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე, მენეჯერი – სალომე გურული. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიზანი იყო თავისი ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით დახმარებოდა რეგიონალურ მუზეუმს იქ დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების შესწავლასა და ეფექტურ მოვლა-პატრონობაში.

ამ დღიდან დაიწყო არა მარტო სვანეთის საგანძურის აღრიცხვა და განსაზღვრა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებით, არამედ მათი სკრუპულობური სამეცნიერო კვლევა, რასაც შედეგად მოჰყვა სვანეთის ისტორიისა და არქეოლოგიის განახლებული მუზეუმის გახსნა.

პირადად ჩემი მოვალეობა ამ საქმეში ნუმიზმატიკური კოლექციების შესწავლა იყო, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს მუზეუმების ისტორიაში პირველი „მიუნცკაბინეტის“ (ნუმიზმატიკური ექსპოზიციის) შექმნას. შემდგომში კი დაიწერა სადისერტაციო თემა: „სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები (ძვ.წ. V-ას.წ. XVIII სს.)“ ხელმძღვანელი – პროფესორი გიორგი დუნდუა.

ჩემი თემის მთავარი მიზანი იყო ზოგად ისტორიული, არქეოლოგიური თუ ეთნოლოგიური კვლევის საშუალებით განმეხილა სვანეთი არა როგორც ცალკეული რეგიონი, არამედ მთელი საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ამ ფონზე ნუმიზმატიკურ ძეგლებზე (და არა მარტო ნუმიზმატიკურზე) დაყრდნობით წარმომეჩინა სვანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება დროის უდიდესი მონაკვეთის მანძილზე, მისი მჭიდრო ურთიერთობა კოლხეთის ბართან და ამ გზით – მეზობელ ქვეყნებთან. კვლევას მეორე მიზანიც ჰქონდა – სამეცნიერო მიმოქცევაში შესულიყო ნაშრომი, რომელიც მკითხველს მულტიდისციპლინარული კვლევის საშუალებით აჩვენებდა, თუ როგორ შეიძლება არქეოლოგიურმა, ეთნოლოგიურმა, წყაროთმცოდნეობითმა, გლიპტიკურმა და ნუმიზმა-

ტიკურმა კვლევებმა შექმნას კონკრეტული რეგიონის – სვანეთის ისტორიის მეტნაკლებად სრული სურათი და, ამავდროულად, მისი გენეტიკური კავშირი მთელი ქვეყნის გმირულ წარსულთან და კულტურასთან.

ამ ნაშრომის წიგნად გამოცემის სურვილი დიდი იყო, ვინაიდან ამით, ერთი მხრივ, უფრო მეტად გაეწეოდა პოპულარიზაცია როგორც სვანეთში აღმოჩენილ მონეტებს და, ზოგადად, სვანეთს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ნუმიზატს საშუალება მომეცემოდა, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებისთვის ახალი მოდელი შემეთავაზებინა, რომელშიც კვლევის ფუნდამენტს, სამონეტო აღმოჩენები წარმოადგენს.

ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია ის ფაქტი, რომ სადისერტაციო ნაშრომის წიგნად დაბეჭდვის ინიციატორები ისევ სვანეთის მკვიდრნი აღმოჩნდენ. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, მადლობა გადავუხადო ყველას განეული მხარდაჭერისთვის.

წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება მესტიის მუნიციპალიტეტის უშუალო დახმარებით და მხარდაჭერით, რომ არა მათი ინიციატივა და გვერდში დგომა, ამ წიგნის გამოცემა ბევრად უფრო გართულდებოდა, დროში გაიწელებოდა ან უბრალოდ არ დაიბეჭდებოდა.

მინდა მადლობა გადავუხადო:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მაიზერ ჯაფარიძეს;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ზაურ ჩართოლანს, რომლის პირადი ინიციატივა იყო ამ წიგნის დაბეჭდვა;

მესტიის მუნიციპალიტეტის მერს კაპიტონ უორულიანს;

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძეს ვისი უშუალო რეკომენდაციით მომეცა შესაძლებლობა, მემუშავა სვანეთის ჯვეფში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის წევრებს: სალომე გურულს, თამარ ალაპიშვილს, ნინო კიტოვანს, დარეჯან გოგაშვილს, ნინო ლორთქიფანიძეს, და სვანეთის (მესტია-უშგულის) მუზეუმის კოლექტივის სრულ შემადგენლობას. მინდა გამოვყო ეთნოგრაფების, მანანა ხიზანიშვილის და მადონა ჩამგელიანის ღვანლი. ისინი უშუალოდ იყვნენ ჩართულები ეთნოლოგიური მიმართულებით კვლევაში და კონსულტაციებს მიწევდნენ სვანეთის მასალებზე მუშაობისას.

მინდა მოვიხსენიო ის ადამიანებიც, რომლებიც გვერდში მედგნენ სამეცნიერო კვლევის პროცესში, მაგრამ დღეს ცოცხლები არ არიან. პირველ რიგში, ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი დუნდუა; რეცენზენტი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი ლეილა ფანცხვავა. ასევე, დიდი ამაგი აქვს განეული მესტიის მუზეუმის ყოფილ დირექტორს, ანგარდაცვლილ რუსუდან ქოჩქიანს.

სადისერტაციო კვლევა, ისევე როგორც წინამდებარე ნაშრომი, პროფილით ნუმიზატიკურია, ამიტომაც ხშირად ვსარგებლობდი ჩემი კოლეგა ნუმიზატების დახმარებით. ესენი არიან: თინათინ ქუთელია, მერი ანთაძე (ანგარდაცვლილი), ციალა ლვაბერიძე, მედეა შეროზია, მედეა წონელია და მარიამ ქორიძე; ასევე, ნუმიზატების ირაკლი ფალავას და სევერიან თურქიას მხარში დგომით. ნუმიზატიკური მიმართულებით ჩემი მაძლევდა და მეხმარებოდა, სადისერტაციიო ნაშრომის რეცენზენტი, პროფესორი გოჩა ჯაფარიძე და ისტორიის დოქტორი მამუკა წურწუმია, მადლობა მათ განეული შრომისთ-

ვის. აგრეთვე, დიდი მადლობა სადისერტაციო თემის ერთ-ერთ რეცენზენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ნუნუ მინდაძეს.

დიდი მადლობა ონის (რაჭის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს – გია ბერიშვილს და დავით ჯაფარიძეს, რომელთაც გამოუქვეყნებელი ეთნოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა მომაწოდეს კვლევისთვის.

წიგნზე მუშაობისას კიდევ არაერთმა ადამიანმა გამინია სხვადასხვა სახის თანადგომა. ულრმეს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ჩემი ნაშრომი გულდასმით წაიკითხა და თავისი ღირებული შენიშვნებისა თუ რჩევების მოცემა არ დაიზარა; აგრეთვე, მათ, ვინც სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება აღმომიჩინა.

წინამდებარე ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა, რომ არა სვანეთში ყოფნისას მიღებული სითბო, პატივისცემა და სიყვარული, რომლითაც დღემდე ვსაზრდოობ, რისთვისაც მადლობა სვანეთს და მის მკვიდრთ.

მაია პატარიძე  
2020 წელი

# **შინაარსი**

---

ავტორისაგან .....	5
რედაქტორისაგან .....	10
ანოთაცია .....	13
შესავალი .....	17
 I თავი. საკითხის შესრულების ისტორია .....	20
 II თავი. სვანეთში აღმოჩენილი მონეტების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები .....	28
2.1. სვანეთი და გარე სამყარო ანტიკურ პერიოდში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით .....	28
2.2. ირანისა და პიზანის პრინციპის გამო VI საუკუნეები .....	41
2.3. პიზანის ფულის ნიშნები სვანეთში .....	45
2.4. დავით IV აღმაშენებლის მონეტები სვანეთიდან .....	49
2.5. ერთიანი საქართველოს მონეტები სვანეთიდან .....	54
2.6. XIII საუკუნის უცხო ქვეყნის მონეტები სვანეთიდან .....	61
2.7. ტრავიზონული ასარების ქართული მინაბაპების გენეზისის საკითხი სვანეთში აღმოჩენილი სამი განძის მიხედვით .....	64
2.8. XVII საუკუნის ირანული და ევროპული მონეტა სვანეთში .....	98
2.9. XVI – XVIII საუკუნის ოსმალური ემისიები სვანეთში .....	103
2.10. ერეპლი II-ის მონეტები სვანეთში .....	109
 III თავი. სვანეთის სამონეტო განძების ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები .....	112
3.1. „ქარნის ობოლი“ .....	112
3.2. მონეტა (ან მონეტები) სამარხში, როგორც ქონებრივი ცენზის განმსაზღვრები სიმბოლო .....	114
3.3. სამარხში მონეტა როგორც სამკაული, ავგაროზი ან უფლებრივი ინსიგნია .....	116
3.4. სალოცავისთვის შეცირული ქლვენი ცინარეპრისტის ფირმებში .....	127
3.5. ქრისტიანული კერიძიდის რიტუალური მონეტები საქართველოში .....	131
3.6. მონეტები სვანეთის ტაძრებში .....	137

3.7. უმგულის ციხე-სახლის (მუზეუმის) ნუმიზატიკური მასალის სკეცივიკა.....	143
3.8. მაგიური დაცივულების მონეტები, ავგაროზები, ამულეტები, საგანგებოდ ხატისტვის დამზადებული მონეტის გამოსაცულებიანი მინაპარები და შანა ხატი .....	154
3.9. მონეტა სვანერ ნის-ჩვეულებებში.....	158
3.10. უტილიტარული დაცივულების მონეტები .....	160
 შეჯამება .....	162
NUMISMATIC TREASURE OF SVANETI.....	168
პიპლიორგრაფია .....	186
საპირებელი .....	199

## რედაქტორისაგან<sup>1</sup>

მე თითქმის 60 წელია ვემსახურები ნუმიზმატიკურ მეცნიერებას და შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ასეთი პროფილის გამოკვლევას არ ვიცნობ. ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მრავალრიცხოვან ლიტერატურას გავეცანი, მაგრამ მსგავსი არქიტექტურის სამეცნიერო ნაშრომი არა თუ ქართულ, არამედ, საზოგადოდ, ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში არ შემხვედრია. ერთად-ერთი ჩემთვის ცნობილი გამოკვლევა, რომელიც, ასე თუ ისე, შეიძლება ეხმიანებოდეს მ. პატარიძის დისერტაციას, ევროპული მონეტებისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნის ვ. პოტინის სტატია: „Монеты в погребениях древней Руси и их значение для археологии и этнографии. Труды Государственного Эрмитажа XII. Ленинград, 1971“, რომელიც რაღაცა კუთხით შეიძლებოდა გამოეყენებინა დისერტანტს. სამწუხაროდ, ზემოთხსენებული წერილი მხოლოდ სამარხეულ მასალას მიმოიხილავს, ისიც სქემატურად და, ძირითადად, არქეოლოგიური ასპექტით.

მე შემიძლია კატეგორიულად განვაცხადო, რომ ქართულ ნუმიზმატიკაში დაცული დისერტაციების უმეტესობის თემატიკა თავის დროზე ჩემ მიერ იყო შერჩეული (მათ შორის სადოქტორო ნაშრომებისა), მაგრამ მ. პატარიძის გამოკვლევა თავისი ორიგინალური სტრუქტურით ყველასგან განსხვავებულია, აქ საუბარია ნოვაციაზე.

გენიალურ ალბერტ აინშტაინს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „პრობლემის ფორმულირება ხშირად უფრო არსებითია, ვიდრე მისი გადაწყვეტა“. ცხადია, ამ ფენომენალურ პიროვნებას მხედველობაში ჰქონდა ფუნდამენტური მეცნიერების, კოსმოსური მასშტაბების პრობლემები. ჩემ მიერ დისერტანტის წინაშე დასმული პრობლემა თავისი მასშტაბით კი მიკროსკოპულია, მაგრამ ვინ იტყვის, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ის ნაკლებ მნიშვნელოვანია? ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, მისი სათანადო მეცნიერულ დონეზე რეალიზება სარისკო იყო. გავითვალისწინე რა მ. პატარიძის მთელი მოღვაწეობა ნუმიზმატიკის სფეროში, შეგნებულად წავედით ამ რისკზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მოკლედ შევეხები მისი მოღვაწეობისა და ჩატარებული მუშაობის ეტაპებს:

1. მას ამ დარგში მუშაობის 22 წლის სტაჟი აქვს (სხვადასხვა დაწესებულებაში). 2004 წლიდან კი ისეთ წამყვან სამეცნიერო უჯრედში დასპეციალისტდა როგორიცაა საქართვე-

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება სადოქტორო დისერტაციას: „სვანეთში ალმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები (ძვ.წ. V-ას.წ. XVIII სს)“ რომლის ხელმძღვანელი გახლდათ აწგარდაცვლილი პროფესორი გიორგი დუნდუა. შესაბამისად, ის უნდა ყოფილიყო წიგნის რედაქტორიც. პატივცემული მკვლევრის სურვილი იყო, მის მიერ დაწერილი რეცენზია გადმომეტანა რედაქტორის ტექსტში. ვასრულებ დანაბარებს და უცვლელად გთავაზობთ გიორგი დუნდუას დასკვნას სადისერტაციო ნაშრომზე. ავტორის სტილი დაცულია.

- ლოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება, სადაც დღემდე იკავებს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის პოსტს;
2. 2005 წლიდან კითხულობდა და დღემდე კითხულობს ლექციების კურსს – „ნუმიზმატიკის საფუძვლები“, „ქართული ნუმიზმატიკა“ – ისეთ წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო, ილიას სახელმწიფო და კავკასიის უნივერსიტეტები;
  3. გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან ორი მონოგრაფიაა თანაავტორთან ერთად;
  4. 2012 წელს მოიპოვა ბერლინის პრუსიული მემკვიდრეობის ფონდის საერთაშორისო სტიპენდია, რამაც საშუალება მისცა, შეესწავლა ბერლინის ბოდეს მუზეუმში დაცული, ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების მესაძირკვლის, მიხეილ ბარათაევის მიერ საქართველოში შეგროვებული მონეტების უნიკალური კოლექცია. იგი პირველი ქართველი მეცნიერია, ვინც ნახა ეს მასალა და არა მარტო ნახა, არამედ მთლიანი სახით ჩამოიტანა ამ კოლექციის კომპიუტერული ასლი, იქვე გაიარა მან სტაჟირება;
  5. დისერტაციის ცაგერის, მარტვილის, მესტიის, ახალციხის მუზეუმების ნუმიზმატიკური გამოფენების კურატორია. ამავე მიზნით შეისწავლა გორის, სტეფანწმინდის და ონის მუზეუმების ნუმიზმატიკური კოლექცია; 2016 წელს იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუდმივმოქმედი ექსპოზიციის – „ნუმიზმატიკური საგანძურის“ კონცეფციის ავტორი.

მე მხოლოდ ნაწილობრივ ჩამოვთვალე მ. პატარიძის მიერ ნუმიზმატიკის სფეროში ჩატარებული სამუშაო მარტო იმ მიზნით, რომ თვანათლივ მეჩვენებინა, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივ მასალაზე მუშაობამ იგი პროფესიონალად ჩამოაყალიბა. გამომდინარე ზემოთთქმულიდან, დისერტაციის წავიდა იმ რისკზე, რომ შეჭიდებოდა ამ რთულ და კოლექტურ პრობლემას.

ვინაიდან დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვარ, ჩემი მხრივ ნაშრომისა და ავტორის ქება არაკორექტული იქნება. გამოსავალს ცნობილზე ცნობილ ფრაზაში ვხედავ: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ მ. პატარიძემ წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანას. ამით მას შეუძლია ცოტათი იამაყოს კიდეც, მაგრამ ზომიერის ფარგლებს არ გასცდეს (ეს, გარკვეულწილად, მეც მეხება). მითუმეტეს, რომ პრობლემის ყველა საკითხი ბოლომდე გაშუქებული ვერ არის, რაც გამოწვეულია ფაქტობრივი მასალისა და წყაროთა გარკვეული სიმცირის გამო, მაგრამ ეს დეტალებია. საბოლოო ჯამში, ნაშრომი ქებას იმსახურებს და მისი მონოგრაფიის სახით გამოცემა, ცხადია, სათანადო კორექტივების შეტანის შემდეგ, უაღრესად საშური საქმეა (რა თქმა უნდა, ვრცელი რეზიუმეთი ერთ-ერთ ევროპულ ენაზე). ასეთ შემთხვევაში, ჩემი რწმენით, ის სამაგიდო წიგნი იქნება სვანეთის ისტორიის შესწავლის საკითხებზე მომუშავე ყველა მკვლევრისათვის.

დასასრულ, გამოკვლევის ზოგიერთ პოზიტიურ მხარეზე ზოგადად მსურს ყურადღების გამახვილება:

1. ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა უაღესად სოლიდურია. ავტორი იყენებს წერილობით ცნობებს, ნუმიზმატიკურ, არქეოლოგიურ, გლიპტიკურ და სხვა სახის მასალას და სათანადო ინტერპრეტაციას აძლევს მათ.
2. მაია პატარიძე კარგად იცნობს სამეცნიერო ნაშრომებს, სადაც, თუნდაც ძალიან მოკლედ, გამოთქმულია რაიმე თვალსაზრისი ავტორისათვის საინტერესო საკითხებზე. ამას მოწმობს გამოკვლევის ბოლოს დართული ბიბლიოგრაფია – მონოგრაფიები, ცალკეული სტატიები ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე.
3. მე ვერ ვიტყვი, რომ სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის გარკვეული ნაწილი უცნობი იყო სამეცნიერო წრეებისათვის და ავტორი პირველად შეეხო ამ საკითხს. ეს უმთვრესად ანტიკურ პერიოდს ეხება, მაგრამ სვანეთში აღმოჩენილი უფრო მოგვიანო ხანის მონეტები თითქმის უცნობი რჩებოდა მეცნიერებისათვის. ავტორმა გააფართოვა კვლევის ქრონოლოგიური დიაპაზონი – ძვ.წ.-ის V საუკუნიდან ახ.წ. XVIII ს.-ის ჩათვლით სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა სვანეთში აღმოჩენილი დღემდე სრულიად უცნობი სამონეტო განძები (მაგ.; ე.წ. კირმანეული თეთრის სამი და ოსმალური ახჩების სამონეტო კომპლექსები, თუ ცალკეულად აღმოჩენილი მონეტები) და ერთ მთლიან ჩარჩოში ჩაატარა მათი კვლევა-ძიება.
4. ავტორი სვანეთს განიხილავს არა როგორც ცალკეულ რეგიონს, არამედ მთელი საქართველოს განუყოფელ ნაწილს და ამ ფონზე, ნუმიზმატიკურ ძეგლებზე (და არა მარტო ნუმიზმატიკურზე) დაყრდნობით, წარმოაჩენს სვანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას დროის უდიდესი მონაკვეთის მანძილზე, მის მჭიდრო ურთიერთობას კოლხეთის ბართან და ამ გზით კი, შესაძლებელია, მეზობელ ქვეყნებთანაც. ამ კუთხით წარმოდგენილი ნაშრომი პირველია და ერთადერთი.
5. ასევე, ვერ ვიტყვი, რომ სვანეთში მიკვლეული მონეტების შენირვის ფაქტი სალოცავებისა და ეკლესია-მონასტრებისათვის, აგრეთვე, მათი სამკაულად გამოყენების შემთხვევები არ იყო ფიქსირებული ქართველი ეთნოგრაფების მიერ და ყურადღების მიღმა დარჩენილი. მაგრამ ამ შენირულობის დიფერენცირება მათი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პროფილის“, მათი სპეციფიკის მიხედვით, არ ხდებოდა. ავტორმა გამოავლინა მონეტების (და არა მარტო მონეტების) შენირვის ახალი ფაქტები, მოახდინა მათი დანიშნულების დიფერენციაცია. გამოყო სვანეთში ნაპოვნი ნუმიზმატიკური მასალის საეკლესიო, ასევე, მათი სამონეტო ცირკულაციაში შემავალი კომპონენტის ხასიათი. რაც მთავარია, მან ქვეყნის საერთო ვითარების სურათის ფონზე გაამუქა სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლების ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები, ამ მიმართებით ეს ნაშრომი დღესდღეობით პირველია და ერთადერთი.

როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ: „არაფერი გადაჭარბებული!“

გიორგი ღუნდუა  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
2017 წელი, ივლისი

## პრიზი

ნუმიზმატიკური მეცნიერების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მონეტისა და სამონეტო განძების შესწავლა. მონეტა, რომელიც, პირველ რიგში, ფულია, ამავდროულად, ხალხის ცნობიერებაში საკრალურ ნივთად იქცა, რომელსაც მაგიური ძალა მიეწერებოდა. ამიტომ ის სხვადასხვა რიტუალისა თუ ტრადიციული წეს-ჩვეულების თანმდევი ატ-რიბუტი გახდა. წლების განმავლობაში მონეტებისა და სამონეტო განძების შესწავლის მეთოდოლოგია ქართველ და უცხოელ ნუმიზმატებს სპეციფიკური ჰქონდათ, კერძოდ, ეთნოგრაფიული (სარიტუალო) მიზნით გამოყენებული მონეტები – სამკაული, ავგაროზი, საეკლესიო შენირულობა და ა.შ. – ძირითადად აღიქმებოდა ეთნოლოგიური დანიშნულების ნივთებად და ამ მონეტების „ამეტყველება“ ჰოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებით შეუძლებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ არც ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ჩატარებულა დღემდე მონეტებთან დაკავშირებული ტრადიციებისა და რიტუალების საფუძვლიანი კვლევა. მეცნიერები შემოიფარგლებიან მხოლოდ მონეტების დანიშნულებისა და გამოყენების ფაქტების დადასტურებით.

იგივე შეიძლება ითქვას ეთნორაქეოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებით. განათხარი მასალით მიღებული ინფორმაციის ინტეგრაცია სულტურაში შემორჩენილ რეალობაში მნიშვნელოვანია ძველ და ახალ ყოფას შორის მეკვიდრეობითობის დასადგენად. ჩვენს ნაშრომში ამ სახის კვლევას ნუმიზმატიკური აღმოჩენები უმაგრებს ზურგს.

საქართველოში ნუმიზმატიკური განძების მეცნიერული შესწავლა ორ საუკუნეს ითვლის. სერიოზული შრომაა განეული ცალკეული ისტორიული ეპოქის სამონეტო განძების ტოპოგრაფიის, შემადგენლობის, ქრონოლოგიის დადგენის კუთხითაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოში აღმოჩენილი განძების მეთოდოლოგიური შესწავლა, სისტემაში მოყვანა და კლასიფიკაცია მათი აღმოჩენის გარემოების და ხასიათის მიხედვით დღემდე არ მომხდარა. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება განძების დიფერენციაცია ეკონომიკურ, ეთნოლოგიურ-კონფესიურ და სხვა ხასიათის სამონეტო კომპლექსებად.

სვანეთის რეგიონში აღმოჩენილი უამრავი სამონეტო განძი უცნობი იყო მეცნიერებისთვის, შესაბამისად, ის სამონეტო მიმოქცევის ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი არ იყო. ეს კი ხელს უშლიდა საქართველოში ამა თუ იმ სამონეტო ტიპების გავრცელების სრული სურათის შექმნას. ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ნუმიზმატიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სვანეთის (მესტია-უშგულში) აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის, ეთნოლოგიური ასპექტების გამოვლენა, ასევე, იმ მონეტების შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომლებიც დღემდე სამეცნიერო საზოგადოებისთვის უცნობი იყო.

მთავარი ამოცანა იყო კომპლექსური, ეთნოლოგიურ-ნუმიზმატიკური კვლევის შედეგად სრულყოფილად შეგვესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვეტანა ყველა ის მონეტა, რომელსაც, ერთი შეხედვით, მკვეთრად დამახასიათებელი არაეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა. სისტემაში მოგვეყვანა და მოგვეხდინა ეკონომიკური, ეთნოლოგიურ-კონფესიური, უტილიტარული და სარიტუალო (მაგიური დანიშნულების) სამონეტო განძების დიფერენცირება.

შევეცადეთ, განვვეხილა სვანეთი არა როგორც ცალკეული რეგიონი, არამედ მთელი საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ამ ფონზე ნუმიზმატიკურ, ასევე, წერილობით, ეპიგრაფიკულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და გლიპტიკურ წყაროებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, რომ სვანეთში სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ. აღ.-ის V საუკუნის II ნახევრიდან – „კოლხური თეთრით“ დაწყებული XVIII საუკუნის ჩათვლით, თითქმის ქრონოლოგიური უწყვეტობით მიმდინარეობს და ადასტურებს იმას, რომ ეს რეგიონი ყოველთვის ჩართულია ქვეყნაში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში. კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონის როლი და მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი გეოგრაფიულად უსაფრთხო მდებარეობით. ისინი მუდმივ კავშირში არიან ქვეყნის ბართან და გარე სამყაროსთან. ამას ადასტურებს, პირველ რიგში, აქ აღმოჩენილი ადგილობრივი თუ უცხოური ფული და უამრავი არქეოლოგიური არტეფაქტი.

ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოადგენს სვანეთის სამონეტო აღმოჩენების ეთნოლოგიურ-კონფესიური კვლევა. საკითხის ამ მიმართულებით შესწავლამ საშუალება მოგვცა, გამოგვეთვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეთნოლოგიური დანიშნულების მონეტების „ამეტყველება“ პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის მოსათხრობად სავსებით შესაძლებელია. ამ თეორიის გასამყარებლად ცალკეულ აღმოჩენებს მივუსადაგეთ წერილობითი თუ ეთნოლოგიური წყაროები და რეგიონში იმავე ტიპის მონეტების ბრუნვის დამაჯერებელი სამეცნიერო დასაბუთება. მხოლოდ ამ სამუშაოების შედეგად ჩავთვალეთ შესაძლებლად, ერთი შეხედვით, ეთნოლოგიური ხასიათის მონეტები გვექცია საისტორიო წყაროდ.

სვანეთის საეკლესიო თუ ეთნოლოგიური ხასიათის მონეტების ამგვარი შესწავლა პირველად ხდება და, ვფიქრობთ, შესაძლებელია მოდელად იქცეს სხვა რეგიონში არსებული იმავე ხასიათის მასალის – საეკლესიო შენირულობების გაანალიზებისა და კვლევისათვის.

კვლევის ერთ-ერთი მთვარი სიახლეა ტაძრებში მონეტების შენირვის ტრადიციის ცოცხალი კავშირების მოძებნა სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფასთან და მოსახლეობის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, რაც შესაძლებელი გახდა საკითხის ეთნოლოგიური დამუშავებით. მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი ტრადიციების შესწავლით ჩვენ შევძლით, გაგვერკვია სალოცავებში მონეტების მოხვედრის მიზეზები და მონეტის როლი ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებაში.

ნაშრომში პირველად არის წარმოდგენილი მეცნიერებისთვის დღემდე უცნობი რამდენიმე სამონეტო განძი (მაგ.: ე.წ. კირმანეული თეთრის სამი განძი და ოსმალური ახჩების სამონეტო კომპლექსი, აგრეთვე, ცალკეულად აღმოჩენილი მონეტები).

ნაშრომის ერთ-ერთი სიახლე ეთნო-არქეოლოგიური კვლევაა, რომელმაც საშუალება მოგვცა, მოგვეხდინა განათხარი მასალით მიღებული ინფორმაციის ინტეგრაცია სული-ერ კულტურაში შემორჩენილ რეალობასთან. მოიძებნა ლოგიკური ჯაჭვი ძველ და ახალ ყოფას შორის. კერძოდ, ქრისტიანული ხანის რიტუალური წეს-ჩვეულებები, როგორც წინარექტისტიანული ეთნოლოგიური ყოფიდან მიღებული მემკვიდრეობა.

ნაშრომის კვლევა ეფუძნება ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში დღემდე დამკვიდრებული ამა თუ იმ თეორიული მოსაზრების გადასინჯვას და დახვენას, ზოგიერთ შემთხვევაში ძველი თეორიის უარყოფას და ახლის წარმოშობას. აგრეთვე, პირველწყაროების: პირველ რიგში, მონეტების, სამონეტო განძების და სხვა არტეფაქტების ახლებურად შესწავლას და ანალიზს. სინთეზური მეთოდის საშუალებით საკვლევი ობიექტების, კერძოდ, სვანეთში აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქის ნუმიზმატიკური ძეგლების გაერთიანება მთლიანად საქართველოს ფულადი მიმოქცევის და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების განსასაზღვრად. თემის თვისობრივი ხასიათიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგია ინტერდისციპლინარულია. მასალის შესასწავლად კვლევაში ჩართულია რამდენიმე დარგი და სამეცნიერო მიმართულება – არქეოლოგია, ეთნოგრაფია, საქართველოს ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა და არქეო-ეთნოლოგია. დიდი ადგილი ეთმობა კვლევის შედარებით ანალიზს, კერძოდ, კონკრეტული რეგიონის, სვანეთის, სამონეტო ემისიის, ეთნოლოგიური წეს-ჩვეულებების თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტების შედარებას მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე იმავე სახის პროცესებთან. ნაშრომი ემყარება ისეთ ემპირიულ მეთოდს, როგორიცაა მოდელირება, ანალოგის გამოყენებით არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხელოვნურად აღდგენილი ტრადიციის გამოყენება შემდგომი კვლევის ობიექტად და აქედან მიღებული ინფორმაციის ლოგიკური კავშირი დღემდე შემორჩენილ ტრადიციებთან. ნაშრომში ასევე გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ისეთი რიცხვითი პარამეტრების შესწავლისას, როგორიცაა სხვადასხვა მონეტის და სამონეტო განძის ხვედრითი წილის განსაზღვრა როგორც კონკრეტულად ერთ რეგიონში, სვანეთში, ასევე, მთლიანად საქართველოში.

სვანეთის ნუმიზმატიკური მასალის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით შესწავლამ შესაძლებელი გახადა ამა თუ იმ მოძველებული თეორიის და მოსაზრებების გადასინჯვა. ახალი სამონეტო განძების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოყვანამ შეცვალა ქვეყანაში ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ფულადი მიმოქცევის სურათი. შეძლების-დაგვარად დაზუსტდა ძველი თეორია იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მეცნიერებაში აქამდე გაბატონებული მოსაზრებების მიხედვით, რიტუალური (საეკლესიო შენირულობა, მაგიური დანიშნულების თუ უტილიტარული ხასიათის) ნუმიზმატიკური ძეგლები მხოლოდ ეთნოგრაფიის კუთვნილებას წარმოადგენდა. ჩვენ მიერ შემუშავებული ახალი მიდგომით მათ მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროს სტატუსი მივანიჭეთ. პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში ნუმიზმატიკური მასალის არა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური, არამედ ეთნოლოგიურ-კონფესიური კვლევა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები სრულყოფილს ხდის საქართველოს ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილის, სვანეთის რეგიონის, ისტორიის მეტ-ნაკლებად დე-

ტალურ შესწავლას. კვლევა საფუძვლად დაედო მეცნიერების ინტეგრაციას სამუზეუმო საქმიანობაში, რაც თანამედროვე მუზეუმის ახალი სტრატეგიაა. მესტიის მუზეუმის ნუ-მიზმატიკური გამოფენა ამ სტრატეგიის მაგალითია. აღნიშნული ნაშრომი საყურადღებოა არა მხოლოდ ნუმიზმატიკით დაინტერესებული მკვლევრებისთვის, არამედ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური საკითხებით დაინტერესებული სამეცნიერო წრისთვის თუ ფართო საზოგადოებისთვის.

## შესავალი

---

სვანეთში აღმოჩენილი და საქართველოს მუზეუმებში დაცული ნუმიზმატიკური ძეგლებიდან ფართო სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ის მონეტები, რომელთაც აღმოჩენისთანავე, მათი იშვიათობისა და თითქმის უნიკალურობის გამო, განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა და, შესაბამისად, დაუყოვნებლივ შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. ძირითადად, ანტიკური პერიოდის და შუა საუკუნეებიდან დავით აღმაშენებლის მონეტები. სვანეთის მუზეუმში (მესტიაში და უშგულში) დაცული მონეტების უმეტესობა მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო.

2009 წელს პროექტის „სვანეთის (მესტია-უშგული) ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ექსპონატების ინვენტარიზაციის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან გაგზავნილ იქნა სხვადასხვა სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი. პროექტი მიზნად ისახავდა სვანეთის (მესტია-უშგულის) ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ექსპონატების ინვენტარიზაციას. პირადად ჩემს მოვალეობას წარმოადგენდა მესტიის მუზეუმსა და უშგულის ციხე-სახლში შემავალი მონეტების განსაზღვრა, ინვენტარიზაცია, და საგამოფენო კონცეფციის შექმნა.

მასალაზე უშეულო მუშაობისას გამოიკვეთა სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამონეტო განძების თვისობრივი მრავალფეროვნება. დადასტურდა თითქმის ყველა კატეგორიის და წარმომავლობის განძი, როგორც არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩენილი, ასევე, ეთნოლოგიური ხასიათის. დაფიქსირდა რამდენიმე ახალი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში არასოდეს არ მოხვედრილა. მოხდა საკმაოდ იშვიათი ეგზემპლარების ზუსტი ატრიბუცია.

სვანეთის (მესტია-უშგულის) სამონეტო განძების გამოვყავით ორი სახის განძი: „მიმოქცევის განძი“, რომელიც ასახავს ამ რეგიონში ფულადი მიმოქცევის ხასიათს, შემადგენლობას, კავშირებს ქვეყნის შიგნით და გარეთ; და „საეკლესიო შენირულობა“. ასეთი განძები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ეთნოლოგიური ხასიათისაა, რიტუალურია – სალოცავებისთვის მიძღვნილი.

დადასტურდა, რომ სვანეთში დაცული ნუმიზმატიკური კოლექციების ქრონოლოგია ძვ.წ.-ის V ს.-ის II ნახევარში მოქრილი „კოლხური თეთრით“ იწყება და XX ს. უცხოური მონეტებით მთავრდება.

ამ დასკვნების საფუძველზე შეიქმნა საგამოფენო კონცეფცია და გადაწყდა, გამოყოფილიყო ცალკე სივრცე და პირველად ქართულ სამუზეუმო სივრცეებში შეგვექმნა „მიუნცკაბინეტი“ (მონეტების კაბინეტი) (დანართი I), სადაც მონეტების საშუალებით გადმოვცემდით ამ რეგიონის აქტიურ ჩართულობას როგორც მთლიანად ქვეყნის საყოველთაო ფულად მიმოქცევაში, ასევე კავშირს გარე სამყაროსთან. ამავდროულად აქცენტი-

რებული უნდა ყოფილიყო სვანეთის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის სპეციფიკა – მათი საეკლესიო-რიტუალური დანიშნულება. ყოველივეს გათვალისწინებით მომზადდა გა-მოფენა, სადაც წარმოვაჩინეთ სვანეთი არა როგორც ცალკე რეგიონი, არამედ მთელი საქართველოს განუყოფელ ნაწილი და ამ ფონზე, ნუმიზმატიკური მასალის ჩვენებით, წარმოვადგინეთ სვანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება დროის უდიდესი მონაკვეთის მანძილზე.

ექსპოზიცია მოეწყო, მაგრამ მონეტების დეტალური შესწავლისა და გამოფენის მომზადებისას წამოიჭრა მრავალი სამეცნიერო საკითხი, პრობლემა, რომელიც მოითხოვდა ამ მასალის თანამედროვე სამეცნიერო აპარატით დამუშავებას. ერთი მხრივ, მასალა კლასიფიცირებული იყო, მაგრამ უფრო ფართო კონტექსტში მისი გაანალიზება სპეციალურ სამეცნიერო კვლევას მოითხოვდა. ამან განაპირობა სადისერტაციო კვლევის საგნად ეს თემა გამეხადა. სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის თვისობრივი მრავალფეროვნება მოითხოვდა არა მხოლოდ ვიწრო ნუმიზმატიკურ-მეტროლოგიური დახარისხებას, არამედ, სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევაში სხვადასხვა დისკიპლინის: ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის და ეთნო-არქეოლოგიური მიმართულების ჩართვას. მრავალდარგოვანი მიდგომის საშუალებით გახდა შესაძლებელი მრავალი ახალი სამეცნიერო სიახლის და მისი სამეცნიერო მნიშვნელობის დასაბუთება.

წინამდებარე წაშრომი შედგება სამი ძირითადი თავისაგან.

### I თავი. საკითხის შესწავლის ისტორია

მთლიანად ეძღვნება სამეცნიერო ლიტერატურისა და ისტორიულ – ეთნოლოგიური წყაროების მიმოხილვას.

### II თავი. სვანეთში აღმოჩენილი მონეტების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები

განხილული გვაქვს სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა ძვ.წ.-ის V საუკუნის II ნახევრიდან – „კოლხური თეთრით“ დაწყებული ახ.წ.-ის XVIII საუკუნის ჩათვლით, თითქმის ქრონოლოგიური უწყვეტობით. შესაბამისად, სვანეთის რეგიონის ჩართულობა საქართველოში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში. ეს მოსაზრება გამყარებულია: ნუმიზმატიკური და გლიპტიკური მასალის, წერილობით წყაროების, ეპიგრაფიკული ძეგლების და არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამოწმებით. ნუმიზმატიკური მასალის ატრიბუციით მოვახდინეთ ქრონოლოგიური პერიოდიზაცია. თითოეულ პერიოდის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ვითარება ვაჩვენეთ შესაბამისი ნუმიზმატიკური მასალით, წერილობითი თუ სხვა წყაროებით.

### III თავი. სვანეთის სამონეტო განძების ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები

წაშრომის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს – სვანეთის ნუმიზმატიკური მასალის ეთნოლოგიური ასპექტების გამოვლენაა. საკითხის ეთნოლოგიურმა კვლევამ, მათ შორის, ახალ-

მა საველე ეთნოლოგიურმა მონაცემებმა და სვანურმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა, საშუალება მოგვცა, გვეჩვენებინა ტაძარში მონეტის მოხვედრის მიზეზები და უძველესი საზოგადოების კუთვნილი ნივთიერი მასალის ცოცხალი კავშირი სვანეთის ყოველდღიურობასთან. ეთნოლოგიურმა კვლევამ მეცნიერებისთვის თავიდან აღმოაჩინა მონეტები, რომლებიც უკვე საისტორიო წყაროს წარმოადგენენ.

## I თავი. საკითხების შესწავლის ისტორია

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ კვლევის ნუმიზმატიკური, ზოგადისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მეთოდი ავირჩიეთ. სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროებიც ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა დარგს მიეკუთვნება. შესაბამისად, გავმიჯნეთ ერთმანეთისგან ნუმიზმატიკური ძეგლების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლასთან დაკავშირებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა და ეთნოლოგიურ-ეკონომიკური საკითხების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.

ნაშრომის პირველწყაროს სვანეთის (მესტია-უშგული) ისტორიისა და ეთნოგრაფიის და საქართველოს ეროვნული მუზეუმისა ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დაცული სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლები წარმოადგენს. მასალის ნუმიზმატიკურ-მეტროლოგიური კვლევის გარდა განვიხილეთ ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში საქართველოს სამონეტო მიმოქცევის ისტორია. ლიტერატურისა და წყაროების მიმოხილვას წარმოვადგენთ ქრონოლოგიურად, თითოეული პერიოდის პარალელური სამეცნიერო ლიტერატურით.

სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის ნუმიზმატიკურ მასალას წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური კვლევის და ნუმიზმატიკური სამეცნიერო კვლევების ფონზე მიმოვინარებთ.

ერთ-ერთი უძველესი ცნობა, რომელიც სვანეთის შესახებ გვანვდის ინფორმაციას, II საუკუნის რომაელი სწავლული პლინიუს სეკუნდუსია. ის წერს: „კოლხეთში აიეტის შთამომავალი სავლაკი მეფობდა, რომელმაც სამფლობელოდ ვრცელი ქვეყანა მიიღო სვანთა მიწაზე, რომელიც ოქროს საწმისებითაა სახელგანთქმული<sup>1</sup>.

ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების სვანეთის შესახებ ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი წერს: „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ. ისინი ირგვლივ ყველაფერს ფლობენ და უპყრიათ კავკასიის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. მათ ჰყავთ ბასილევსი და 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო“<sup>2</sup>.

ანტიკური სამყაროსა და სვანეთის ურთიერთობის ამსახველი ერთ-ერთი პირველწყარო ნუმიზმატიკური მასალაა. საკვლევი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურად გამოვიყენეთ საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიის დარგში გამოქვეყნებული მეტნაკლებად კომპლექსური მიმოხილვები და უფრო ვიწრო ხასიათის, თუნდაც მონოგრაფიული ხასიათის შრომები.

<sup>1</sup> В. Латышев, „Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе“, т. II, вып. СПБ, 1904, 197-198

<sup>2</sup> ო. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში“ (თბილისი, 2010), 169

ანტიკური პერიოდი ჩვენ წარმოვადგინეთ ძვ.წ. V საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე. შესაბამისად, ის იწყება „კოლხური თეთრით“. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია საკმაოდ ვრცელია. ვინაიდან ჩვენი მთავარი ამოცანა სვანეთის მასალის ზოგად კოლხურ კულტურაში ინტეგრაციაა, საჭიროდ მივიჩნიეთ, დაგვემოწმებინა კველა ის სტატია, თუ მონოგრაფია, რომელიც დახმარებას გაგვინდა კონკრეტულად საკითხის კვლევაში. „კოლხური თეთრის“ პრობლემის ანალიზი ფაქტობრივად შეუძლებელია გიორგი დუნდუას პუბლიკაციების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ მისი შრომები ერთგვარი ორიენტირია ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლისათვის<sup>1</sup>. ანტიკური პერიოდის სამყაროს სურათის შექმნა მეტნილად არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი მასალის ცნობებს ეყრდნობა. ამიტომ ნაშრომში გარკვეული ადგილი დაეთმო არქეოლოგიური სამეცნიერო პუბლიკაციების მიმოხილვასაც<sup>2</sup>

„კოლხური თეთრიდან“ ოქტავიანე ავგუსტუსის მინაბაძების ემისიამდე პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვანეთის ნუმიზატიკური ძეგლების შესასწავლად, განსაკუთრებით ეს ეხება: ბოსფორის სამეფოს, კერძოდ, პანტიკანეონის და ალექსანდრე მაკედონელის სტატერებს, ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სტატერის, აგრეთვე, ოქტავიანე ავგუსტუსის და იმავე იმპერატორის მონეტის ადგილობრივი მინაბაძებს. ჩამოთვლილი სამო-

<sup>1</sup> Г. Дундуа, *Нумизматика античной грузии* (Тбилиси, 1987); გ. დუნდუა, „ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. მაცნე №1 (თბილისი, 1972); გ. დუნდუა, ა. კახიძე, „კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. მაცნე №2 (თბილისი, 1979); Г. Дундуа, Г. Лордкипаниძе, *Денежное обращение Центральной Колхиды* (Тбилиси, 1983); გ. დუნდუა, „კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა)“ იბერია-კოლხетი №1 (თბილისი, 2003); ასევე, საყურადღებოა შემდეგი მეცნიერების კვლევები : Е. Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавка*, вып. 3 (Баку, 1926); А. Зограф, „Распространение находок античных монет на Кавказе“. Труды нумизматического отдела гос. Эрмитажа I (Ленинград, 1945); W. Wroth, *Catalogue of Greek Coins. Pontus. Paphlagonia, Bithynia and the Kingdom of Bosporus* (London, 1889); D.Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New-York, 1955); Д. Шелов, *Монетное дело Боспора*, VI-II вв. До н. э. (Москва, 1956); D. M. Lang, „Notes on Caucasian Numismatics“ *The Numismatic Chronicle. vol. XVII* (New-York, 1957); Д. Капанадзе, К. Голенко, „К вопросу о происхождении колхидок“ *ВДИ*. 1957. №4; К. Голенко, Д. Капанадзе, „Четыре клада колхидок“ *НЭ (нумизматика и эпиграфика)*, 1966, VI; А.Болтунова, „Колхидки“, *ВДИ*, 1973, №4; С. Шамба, *Монетное обращение на территории Абхазии* (V в. до н. э. – XIII в. н. э.) (Тбилиси, 1987); გ. დუნდუა, „ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განვითარები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV – ახ.წ. IV სა.).“ კრებული გურია II (მხარის კვლევა-ძიების შედეგები) (თბილისი, 1997); გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე, „კოლხური თეთრი“ ნარკვევები ქართული ნუმიზატიკის ისტორიიდან (თბილისი, 2007); ა. კახიძე, მ. ვიკერსი, „ფიჭვნარი I“ საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002) (ბათუმი-ოქსფორდი, 2004)

<sup>2</sup> თ. მიქელაძე, ძებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (თბილისი, 1974); ჯ. ნადირაძე, უვიროლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები თბილისი, 1975); Г.Лордкипаниძзе, *К истории древней Колхиды* (Тбилиси, 1970); Г. Лордкипаниძзе, *Колхида VI-II вв. До н. э.* (Тбилиси, 1978); О. Лордкипаниძзе, „К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды)“. *Материалыシンпозиума в Цхалтубо*, (1977); ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი (თბილისი, 1966); ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან (თბილისი, 2002); მ. პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შრომები III (თბილისი, 2011)

ნეტო ჯგუფები თავის დროზე არა ერთი ცნობილი მეცნიერის ნაშრომებში მოხვდა.<sup>1</sup> გარდა ნმინდა ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური წყაროების მიმოხილვისა, ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო საკვლევ რბილებად გლიპტიკური ძეგლების განხილვაც, ვინაიდან ეს დარგი, მისი ნახევრადიურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, სერიოზულ წყაროს წარმოადგენს ანტიკური სამყაროს საერთო პოლიტიკური კონტექსტის წარმოსაჩენად. ამ მხრივ, საყურადღებოა სარა ბარნაველის<sup>2</sup>, ა. ბორისოვისა და ვ. ლუკონინის<sup>3</sup>, დარეჯან კაჭარავას<sup>4</sup>, ქეთევან რამიშვილის<sup>5</sup>, ქეთევან ჯავახიშვილის<sup>6</sup> შრომები.

სვანეთის საკითხის შესწავლის საქმეში, ვფიქრობთ, ცალკე უნდა აღვნიშნოთ შოთა ჩართოლანის სამეცნიერო პუბლიკაციები<sup>7</sup>.

შ. ჩართოლანმა პირველმა შეისწავლა არქეოლოგიურად ეს რეგიონი, რის საფუძველზე დატოვა ბევრი ისეთი ჰიპოთეზა და სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც დღესაც ანგარიშგასაწევია. ძირითადი კონცეფცია, რაც გულისხმობდა სვანეთის როლის წამოწევას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შესაბამისი ნივთიერი თუ წერილობითი წყაროების დადასტურებით, მის სახელს უკავშირდება. მან პირველმა გაიღაშქრა სამეცნიერო საზოგადოებაში დამკვიდრებული, ეგრეთნოდებული, სვანეთის რეგიონის „კარჩაკეტილობის“ თეორიის წინააღმდეგ. აჩვენა, რომ ეს კუთხე ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა ეტაპზე ჩართულია მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში და

<sup>1</sup> K. Regling, „Der Griechische Goldschatz von Prinkipo“. ZN. (Berlin, 1931); A. N. Зограф, *Античные золотые монеты Кавказа*. Известия ГАИМК. Вып. №110 (1935); А. Зограф, „Статеры Александра Македонского из Керченских и Таманских находок“ ГЭ. Труды отдела истории искусства и культуры античного мира, т. I. (1945); К. Голенко „Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948)“. ВДИ, №1. 1961. დ. კაბანაძე, ქართული ნუმიზმატიკა (თბილისი, 1969); ბ. კილურაძე, „დაფნარის სამაროვანი“. ძეგლის მეცნიერობი №23 (თბილისი, 1970); გ. დუნდუა „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოქრილი მონეტები“. მაცნე 1. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (თბილისი, 1973); თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პაროული მონეტების კატალოგი (თბილისი, 1974); გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე, ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა (თბილისი, 2008); მ. შეროზია, „ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ“ იბერია-კოლხეთი 5 (თბილისი, 2009) №; მ. პატარიძე, „ლეჩებუმში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“ ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I (თბილისი, 2014)

<sup>2</sup> ს. ბარნაველი, „სვანეთის გემა პორტრეტის გამოსახულებით“. Ars Georgica. სერია 7 (თბილისი, 1971)

<sup>3</sup> А. Борисов, В. Луконин, *Сасанидские геммы* (Ленинград, 1963)

<sup>4</sup> D. Kacharava, G. Kvirkvelia, „Recent archaeological finds on the upper terrace of the Vani site“. Ancient Civilizations from Scythia to Siberia. 14. pp. 2009

<sup>5</sup> ქ. ი. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში (თბილისი, 1979)

<sup>6</sup> ქ. ჯავახიშვილი, „ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები“. იბერია-კოლხეთი №7 (თბილისი, 2011); ქ. ჯავახიშვილი, „რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები (საქართველოში მოპოვებული გლიპტიკური მასალების მიხედვით)“. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში 20 (თბილისი, 2011) №; ქ. ჯავახიშვილი, „საქართველოს გლიპტიკური ძეგლები“, იბერია-კოლხეთი 11 (თბილისი, 2015).

<sup>7</sup> შ. ჩართოლანი, „ლარილარის სამაროვანი“, კრებული საქართველოს, ამიერკავკასიისა და წინააზიის ისტორიის საკითხები. შ. ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“ (სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები) (თბილისი, 1976); შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (თბილისი, 1996); შ. ჩართოლანი, შრომები (თბილისი, 2010)

მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი საკვალიფიკაციო თემის ერთ-ერთი მთავარი ხაზიც, ნუმიზმატიკურ-არქეოლოგიურ და წერილობით წყაროზე დაფუძნებით, ამ რეგიონის ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შემადგენელ ორგანულ ნაწილად გააზრებაა.

ამდენად, ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის კონცეფცია რომელსაც ემსახურებოდა და მეცნიერულად ასაბუთებდა შოთა ჩართოლანი.

მომდევნო ნაწილი ეხება ირანისა და ბიზანტიის ბრძოლას სვანეთის გამო VI საუკუნეში.

კვლევის ამ ნაწილში, განსხვავებით სხვა პერიოდებისა, რამდენიმე წერილობითი წყარო მოგვეპოვება<sup>1</sup>. ხოლო რაც შეეხება თემის ისტორიოგრაფიას, საკითხი მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი გიორგი ათანელიშვილს<sup>2</sup>. ამავე თემას მიუძღვნეს პუბლიკაციები ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა<sup>3</sup>.

სვანეთში აღმოჩენილი ადრებიზანტიური ხანის მონეტები პირველად ინფორმაციის სახით მოხვდა შოთა ჩართოლანის ნაშრომში<sup>4</sup>. შემდგომ ეს მასალა მოხვდა თამარ აბრა-მიშვილის<sup>5</sup> და იზოლდა ცუხიშვილის<sup>6</sup> კვლევებში.

ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საკულტო დანიშნულების მონეტების პოლიტიკურ – ეკონომიკური ხასიათის წყაროდ გადაქცევაა, ამ კუთხით მნიშვნელოვანია სვანეთში აღმოჩენილი საეკლესიო (სარიტუალო) წარმომავლობის არაბული დირჰემის სამეცნიერო ბრუნვაში შემოყვანა. ეს საფასე აქამდე ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დირჰემების მიმოქცევის შესწავლას საქართველოში საქმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. შესაბამისად, პარალელურ მასალად გამოვიყენეთ სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები<sup>7</sup>.

<sup>1</sup> პროკოფი კესარიელი „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“. საძიებელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. II (თბილისი, 1965); მენანდრე პროტიქტორი, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“. საძიებელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. გეორგიეს III (თბილისი, 1936)

<sup>2</sup> გ. ათანელიშვილი, სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590) (თბილისი, 1959)

<sup>3</sup> გ. გოზალიშვილი, „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის“. თბილისის სახ. უნივ. შრომები III (თბილისი, 1936); ს. ყაუხჩიშვილი, ირ. ბერაძე სვანეთის ხელმეორედ აღება ბიზანტიელების მიერ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VII (თბილისი, 1938)

<sup>4</sup> შ. ჩართოლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I (სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები)

<sup>5</sup> თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (თბილისი, 1965)

<sup>6</sup> I. Tsukhishvili, Depeyrot G. History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.), (Moneta. Wetteren 2003)

<sup>7</sup> ი. ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-Xსს საქართველოში“, მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 4 (თბილისი, 1973); ი. ჯალაგანია, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* (თბილისი, 1979); გ. ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები (თბილისი, 1991); მ. ჩალუნელი, მ. ქორიძე, „ნაქვას განძი“, ეროვნული მუზეუმის მოამბე II (47-B) (თბილისი, 2011); თ. ქუთელია, ც. ღვაბერიძე, „ინჩხურის განძი“, ეროვნული მუზეუმის მოამბე V (50-B) (თბილისი, 2014); ი. ფალავა, ი. ვარშალომიძე, ს. თურქია, „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია)“, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები. V (ბათუმი, 2013)

სვანეთის რეგიონის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს დავით აღმაშენებლის მონეტები. ამ სამონეტო ჯგუფის როლი განსაკუთრებულია ქართული მეცნიერებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს საფასეები ჩვენი დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის, სახელს უკავშირდებიან და მეორეც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. დავით აღმაშენებლის „სვანური“ ეგზემპლარი არა ერთხელ მოხვდა ცნობილი მეცნიერების შრომებში<sup>1</sup> ერთ-ერთი ეგზემპლარი ჩემს მიერ იქნა მიკვლეული, რასაც საგანგებო სტატიაც მივუძლვენი<sup>2</sup>.

ერთიანი საქართველოს ქართული მონეტები ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ სამონეტო ჯგუფებს წარმოადგენს, რომლებიც არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა<sup>3</sup>, ჩვენ სვანეთში აღმოჩენილი ქართული მონეტების მიმოქცევაში შემოტანით შემოვიფარგლეთ და ზოგად პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტს შევეხეთ.

სვანეთში აღმოჩენილი XIII საუკუნის უცხო ქვეყნის ემისიები: რუმის სელჩუკი სულთნების, ყანური ანონიმური და ტრაპიზონული ასპრების ერთად აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული ჩვენს ქვეყანაში, რომელთა დაკავშირება სვანეთის რეგიონში იმავე მონეტების მიმოქცევასთან აუცილებელია. ამ კუთხით დახმარება გაგვინდა ქართველი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებულმა ცალკეულმა განძებმა<sup>4</sup>.

ნაშრომის საკმაოდ ვრცელ ნაწილს წარმოადგენს ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბაძის სამი განძის პუბლიკაცია. გარდა იმისა, რომ ეს განძები პირველად ქვეყნდება, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მათი აღმოჩენა საქართველოში ამ ფულადი ერთეულების გავრცელების გეოგრაფიულ არეალს აფართოებს და ეხმარება საკითხთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების ფორმულირებას და, ზოგ შემთხვევაში, გადაჭრასაც. ამ თემის შესწავლის ისტორიას საკმაოდ დიდი ფესვები აქვს და, შესაბამისად, პუბლიკაციებიც მრავლად მოგვეპოვება<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Р. Кебуладзе, „Клад из села Цихесули“, НС (Нумизматический Сборник) (Тбилиси, 1977); რ. ქებულაძე, „დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები“. სსმ. XXXIX-B (თბილისი, 1987); ვ. სილოგავა, სამეცნიერო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (თბილისი, 2006)

<sup>2</sup> მ. პატარიძე, „დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან“. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, IV (49-B) (თბილისი, 2011)

<sup>3</sup> თ. ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (თბილისი, 1938); გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო (თბილისი, 1995)

<sup>4</sup> Е. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавка. вып. IV (Баку, 1954); И. Джагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. (Тбилиси, 1979)

<sup>5</sup> М. Баратаев, Нумизматические факты грузинского царства. СПБ. 1844; V. Langlois, Essai de Classification des Suites Monetaires de la Géorgie (Paris, 1860); O. Retowski, Die Münzen der Komnenen von Trapezunt (M. 1910); თ. აბრამიშვილი, XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კიორმანეული) (თბილისი, 1959); თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კიორმანეულის) კატალოგი, (თბილისი, 1984). И. Соколова, „Трапезундские аспры и кирманеули с именем Мануила I и Иоанна Комнинов“. НЭ (нумизматика и эпиграфика). XI (Москва, 1974); И. Соколова, „Кирманеули с именем Мануила из собрания Государственного Эрмитажа“. НС (Нумизматический Сборник) (Тбилиси, 1977); Л. Дергачева, С. Зеленко, „Монеты Трапезунда с кораблекрушения XIII века в бухте поселка новый свет“. Сүгдейский сборник вып. III (Киев-Судак, 2008); S. Bendall, „Some Thoughts on the Silver Coinage of Manuel I and John II of Trebizond in the Light

საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით ფასეულია თანადროული საისტორიო საბუთები<sup>1</sup>.

ტრაპიზონული ასპრის მინაბაძის შემდეგ, არსებული მასალის მიხედვით, ქრონოლო-გიურად გადავდივართ XVII-XVIII საუკუნეებზე. ამ ეპოქის მონეტები როგორც სვანეთ-ში, ისე მთლიანად საქართველოში ევროპული და აღმოსავლური – ოსმალური და ირანული მონეტები გვაქვს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა<sup>2</sup>, მოგვეპოვება წყაროთმცოდნეობითი ბაზაც<sup>3</sup>.

შემდეგი საკითხი, რომელიც ფაქტობრივად ასრულებს სვანეთში აღმოჩენილი სამონეტო განძების პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლას – სვანეთში აღმოჩენილი ერეკლე II-ის მონეტებია. ერეკლე II-ის მონეტების შესახებ ცალკე მონოგრაფიული კვლევა არ არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოში ამ მეფის მიერ მოჭრილი მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიაზე. ამ უკანასკნელის შედგენისას ჩვენ დავიხმარეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ განყოფილებაში დაცული სარეგისტრაციო დავთარი. ამდენად, მკითხველი პირველად გაეცნობა ერეკლე II-ის მონეტების საქართველოში გავრცელების არეალს.

ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე სვანეთის სამონეტო განძების ეთნოლო-გიური ასპექტების გამოვლენაა. ამ პროფილის ცალკე სამეცნიერო მონოგრაფიებს ჩვენ ფაქტობრივად არ ვიცნობთ. არსებობს ვ. პოტინის<sup>4</sup> ზოგადი სახის სახელმძღვანელოს ტიპის ნუმიზმატიკური გამოკვლევა, სადაც ერთ-ერთი ქვეთავი დათმობილი აქვს ეთ-ნოლოგიური ხასიათის ნუმიზმატიკური ძეგლების განხილვას. საყურადღებოა, აგრეთ-

of a Recent Hoard". *Numismatic Circular* (February 2004); მ. პატარიძე, „კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ“. არტანუჯი, 2-3 (თბილისი, 1994); მ.პატარიძე, გ.ჯანჯალავა, ტრაპიზონის იძ-პერის იძვიათი მონეტები (თბილისი, 2006); მ. პატარიძე, „ბერლინის მუზეუმში დაცული იძვიათი ქართული მონეტის ატრიბუციისათვის“. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე V (50-B) (თბილისი, 2014); თ. ბერაძე, *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии* (თბილისი, 1989); გ. დუნდუა, თ. დუნდუა, XIII-XV საუკუნეების დასავლურ-ქართული ემისიები (თბილისი, 2010)

<sup>1</sup> თ. უორდანია, ქრონიკები. წიგნი II (ტფილისი, 1897); ს. კაკაბაძე, „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“, საისტორიო მოამბე. წიგნი I (ტფილისი, 1925); ივ. ჯავახიშვილი „ქართული სიგელ-თა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. შრომები (ტფილისი, 1925)

<sup>2</sup> რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში (თბილისი, 1971); თ. კუთეია, „Клад монет XVII века из Норио“ (*Нумизматический Сборник*) (თბილისი, 1977);

თ. ქუთელია, „XVII საუკუნის მონეტები სოფელ აბანოდან (კოდის განძი)“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე III (48-B) (თბილისი, 2012); მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით (თბილისი, 1982); A.C. Schaendlinger, *Osmanische Numismatik*, Klinkhardt & Biermann (Braunschweig, 1973); ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი I (თბილისი, 1938)

<sup>3</sup> მ. პოლიექტოვ, *Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650-1652 гг.* (თბილისი, 1926); არქანჯელო ლამბერტი, „სამეცნიეროს აღნერა“. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭურნიასი (თბილისი, 1938); გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წიგნი I. (თბილისი, 1941); გიულდებულებების მოგზაურობა საქართველოში. გ. გელაშვილის თარგმანი (თბილისი, 1962)

<sup>4</sup> ვ. პოტინ, „Введение в Нумизматику“. Труды государственного Эрмитажа. XXVI (Ленинградское отделение) (1986) 71-155

ვე, ერთი პუბლიკაცია, რომელიც იმავე თემატიკას ეხება<sup>1</sup>. დიდი ადგილი ეთმობა ასევე, ეთნო-არქეოლოგიურ ანალიზს, რაც გულისხმობს განათხარი მასალით მიღებული ინფორმაციის ინტეგრაციას სულიერ კულტურაში შემორჩენილ რეალობასთან. რაშიც დიდი სამსახური გაგვიწია ვ. პოტინის სტატია<sup>2</sup>. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა დარეჯან კაჭარავას ნაშრომი – პროექტის ანგარიში<sup>3</sup>. ნაშრომში დაფიქსირებულია და სისტემაში მოყვანილი სამარხში დადასტურებული მონეტების სხვადასხვა შემთხვევა. სამარხეული წარმომავლობის მონეტები შუა საუკუნეებში საკმაოდ იშვიათია, აქედან გამომდინარე, თითოეული სტატია, ამ საკითხთან დაკავშირებული, ჩვენთვის უაღრესად საყურადღებოა<sup>4</sup>. ეთნო-არქეოლოგიური კვლევებისთვის ასევე ფასეულია არქეოლოგიური ძეგლების: დედოფლის გორის და ვანის ექსპედიციების სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებმაც ჩვენთვის მნიშვნელოვან კითხვაზე გაგვცეს პასუხი. კერძოდ: ტაძარში მონეტის შენირვა ქრისტიანული ეკლესიებისთვის იყო დამახასიათებელი თუ წინარექრისტიანული პერიოდიდან იღებდა სათავეს<sup>5</sup>.

ეთნოლოგიური ასპექტების შესასწავლად მივმართეთ ამ დარგში დღემდე გამოქვეყნებულ ყველა იმ ნაშრომს, სადაც ერთი შემთხვევა მაინც დასტურდებოდა ეთნოლოგიურ ყოფა-ცხოვრებაში, თუ სხვადასხვა რიტუალში მონეტების, ან მონეტების გამოსახულებით დამზადებული სხვადასხვა ნივთების გამოყენების. სვანეთის წეს-ჩვეულებების ცალკე განხილვა შეუძლებელია სხვა კუთხეებში გავრცელებული ტრადიციების დამოწ-

<sup>1</sup> Е.Глазунова, И. Ширяков, „Русские монеты XIV-XV вв. С признаками внеэкономического использования“ (по материалам собрания ГИМ). *Нумизматический сборник ГИМ. т. XVIII* (Москва. 2007), 108-123

<sup>2</sup> В. Потин, „Монеты в погребениях древней Руси и их значение для археологии и этнографии“. *Труды Государственного Эрмитажа XII* (Ленинград, 1971)

<sup>3</sup> დ. კაჭარავა, „საქართველო (იბერია-კოლხეთი) და გარე სამყარო ძვ.წ.-ის IV- III საუკუნეებში“. 2009 წლის რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ანგარიში. ხელნაწერი.

<sup>4</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი (თბილისი, 1958); В. Джапаридзе, Г. Гамбашиძე, „Раскопки в Дманиси“, *Полевые Археологические Исследования в 1976 году, Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И.А. Джавахишвили* (Тбилиси, 1979); Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Нугзар Мгеладзе, Мери Гочиашвили, Гиви Болквадзе, Тамаз Бугианишвили, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. *Полевые археологические исследования в 1984-1985 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили. Таб. CLXXX-VIII-CCP* (Тбилиси, 1987) О.М. Джапаридзе, „Ареологические раскопки в Триалети в 1959-1962 гг.“ Советская археология, 2 (Тбилиси, 1964); მამუკა ნურნუმია, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის“, საისტორიო კრებული, 3 (თბილისი, 2013); ჯ. ჩხვიმიანი, „განვითარებული შუა საუკუნეების ქართულნარწერიანი საფლავის ქვები დმანისიდან“, კადმოსი 7 (თბილისი, 2015)

<sup>5</sup> ი. გაგოშიძე, „არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის მუნიციპალიტეტი) კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები“, არქ. კვლევის ცენტრი (თბილისი, 1997); რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყანია, „ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები“ ვანი I. არქეოლოგიური გათხრები 1947-1969 (თბილისი, 1972)

მების გარეშე<sup>1</sup>. სვანეთის ეთნოლოგია წარმოუდგენელია მიხეილ ჩართოლანის პუბლიკაციის გარეშე<sup>2</sup>.

სვანური ტრადიციული დღეობებში ფაქტობრივად ჩვენს სახელმძღვანელოდ იქცა ვერა ბარდაველიძის ნაშრომი<sup>3</sup>.

ცალკე მონოგრაფიული სახის ნაშრომი, სადაც განხილული იქნებოდა მონეტების გა-  
მოყენება და შესაბამისი ეთნოლოგიური სამეცნიერო ანალიზი, არ გვაქვს. ამდენად, აქ  
დამოწმებულ ლიტერატურაში სათითაოდ მოვიძიეთ და თავი მოვუყარეთ ამ შემთხვე-  
ვებს და, შეძლებისდაგვარად, მოვახდინეთ მათი სისტემატიზაცია.

სვანეთში ეკლესიებისთვის სიმდიდრის, მათ შორის მონეტების შენირვა ცოცხალ კავშირშია სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფასთან<sup>4</sup>. ტრადიციების უწყვეტობა, რაც დღე-საც გრძელდება და განსაკუთრებულს ხდის ამ რეგიონს, დიდნილად თანამედროვე საველე ეთნოგრაფიული დღიურებიდან ჩანს<sup>5</sup>. სვანეთის ეთნოლოგიური ყოფა ახლოს დგას მთის რაჭის ტრადიციებთან და, შესაბამისად, ჩვენთვის განსაკუთრებულად ღირებულია იქ ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში<sup>6</sup>. ამ საველე ეთნოლოგიურ კვლევებში ჩაწერილი და გამოკითხულია უამრავი მთხოვბელი, რომელთა ინფორმაცია ჩვენი კვლევის ეთნოლოგიური ნაწილისთვის ფაქტობრივად პირველწყაროს წარმოადგენს. სვანეთის ნუმიზმატიკური მასალის ეთნოლოგიურ კვლევას მიეძღვნა ჩვენი პუბლიკაციები<sup>7</sup>.

1 ს. მაკალათია, მთიულეთი (ტფილისი, 1930); ს. მაკალათია, ფშავი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები (ტფილისი, 1934); ს. მაკალათია, ხევსურეთი (ტფილისი, 1935); ს. მაკალათია, მთის რაჭა (თბილისი, 1987); ს. მაკალათია, თუშეთი (თბილისი, 1983); ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია (თბილისი, 2006); 6. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, ქართული ხალხური სამეცნიერო ცინონ ტრადიციები კახეთში (თბილისი, 2005); ც. ბეზარაშვილი, ქსნის ხეობა (თბილისი, 1975); ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლები, ენიმეკის მოამბე. ტ. 11 (თბილისი, 1941); ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბა) (ტფილისი, 1941); თ. სახოკია, „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტომი 3 (თბილისი, 1940); ლ. სოსელია, „ტრადიციული სამკაულის ზოგიერთი სახეობის სიმბოლიკისათვის“ ეთნოლოგიური ძიებანი II (თბილისი, 2003)

<sup>2</sup> მ. ჩართოლანი, „1973 წ. სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები“. საქართველოს სახამნითო მუზეუმის მოამბები, XXXII-В (თბილისი, 1977).

<sup>4</sup> შ. ჩართლლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I (სვანეთის კომპლექსური ექსპედიცია 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები) (თბილისი, 1976) 69.

<sup>5</sup> ს. გულედანი, ეთნოგრაფიული ჩანაწერი. მესტიის მუზეუმის არქივი. 2009; მ. ჩამგელიანი, სავე-ლე ეთნოლოგიური ჩანაწერების სოფელ ლატალიდან (მესტიის მუნიციპალიტეტი). ხელნაწერი, 2012.

<sup>6</sup> გ. პერიშვალი, „ჩანაწერები რაჭის ეთნოლოგიდან“, დაცულია ონის (რაჭის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხათვანით. 2016.

¶ ፪. በ፩፻፲፭ ዓ.ም. ከ፩፻፲፭ ዓ.ም. ስት የ፩፻፲፭ ዓ.ም. ስት የ፩፻፲፭ ዓ.ም.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII (თბილისი, 2013-2014); მ.პატარიძე, „არაეკონომიკური დანიშნულების მონეტები (მესტიისა და უშგულის მუზეუმებში დაცული ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით)“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე VI (50-B) (თბილისი, 2015)

## II თავი. სვანეთში აღმოჩენილი მონეტების კოლექცურ-ეკონომიკური ასპექტები

### 2.1. სვანეთი და გარე სამყარო ანტიკურ პერიოდში ცემიზატიკური მასალის მიხედვით

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ნუმიზმატიკური ძეგლები ძვ.წ.-ის V ს.-ის II ნახევარში მოჭრილი ვერცხლის მონეტებია, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური თეთრის“ სახელით არიან ცნობილი.

„კოლხური თეთრის“ ემისიაში რვა სამონეტო ტიპი გამოიყოფა: ტეტრადრაქმა, I ტიპის დიდრაქმა, II ტიპის დიდრაქმა, III ტიპის დიდრაქმა, დრაქმა, I ტიპის ნახევარდრაქმა, II ტიპის ნახევარდრაქმა, ტრიობოლი და ჰემიტეტარტემორიონი<sup>8</sup>.

მონეტების ამ ჯგუფიდან ტრიობოლი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ტერმინი „კოლხური თეთრი“ თავდაპირველად ამ ნომინალებს დაერქვა<sup>9</sup>. რაც შეეხება II ტიპის ნახევარდრაქმიანების (ტრიობოლების) დათარიღების საკითხს, ამ თემასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა<sup>10</sup>, თუმცა, მათი აღმოჩენის ფაქტები, კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან ერთად, საშუალებას იძლევა, მოჭრის თარიღად V საუკუნის II ნახევარი იქნას მიღებული<sup>11</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ „კოლხური თეთრი“ არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი იყო ნლების განმავლობაში, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. განსაკუთრებით ეს ეხება ემიტენტის საკითხს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი კოლხურ თეთრს კოლხეთის ხელისუფლების მიერ მოჭრილად თვლის<sup>12</sup>, ხოლო მეორენი თვლიან, რომ კოლხური თეთრის ემისიის პრეროგატივა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქს, ფასის ეკუთვნო-

<sup>8</sup> გ. დუნდუა, ა. კაბიძე, „კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები“. შურნალი მაცნე №4. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (თბილისი, 1978), 70; Г. Дундуа, *Нумизматика античной грузии* (Тбилиси, 1987), 28

<sup>9</sup> გ. დუნდუა, ა. კაბიძე, „კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები“. შურნალი მაცნე №4. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (თბილისი, 1978), 30

<sup>10</sup> W. Wroth, *Catalogue of Greek Coins. Pontus. Paphlagonia, Bithynia and the Kingdom of Bosporus* (London. 1889) 64; D. M. Lang, „Notes on Caucasian Numismatics“. *The Numismatic Chronicle*. vol. XVII (New-York. 1957) 138-139; გ. დუნდუა, „ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ.-ის IV – ახ.წ. -ის IV სს)“ კრებული გურია (მხარის კვლევა-მიების შედეგები) II (თბილისი, 1997), 231

<sup>11</sup> გ. დუნდუა, „კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა)“ იბერია-კოლხეთი I (თბილისი, 2003), 42

<sup>12</sup> დ. კაბანაძე, ქართული ნუმიზმატიკა (თბილისი, 1969), 27; К. Голенко, Д. Капанадзе „Четыре клада колхидок“. НЭ (нумизматика и эпиграфика) VI, (1966), 35; Д. Капанадзе, К. Голенко, „К вопросу о происхождении колхидок“. ВДИ (1957) №4.88-95; О. Лордкипаниძე, „К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхида)“, Материалы симпозиума в Цхалтубо (1977), 250-255

და<sup>1</sup>. ჩვენს მოსაზრებას ფრთხილი ჰიპოთეზის სახით ქვემოთ, პარაგრაფში – „მონეტა როგორც სამკაული და უფლებრივი ინსიგნია“ – წარმოვადგენთ.

ორიოდე სიტყვით უნდა შევხეოთ კოლხური თეთრის, კერძოდ, ტრიობოლების გავრცელების არეალს. ეს სამონეტო ჯგუფი გავრცელებულია კოლხეთის შიდა რეგიონებში, მდინარე რიონის აუზში<sup>2</sup>, აგრეთვე სანაპირო ზოლში: ქობულეთ-ფიჭვნართან<sup>3</sup> და აფხაზეთის ტერიტორიაზე<sup>4</sup>. თ. მიქელაძის აზრით, ქვენის მთავარი სავაჭრო ეკონომიკური ძარღვი რიონის ხეობაზე გადიოდა შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე<sup>5</sup>, ამ კონცეფციის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება კოლხური თეთრების აღმოჩენა კოლხეთის მთან რეგიონში, კერძოდ, რაჭაში: ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთში, ძვ.ნ.-ის V-IV საუკუნის სამარხში<sup>6</sup> და ონის რაიონში 7 ეგზემპლარი, რომელიც 1927 წელს იპოვა მასწავლებელმა გ. ნოზაძემ და შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ნუმიზმატიკურ კაბინეტში. ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში<sup>7</sup>. გარდა ზღვისპირეთისა და ფაზის-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალისა, ეს მონეტები ქვეყანაში შიდა სახმელეთო გზებითაც ვრცელდება, რასაც ზემო სვანეთში კოლხური თეთრის აღმოჩენა ადასტურებს<sup>8</sup>. სვანეთში ტრიობოლის რამოდენიმე ეგზემპლარი აღმოჩნდა (დანართი I. 1, 2, 3, 4), რომლებიც ამჟამად დაცულია მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში<sup>9</sup>.

ამ რეგიონში კოლხური თეთრის პოვნა ზრდის ამ ჯგუფის მონეტების გავრცელების არეალს და კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ძვ.ნ.-ის V საუკუნეში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა ბევრად ვრცელ ეკონომიკურ სივრცეს – ერთმანეთისგან დაშორებულ პუნქტებს მოიცავდა. თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში, მის ყველა რეგიონში გავრცელებულია კოლხური თეთრის ნახევარდრაჟმინანები (ტრიობოლები).

საინტერესოა ის გზა, საიდანაც შევიდოდა ეს მონეტები სვანეთში – დასავლეთ საქართველოს უკიდურეს მთაში, ენგურის ზემო წელზე.

<sup>1</sup> А. Болтунова, „Колхидки“, ВДИ №4 (1973), 97-103; გ. დუნდუა, „კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა)“ იბერია-კოლხეთი 1 (თბილისი, 2003), №43-44; გ. დუნდუა, ა. კახიძე, „კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, მაცნე №2 (თბილისი, 1979), 69-73

<sup>2</sup> Капанадзе, Голенко, К вопросу о происхождении колхидок, 89

<sup>3</sup> ა. კახიძე, მ. ვიკერსი, „საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002)“, ფიჭვნარი I (ბათუმი-ოქსფორდი, 2004), 16

<sup>4</sup> С. Шамба, Монетное обрашение на территории Абхазии (V в. до н. э. – XIII в. н. э.) (Тбилиси, 1987), 17-18.

<sup>5</sup> თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზლვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (თბილისი, 1974), 174-191

<sup>6</sup> ა. აფაქიძე, ბ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია, საქართველოს არქეოლოგია (თბილისი, 1959), 199

<sup>7</sup> А. Зограф, „Распространение находок античных монет на Кавказе. Труды нумизматического отдела гос. Эрмитажа I“ (Ленинград, 1945), 58

<sup>8</sup> გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე, „კოლხური თეთრი“, ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან (თბილისი, 2007), 57

<sup>9</sup> მ. პატარიძე, „სვანეთში აღმოჩნდილი ანტიკური ხანის მონეტები“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შრომები III (თბილისი, 2011), 18

ტრიობოლების აღმოჩენის არა ერთი შემთხვევაა დადასტურებული ლეჩეუმის ტერი-ტორიაზე. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონი გაჯერებულია კოლხური თეთრით. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი განძები:

ლეჩეუმში, სოფელ დღნორისაში (მდინარე რიონის ხეობის მარცხენა ნაპირი) აღმოჩნდა 180 ერთეული კოლხური თეთრი (ტრიობოლი). ამ განძიდან მხოლოდ 80 ცალია დაცული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში<sup>1</sup>. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში დაცულია 310 ცალი კოლხური თეთრი ლეჩეუმიდან ე.წ. „ლეჩეუ-მის განძი“<sup>2</sup>. განსაკუთრებით ანგარიშგასასწევია 1908 წელს ლეჩეუმში, მურის ციხესთან აღმოჩნილი კოლხური მონეტების განძი. ეს განძი, რომელიც შედგებოდა 12 ერთეულის-გან, მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ შეიძინა და, სამნუხაროდ, საქართველო-ში აღარ შემოგვრჩა<sup>3</sup>. მურის ციხე სვანეთისა და ლეჩეუმის საზღვარია. აქ გადის ერთ-ერთი ცნობილი უღელტეხილი – ზაგარისა და ატკვერის, რომელიც სვანეთის ქედის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში მდებარეობს. გზა ენგურის ხეობიდან სოფ. უშგულის გავლით ზაგარის უღელტეხილიდან ეშვება მდ. ცხენისწყლის სათავეებში, სოფ. ყორულდაშისა და ცანას მიდამოებში. აქ უერთდება ცხენისწყლის ხეობიდან ლეჩეუმ-იმერეთში მიმავალ მთავარ გზას – სარენკელა-მურის გზას, რომლის ორი პარალელური განტოტება აუყვება ლაფურ-სა და ზესხოს, გაივლის სოფელ ზესხოს, ვაცინვერას უღელტეხილს და გადადის მდ. რიონის სათავეებში ბრილისა და ლების მიდამოებში და უერთდება რიონის ხეობის საკომუნიკაციო გზას<sup>4</sup>. ლოგიკურია ვიმსჯელოთ, რომ ტრიობოლები ზემო სვანეთში ამ გზით ადის.

კოლხური თეთრი ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასა და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ექვივალენტის როლსაც<sup>5</sup>. სვანეთში კოლხური თეთრის არსებობა იმის მანიშნებელია, რომ აქ, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც კოლხეთის შიდა რეგიონებში, მაგრამ ფულადი სასაქონლო ურთიერთობა დაწყებულია.

კოლხური თეთრის აღმოჩენის პარალელურად სვანეთის ტერიტორიაზე მოპოვებულია არქეოლოგიური მასალა, რაც იძლევა საშუალებას, გამოითქვას ვარაუდი, რომ ძვ.წ.-ის V – IV სს-ში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისა და მცირე აზიის იონიური ქალაქებიდან ჯერ კოლხეთის ბარში და შემდგომ მთის რეგიონში შემოდის იმპორტი, კერძოდ, ბერძნული მხატვრული კერამიკა – შავლაკიანი ჭურჭელი<sup>6</sup>. სვანეთში, ლარილარის სამარვანზე, ჭუბერის თემში, მდინარე ნენსკრას ანუ ჭუბერის მარცხენა ტერასაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მეტრის სიმაღლეზე, აღმოჩენილია ბერძნული შავლაკიანი

<sup>1</sup> ზ. წიტაიშვილი, „ქუთაისის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდი“. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები III (თბილისი, 1978), 140-142; ნ. სულავა, მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩეუმი) (თბილისი, 1996), 90

<sup>2</sup> გ. დუნდა, *Нумизматика античной грузии* (თბილისი, 1987), 16-22. ნ. სულავა, მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩეუმი), 90

<sup>3</sup> А. Зограф, „Распостранение находок античных монет на Кавказе“. Труды нумизматического отдела гос. Эрмитажа I (Ленинград, 1945), 56

<sup>4</sup> შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (თბილისი, 1996), 23-24

<sup>5</sup> გ. დუნდა, ა. კახიძე, „კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები“. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №2 (თბილისი, 1979), 72

<sup>6</sup> მ. ინაძე, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები (თბილისი, 2009), 237

ჭურჭელი, აქვე დადასტურებულია უცხოური სამკაული, მათ შორის – ლურჯი მინის ფე-რადი ზოლებით შემკული მძივები; ფერადი მინისავე თეთრ-ლურჯი თვლებიანი მძივები; ყვითელი ლურჯი და ყავისფერი პასტის ფერადი ინკუსტრიორებული მძივები. სხვადასხვა ფერის მინისაგან ნამზადი მრავალრიცხოვანი მძივსაკიდი, რომელთა მოყვანილობა ხში-რად ზარაკებს, ამფორისკებს, დოქებსა და სხვა ნივთებს ჰგავს<sup>1</sup>. ამ ჯგუფის სამკაულის სამშობლოდ ეგვიპტე და სირია ითვლება. ამდენად, როგორც ჩანს, კოლხეთის საგარეო ვაჭრობა ამ პერიოდში მხოლოდ ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზის ქალაქებთან ურთი-ერთობით არ ამოიწურებოდა და მოიცავდა ეგვიპტესა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებსაც (სირია, ფინიკია, ირანი)<sup>2</sup>. ეგვიპტური ნავკრატისტული სკარაბები, ეგვიპტუ-რი და სირიული ფერადი მინის და პასტის მძივებია უხვად აღმოჩენილი, აგრეთვე, მთის რაჭაში, ბრილის სამაროვანზე<sup>3</sup>. ლარილარისა და ბრილის სამაროვანი ძალიან ჰგავს ერ-თმანეთს. გარდა სამარხეული ინვენტარისა, საერთოა მიცვალებულთა დამარხვის წესიც – ნაწილობრივი კრემაცია ინპუმაციასთან ერთად<sup>4</sup>. ეს ტრადიცია გავრცელებული იყო შა-ვი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაგალითად: ოლბიაში, ქერსო-ნესში, პანტიკაპეიონსა და სხვა ბერძნულ კოლონიებში<sup>5</sup>. მთის რაჭისა და ზემო სვანეთის უკვე ნახსენებ ზაგარის გადასასვლელს თუ გავიხსენებთ, რომელიც სასაპალნე და საჭა-პანო ტრანსპორტისათვის ვარგისი იყო გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ხოლო ქვეითად მოსიარულეს წლის ნებისმიერ დროს შეეძლო ევლო<sup>6</sup>, ამ ორი ძეგლის სიახლოვე გასაკვირი არ უნდა იყოს. მაგრამ ჩვენი აზრით, აქ ამ რეგიონის ერთიანობასთან უნდა გვქონდეს საქ-მე. ვფიქრობთ, ბრილიც ისტორიული სვანეთის შემადგენელი ნაწილია XV საუკუნემდე<sup>7</sup>.

ჩვენამდე მოღწეულია 1432 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი<sup>8</sup>, სადაც მოთხრობილია სვანების მიერ რაჭის ერთ-ერთი ფეოდალის, ჯაფარიძის მოკვლის შემთხვევა და სვანებ-სა და ჯაფარიძებს შორის დაწყებული სისხლისღვრა. იმისათვის, რომ სიტუაცია განე-მუხტა, ალექსანდრე მეფემ (1412-1443) ბრძანება გასცა ჯაფარიძების ყველა მოთხოვ-ნის გათვალისწინებით „დაედოთ სიგელი“. ქვემო სვანეთიდან ლაშეთი და მთელი მთის რაჭა, ამ სიგელის მიხედვით, სვანებს სისხლის საფასურში ჯაფარიძეებისათვის დაუთ-მიათ. ჩამონათვალში მოხვდა სოფლები: ლები, ჭიორა, გლოლა, ბრილი, ჩუეში, ბუბა და სხვა<sup>9</sup>. ამდენად, ვფიქრობთ, ბრილის სამაროვანი ლარილართან ერთად უნდა განვიხი-ლოთ სვანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების ამ-სახველ ერთიან არქეოლოგიურ კომპლექსად.

მთის რაჭისა და ზემო სვანეთის ერთიანობა მოგვიანო პერიოდშიც აშკარაა და ამის ერთ-ერთი ყველაზე მყარი არგუმენტი არქეოლოგიურ მონაპოვრების გარდა, საერთო ფულადი მიმოქცევაა.

<sup>1</sup> ჩართოლანი, შრომები, 15

<sup>2</sup> ინაძე, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები (თბილისი, 2009), 242

<sup>3</sup> საქართველოს არქეოლოგია, 198-200

<sup>4</sup> ჩართოლანი, შრომები, 18

<sup>5</sup> იქვე, 17

<sup>6</sup> ჩართოლანი, ძველი სვანეთი, 24

<sup>7</sup> პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“, 22

<sup>8</sup> ს. კაკაბაძე „სვანები XV საუკუნეში“. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წიგნი I (ტფილისი, 1914), 126-131

<sup>9</sup> ს. მაკალათია, მთის რაჭა (თბილისი, 1987), 24

ამ ორ ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტები, ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მთიელები ძვ.წ. V საუკუნეში კარჩაკეტილად არ ცხოვრობდნენ და სვანეთის მოსახლეობას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა კოლხეთის ბართან და ბარის საშუალებით კი წინა აზიისა და ბერძნული სამყაროს ცივილიზებულ ქვეყნებთან.

კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს ოქროს მონეტების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული<sup>1</sup>. „კოლხურმა თეთრმა ვერ გაუძლო სრულფასოვანი ოქროს მონეტების ექსპანსიას ბაზარზე<sup>2</sup>. მსოფლიო პროცესების პარალელურად, კოლხეთში ახალი, ელინიზმის ხანა დაიწყო, რასაც ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება მოჰყვა<sup>3</sup>, საგარეო ვაჭრობამ „მსოფლიო“ ხასიათი მიიღო. კოლხეთი აქტიურად ურთიერთობს ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან<sup>4</sup>.

ძვ.წ. IV საუკუნეში სვანეთის ტერიტორიაზეც შეინიშნება ცხოვრების გაქტიურება. გარე სამყაროსთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უტყუარი საბუთი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალაა.

ცნობილია, რომ სვანეთში 367 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერია აღმოჩენილი<sup>5</sup>. პროცენტულად ეს რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე ამ მონეტების აღმოჩენის 98%-ს წარმოადგენს. მთლიანად ქვეყანაში სულ 377 ცალია აღმოჩენილი.

გამომდინარე იქიდან, რომ მთის რაჭას და ზემო სვანეთს ერთ რეგიონად მოვიაზრებთ, მიზანშენონილად მივიჩნევთ, წარმოვადგინოთ ალექსანდრე მაკედონელის სტატერის აღმოჩენის ტოპოგრაფია სვანეთში და ონის რაიონში.

სვანეთში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერებიდან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში რეალურად გვაქვს სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექვსი ეგზემპლარი, აქედან ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, განძების ფონდში, დაცულია ოთხი (№2228; №3065; №10210; №10213). №10210 ლარილარის სამაროვნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი<sup>6</sup>. მისი ზუსტი მდებარეობა სამარხში ცნობილი არ არის, ამიტომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით ის „ქარონის ობოლი“ იყო, თუ ქონებრივი ცენზის მაჩვენებელი, მაგრამ სამარხში მისი არსებობა სხვა თანადროულ არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად, უკვე მანიშნებელია იმისა, რომ ეს მონეტა მიმოქცევაში იყო<sup>7</sup>.

საინტერესოა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული სტატერი, რომლის შესახებაც არსებობს ცნობა, რომ აღმოჩნდა ზემო სვანეთში ენგურისა და ნაკრის შესართავთან ურთხმელის (უთხოვარის) ხის ფულურობი. გადმოცემის მიხედვით

<sup>1</sup> К. Голенко, Д. Капанадзе, „Четыре клада колхидок“. НЭ (Нумизматика и эпиграфика VI) (1966), 37

<sup>2</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა (თბილისი, 2006), 61

<sup>3</sup> მ. ინაძე, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები (თბილისი, 2009), 244

<sup>4</sup> თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი (თბილისი, 1966), 118-119

<sup>5</sup> გ. დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები“. მაცნე 1. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (თბილისი, 1973), №61

<sup>6</sup> Г. Дундуа, Нумизматика античной грузии (Тбилиси, 1987), 44

<sup>7</sup> პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“, 25

## დანართი

ნუმიზმატიკური ექსპოზიცია. სიემ-მესტია  
Numismatic Exposition. SMHE-Mestia



## დანართი II



ნახევარდრაქმა. კოლხეთი. ვერცხლი. ძვ. წ. V ს. სიემ-მესტია  
Colchian silver coin Hemidrachma. 5th BC Silver. SMHE-Mestia



სტატერი. ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 336-323) ოქრო. სიემ-მესტია  
Alexander the Great (336-323 BC) Stater. Gold. SMHE-Mestia



სტატერი. ბოსფორის სამეფო. პატიკაპეიონი. ძვ. წ. IV ს. ოქრო. სიემ-მესტია  
Kingdom of Bosphorus Panticapaeum. 4th BC. SMHE-Mestia



1. 2. 3. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი. ძვ. წ. II – ახ. წ. I სს. ოქრო. სიემ-მესტია  
 1. 2. 3. Imitation of Alexander the Great Stater. 2nd century BC – 1st century AD. SMHE-Mestia  
 4. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი. ძვ. წ. II – I სს. ოქრო. სიემ-უშგული  
 Imitation of Alexander the Great Stater. 2nd century BC – 1st century AD. SMHE-Ushguli



ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის მინაბაძი. III საუკუნე. ვერცხლი. სიემ-მესტია  
 Imitation of the Denarius of Octavian Augustus. 3rd century. SMHE-Mestia



ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის მინაბაძი. III ს. ვერცხლი. სემ  
 Imitation of the Denarius of Octavian Augustus. 3rd century. GNM

## დანართი IV



1

სექსტ პომპეუსის გემა. თაბაშირის ასლი. სეზ  
Plaster copy of a gem of Sextus Pompey. GNM



2

სასანიანთა ირანი. ჰორმიზდ IV (579-590). ზარაფხანა აბარშაჰი. ვერცხლი.  
სოფელი ლატალი. მესტიის მუნიციპალიტეტი. ოჯახის საკუთრება.  
Sasanid Persia. Hormizd IV (579-590) Abarshahr emission. Silver  
Village of Latali (Mestia municipality). Personal belonging



3

სასანიანთა ირანი. კავად I (488-531). ვერცხლი.  
ონის (რაჭის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი  
Sasanid Persia. Kavad I (488-531). Silver  
Oni (Racha) Museum of Local Lore



1

სასანიანთა ირანი. საბეჭდავი. V ს. ქვა. სიემ-უშგული.  
Seal. 5th century. Stone. SMHE-Ushguli



2

სასანიანთა ირანი. საბეჭდავი. V ს. ქვა. სიემ-უშგული.  
Seal. 5th century. Stone. SMHE-Ushguli



3

სასანიანთა ირანი. საბეჭდავი. IV ს. ქვა. სიემ-უშგული.  
Seal. 5th century. Stone. SMHE-Ushguli

## დანართი VI



1

სოლიდი. ბიზანტიის იმპერია.

ჰერაკლე (610-641). ოქრო.

სიემ-მესტია

Byzantine Emperor Heraclius (610-641).

century. Constantinople Solidus. Gold.

SMHE-Mestia



2

სოლიდი. ბიზანტიის იმპერია.

ჰერაკლე (610-641). ოქრო.

სიემ-მესტია

Byzantine Emperor Heraclius (610-641).

century. Constantinople Solidus. Gold

SMHE-Mestia



3



სოლიდი. ბიზანტიის იმპერია. ჰერაკლე (610-641). ოქრო.

Byzantine Emperor Heraclius (610-641). Constantinople Solidus. Gold.

ჩვაბიანის მთავარანგელოზის ეკლესია, XII ს.  
Chvabiani church of Archangel, 13th c.

ადიშის მაცხოვრის ეკლესია, XII-XIII სს.  
Adishi church of the Savior, 12th-13th cc.





1

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125). ვერცხლი  
სიემ-მესტია

David IV the Builder (1089-1125). Silver  
SMHE-Mestia



2

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125). ვერცხლი  
სემ

David IV the Builder (1089-1125). Silver  
GNM



3

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125). ფრაგმენტი.  
სიემ-მესტია

David IV the Builder (1089-1125). Coin Fragment.  
SMHE-Mestia



4

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125). ვერცხლი  
სტეფანწმინდის მუზეუმი

David IV the Builder (1089-1125). Silver  
Museum of Stefantsminda

## დანართიVIII



1



გიორგი III (1157-1184). სპილენძი.  
სიემ-მესტია  
Giorgi III (1157-1184). Copper.  
SMHE-Mestia



2



თამარი (1184-1210). სპილენძი  
სიემ-მესტია  
Tamar (1184-1210).  
SMHE-Mestia



3



თამარ-დავითი 1200 წ. სპილენძი  
სიემ-მესტია  
Tamar (1184-1210), and David Minted 1200. Copper  
SMHE-Mestia



4



გიორგი IV ლაშა (1210-1223). 1210 წ.  
სპილენძი  
სიემ-მესტია  
Giorgi IV Lasha (1210-1223). Minted  
1210. Copper  
SMHE-Mestia



5



რუსუდანი (1223-1245). 1227 წ. სპილენძი  
სიემ-მესტია  
Rusudan (1223-1245). Minted 1227. Copper  
SMHE-Mestia

განძი შედგებოდა 100 ეგზემპლარისგან<sup>1</sup>, მესტიის მუზეუმში ერთი ეგზემპლარილა შემორჩა. რაჭაში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერებიდან ერთი ცალია დაცული განძების ფონდში (№11942), რომელიც 1928 წელს ონის რაიონში სოფელ ჭიორაში აღმოჩნდა<sup>2</sup>.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერებზე მოთავსებულია წარწერა „ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე მეფე), ან მხოლოდ – „ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე) (დანართი II. 5). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტები, რომლებზედაც მონარქი მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიებული, ძვ.წ. 329 წელზე უფრო ადრეულია<sup>3</sup>. სვანეთის რეგიონში (რაჭის ჩათვლით) აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერები ამ ტიპისაა. ასე რომ, მათი თარიღი ძვ.წ. 329 წელს არ სცდება.

სვანეთის ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ამ მასშტაბით კონცენტრირება საყურადღებოა და ახსნას საჭიროებს. წუმიზმატიკურ მეცნიერებაში, როდესაც ამა თუ იმ ტერიტორიაზე კონკრეტული სამონეტო ჯგუფის სიჭარბეა, პირდაპირ იწყება მსჯელობა რეგიონის აქტიურ ფულად მიმოქცევაზე. სვანეთის შემთხვევაში ახსნა სხვაგვარად მოხდა.

აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა სვანები ჰენიოხებთან გააიგივა, რომელთაც რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობით, მრავალგზის გაძარცვეს პიტიუნტი და დიოსკურია<sup>4</sup>. გ. დუნდუამ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, დასვა კითხვა, ხომ არ გვაქვს საქმე ერთი კამპანიის დროს მოპოვებულ ქონებასთან?<sup>5</sup>, თუმცა მეცნიერმა იქვე დასძინა, რომ ეს მოსაზრება შესაძლებელი იყო სვანეთში გამოვლენილ არქეოლოგიურ აღმოჩენებს კითხვის ქვეშ დაეყენებინა. მართლაც, ლარილარის სამაროვანზე (აგრეთვე, ბრილზეც მ. პ.) აღმოჩენილმა იმპორტმა აჩვენა, რომ ამ რეგიონის მოსახლეობა ჩართულია მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და დაკავშირებულია წინა აზიისა და ბერძნული სამყაროს ცივილიზებულ ქვეყნებთან<sup>6</sup>.

გარდა ამისა, ამ ემისიების კონცენტრაცია სავაჭრო გზებსა და უღელტეხილებთან, ფაქტობრივად გამორიცხავს, მონეტების სამხედრო ნადავლად აღქმას<sup>7</sup>.

გარე სამყაროსთან ქვეყნის ურთიერთობის საკითხების შესწავლისათვის მნიშვნელოვან მატერიალურ წყაროს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები – საბეჭდავი ბეჭდები წარმოადგენს<sup>8</sup>. საბეჭდავი ბეჭდების დადასტურება და, საერთოდ, ამ დარგის განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული.

<sup>1</sup> Е. Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавка*, вып. 3 (Баку, 1926), 14

<sup>2</sup> Г. Дундуа, *Нумизматика античной грузии* (Тбилиси, 1987), 44

<sup>3</sup> დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები“, 61

<sup>4</sup> Г. Меликишвили, *К истории древней Грузии* (Тбилиси, 1959), 309

<sup>5</sup> დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები“, 62; დუნდუა, დუნდუა, ქართული წუმიზმატიკა, 67; Дундуа, Нумизматика античной грузии, 51

<sup>6</sup> ჩართოლანი, „შრომები“, 21

<sup>7</sup> გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა (თბილისი, 2008), 18

<sup>8</sup> ქ. ჯავახიშვილი „საქართველოს გლიპტიკური ძეგლები“. იბერია-კოლხეთი 11 (თბილისი, 2015), №5.

ლი გარე სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. იმის მიხედვით, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება იყო შექმნილი საქართველოში, ხან აღმოსავლური ქვეყნების გლიპტიკური ძეგლები ვრცელდებოდა, ხან დასავლეთის. ადგილობრივი გლიპტიკური ნახელავი კი, გარკვეული თვალსაზრისით, თავისთავადია, მაგრამ ამავდროულად ხელოვნების ამ დარგის განვითარების საერთო ხაზს მიჰყება<sup>9</sup>.

გარდა იმისა, რომ გლიპტიკა ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, ის ძალაუფლების მქონე პირის უფლებრივი ინსიგნიაც იყო<sup>10</sup>. ამიტომაც საბეჭდავი ნახევრად იურიდიული დოკუმენტია. ხოლო ბეჭედზე გამოყვანილი იკონოგრაფია ხშირად ქვეყნებს შორის კავშირზე მიგვანიშნებს და ხსნის მისი ნარმომავლობის საკითხს.

ზემო სვანეთში, ლარილარის სამაროვანზე, ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭედების ჯგუფი დადასტურდა<sup>11</sup>.

ბეჭედებს შორის სამი სწორკუთხაფარაკიანი ბეჭედია, რომლის მსგავსი ქ. ჯავახიშვილის მიხედვით დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული არ არის<sup>12</sup>. დანარჩენი მრგვალი და ოვალურფარაკიანი ბეჭედებია. სწორკუთხაფარაკიანი ბეჭედებიდან ერთი უჩვეულო გამოსახულებისაა: რქებდატოტვილი ირემი, რომელსაც ზურგში ისარი (შუბი) აქვს გარჭობილი<sup>13</sup>. ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, იკონოგრაფია ადგილობრივი, სვანური უნდა იყოს. ბეჭედი ბერძნულია, IV საუკუნის ფორმისაა და თუ რაიმე გავლენა არის, უფრო აღმოსავლური<sup>14</sup>.

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ ნუმიზმატიკური, არამედ გლიპტიკური მასალაც მიანიშნებს სვანეთის რეგიონის აქტიურ კონტაქტებზე გარე სამყაროსთან.

ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს მინაბაძის აღმოჩენა სვანეთში საკმაოდ ორიგინალურად იქნა გააზრებული გ. ლორთქიფანიძის, ზ. კვიციანის და გოჩა გერაძის ერთობლივ ნაშრომში – „სვანეთი ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა“. მეცნიერებმა სხვადასხვა ისტორიული წყაროების და, აგრეთვე, დღემდე შემორჩენილი ეთნოგრაფიული ტრადიციების საფუძველზე, რომლებიც მოწმობენ სვანეთში ოქროს მოპოვებაზე და მის დამუშავებაზე. აგრეთვე, სვანეთის ნუმიზმატიკური და სინქრონული არქეოლოგიური ძეგლების ტიპოლოგიური და ცალკეული ნივთების ქიმიურ-მეტალოგრაფიული ანალიზის საფუძველზე დაადგინეს, რომ სვანეთში ანტიკურ პერიოდში ზარაფხანა არსებობდა<sup>15</sup>. ვარაუდი საკმაოდ დამაფიქრებელია, თუმცა, ჩვენი აზრით, ის თავის თავში მოიცავს უამრავ კითხვას, მათ შორის უმთავრესია – ვინ არის სვანეთში ამ მონეტების ემიტენტი? გარდა ამისა, მინაბაძი აღმოჩენილია არა მარტო სვანეთის და რაჭის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ერთ მხარედ მოვიაზრებთ, არამედ დასავლეთ სა-

<sup>9</sup> ქ. ჯავახიშვილი. „საქართველოს გლიპტიკური ძეგლები“, 11

<sup>10</sup> О. Неверов Геммы античного мира (Москва, 1983), 8

<sup>11</sup> შ. ჩართოლანი ლარილარის სამაროვანი. კრებ. „საქართველოს, ამიერკავკასიისა და წინააზიის ისტორიის საკითხები“ (თბილისი, 1968), 305

<sup>12</sup> ჯავახიშვილი, „საქართველოს გლიპტიკური ძეგლები“, 9

<sup>13</sup> ჩართოლანი, „ლარილარის სამაროვანი“, 305 დანართი №III, 10

<sup>14</sup> ჯავახიშვილი, „საქართველოს გლიპტიკური ძეგლები“, №10

<sup>15</sup> ლორთქიფანიძე, კვიციანი, გერაძე, „ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა“, 32

ქართველოს ბარში, არგვეთში და ამ მონეტების განსაკუთრებით დიდი კონცენტრაციაა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა ამ მხარეში ცალკეული ზარაფხანები ყოფილიყო? პასუხის გაცემა ამ კითხვებზე, ვფიქრობთ, საკ-მაოდ ხანგრძლივ კვლევას საჭიროებს, ამიტომ ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

სვანეთში დასტურდება, აგრეთვე, ძვ.წ.-ის IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეიონის ოქროს სტატერი<sup>1</sup>. (დანართი II. 6) ამჟამად მესტიის მუზეუმში მხოლოდ ერთი ეგზემპლარია დაცული, თუმცა ცნობილია სვანეთში მისი განძად აღმოჩენის შემთხვევაც. XX საუკუნის დასაწყისში ბერლინის ბოდე მუზეუმის მიუნცკაბინეტში შევიდა პანტიკაპეიონის ოქროს სტატერის ორი ათეული ცალი. არსებობს ცნობა, რომ ეს მონეტები განძად დაგროვილი აღმოჩნდა სვანეთში. მოგვიანებით კიდევ მივიდა ცნობა იმავე მუზეუმში, რომ არსებობდა დამატებით ათი ცალი, რომლებიც სხვადასხვა მუზეუმში გაიძნა<sup>2</sup>. სავარაუდოდ, ეს მონეტებიც იმავე განძიდან იყო. სვანეთის მუზეუმში დაცული ერთადერთი ეგზემპლარი ნაპოვნია მესტიის რაიონში, სოფელ მულახში<sup>3</sup>. ყველა ეს მონეტა აღწერილობით ერთი და იმავე ტიპისაა: ავერსზე – წვერებიანი სატირის გამოსახულება მარცხნივ, თავზე სუროს გვირგვინით, ხოლო რევერსზე მარცხნივ მიმავალი გრიფონის გამოსახულება, პირში შუბით. ფეხებზე პორიზონტალურად დადებული პურის თავთავი. მონეტის არეზე სამი რელიეფური ბერძნული ასო – ΠΑΝ (პან) – პანტიკაპეიონი. მონეტა თარიღდება ძვ.წ. 315-300 წ.<sup>4</sup>.

მიუხედავად ამისა, რთული სავარაუდებელია, რომ მესტიის მუზეუმის ცალიც და სხვა დანარჩენიც ზემოთ ნახსენები განძიდან ყოფილიყო. ამას ემატება ისიც, რომ აღმოჩენის ვითარება და უფრო ზუსტი ლოკალიზაცია ცნობილი არ არის.

ყველაფრის გათვალისწინებით, აშკარაა – ელინისტურ ხანაში კოლხეთის მთიან რეგიონებში, მათ შორის, სვანეთში, ფულის ინტენსიური ბრუნვაა.

ბოსფორის სამეფოს მონეტების შემდეგ სვანეთის რეგიონში სხვა ქვეყნის მონეტები რეალურად დადასტურებული არ არის, თუმცა საყურადღებოა ცნობა, რომელსაც გვაწვდის ეგნატე გაბლიანი. 1913 წელს ჭვიბერში, რომელიც მდებარეობს სოფელ მარხიდან სამი ვერსის მანძილზე, ვინმე სალიშ ქალდანმა ნახა ბევრი ნივთი და, მათ შორის, ვერცხლის ფული, რომელზედაც ეხატა თევზი არნივის ბრჭყალებში<sup>5</sup>. მოგვიანებით, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 6. კილურაძემ გამოიტქვა მოსაზრება, რომ აქ საუბარი უნდა იყოს სინოპურ ვერცხლის მონეტაზე, რომელზედაც ქალაქ სინოპეს ღერბი – დელფინი და არნივი იყო გამოსახული<sup>6</sup>. ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ზეპირი გადმოცემა გვაქვს,

<sup>1</sup> Дундуа, *Нумизматика античной грузии*, 53; ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“, 28

<sup>2</sup> K. Regling, „Der Griechische Goldschatz von Prinkipo“, ZN (Berlin, 1931), 34-38; Е. Пахомов *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. 3* (Баку, 1926), 13; Дундуа, Нумизматика античной грузии, 53

<sup>3</sup> ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“, 28; პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“, 25

<sup>4</sup> А. Н. Зограф, „Античные золотые монеты Кавказа“. *Известия ГАИМК*, Вып. №110 (1935), 187; Д. Шелов, *Монетное дело Боспора VI-II вв. До н. э.* (Москва, 1956), 93

<sup>5</sup> ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი (ტფილისი, 1925), 40-41; Дундуа, Нумизматика античной грузии, 34- 35

<sup>6</sup> 6. კილურაძე, „დაფნარის სამაროვანი“ ძეგლის მეგობარი №23 (თბილისი, 1970), 19

რითაც ვერ დავამტკიცებთ სვანეთში სინოპური დრაქმების მიმოქცევის ფაქტს, მაგრამ, ვინაიდან კოლხეთის ტერიტორიაზე სინოპურ იმპორტთან ერთად<sup>1</sup> დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სინოპური ფული, ვარაუდის საფუძველი არსებობს<sup>2</sup>.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სინოპური დრაქმების განძებად აღმოჩენის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ფიჭვნარში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა განძი, რომელიც 6-8 კგ-ს იწონიდა. ძირითადი ნაწილი განძისა გაიფანტა. შემორჩა 149 მონეტა, აქედან 102 სინოპური დრაქმაა, დანარჩენი კი – კოლხური ტრიობოლები<sup>3</sup>.

სინოპური მონეტები, როგორც ადრეული (ძვ.წ. VI ს.-ის), ასევე გვიანდელი (ძვ.წ. III ს.-ის), ცალკეული აღმოჩენების სახით დადასტურებულია ურეკში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ბათუმსა და სოხუმის მიდამოებშიც<sup>4</sup>.

კოლხეთის მთიან რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია ეგვიპტური და სირიული ნივთები, ცნობილია, რომ ამ ქვეყნებთან კოლხეთის ვაჭრობით მოხდა, სადაც სინოპე შუამავლის როლს ასრულებდა<sup>5</sup>, გარდა ამისა, ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ ვინაიდან ძვ.წ.-ის IV საუკუნის შუა ხანებიდან კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში წამყვანი ადგილი სინოპურ დრაქმებს ეკუთვნის, კოლხეთში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების შემოსვლა, ნანილობრივ მაინც, სინოპეს მეშვეობით ხორციელდებოდა<sup>6</sup>.

აქედან გამომდინარე, სვანეთში სინოპური მონეტების აღმოჩენის პროგნოზირება შესაძლებელია.

ძვ.წ. III საუკუნის ბოლოდან შავზღვისპირეთში სავაჭრო მონეტის როლს ასრულებდა ლისიმახეს სახელით მოჭრილი სტატერები, რომლებიც ასევე პოპულარული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ლისიმახეს ოქროს მონეტების აღმოჩენის ექვსი შემთხვევაა აღრიცხული<sup>7</sup>, აქედან ორი ცალი სვანეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ერთი ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმშია დაცული<sup>8</sup> და მეორე – შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში<sup>9</sup>.

ძვ.წ. II საუკუნიდან ძვ.წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე უკვე სამონეტო ცირკულაციაში შემოდის ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს სტატერების მინა-

<sup>1</sup> ი. ლურთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი (თბილისი, 1966), 126-127

<sup>2</sup> გ. დუნდუა, „საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები“, მაცნე 1. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (თბილისი, 1971), №144-148

<sup>3</sup> კ. გოლენკო, „Клад синопских и колхидских монет из Кобулети“ (1948). ВДИ, №1 (1961), 42- 52

<sup>4</sup> დუნდუა, *Нумизматика античной грузии*, 34-35; დუნდუა, საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები, 144, 148; თ. დუნდუა, „ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“ (თბილისი, 1997), №81

<sup>5</sup> მ. ინაძე, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები (თბილისი, 2009), 242

<sup>6</sup> დუნდუა, *Нумизматика античной грузии*, 52; დუნდუა, „ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“, 87

<sup>7</sup> დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს სახელით მოჭრილი მონეტები“, 59

<sup>8</sup> დუნდუა, *Нумизматика античной грузии*, 48

<sup>9</sup> იქვე, 49

ბაძები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელის ორიგინა-ლურმა მონეტებმა გაპატონებული მდგომარეობა მოიპოვეს იმდროინდელ მსოფლიოში და ინტერლოკალურ საფასეებად იქცნენ<sup>1</sup>. არსებობს მოსაზრება, რომ ამ მონარქის სახელით მონეტების მოჭრა მისი სიკვდილიდან ორ საუკუნეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა იურიდიული ორგანოს (თუ პირის) მიერ<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ქვეყნებში ამ მონეტების პოპულარულობის გამო ბაზრებზე მოთხოვნა დიდი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე კლებულობს პოპულარული მონეტების შემოსვლა, მოთხოვნის შევსება ხდება მინაბაძების საშუალებით<sup>3</sup>. მინაბაძები განსხვავდება ყალბი მონეტისაგან, რადგან მას სრულფასოვანი ფულის ფუნქცია აქვს. მინაბაძების ემისიას ახორციელებს ხელისუფალი, რომელიც ქვეყანაში ფულის მოჭრაზეა პასუხისმგებელი<sup>4</sup>.

ამაზე მიუთითებს, ის გარემოებაც, რომ ხშირად მინაბაძები აღმოჩენილია კანონიერ მონეტებთან ერთად<sup>5</sup>. სავსებით მისაღებია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მინაბაძების გაჩენას, ორიგინალების ინტენსიური ბრუნვა უძლოდა წინ<sup>6</sup>. სვანეთში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების აღმოჩენის 372 შემთხვევაა ცნობილი. ლოგიკურია, რომ აქ მინაბაძიც აქტიურ მიმოქცევაში იქნებდა.

დღეისათვის სვანეთის რეგიონში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლი-სიმახეს სტატერის მინაბაძების სტატისტიკა ასეთია. სვანეთის მუზეუმში – მესტიაში დაცულია სამი ცალი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი (დანართი III. 1, 2, 3), ერთი – უშველულის ციხე-სახლში (დანართი III. 4). ს. ჯანაშიას მუზეუმში დაცულია სვანეთში, მესტიის რაიონის სოფელ მულახში აღმოჩენილი ლისიმახეს სტატერის მინაბაძი.

ოქროს მინაბაძების აღმოჩენის რუკას თუ დავაკვირდებით, დასავლეთ საქართველოს რეგიონში განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული რაჭაში. აქ ათი ეგზემპლარია დაფიქსირებული, სხვადასხვა დროს და, რაც ყველაზე საინტერესოა, ყველა მთის რაჭაში, ონის რაიონის სოფლებში, რომლებიც შედიოდა ისტორიული სვანეთის შემადგენლობაში. მონეტები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში. განძების ფონდი №8688; 8789; 8690; 8691; 8693; 8694; 8695; 8696; 8697; 5389. ფულადი მიმოქცევის ერთგვარობა, ვფიქრობთ, მყარი არგუმენტია იმისათვის, რომ ეს რეგიონი სვანეთთან ერთად ერთ ადმინისტრაციულ თუ პოლიტიკურ სივრცედ მოვიაზროთ. დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში, კერძოდ ლეჩეუმში

<sup>1</sup> დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები“, 60

<sup>2</sup> დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები“, 61; А. Зограф „Статеры Александра Македонского из Керченских и Таманских находок“, ГЭ, труды отдела истории искусства и культуры античного мира, т. I (1945), 86

<sup>3</sup> დუნდუა, დუნდუა ქართული ნუმიზმატიკა, 72

<sup>4</sup> В. Потин, „Введение в Нумизматику“ Труды государственного Эрмитажа, XXVI (Ленинградское отделение) 1986, 76

<sup>5</sup> Дундуа, Нумизматика античной грузии, 55

<sup>6</sup> დუნდუა, „საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს სახელით მოჭრილი მონეტები“, 60

აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს სტატერების გარკვეული რაოდენობა. აქედან ერთი ცალი ლისიმახეს და სამი – ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ოქროს მინაბაძებია<sup>1</sup>. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მთიანი კოლხეთის ერთმანეთთან ერთ-ერთი დამაკავშირებელი იყო გადასასვლელი გზა – ზაგარისა და ატკვერის ულეტებილი, რომელიც სვანეთის ქედის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში მდებარეობს. ეს გზა ენგურის ხეობიდან უშვულის გავლით მდ. ცხენისაწყლის ხეობაზე გადადის ლეჩებუმში. მთიანი კოლხეთის რეგიონს, აქ მოპოვებული სამონეტო აღმოჩენების გათვალისწინებით აშკარაა, რომ ერთიანი ფულადი ბრუნვა ჰქონდა. განსაკუთრებული როლი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აქვს ლეჩებუმს, ის ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია კოლხეთის ბართან. შესაძლოა, ბარიდან ფული ლეჩებუმის გზითაც ამოდიოდა. ეს სურათი უფრო მკაფიო გახდა შემდგომ პერიოდში, ახალი წელთაღრიცხვის I ს II ნახევრიდან, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს მინაბაძები მიმოქცევიდან ქრება და იბერიაში შემოდის ე.წ. გოტარზესის, დღეისათვის მიღებული ატრიბუციით, არტაბან II-ის (ახ.წ.-ის 10-38) დრაქმა და ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ.-ის 27, ახ.წ.-ის 14) რომაული დენარი<sup>2</sup>.

ოქტავიანე ავგუსტუსის მიმოქცევის გეოგრაფიული საზღვარი საკმაოდ დიდია. ჩვენთვის მნიშველოვანია დავადგინოთ, რა გზით შეიძლებოდა ასულიყო სვანეთში ეს მონეტები. დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონში ეს მონეტები გვხვდება რეგიონში, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის და პოლიტიკური სტატუსის გამო ერთგვარი ეკლექტურობით ხასიათდება<sup>3</sup>. ეს არგვეთის რეგიონია (თანამედროვე თერჯოლის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტი). ბორი-ჭიათურის მიდამოებში I-III საუკუნეებში ვარაუდობენ ქართლის ერთ-ერთი საპიტიახში ცენტრს. მეორე მოსაზრების თანახმად, ვინანანტიკურ ხანაში არგვეთის საერისთავოს ცენტრი საჩხერე უნდა ყოფილიყო<sup>4</sup>. ამ რეგიონის სპეციფიკა გულისხმობს იმას, რომ ფაქტობრივად აქ გადის ერთგვარი სავაჭრო არტერია, რომელიც კოლხეთს იბერიასთან აკავშირებდა. ამ რეგიონში ავგუსტეს დენარები მოჭრილი გალიის (ლუგდუნუმი?) ზარაფხანაში II – IV სს-ში – 56 ცალი, აქედან კლდეეთში – 16 ც., სოფელ ბორში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი – 29 ც.<sup>5</sup>, მდ. ყვირილას აუზი – 10 ც., სოფელი კაცხი – 1 ც.<sup>6</sup>. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით 2001 წ. აგვისტოში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მოქალაქე ლიპარტელიანმა ნარმოადგინა მესტიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 18 მონეტა, მათგან ცხრა – ავგუსტუსის დენარი (რომი) და იმავე რაოდენობის გოტარზესის დრაქმა. სამწუხაროდ, მონეტები მუზეუმმა ვერ შეიძინა<sup>7</sup>. ავგუსტუსის დენარის

<sup>1</sup> მ. პატარიძე, „ლეჩებუმში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები, I (თბილისი, 2014), 124-126

<sup>2</sup> მ. შეროზია, „ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ“, იბერია-კოლხეთი 6 (თბილისი, 2009), 1 №5

<sup>3</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, 131

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი (თბილისი, 1974), 60- 61

<sup>6</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, 131

<sup>7</sup> პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“, 32

გავრცელების ტოპოგრაფიაში მხოლოდ ამ ცნობით კორექტივის შეტანა ძნელია, მაგრამ ინფორმაცია, ვფიქრობთ, ანგარიშგასასწევია. ავგუსტუსის დენარების ხანგრძლივი მომოქცევის შემდეგ აღნიშნული მონეტების რიცხვის შემცირებამ გამოიწვია III საუკუნის შუა ხანებიდან ადგილობრივი მინაბაძების გენეზისი<sup>1</sup>.

რაც შეეხება ადგილობრივი მინაბაძების გავრცელების ტოპოგრაფიას სვანეთში. დღეისათვის სვანეთში აღმოჩენილი ორი მინაბაძი გვაქვს: ერთი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში და მეორე მესტიის მუზეუმში (დანართი III. 5). სვანეთში ამ მონეტების ბრუნვა საკვირველი არ უნდა იყოს. რადგან მთაში ავგუსტეს მინაბაძის აღმოჩენის შედარებით მეტი შემთხვევა ფიქსირდება ლეჩხუმში. რაოდენობირვად დღეისათვის ლეჩხუმში მინაბაძების ხუთი ეგზემპლარი გვაქვს<sup>2</sup>. აქედან ერთი ცალი დაფიქსირდა სამარხში, ეგრეთნოდებული „ქარონის ობოლი“. 2007 წელს ლეჩხუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ხელმძღვანელი გურამ გაბიძაშვილი, ადგილ გონაზე, მე-7 სამარხში მიაკვლია მონეტას, რომელიც თავის ქალის არეში, პირის ღრუში, კბილებს შორის იყო მოთავსებული. სამარხი მონეტის მიხედვით III საუკუნით დათარიღდა<sup>3</sup>. ოქტავიანე ავგუსტუსის ბარბაროსული მინაბაძი დაფიქსირდა ლეჩხუმში კიდევ ერთ სამარხში.

2016 წელს ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო სულავა, ცხეთის სამაროვანზე 8 სამარხში დაფიქსირდა მამაკაცის ხონჩი. ჩატანებული ჰქონდა გრძელი მახვილი რკინის ბრინჯაოს ბუნიკით, რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს აბზინდა და პირის ღრუში მონეტა. მონეტა პირველად ქვეყნდება, ამდენად ვიძლევით სრულ აღნერილობას (დანართი III. 6).

### აღწერილობა

წონა: 1, 65გრ; ზომა: 18/18 მმ. ლითონი – სპილენძი.

Av. იმპერატორის უკიდურესად დამახინჯებული პროფილი მარცხნივ. მონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

Rv. გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი გამოსახულება ფაქტობრივად არ ჩანს. ოდნავ შეინიშნება მახვილები და ფარი, რასაც ეყრდნობიან.

მიუხედავად იმისა, რომ მონეტა ძალიან სქემატურია, ის ძალიან ახლოს დგას ლეჩხუმში ცაგერის მუნიციპალიტეტში, ადგილ გონაზე სამარხში აღმოჩენილ ავგუსტუსის მინაბაძთან<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, ორი შემთხვევაა ამ ჯგუფის მონეტის „ქარონის ობოლად“ დაფიქსირების, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ადგილობრივ, მოცემულ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს მთაში, ფულად მიმოქცევაში მათ წამყვანი ადგილი უკავიათ. ლეჩხუმში ამ მონეტების აღმოჩენა სხვა მხრივაც საყურადღებოა. ჯერ ერთი, ის უკავშირდება არგვეთის ტერიტორიის ბაზარს, საიდანაც შესაძლებელი იყო ამ მონეტის შემოსვლა და, მეორე მხრივ, ლეჩხუმის გზით თავისუფლად მოხვდებოდა სვანეთში. თუ გავითვალის-

<sup>1</sup> კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 44; გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, 125

<sup>2</sup> პატარიძე, „ლეჩხუმში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“, 127-128

<sup>3</sup> იქვე, 127

<sup>4</sup> იქვე, 128- 133

ნინებთ იმასაც, რომ სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე ეს მონეტები ინტენსიურ ბრუნვაშია, გამოდის, დასავლეთ საქართველოს მთის რეგიონი ქვეყნის საერთო მიმოქცევის ორგანული ნაწილია. მინაბაძების გენეზის წინ უსწრებს ორიგინალების შემოსვლა, რაც უკვე იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა რომაულ სამყაროსთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირშია. მთის ჩართულობაც, ნაკლები მასშტაბებით, მაგრამ მაინც, ამ პოლიტიკურ პროცესებში აშკარაა.

როდესაც რომაულ სამყაროსთან პოლიტიკურ კავშირებზე ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ყურადღება შევაჩეროთ გლიპტიკურ ძეგლზე – უნიკალურ, რომაულ პორტრეტულ გემაზე, რომელიც სვანეთში არის აღმოჩენილი. ამ ნივთს ქალბატონებმა სარა ბარნაველმა და რენე შმერლინგმა მიაკვლიეს ზემო სვანეთში კვირიკე და ივლიტას ეკლესიაში, ლაგურკაში. 1948 წელს შესაძლებელი გახდა ის შეეძინათ და ნივთმა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში დაიდო ბინა. 90-იანი წლების თბილისის მოვლენების დროს გემა ხანძრის დროს დაიკარგა<sup>1</sup>. დღეისათვის შემორჩა ს. ბარნაველის სტატია<sup>2</sup> და მის მიერვე აღებული თაბაშირის ანაბეჭდი.

გემა-ინტალიო ქალცედონისაა, ოვალური ზურგით (დანართი IV. 1). გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი პროფილში. ბიუსტი კისრის ქვემოთ არის გადაჭრილი. კვეთა საკმაოდ ღრმა არის, ძალიან ოსტატური, მოდელირება რბილი და დახვეწილი. მამაკაცის ნიკაპის ქვემოთ ორი ასოა ამოჭრილი – IA.

სარა ბარნაველი გემას ძვ.წ. I ს. ათარიღებს<sup>3</sup>. ქ. ჯავახიშვილმა სხვადასხვა პორტრეტის შედარებისას დაადგინა, რომ ის ეკუთვნის სექსტ პომპეუსს<sup>4</sup>.

სექსტ პომპეუსი, რომის სამოქალაქო ომების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და სენატის პარტიისათვის უკანასკნელი მებრძოლო იყო. მან რამდენჯერმე ძალაუფლებაც კი ჩაიგდო ხელში, თუმცა საბოლოოდ ის მცირე აზიაში გაიქცა, სადაც ძვ.წ.-ის 35 წელს ანტონიუსის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს<sup>5</sup>.

ამ „სვანურ“ გემას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სექსტ პომპეუსის სხვა პორტრეტულ გემებს შორის<sup>6</sup>.

თუ გავითვალისწინებთ თითქმის აქსიომატურ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყანაში იმპორტის არსებობა საგარეო კავშირ-ურთიერთობების მანიშნებელია, გამოდის, რომ ანტიკური გლიპტიკური ნაწარმის გამოჩენა სვანეთში, ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსში, კერძოდ, რომაულ სამყაროსთან ურთიერთობებში, სვანეთი, როგორც ერთ-ერთი ორგანული ნაწილი დასავლეთ საქართველოსი, არც თუ ისე პასიურად არის ჩართული.

<sup>1</sup> ქ. ჯავახიშვილი, „რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები“ (საქართველოში მოპოვებული გლიპტიკური მასალების მიხედვით). ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. 20 (თბილისი, 2011), 293

<sup>2</sup> ს. ბარნაველი, „სვანეთის გემა პორტრეტის გამოსახულებით“ *Ars Georgica. 7* სერია (თბილისი, 1971), 19-26

<sup>3</sup> ბარნაველი, „სვანეთის გემა პორტრეტის გამოსახულებით“, 20

<sup>4</sup> ჯავახიშვილი, „რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები“, 293

<sup>5</sup> Н. Машкин, *История древнего Рима* (Ленинград, 1949), 368-370

<sup>6</sup> ჯავახიშვილი, „რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები“, 294

## 2.2. ირანისა და პიზანტიის პრემია სვანეთის გამო VI საუკუნეში

სვანეთის რეგიონი VI საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს ორი უძლიერესი ძალის, ბიზანტიისა და ირანის, დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი გახდა. მოდავე სახელმწიფოებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ამ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომაც ამ ხნის განმავლობაში მოდავე ქვეყნებს შორის დიპლომატიური (ზოგჯერ შეიარაღებული) ომი გაჩაღდა.

მას შემდეგ, რაც ქართლი ჩაიგდო ხელში და იქ მეფობა გააუქმა, დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ირანის მთავარ ამოცანად იქცა. ლაზიკა ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა. ამდენად, ამ სახელმწიფოების ინტერესების შეჯახება გარდაუვალი იყო. ბიზანტიისა და ირანს შორის ლაზიკისათვის ქიშპობისა და ბრძოლის გამწვავება 522 წელს იწყება, როდესაც ლაზიკის მეფე წათე ბიზანტიის წავიდა და იქ ქრისტიანობა მიიღო. სამხედრო დაპირისპირება პერიოდულად მოლაპარაკებებით და შეთანხმებებით სრულდებოდა. 562 წელს დაიდო ერთ-ერთი მორიგი ხელშეკრულება ორმოცდაათი წლის ვადით. პირობები შემდეგი იყო: ირანი ხელს იღებდა ლაზიკაზე, მაგრამ სვანეთს არ თმობდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ადრე ლაზიკის შემადგენლობაში შედიოდა. სწორედ 562 წლის ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს იწყება დიპლომატიური ომი სვანეთის საკითხის გადასაჭრელად<sup>1</sup>.

VI ს. პირველი ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერს, რომ სვანეთის შიგნით არის სკვიმნია და სვანია (სვანეთი), რომელებიც ლაზთა ქვეშემრდომები არიან და იქაურ მცხოვრებლებს არხონტად ჰყავთ ერთი თავის თვისტომთაგანი და როდესაც არხონტს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ლაზთა მეფის მიერ მეორე არხონტი ენიშნება<sup>2</sup>.

მენანდრეს მიხედვით<sup>3</sup>, ლაზიკა სვანეთთან ერთად ემორჩილებოდა ბიზანტიას. ლაზიკის მეფე ნიშნავდა სვანთა მთავარს, რომელსაც ბიზანტიის კეისარი ამტკიცებდა. ასევე, სვანები ხარკს უზდიდნენ ლაზთა მეფეს სხვადასხვა პროდუქტის სახით: ტყავეულობა, თაფლი, ცვილი და სხვა. ამას გარდა, „არხონტი“ ვალდებული იყო, ლაზთა მეფის დასახმარებლად ლაშქარიც გამოეყვანა. 552 წელს სვანეთი ჩამოშორდა ლაზიკას და ირანის მფლობელობაში გადავიდა<sup>4</sup>. მენანდრეს სიტყვით, სვანეთის განდგომა ლაზთაგან მოხდა მაშინ, როდესაც ლაზიკაში ბიზანტიის ჯარის სარდალი იყო მარტინე, მეფედ კი – გუბაზი. მალე მარტინესა და გუბაზს შორის ჩამოვარდა უთანხმოება, რის გამოც ლაზებმა სვანეთს სურსათი ვერ მიაწოდეს, რომელსაც წინათ ყოველწლიურად უგზავნიდნენ მათ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გ. ათანელიშვილი, სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590), (თბილისი, 1959), 22

<sup>2</sup> პროკოფი კესარიელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, საძიებელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. გეორგია II (თბილისი, 1965), 126-127

<sup>3</sup> მენანდრე პროტიქტორი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, საძიებელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. გეორგია III (თბილისი, 1936), 225

<sup>4</sup> იქვე, 214

<sup>5</sup> ათანელიშვილი, „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590)“, 23

ამით უკმაყოფილო სვანები ლაზებს განუდგნენ და ირანელებს მიეკედლენ. ერთმა ეგ-რისელმა წარჩინებულმა, სახელად თეოფონბიმ, ირანელებს უქიმერიონის ციხე ჩააბარა. ამის შემდეგ ირანელებმა სვანეთიც და ლეჩეუმიც დაიმორჩილეს<sup>1</sup>. გ. ათანელიშვილის აზრით, ეს ამბავი 552 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან შემდგომი საზავო მოლაპარაკების დროს ირანსა და ბიზანტიას შორის, რომელიც ქალაქ დარაში გაიმართა, ირანის მეფე ხოსრო ამბობს, რომ იგი ათი წელია, რაც ფლობს სვანეთს. ამ საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი ბიზანტიელებმა დააყენეს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ, რადგან საკითხი ისევ გადაუწყვეტელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ირანმა მთლიანად ხელი აიღო ლაზიკაზე, სვანეთს არ თმობდა და არგუმენტად მოჰყავდა, რომ სვანეთი კი არ დაუპყრია, არამედ თავისი ნებით მიეკედლა ირანს. გაჩაღდა პოლემიკა, სადაც თითოეული მხარე ცდილობდა თავისი სიმართლე დაემტკიცებინა, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. ამის შემდეგ ჩათვალეს, რომ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ თვით ირანის შაჰს ხოსროს უნდა განეხილა<sup>2</sup>. ამ მიზნით ბიზანტიის ელჩი პეტრე მიდის ბითარმაისში, სადაც ირანის მეფე ხოსრო იმყოფებოდა. თუმცა შეთანხმებას აქაც ვერ მიაღწიეს. ამ საზავო მოლაპარაკებისას ნათლად გამოჩნდა, რომ ბიზანტიის ელჩს პეტრეს სვანეთის საკითხი უმნიშვნელოვანეს საკითხად მიაჩნდა. აი, რას ამბობს ის: „მას შემდეგ, რაც ჩავაქრეთ ომის ალი და თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მხოლოდ ერთი ნაპერნკალიდა დარჩა: ბოროტებათა ნაპერნკლად მე ვგულისხმობ სვანეთს, რომელიც გვემუქრება ჩვენ, რომ უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადიქცევა; შეაჩერე უბედურება და წინდანინვე გაგვათავისუფლე მოსალოდნელ ბოროტებათაგან, გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან ჩვენ ვამყარებთ შენზე... ჩვენ უკვე ლაზიკის უფალნიც გავხდით, სვანეთიც მოგვემატოს. ვინაიდან, ვინც განმგებელს ფლობს, ნუთუ მისი არ უნდა იყოს იმისი ხელქვეითიც“<sup>3</sup>. ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია სვანეთი ბიზანტიისათვის. ეს ძალიან კარგად იცოდა ხოსრომაც და ამიტომ იყო, რომ მთლიანად ლაზიკას უთმობდა ბიზანტიას, მაგრამ სვანეთს ვერ ელეოდა<sup>4</sup>. ამის შემდეგ 565 წელს, როდესაც იუსტინე II გამეფდა ბიზანტიაში, კიდევ ერთხელ დაისვა ირანთან სვანეთის საკითხი. უფრო მეტიც, ის სასყიდელის გალებაზეც თანახმა იყო<sup>5</sup>, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. 569 წელსაც იყო მცდელობა, მაგრამ კვლავ ღიად დარჩა სვანეთის გადაცემის საქმე. შემდგომ, 570-571 წლებში, სვანეთის საკითხის გადაწყვეტა მოისურვა თვით ირანის მეფე ხოსრომ. მან დესპანებად ბიზანტიაში გაუშვა ჯერ ზიქი და მერე მებოდი, რომელთაც დაავალა ბიზანტიასთან მოლაპარაკება და, რასაკვირველია, სვანეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. მაგრამ ბიზანტიის კეისარმა იუსტინემ ჯერ კიდევ გზაში მყოფ ზიქს გაუგზავნა წერილი, რითაც აცნობა, რომ არ დასთანხმდებოდა და უბრალოდ არც დაესვათ ეს საკითხი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, „პროკოფი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ“, საქართველოს მუზეუმის მოამბე (თბილისი, 1931), ტ. VII, 329

<sup>2</sup> მენანდრე პროტიქტორი, გეორგია III, 216

<sup>3</sup> იქვე, 218-219

<sup>4</sup> ათანელიშვილი, „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590)“, 25

<sup>5</sup> მენანდრე პროტიქტორი, გეორგია III, 228

<sup>6</sup> ათანელიშვილი, „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590)“, 27

საბოლოოდ ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა და დავა ისევ იარაღით გადაწყდა. 575 წელს ბიზანტიელები სვანეთში შეიჭრნენ. ირანის მომხრე მთავარი დაატყვევეს და საგანძურით, ცოლით და შეილებით კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. ამის შემდეგ სვანეთი ბიზანტიის გადაეცა<sup>1</sup>.

ჩნდება კითხვა: რა სტრატეგიული ინტერესები უნდა ჰქონოდა სვანეთში ამ ორ უზარმაზარსახელმწიფოს? ფაქტია, რომ არსებობდა ამ დაპირისპირების სერიოზული მიზეზი. მენანდრე, რომელიც ფაქტობრივად ბიზანტიის ინტერესების გამომხატველი ისტორიკოსია, ამბობს, რომ სვანეთი თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ. ამ სიტყვებში ძალიან კარგად ჩანს სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობა. ირანს კი აქ ფეხის მოკიდება იმისთვის სურდა, რომ ლაზიკის ზურგში მუდამ ჰქონოდა დასაყრდენი სტრატეგიული პუნქტი<sup>2</sup>. სვანეთის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოინურებოდა. ერთ-ერთი საზაო მოლაპარაკების დროს ხოსრო ამბობს: „ეს (სვანეთი) ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო“<sup>3</sup>. ამ საკითხს შეეხო გ. გოზალიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი იყო იმპერიათა შორის დავის, ვინაიდან ჩრდილოეთის ტომთა პირაქეთ გადმოსასვლელი გზების ხელში ჩაგდება სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა მებრძოლი მხარეებისთვის<sup>4</sup>.

სვანეთისადმი ინტერესი არც ამით ამოინურებოდა. აქ ეკონომიკური ინტერესებიც იკვეთება, მითუმეტეს, რომ საისტორიო წყაროების მონმობით სვანეთში ოქროს შოვნა შეიძლებოდა<sup>5</sup>. სტრაბონი მოგვითხრობს: „ამბობენ, რომ იმათში (იგულისხმებიან სვანები) წვიმის ნაკადულებს ჩამოაქვს ოქრო, და რომ ბარბაროსები აგროვებენ მას დახვრეტილი გობებისა და ბანჯველიანი ტყავების საშუალებით“<sup>6</sup>.

პლინიუსი კი გადმოგვცემს: „კოლხიდაში მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკი, რომელმაც მიიღო რა სამფლობელოდ ყამირი ქვეყანა, როგორც ამბობენ – მოაგროვა მრავალი ოქრო-ვერცხლი სვანების ტომში და, საერთოდ, თავის სამეფოში, რომელიც განთქმულია ოქროს ტყავებით“<sup>7</sup>.

როდესაც ეკონომიკურ ინტერესებზე ვსაუბრობთ, ბიზანტია-ირანის დაზავების დროს სვანეთის საკითხის გამო მწვავე დავის ერთ-ერთი მთავარი მიზეზად უნდა დასახელდეს სვანეთზე გამავალი გზა. კერძოდ, ბიზანტია ამ გზას იყენებდა თურქებთან სამხედრო და სავაჭრო (იგულისხმება აბრეშუმის ნედლეულით ვაჭრობა) კავშირის დასამყა-

<sup>1</sup> ს.ყაუხჩიშვილი, ირ.ბერაძე, „სვანეთის ხელმეორედ აღება ბიზანტიელების მიერ“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VII (თბილისი, 1938), 96

<sup>2</sup> ათანელიშვილი, „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590)“, 69

<sup>3</sup> მენანდრე პროტიქტორი, გეორგია III, 71

<sup>4</sup> გ. გოზალიშვილი, „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის“ თბილისის სახ. უნივ. შრომები, III (თბილისი, 1936), 222

<sup>5</sup> იქვე, 223

<sup>6</sup> ო. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში (თბილისი, 2010), 104

<sup>7</sup> იქვე

რებლად. ბიზანტიის მიერ სვანეთის დაპყრობა უზრუნველყოფდა ლაზიკის უშიშროებას ჩრდილოეთიდან, ხოლო ირანს ამ რეგიონის ხელში ჩაგდებით შეეძლო, ნინ აღდგომოდა ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობებს<sup>1</sup>. ამდენად, სვანეთი უკიდურესად სტრატეგიული რეგიონი იყო ორივე მოდავე სახელმწიფოსთვის.

რაც შეეხება საკუთრივ სვანეთის პოზიციას. ამ დაუსრულებელი დავის დროს სვანები ყოველთვის ირანისადმი მიდრეკილებას იჩენდნენ<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ახერხებდნენ მათთან საერთო ენის გამონახვას. ბიზანტიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ ლაზიკაში ბიზანტიელების მმართველობის შედეგად დატრიალებული უსამართლობის შესახებ სვანები კარგად ინფორმირებულები იქნებოდნენ და არანაირ სურვილი არ ექნებოდათ იგივე ბედი გაეზიარებინათ. ამას ემატებოდა ისიც, რომ რაც ლაზებისთვის პრობიზანტიური ორიენტაციის მთავარი მიზეზი – ქრისტიანული აღმსარებლობა, სვანეთში მეექვსე საუკუნეში ჯერ ბოლომდე ფეხმოკიდებული არ იყო.

მთელი ამ პოლიტიკური პერიპეტიების და ირანთან სვანეთის დამოკიდებულების (ვგულისხმობ ათწლიან მორჩილებას), დამადასტურებელი ყველაზე უტყუარი ნივთიერი მტკიცებულობა, წესით, აქ დალექილი სასანური ფულის განძები უნდა ყოფილიყო. საკვირველია, მაგრამ სასანიანთა ირანის მხოლოდ ერთი დრაქმაა დადასტურებული სვანეთის რეგიონში. ეს ეგზემპლარი ამჟამად მუზეუმის კუთვნილებას არ წარმოადგენს. ის ინახება სოფელ ლატალში (მესტიის მუნიციპალიტეტი), ფარჯიანების ოჯახში (დანართი IV. 2).

ჰორმიზდ IV (579-590) წ. 3, 40 გრ. ზ. 2, 7მმ. ზარაფხანა აბარშაპრი. ვერცხლი.

მონეტა ოჯახის რელიეფიას წარმოადგენს. ვერცხლის ფული (ვარჩხილ) სვანური ტრადიციული წეს-ჩვეულებების თანმდევი ატრიბუტია (ამ რიტუალის შესახებ შემდეგ ცოტა ქვემოთ). შესაძლოა ამ მონეტას ოჯახში ძველად და დღესაც რიტუალური ფუნქცია აქვს, რაც მისი არაეკონომიკური ფუნქციის მანიშნებელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებზედაც ზემოთ მოყვანილი წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ირანის სასანიანთა დინასტიის ფული უსათუოდ იქნებოდა მიმოქცევაში სვანეთის რეგიონში.

აქვე, უადგილო არ იქნება, თუ მოვიყვანთ კიდევ ერთი სასანური დრაქმის აღწერილობას, რომელიც დაცულია რაჭაში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (დანართი IV. 3).

კავად I (488-531); წ. 3, 72 გრ. ზ. 2, 7მმ. ვერცხლი.

მონეტა რაჭაში აღმოჩნდა, მაგრამ თუ ჩვენს ზემოთ გამოთქმულ კონცეფციას – სვანეთისა და ზემო რაჭის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გააზრების შესახებ გავითვალისწინებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ საფასის ხსენებულ რეგიონში დაფიქსირება შემთხვევითობა არ არის და ეს ფაქტი ირანთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების კონტექსტის ორგანული ნაწილია. სვანეთის რეგიონის სასანიანთა ირანთან ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ძეგლი აქ აღმოჩენილი გლიპტიკური

<sup>1</sup> ათანელიშვილი, „სვანეთის საკითხი ბიზანტია-იარნის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590)“, 90

<sup>2</sup> გოზალიშვილი, „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის“, 225

ნაწარმია. ამიტომ მონეტებთან და წერილობით წყაროებთან ერთად უნდა დავიმოწმოთ უშგულის ციხე-სახლში დაცული სასანური სამი გემა<sup>1</sup> (დანართი V).

პირველი გემა (დანართი V. 1)

ელიფსის ფორმის საბეჭდავი. აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელი. ბრტყელ პირზე გა-მოსახულია მამაკაცის ბიუსტი პროფილში მარცხნივ. ბიუსტის ქვემოთ ორი გაშლილი ფრთა. თავს ზემოთ შტრიხები. მასალა – ქვა. გემა დათარიღდა V-VI სს.-ით<sup>2</sup>.

მეორე გემაზე გამოსახულია ცხოველის (სავარაუდოდ მელის) გამოსახულება (დანართი V. 2). ანალოგია არ მოეძებნება. მასალა – ქვა. თარიღი სავარაუდოდ V-VI სს.

მესამე გემაზე გამოსახულია მოძრაობაში მყოფი დათვი (დანართი V. 3). მასალა – ქვა თარიღდება IV-V სს.-ით<sup>3</sup>.

გემების თარიღი IV-VI საუკუნეებს შორის მერყეობს. ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ერთი რამ – გლიპტიკური მასალა, როგორც იურიდიული საბუთი. ეს მიგვანიშნებს არა მხოლოდ ირანის კვალის არსებობაზე სვანეთში, უფრო მეტიც, სვანეთისა და სასანიანთა ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირზე.

## 2.3. პიზანტიური ფულის ნიშნები სვანეთში

სვანეთის რეგიონში ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფია:

1. იმპერატორ ლეონ I-ის (457-474) მონეტა ნაპოვნია ცხუმარში (მესტიის მუნიციპალიტეტი) ოქროს ძიების დროს 1937 წელს<sup>4</sup>. დაცულია სემ-ის განძების ფონდში №1678. იმავე წელს იქვე აღმოჩნდა ანასტასი I-ის (491-518) სოლიდი<sup>5</sup>. დაცულია სემ-ის განძების ფონდში №1679.
2. 1938 წელს გ. ნიკოლაძემ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა სვანეთში შეძენილი იმპერატორ იუსტინე II-ის (565-578) სპილენძის 40 ნუმიანი მონეტა. მონეტა დაცულია სემ-ის განძების ფონდში №7869<sup>6</sup>.
3. XX საუკუნის 70-იან წლებში მესტიის მუზეუმში ბიზანტიური ორი ოქროს მონეტა (სოლიდი) შევიდა. ორივე ირაკლი (ჰერაკლე) კეისრის მონეტაა, ერთი მონეტა ირაკ-

<sup>1</sup> თ.აღაშვილი, დ.გოგაშვილი, ს.გურული, ნ.კიტოვანი, მ.პატარიძე, მ.ხიზანიშვილი, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი (მესტია, უშგული). გზამჯვლევი (თბილისი, 2009), 19

<sup>2</sup> А. Борисов, В. Луконин, *Сасанидские геммы* (Ленинград, 1963), Таб. №20, 78

<sup>3</sup> ქ. ი. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში (თბილისი, 1979), 72

<sup>4</sup> თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (თბილისი, 1965), 34; შ. ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I „(სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები), (თბილისი, 1976), 57; I. Tsukhishvili, G. Depeyrot, *History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.)* (Moneta, Wetteren 2003), 40.

<sup>5</sup> აბრამიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები“, 38; ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“, 57; Tsukhishvili, Depeyrot, *History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.)*, 40

<sup>6</sup> აბრამიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები“, 38; ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“, 57; Tsukhishvili, Depeyrot, *History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.)*, 40

ლისა და მისი ორი ვაჟის ირაკლი-კონსტანტინეს და ირაკლიონის გამოსახულებით (დანართი VI. 1), მეორე – ირაკლი და ირაკლი კონსტანტინეს (დანართი VI. 2) 613-14 წლიდან 630 წლამდე და შემდეგაც მოჭრილი მონეტა<sup>1</sup>!

V-VI საუკუნეებში სვანეთი ბიზანტია-ირანის დაპირისპირების ერთგვარ პოლიგონად იქცა. სვანეთის საკითხთან დაკავშირებული დიპლომატიური ომი, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, ფაქტობრივად უშედეგოდ მთავრდებოდა. ეს ის რეგიონი იყო, რომლის დათმობა არც ერთ მოდავე სახელმწიფოს არ სურდა. აქედან გამომდინარე, როგორც სასანიანთა ირანის მიერ მოჭრილი დრაქმების, ასევე ამ დროის ადრებიზანტიური მონეტების მოხვედრა სვანეთში ლოგიკურია. მათი მოხვედრა აქ შესაძლებელია სამხედრო ოპერაციების შედეგიც იყოს და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანეთის როლი არ უკავშირდებოდა მისი როგორც მხოლოდ სტრატეგიული რეგიონის მნიშვნელობას, აქ ეკონომიკური ინეტერესებიც იკვეთებოდა<sup>2</sup>. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ოქროს ფული – სოლიდი სასანურ დრაქმებთან შედარებით, სავარაუდოდ, უპირატესობით სარგებლობდა ბაზარზე, მით უფრო მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ V საუკუნის განმავლობაში ბიზანტიური მონეტა აღმოსავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიმოიქცეოდა<sup>3</sup>.

სვანეთის გამო გაჩაღებული, ბიზანტია-ირანის ომის კონტექსტში, განსაკუთრებულად საინტერესოდ ჩანს სვანეთში იუსტინე II-ის (565-578) სპილენძის მონეტის აღმოჩენა. წყაროებიდან ცნობილია რომ, იუსტინე II სასყიდელის გაღებაზეც კი თანახმა იყო ირანისათვის, რათა არ დაეთმო სვანეთი<sup>4</sup>. მაგრამ როდესაც საწადელს ვერ მიაღწია და ირანის მეფის ხოსროს დესპანები გზიდან გააპრუნა<sup>5</sup>, საბოლოოდ ისევ იარაღს მოჰკიდა ხელი და 575 წელს ბიზანტიელები სვანეთში შეიჭრნენ. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ირანის მომხრე მთავარი დაატყვევეს და საგანძურით, ცოლით და შვილებით კონსტანტინოპოლიტი წაიყვანეს. ამის შემდეგ სვანეთი ბიზანტიას გადაეცა<sup>6</sup>. არა მარტო სვანეთი, არამედ სრულიად ლაზიკა ბიზანტიის გავლენის სფერო გახდა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ იუსტინე II (565-578) -ის სპილენძის მონეტები ისტორიული ლაზიკის ტერიტორიაზე. სვანეთის გარდა ეს საფასეები აღმოჩნდა ოჩამჩირესა და ბიჭვინთაში<sup>7</sup>.

VII საუკუნეში ერაკლე კეიისრის (610-641) ლაშქრობების (626-627) შედეგად საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში ერთხანს ბიზანტიის ჰეგემონია დამყარდა. 622 წელს ჰერაკლე კეიისარმა დატოვა კონსტანტინოპოლი და თავისი ჯარით კაპადოკიისა-

<sup>1</sup> ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“, 56-57

<sup>2</sup> გოზალიშვილი, „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის“, 223

<sup>3</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ. ქართული ნუმიზმატიკა, 150

<sup>4</sup> მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა III, 228

<sup>5</sup> ათანელიშვილი, „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562-590)“, 27

<sup>6</sup> ყაუხჩიშვილი, ბერაძე, სვანეთის ხელმეორედ აღება ბიზანტიელების მიერ, 96

<sup>7</sup> აბრამიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები“, 124; Tsukhishvili I., Depeyrot G. History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.), 40

კენ გაემართა, სადაც ირანელები დაამარცხა. როდესაც ირანის შაპი გაძლიერებული ლაშქრით გამოემართა, ჰერაკლეს იბერიელთა, ეგრისელთა და აფხაზთა მაშველი ძალები მიუვიდნენ. მაგრამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც კეისარს სპარსელთა ლაშქარი მოეწია, ეგრისელებსა და აფხაზებს მოკავშირეობაზე უარი უთქვამთ და შინისაკენ გამგზავრებულან. ამის შემდეგ ჰერაკლე უკავშირდება ხაზარებს, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ბიზანტიის მონოდებას და იმდენად დიდი იყო ნადავლის ჩაგდების სურვილი, რომ თვით ხაზართა ხაკანი – ჯიბლუ ჩაუდგა ჯარს სათავეში. 627 წ.-ის შემოდგომაზე თბილისთან ხაზარებს ლაზიკიდან დიდი ჯარებით გადმოსული ჰერაკლე შეეგება. მოკავშირეებმა ყველანაირ ღონეს მიმართეს, მტკვრის გადაკეტვაც კი განიზრახეს, რომ მდინარის წყალი ქალაქზე მიეშვათ, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. როგორც ხაზარებმა, ისე ბიზანტიელებმა თბილისის კედლებთან დიდი ზარალი ნახეს და ქალაქს გაეცალნენ. 628 წელს ზავი დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის. ამის შემდეგ თბილისის ბედიც გადაწყდა. 628 წელს ორი თვის მედგარი ბრძოლის შემდეგ ხაზარებმა თბილისი აიღეს. ქალაქში შეჭრილმა ხაზარებმა ველური სისასტიკით გაულიტეს ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. დაატყვევეს მთავრები, რომლებიც ჰერაკლე კეისარს მიჰვარეს, რომელმაც მათ ჯოჯოხეთური სატანჯველი გადაუწყვიტა.

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების შედეგად ამიერკავკასიაში კარგა ხნით ბიზანტიის პოლიტიკური ჰეგემონია დამყარდა. ქართლის ერისმთავრობა კვლავ ადარნასემ მიიღო, რომელიც კეისრის მოადგილედ ითვლებოდა<sup>1</sup>.

თუ ქართლის ერისმთავართა ხელისუფლების წარმატებისათვის ამ პატივს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე დასავლეთ საქართველოში, ეგრისში. VII საუკუნის დამლევს იქ „მეფის“ ნაცვლად უკვე „პატრიკიოსი“ იხსენიება<sup>2</sup>. თუმცა ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროს ქვეყანა ერთგვარ დამოუკიდებლობას კიდევ ინარჩუნებდა და ბიზანტიის იმპერიის უბრალო პროვინციის მდგომარეობამდე არ დასულა.

ჰერაკლე კეისრის არა ერთი მონეტაა აღმოჩენილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება ოქროს მონეტებს, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კონცენტრირებული. 1940 წელს ირაკლი და ირაკლი-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტა – სოლიდი აღმოჩნდა სოფელ დიდჭყონში (მარტვილის მუნიციპალიტეტი)<sup>3</sup>. 1958 წელს სოფელ ჩიბათში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა განძი, რომელშიც 14 ცალი ჰერაკლე კეისრის სოლიდი იყო<sup>4</sup>.

არსებობს მოსაზრება, თითქოს ჰერაკლე კეისრის ოქროს მონეტები არა ეკონომიკური ხასიათისაა. იგი უფრო მილიტარისტულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ჰერაკლეს მონეტები დაკავშირებული იყო მის საჯარისო კონტიგენტთან, რომელიც დასავლეთ საქარ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II (1973), 282

<sup>2</sup> იქვე, 283

<sup>3</sup> Е. Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавка*, вып. V (Баку, 1949) №1441; აბრამიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები“, 124-126

<sup>4</sup> Tsukhishvili, Depyrot, History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.), 40

თველოს ტერიტორიაზე იყო დისლოცირებული. საქართველოში ჰერაკლეს მონეტების აღმოჩენების არეალი ზუსტად იმეორებს მისი ლაშქრობის მარშრუტს. როგორც ცნობილია, მან აღმოსავლეთ საქართველო დალაშქრა და, სავარაუდოდ, იბერიაში ლაზიკის საზღვრებიდან შეიჭრა<sup>1</sup>. ამ მოსაზრებას ჰერაკლეს მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფიაც უმაგრებს ზურგს. ჰერაკლეს ერთი მონეტა არგვეთის ტერიტორიაზეცაა ნაპოვნი, 1950 წელს სოფ. ქორეთში (საჩხერის მუნიციპალიტეტი) ჰერაკლეს ჰექსაგრამი (ვერცხლის მონეტა) აღმოჩნდა. ეს რეგიონი კი აღმოსავლეთ საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირშია და, შესაძლოა, კეისარი იბერიაში სწორედ ამ რეგიონიდან შეიჭრა. ჰერაკლეს დასაშვებია ჰერაკლეს ლაშქრობა ლაზიკის უკიდურეს ჩრდილოეთში, მართალია, საისტორიო წყარო ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ჰერაკლე კეისრის სოლიდების სვანეთში აღმოჩენა ამ ფაქტის პირდაპირი დადასტურებაა. საურადღებოა აგრეთვე რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიორასთან, აღმოჩენილი ირაკლი კეისრის ოქროს მონეტა<sup>2</sup> (დანართი VI. 3). მართალია, ერთი მონეტაა, მაგრამ ვინაიდან ეს ტერიტორია მოცემული ჰერიოდისათვის სვანეთის შემადგენელი ნაწილია, თითოეული სამონეტო აღმოჩენა მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ამ რეგიონში კი გამოდის, რომ სულ ჰერაკლე კეისრის სამი სოლიდია აღმოჩენილი.

ლაზეთის სამეფოს ხანაში სვანეთის საერისთავოს ტერიტორიის საზღვარი პატარა მდინარე მუშვანამდე აღწევდა, რომელიც დღევანდელი სოფ. უწერის ქვემოთ მდ. რიონს მარჯვნიდან შეერთვის<sup>3</sup>. თ. ბერაძის აზრით, ამ პატარა მდინარის სახელწოდება: „მუშუანი“, შემოკლებული „მუშუან ჭალაი“ – სვანების მდინარე უნდა იყოს<sup>4</sup>. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვიხილოთ ამ მონეტების სვანეთში მოხვედრის ორი ვარიანტი. პირველი – ჰერაკლემ სვანეთშიც ილაშქრა, რადგან ძალიან მარტივი იყო არგვეთიდან ჭიორაში გადასვლა, იქედან ენგურს ზემოთ ასვლა და ამ მონეტებს მართლაც „მილიტარისტული“ ფუნქცია ჰქონდა. მეორე – შესაძლებელია ლაზიკის მთიანეთში არ ულაშქრია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სვანეთის მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკურ კავშირს ბართან, ეს მონეტები იქ ეკონომიკური მიზნებით მოხვდა. ვფიქრობ, ორივე ვერსიას აქვს არსებობის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში XI საუკუნის ბიზანტიური მონეტების მიმოქცევა, ისევე, როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოში ლოგიკურია, უცნაურია, მაგრამ ამის დამადასტურებელი ნუმიზმატიკური მასალა არ შემორჩა. სამაგიეროდ სვანურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ნახსენებია ფულის სახელწოდებები: „აურა“ და „დრახეანი“. რა ვიცით ამ ტერმინების შესახებ? ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართული „აურა“ ბერძნული „არგვირა“ უნდა იყოს, მაგრამ ზეპირად და არა მნიგნობრულად შეთვისებული“, „აურა ბიზანტიური ვერცხლის ფულს ეწოდებოდა, რომელიც XI ს-ის საქართველოში-აც ყოფილა გავრცელებული<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, 163

<sup>2</sup> Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып.VII (Баку, 1957), №1579; აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 126; Tsukhishvili, Depeyrot, History and coin finds in Georgia (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.), 40

<sup>3</sup> თ. ბერაძე, „სვანეთი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში“ (მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), კრებული „სვანეთი – ქართული კულტურის სავანე“ (თბილისი, 2008), 62

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (ტფილისი, 1925), 19; გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია, ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი (თბილისი, 2009), 14



მიქაელ მთავარანგელოზის ხატი,  
საქტიოტორო წარწერით XIII ს. ლატალის  
თემი. წინა და უკანა მხარე  
სიერთ-მესტია

Icon of Archangel Michael With an extensive dedicatory inscription 13th century Wood, candle and resin paste, silver-gilt, niello, gem-stones, intaglio  
31x23 cm From Latali Commune. front, back

„ნ (მიდა) ო მთ (ა)  
ვარ (ა) ნგელოზი: მუხერის (ა) ო: ხელთუქმარო  
იდენ: მეფენი ბაგრ (ა) ტუნიანნი და დიანი:  
და დიდებულნი: და ერთობ (ი) ლისაქ (ა) რთველო  
და ყოველნის (უ) ანნი: და ხევი: ლატალისა: და  
აღაშენება მაშენებელი შენის სოფელი ლაილისა და:  
ყოველი მიდებული შენი. ამ (ე) ნ:  
„მე მამ (ა) ს (ა) ხლისსა: ცოდვილსა და დეკ (ა)  
ნოზ (ს) ა ა (...) შეუნდეგნ: ლ (მერთმა) ნ:“



## დანართი X



1



რუმის სასულთნო. ქაი ხუსრევ II  
(1236-1245). სივასი 1241 წ. ვერცხლი  
სიემ-მესტია  
Seljuk coin Sultan Rhias AD-Din Kaikhusrav II  
(1236-1245). Dirham 1241. Silver  
SMHE-Mestia



2



ტრაპიზონის იმპერია. მანუელ I  
(1238-1263). ასპრი. ვერცხლი  
სიემ-მესტია  
Trebizond Aspr Caesar Manuel I  
(1238-1263). Silver  
SMHE-Mestia



3



დირჰემი. ანონიმური. ყაანური. II ტიპი.  
თბილისი 1270 წ. ვერცხლი  
სიემ-მესტია  
Anonymous Qaanuri. Tbilisi. 1270.  
Dirham. Silver  
SMHE-Mestia



4



დირჰემი. ანონიმური. ყაანური. II ტიპი.  
თბილისი 1270 წ. ვერცხლი  
სიემ-მესტია  
Anonymous Qaanuri. Tbilisi. 1270.  
Dirham. Silver  
SMHE-Mestia



5



დირჰემი. ანონიმური. ყაანური. II ტიპი.  
თბილისი. 1270 წ. ვერცხლი  
სიემ-მესტია  
Anonymous Qaanuri. Tbilisi. 1270.  
Dirham. Silver  
SMHE-Mestia

პირველი განძი. 1-25 ტრიპიზონის იმპერიის ასპრის ადგილობრივი, ქართული მინაბაძი. სიემ-მესტია  
First hoard. 1-25. Local, Georgian imitation of Trebizond asper. SMHE-Mestia



დანართი XI



11



12



13



14



15



16



17



18



19



20





21



22



23



24



25

## დანართი XII

მეორე განძი. 1-18. ტრაპიზონის იმპერიის ასპრის ადგილობრივი, ქართული მინაბაძი. სიემ-მესტია  
Second hoard. 1-18. Local, Georgian imitation of Trebizond asper. SMHE-Mestia





11



12



13



14



15



16



17



18

17. სამცხის ათაბაგების მონეტა.  
ვერცხლი.  
სიქმ-მესტია  
Coin of Atabeks of Samtskhe.  
Silver.  
SMHE-Mestia

18. შეიხ უვეისი (1356-1374). ჯელაირიანი.  
ვერცხლი.  
სიქმ-მესტია  
Sheih Oveis (1356-1374) Jalairid.  
Silver.  
SMHE-Mestia

### დანართი XIII

მესამე განძი. 1-10. ტრაპიზონის იმპერიის ასპრის ადგილობრივი, ქართული მინაბაძი. სიემ-მესტია  
third hoard. 1-10. Local, Georgian imitation of Trebizond asper. SMHE-Mestia



აჰმედ ჯელაირი (1382-1412) და  
გიორგი VII (1389-1407). ვერცხლი  
სიემ-მესტია  
Ahmed Jalairid (1382-1412) and  
Giorgi VII (1389-1407). Silver  
SMHE-Mestia

8. გიორგი VII (1389-1407). ვერცხლი.  
სიემ-მესტია  
Giorgi VII (1389-1407). Silver  
SMHE-Mestia

10. შეიხ უვეისი (1356-1374) ჯელაირიანი.  
ვერცხლი.  
სიემ-მესტია.  
Sheih Oveis (1356-1374) Jalairid. Silver.  
SMHE-Mestia

„დრახვანი“ იგივე „დრაჟკანი“ – ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია ქართულ წყაროებში XIII საუკუნის ჩათვლით<sup>1</sup>. ამ ტერმინით აღინიშნებოდა ბიზანტიური ოქროს მონეტები და მუსლიმური დინარიც<sup>2</sup>.

ტერმინი აუკრა ნახსენებია ორ საბუთში: „დაწერილი სოფლისა ხუცეს გიორგი ხაფთანანისადმი“ და „დაწერილი სოფლისა სინელისადმი“, აქედან პირველ საბუთში „აუკრასთან“ ერთად „დრახვანიც“ არის დაფიქსირებული<sup>3</sup>.

„დაწერილი სოფლისა ხუცეს გიორგი ხაფთანანისადმი“ – ნაკანი წარწერაა ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესის (დანართი VI. 4) ჩრდილოეთ კედელზე ნუსხური დამნერლობით. ეს არის საბუთი, სადაც ჩამოთვლილია განძი, რომელიც სოფელმა „მიუთვალა“ გიორგი ხუცესს. აქ დასახელებულია სამოცდასამი აუკრა, შვიდი დრახვანი, „ოცდაათისა დრახვანისა წონით სხვად შეყრილი ვერცხლი“ და ხუთი ბეჭედი<sup>4</sup>.

მეორე საბუთი – „დაწერილი სოფლისა სინელისადმი“, რომელიც ადიშის მაცხოვრის ეკლესიაშია (დანართი VI. 5), ნაკლულია, მაგრამ ნახსენებია აუკრა უ „რაც ნიშნავს 400 აუკრას, რომელიც ასევე „მიუთვლია“ სოფელს სინელი ხუცესისთვის. წარწერის ავტორი, ვ. სილოგავას აზრით, ადიშელი ხუცესია.

ორივე საბუთი უაღრესად საინტერესოა სხვადასხვა მოსაზრებებით. ამ წყაროების მიხედვით, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ამის დამამტკიცებელი ფაქტობრივი ნივთიერი მასალა არ შემოგვრჩა, ბიზანტიური ვერცხლისა და ოქროს მონეტები ამ რეგიონში, სავარაუდოდ, XIII საუკუნის ჩათვლით აქტიურ მიმოქცევაშია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საბუთების შინაარსი ჩვენი კვლევის ეთნოლოგიურ-კონფესიური ნაწილისთვის. რის გამოც მათ კიდევ ერთხელ მივუბრუნდები.

## 2.4. დავით IV აღმაშენებლის მონაცეპი სვანეთიდან

2009 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ სვანეთის (მესტია-უშგული) მუზეუმში მივლენილი კომპლექსური ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს საშუალება მომეცა, მემუშავა იქ დაცულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე, რომელთაგანაც საყურადღებოდ ჩანდა ვერცხლის საფასე, რომელიც სამუზეუმო დავთარში გატარებული იყო როგორც გიორგი II-ის (1072 – 1089) მონეტა. მონეტა იმავე სახელწოდებით პუბლიკაციაშიც მოხვდა<sup>5</sup>. ნივთის დათვალიერებისას შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოთხი ასომთავრული გრაფემის ამოკითხვა, რომლიდანაც, საბედნიეროდ, ორი გრაფემა – „Ծდ“ (დთ), მეფე დავითის სახელს მიანიშნებდა. ზედნერილის ამოკითხვით და ცნობილი ქართველი

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, 15; თ. ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“ კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (თბილისი, 1938), 296; გ. ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XII საუკუნეების საქართველოში“, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია (თბილისი, 1976), №88; დუნდუა, ჯალალანია, ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, 55

<sup>2</sup> დუნდუა, ჯალალანია, „ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი“, 55

<sup>3</sup> ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები (თბილისი, 1988), 201, 204

<sup>4</sup> იქვე, 202

<sup>5</sup> ჩართოლანი, „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის I“, 56

მეცნიერების მიერ<sup>1</sup> გამოქვეყნებული სხვა მონეტების გამოსახულებებთან შედარებით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს დავით აღმაშენებლის ვერცხლის ფულთან<sup>2</sup>.

საერთოდ, დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასე საკმაოდ იშვიათ ემისიათა რიგს განეკუთვნება. საქართველოში სულ ექვსი ცალია ცნობილი, აქედან ორი სვანეთის რე-გიონიდან არის.

### სვანეთში აღმოჩენილი დავით აღმაშენებლის მონეტების აღწერილობა

1. ვერცხლი. ნ. 0, 61გრ, ზ. 24/23 მმ

Av. ვლაქერნის ღმრთისმშობლის (დანართი VII. 1) გამოსახულება წელზევით, პირდაპირ, თავის ორივე მხარეს ბერძნული წარწერის ნაშთი. ამოკითხვა შეუძლებელია.

Rv. მონეტის კიდეებზე განლაგებულია დაქარაგმებული ასომთავრული ზედნერილი:  
... ზდ ზფ..

(ქრისტე) (ადიდე) ზ (ავი) დ ზფ (ხაზთა) (მეფე).

ქრისტე ადიდე დავით აფხაზთა მეფე

ცენტრში:

ზუ სუსეს

და სევასტოსი

ზუ სუს (ა) სე (ოს) I

შენიშვნა: მონეტა გახვრეტილია.

აღწერილობაში ხაზგასმულია, რომ მონეტას კიდეზე ნახვრეტი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საფასის მიმოქცევიდან გასვლის შემდეგ, მას რომელიმე რიტუალისთვის იყენებდნენ. მონეტა იმდენად დაბალი წონისაა და საკმაოდ თხელი, რომ საეჭვოა სამკაულად ეტარებინა ვინმეს. სავარაუდოდ, ის ხატისთვის არის შენირული. ამ მონეტის საკრალურ დანიშნულებას აძლიერებს მასზე გამოსახული ვლაქერნის ღვთისმშობელი.

უკვე ითქვა, რომ სვანეთში დავით აღმაშენებლის მონეტის აღმოჩენის ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო. მანამდე ცნობილი იყო კიდევ ერთი საფასე.

1949 წელს გიორგი ჩუბინაშვილის ექსპედიციის მიერ ზემო სვანეთში, კალას თემში, კვირიკესა და ივლიტას ეკლესის (ლაგურკას) საგანძურში იქნა მოპოვებული დავითის ვერცხლის მონეტა, რომელიც ჯვრიანი ტიპის სახელით არის ცნობილი. ამჟამად ის დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

### მონეტის აღწერილობა

ინვენტ. №22446, ნ. 0, 56გ, ზ. 23/24მმ

Av. ვლაქერნის ღმრთისმშობლის (დანართი VII. 2) გამოსახულება წელზევით, პირდაპირ, თავის ორივე მხარეს ბერძნული წარწერის ნაშთი, რომელიც არ იკითხება.

Rv. ცენტრში ტოლმკლავიანი ჯვარი, რომლის მკლავები შევსებულია ჯვრულად განლაგებული ხუთ-ხუთი წერტილით. მის გარშემო არის წერტილოვან წრეში ჩასმული ქართული ასომთავრული რელიეფური წარწერა. ამ მონეტაზე იკითხება:

ზუ სუს... ფის... სუ

<sup>1</sup> Р. Кебуладзе, „Клад из села Цихесуори“ НС (*Нумизматический Сборник*) (Тбилиси, 1977) 98-109; 3. Сილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (თბილისი, 2006), 223-252

<sup>2</sup> მ. პატარიძე, „დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან“. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე 2011, IV (49-B) (თბილისი, 2011), 295

სხვა ამ ტიპის დანარჩენ მონეტებზე არსებული წარწერების ურთიერთშეჯერების შე-დეგად მიიღება ტექსტი:

„† (ჰასტ) ၇, 2 (7) რი რ (747) დ ၂ (၇) ფი რი ს (747) დ (Qs) ၇“

„† (რისტ) ე, ა (დი) დე დ (ავი) თ მ (ე) ფე და ს (ევას) ტ (ოს) ი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მონეტა კვირიკე და ივლიტას სახელზე აგებულ ეკლე-სიაში, ლაგურკაში, ინახებოდა. ამ სალოცავის აგების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, სამაგიეროდ მხატვრობა, რომლის ავტორიცაა მეფის მხატვარი თევდორე, შესრულებუ-ლია 1112 წელს. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ტაძრის დასავლეთ კედელზე არ-სებული ასომთავრული წარწერა<sup>1</sup>. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე დავით აღმა-შენებელი ზის. ცნობილია, რომ 1103 წლიდან დავითი ყოველგვარ ბიზანტიურ ტიტულზე უარს ამბობს და, სავარაუდოდ, ამ ტიპის მონეტებს აღარც ჭრის, მაგრამ მიმოქცევაში აღნიშნული ემისია კვლავ რჩება. ჰიპოტეტურად დასაშვებია, რომ ეს მონეტა მიმოქცე-ვის თანადროულად მოხვედრილიყო სალოცავში<sup>2</sup>. სვანეთში საკმაოდ გავრცელებული იყო სალოცავში ფულის დატოვების რიტუალი, კეთილდღეობის ნაცვალგების მიზნით. ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა და გრძელდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონ-ში. მონეტის, როგორც სხვადასხვა რიტუალის თანმდევ ატრიბუტზე ცოტა ქვემოთ ვი-საუბრებთ.

ლაგურკაში ამ ტიპის მონეტის აღმოჩენის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ის ამჟამად სვანეთის (მესტიის) მუზეუმშია. სამწუხაროდ, მონეტა მხოლოდ ფრაგმენტის სახით შემორჩა. შესაბამისად, ზუსტი ატრიბუცია რთულია. ჩანს მხოლოდ წარწერის ნა-ნილი – რც სესტი (დანართი VII. 3) – და სევასტოსი. ამ ტიტულატურით საქართველოს ისტორიაში ორი მეფეა – დავით IV და გიორგი II. გადაჭრით თქმა, რომელ მეფეს მიეკუთ-ვნება მონეტა, ძნელია, რადგან ზუსტად ის ნაწილია დაკარგული, სადაც სახელის ინიცი-ალი უნდა იყოს. იკონოგრაფიული მსგავსების გამო გამოვთქვი ვარაუდი, რომ შესაძლოა ის დავით აღმაშენებლის მონეტა იყოს<sup>3</sup>, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ეს მცირე ფრაგ-მენტი, დანარჩენ ორ მონეტასთან ერთად, აშკარად მიანიშნებს, რომ გარდა რიტუალუ-რი ფუნქციისა, დავითის მონეტები ადგილობრივ ბაზარზე საკმარისად მიმოქცეოდნენ. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ამ მონეტების ძირითადი მიმოქცევის არეალი, აღმოჩენის შემთხვევების მიხედვით, დასავლეთ საქართველოა: აფხაზეთი, ვანი (ციხესულორი)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> რ. ყენია, ნ. „ზემო სვანეთი“ (შუა საუკუნეების ალადაშვილი ხელოვნება. გზამეცლევი) (თბილისი, 2000), 46

<sup>2</sup> მ. პატარიძე, „სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართ-ველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII (თბილისი, 2013-2014), 201

<sup>3</sup> მ. პატარიძე, „სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართ-ველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII (თბილისი, 2013-2014), 201

<sup>4</sup> ქებულაძე, „Клад из села Цихесуори“, 98-109; სილოგავა, „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“, 223-252; С. Шамба, *Монетное обращение на территории Абхазии* (V в. до н. э. – XIII в. н. э.) (Тбилиси, 1987), 104-114; Л. Хрущкова, *Лыхны средневековый дворцовый комплекс в Абхазии* (Москва, 1998), 36-41; Tsukhishvili, „Depeyrot History and coin finds in Georgia“ (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.), 92-96

ზოგადად, ბიზანტიურტიტულოვანი ქართული მონეტები, ვფიქრობ, უფრო რეგალიურ, პროკლამაციურ ხასიათს ატარებდა. მათი ემისიის ცვალებადობა და სიხშირე და-მოკიდებული იყო ქართველი მეფეების მიერ ბიზანტიური საკარისკაცო წოდებების: სევასტოპოლის, ნოველისისმოსის, კესაროსის, მილებაზე. ამით შეიძლება აიხსნას ამ ტიპის მონეტების მცირე რაოდენობით მოჭრა. ხანმოკლე ემისია კი, შესაძლოა, გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებთანაც იყო დაკავშირებული. ეს მონეტები დიდი რაოდენობით არ შემორჩა დღემდე. ზუსტი მიზეზის დადგენა რთულია, თუმცა აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი, ამ მონეტების წონა და ფაქტურა არ იძლეოდა დიდხანს ბრუნვის საშუალებას. მათი განძად დაგროვებაც შეუძლებელი იყო, ვინაიდან საქართველოში, ისევე როგორც მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, იწყება გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური პროცესი – „ვერცხლის კრიზისი“. რა დროსაც ვერცხლის ფული გავიდა მიმოქცევიდან და მისი ადგილი სპილენძმა დაიკავა. ამიტომაც სალოცავში ეს მონეტები გაცილებით უსაფრთხოდ იყო და დაუზიანებლად შემორჩა. ამ კუთხით, სვანეთის რეგიონის როლი განსაკუთრებულია, ვინაიდან ჩვენს შთამომავლობას შემოუნახა სახელოვანი მეფის, დავით აღმაშენებლის, ორი მონეტა და მესამე ფრაგმენტი.

დავით აღმაშენებლის კიდევ ერთ მონეტას მივაკვლიერ 2016 წელს სტეფანწმინდის მუზეუმში.

2016 წლის 14 აპრილს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპერტებთან ერთად სამუშაო მივლინებით ვიმყოფებოდით სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში.

სტეფანწმინდის მუზეუმის ნუმიზმატიკურ ძეგლებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ვერცხლის მონეტამ, რომლის შესახებ საინვენტარო წიგნში (დავთარში) შემდეგი ცნობაა დაცული<sup>1</sup>:

რიგითი №128, ჩანერის თარიღი – 14. 11. 1998, ინვენტარის №1667 (2104), საგნის აღნერილობა – ფული (მონეტა) ნაკლული, მოტეხილი აქვს კიდე და გახვრეტილია. ნაპოვნია გაიბოტენის ციხეში. ნივთის რაოდენობა – 1ც. შემგროვებელი – სტეფანე ალიბეგაშვილი. მასალა – (?). ზომა d=2, 5; შენიშვნა – ნაკლული.

როგორც ჩანაწერიდან ირკვევა, ნივთი განსაზღვრული არ იყო. (დანართი VII. 4)

### მონეტის აღნერილობა

ივენტარის №1667 (2104), წონა – 1, 61; ზომა – 24/25. ვერცხლი.

Av. ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულება (ორანტის პოზიტი) ხელებალპურობილი, წელზევით, პირდაპირ, თავის ორივე მხარეს წარხოცილი ბერძნული ასოები, რომლებიდანაც გამოსახულების მარჯვენა მხარეს განირჩევა მხოლოდ – „MP“ „Theta“ ქართულად – „დედა ღვთისა“.

Rv. ცენტრში ტოლმკლავიანი ჯვარი, რომლის მკლავები შევსებულია ჯვრულად განლაგებული ხუთ-ხუთი წერტილით. ჯვრის გარშემო, წერტილოვან წრეში ჩასმული ქართული ასომთავრული რელიეფური წარწერაა, რომელიც იკითხება შემდეგნაირად:

† გ რ ... გ რ ... .

ქ ე ა დ ... ფ ე დ ... .

<sup>1</sup> დავთარში არსებულ ცნობებს სტილის დაცვით გთავაზობთ მ. პ.

როგორც ვხედავთ გრაფემების საკმაოდ მცირე რაოდენობის ამოკითხვაა შესაძლებელი, მაგრამ ამ ტიპის მსგავსი სხვა მონეტებზე არსებული წარწერების ურთიერთშეჯერების შედეგად იკითხება: † ი ღრუ რდ ჭჭ რა ს ე ც (იოტა)

„ქ (რისტ) ე, ა (დი) დ (ე) (დავით) (მე) ფე დ (ა) (სევასტოსი)“.

მონეტა, როგორც ჩანს, გახვრეტილი იყო და წლების განმავლობაში, არასასურველი გარემო პირობების გამო, გასკდა.

დეტალური შესწავლის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მეფის სახელი არ იკითხება, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ დავით IV აღმაშენებლის მონეტაა. დეტალი, რომელმაც ემიტენტის დასახელების საშუალება მოგვცა, მონეტის რევერსზე არსებული ჯვარია. რომელიც ბიზანტიურტიტულოვანი ქართული მონეტებიდან მხოლოდ დავით აღმაშენებლის მონეტაზე გვხვდება.

აღნიშნული საფასის შესახებ პუბლიკაცია პირველად სტეფანწმინდის მუზეუმის გზამკვლევში დაიბეჭდა<sup>1</sup>, სადაც წერია: „რევოლუციამდელი პერიოდის ისტორიის განყოფილებაში არსებული ორი საგამოფენო ვიტრინა აქვს დათმობილი ნუმიზატიკას“. შემდეგ ჩამოთვლილია მონეტები და მათ შორის – „დავითის (1089-1125) მონეტა“<sup>2</sup>. ნივთი ხსენებულ წიგნში დეტალურად არ არის აღნიშნული. როგორც ჩანს, გზამკვლევი შეუმჩნეველი დარჩა ქართველი ნუმიზატებისთვის, რის გამოც ეს მნიშვნელოვანი მონეტა ვერ ჩაერთო სამეცნიერო ბრუნვაში.

როგორც უკვე აღინიშნა, მონეტა გაიბოტენის ციხიდან გადმოიტანეს მუზეუმში.

გაიბოტენი – სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის, სიონის საკრებულოს ისტორიული სოფელია, სადაც მდებარებოს: კვირაცხოვლის ეკლესია, კვირელვთისშვილის ნიში, კოშკი, მთავარანგელოზის ხატი, ნიშთანა, საცხოვრებელი კომპლექსი კოშკით. ეს სოფელი პირველად XV საუკუნეების საბუთებშია მოხსენიებული, ციხე-კოშკებიც და ეკლესიაც და სალოცავი ხატი – „ნიშთანაც“ გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

აქედან გამომდინარე, მონეტა სალოცავში თანადროულად ვერ მოხვდებოდა. შესაძლოა ის ოჯახში ინახებოდა და როგორც ძლვენი შესწირეს სალოცავს. საკულტო ძეგლებისთვის მონეტების შენირვის ტრადიცია საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში. ამ მხრივ, არც ხევია გამონაკლისი.

XI საუკუნეში საქართველოში ფულის მიმოქცევის სურათს თუ დავაკვირდებით, აშკარაა, რომ უცხოური ფულის მასა გაცილებით ჭარბობს ადგილობრივ ემისიებს. იგივე ვითარებაა სვანეთის რევიონშიც. მიუხედავად იმისა, რომ აქ ადგილობრივი ქართული მონეტებიდან დავითის ორი მონეტაა აღმოჩენილი, გვაქვს წყარო, ეპიგრაფიკული ძეგლი – „დაწერილი სოფლისა სინელისადმი“<sup>3</sup>, სადაც მოხსენიებულია 400 აურა (XI საუკუნის ბიზანტიური ვერცხლის ფული). ეს საკმაოდ დიდი ოდენობის თანხაა, რომელსაც მხოლოდ ერთი სოფელი წირავს სალოცავს. სრულიად აშკარაა, რომ სვანეთშიც ისევე, როგორც მთელს საქართველოში, ამ ეპოქისთვის, უცხოური ვალუტა ინტენსიურად ბრუნავდა და შესაძლოა უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ადგილობრივი ფული.

<sup>1</sup> ლ. წიკლაური, ალექსანდრე ყაზბეგის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გზამკვლევი (თბილისი, 1971), 13

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> სილოგავა, „სვანეთის წერილობითი ძეგლები II“, 201

## 2.5. ერთიანი საქართველოს მონეფები სვანეთიდან

XII-XIII საუკუნეების საქართველოს მეფეების მიერ მოჭრილი ფული სვანეთის რეგიონში საკმაოდ მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. აქ წარმოდგენილია: გიორგი III-ის (1157-1184) არასწორი ჭედვის, თამარის (1184-1210), თამარისა და დავითის 1200 წ.-ის სწორი ჭედვის, გიორგი IV ლაშას (1210-1223) არასწორი ჭედვის 1210 წ., რუსუდან დედოფლის (1223-1247) 1227 წ. სპილენძის მონეტები. ეს მონეტები პირველად ხვდება სამეცნიერო ნაშრომში და ჩვენს ქვეყანაში დაფიქსირებულ ამავე ტიპის მონეტების ტოპოგრაფიულ რუკას ემატება სვანეთი, ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩინა მათი ზუსტი აღწერილობის გადმოცემა.

№3/1. გიორგი III (1157<sup>1</sup>-1184), 6. (იხ. დანართი VIII. 1)

4, 40; ზ. 14/21; სპილენძი. ჭედვა-არასწორი

Av. კუთხოვანი ფიგურული ჩარჩო, რომლის ცენტრში გიორგის სახელის საწყისი ასომთავრული გრაფემა ፲ (გ) ፩ ირგვლივ წაგრძელებული არაბული ასოებით იკითხება ლეგენდა: ملک / الملك حسام / المسيح – მეფე მეფეთა მესიის მახვილი.

Rv: ხუთვარსკვლავიან ვარდულის თითოეულ ბუდეში წერტილები, ხოლო ვარდულის გარეთ ხალიფას სახელი და წოდება:

الْمَقْتَى / لَامِر / اللَّهُ / امِير / الْمُؤْمِنِينَ

ალ-მუკთაფი / ლი-ამრ / ალლაჰ / მბრძანებელი / მართლმორწმუნება

<sup>1</sup> დღეისთვის უკვე შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ გიორგი III გამეფდა 1157 და არა 1156 წელს. თემო ჯოვანა, „საქართველოს მეფის გიორგი III-ის ალსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“, ოჩხარი. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, რედ. დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2002), 508-19

№251/1.<sup>1</sup> თამარი (1184-1210<sup>2</sup>). 1187ბ. (დანართი VIII. 2)

წ. 9, 27; ზ. 26/26. სპილენძი. ჭედვა არაწესიერი

Av. წნული ორნამენტის ცენტრში თამარის ფაქსიმილე  ე. ი“. თამარ“და დამდა  ასომთავრული დონი (၌) წერტილით.

Rv. არაბულად: **الملكة المعظمة  
جلال الدنيا و الدين  
تamar بنت كيوكى  
ظهور المسيح  
اعز الله انصاره**

ე.ი.

დედოფალი დიდებული  
დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა  
თამარ, ასული გიორგისა,  
განადიდოს ღმერთმან მისი დამხმარებელი

გარშემო არაბულად: **صاعف الله جلالها و مد ظلالها و اقبالها**, ე.ი. „გააორკეცებს ღმერთი მის დიდებას, განავრცობს მის ჩრდილს და განამტკიცებს მის წარმატებებს“.

<sup>1</sup> ქართული მონეტების აღწერილობებისას, კერძოდ კი არაბული ტექსტების თარგმანისთვის ვიხელმძღვანელე გორჩა ჯაფარიძის ნაშრომით. გ. ჯაფარიძე საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს.-ის პირველ მესამედში (თბილისი, 1995) 245-246

<sup>2</sup> თამარ მეფის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში ერთსულოვნება არ არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ უპირატესობას ვანიქებთ იურიდიულ დოკუმენტს – წუმიზმატიკურ მასალას, კერძოდ თამარის მონეტებს, რომელთა ნანილის მოჭრის თარიღი ქორნიკონით 430 (=1210) წელია. მათი რაოდენობა, საქმაოდ შთამბეჭდავია სამშვილდის განძშიც (დ. ბერიკაშვილი, მ.პატარიძე, სამშვილდის განძი, თბილისი, 2019). კატეგორიულად არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თითქოს თარიღი ქორნიკონით 430=1210 წ. მონეტის ხელოსნის მიერ მექანიკურად დაშვებული შეცდომა იყოს (კიალა ღვაბერიძე, „როდის გარდაცვალა მეცე თამარი“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX (2009), 97-104). საქმე ის არის, რომ თარიღი ასოების ს – „ზენი“-სა და „ზ-„ლას“-ის გრაფიკული მოხაზულობის მსგავსების საფუძველზე წარმოიშვა. ასომთავრულ ანბანში ამ ორ ასონიშანს მხოლოდ მარცხენა მხარეს ჩამოშვებული ხაზი განასხვავებს („ზ-„ზენი“ და „ზ-“ „ლასი“). ეს ერთი შეხედვით მცირე ვერტიკალური ხაზი ცვლის მონეტის მოჭრის თარიღს. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელია მასიური ტირაჟით გასულიყო მიმოქცევაში შეცდომით აღბეჭდილი თარიღი. ამავდროულად, თარიღზე განთავსებული „ზ“ – „ლასი“ არ გვხვდება ერთგვაროვანი მოხაზულობით (გორჩა ჯაფარიძე, „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, საისტორიო კრებული, ტომი 2 (2012), გვ. 357 სამშვილდის განძშიც, ორ ეგზემპლარზე (5308/2 ; 5291/2) ერთი და იგივე მონეტაზე ირგვლივ წარწერაში „ლასი“ – ზ (ორკბილიანი) და თარიღზე ზ (ერთკბილიანი) გვხვდება. გამოდის, რომ გრავიორმა ნამდვილად იცოდა რას კვეთდა (Пахомов, Монеты Грузии, 94). ნუმიზმატიკური ფაქტებიდან გამომდინარე, ჩვენ თამარის გარდაცვალების თარიღად 1210 წელს მივიჩნევთ.

Imitation minted on the basis of asper emission by John II (1289-1297), Emperor of Trebizond. Silver.

SMHE-Mestia



3

ტრაპიზონის იმპერიის ასპრის ადგილობრივი

იმიტაცია ქართული ასოებით. ვერცხლი.

მონეტა დაცულია ბერლინის ბოდეს მუზეუმის

მიუნცკაბინეტში

Local, Georgian imitation of Trebizond asper with

Georgian letters. Silver

Coin is preserved at Münzkabinett of Bode museum,

Berlin



4

ტრაპიზონის იმპერიის ასპრის ადგილობრივი

იმიტაცია ქართული ასოებით. ვერცხლი.

სეგ

Local, Georgian imitation of Trebizond asper with

Georgian letters. Silver

GNM



5

## დანართი XV



1

ლიტვა-პოლონეთის სამეფო. სიგიზმუნდ III (1587-1632). 1621 წ.

ორგა. ბილვოშის ზარაფხანა. ვერცხლი.

სიემ მესტია

Polish coin Sigismund III (1587-1632). Minted 1621 in Bydgoszcz Orta. Silver  
SMHE-Mestia



2

ირანი. სულეიმან I (1669-1694). მოჭრილია

1674/75. ვერცხლი.

სიემ-მესტია

Persia. Suleiman I (1669-1694). 1674/75. Silver.

SMHE-Mestia



3

ირანი. ბისტი. XVII ს. ვერცხლი.

სიემ-მესტია

Persia. Bist. 17th century. Silver

SMHE-Mestia



4

ირანი. შაჰი. XVII ს. ვერცხლი. სიემ-მესტია

Persia. Shah. 17th century. Silver. SMHE-Mestia



5

ირანი. ბისტი. XVII ს. ვერცხლი. სიემ-მესტია

Persia. Bist. 17th century. Silver. SMHE-Mestia

მეჰმედ III (1595-1603).  
ვერცხლი. ზაგემის ზარაფხანა.  
სიემ-უშგული  
Mehmed II (1595-1603).  
Silver. Zagemi mint  
SMHE-Mestia



მურად III (1574-1595).  
ვერცხლი. ზაგემის ზარაფხანა.  
სიემ-უშგული  
Murad III (1574-1595).  
Silver. Zagemi mint  
SMHE-Ushguli



მურად III (1574-1595).  
ვერცხლი.  
სიემ-უშგული  
Murad III (1574-1595).  
Silver.  
SMHE-Ushguli



მეჰმედ III (1595-1603).  
ზაგემის ზარაფხანა. ვერცხლი.  
სიემ-უშგული  
Mehmed III (1595-1603).  
Silver. Zagemi mint  
SMHE-Ushguli



მურად III (1574-1595).  
ზაგემის ზარაფხანა. ვერცხლი  
სიემ-უშგული  
Murad III (1574-1595).  
Silver. Zagemi mint  
SMHE-Ushguli



დანართი XVII



1



2



2

სელიმ III (1788-1808). ყურუში.

მოჭრილი ისლამბულში (ჰიჯრით 1203)

1889 წელს. ვერცხლი.

სიემ-უშგული

Selim III (1788-1808). Kurush minted in  
Istanbul in 1889 (hijri 1203). Silver.

SMHE-Ushguli

აქმედ III (1703-1730). ნიმბეშლიყი.

მოჭრილი კონსტანტინიაში (ჰიჯრით 1115)

1703 წელს. ვერცხლი.

სიემ-უშგული

Ahmed III (1703-1730). Nimbeshlik minted in  
Constantinia in 1703 (hijri 1115). Silver.

SMHE-Ushguli



3



ოსმალეთის იმპერია. ახტების განძი. ვერცხლი. XVII-XVIII სს. სიემ-უშგული

Ottoman Empire. Hoard of akces. Silver. 17th-18th cc. SMHE-Ushguli



1

ოსმალეთის იმპერია. ახჩების განძი. ვერცხლი. XVII-XVIII სს.

სიემ-უშგული

Ottoman Empire. Hoard of akces. Silver. 17th-18th cc.

SMHE-Ushguli



2

ოსმალეთის იმპერია. ახჩების განძი. ვერცხლი. XVII-XVIII სს.

სიემ-უშგული

Ottoman Empire. Hoard of akces. Silver. 17th-18th cc.

SMHE-Ushguli

## დანართი XIX



1

სელიმ III (1789-1808). პიჯ.  
1203/1789 წ. ყურუში. ისლამბული. სიემ-მესტია  
Sultan Selim III (1789-1808). hijri 1203/1789.  
Kurush. Istanbul. SMHE-Mestia



2

სელიმ III-ის (1789-1808). პიჯ.  
1203/1789 წ. ყურუში. ისლამბული. სიემ-მესტია  
Sultan Selim III (1789-1808). hijri 1203/1789.  
Kurush. Istanbul. SMHE-Mestia



3

სულთან სელიმ III-ის (1789-1808). პიჯ.  
1203/1789 წ. ყურუში. ისლამბული. სიემ-მესტია  
Sultan Selim III (1789-1808). hijri 1203/1789.  
Kurush. Istanbul. SMHE-Mestia



4

სულთან სელიმ III-ის (1789-1808). ყურუში.  
მოჭრის წელი არ ჩანს. ისლამბული. სიემ-მესტია  
Sultan Selim III (1789-1808). Year of emission  
not discernible. Kurush. Istanbul. SMHE-Mestia



5

სულთან სელიმ III-ის (1789-1808). ყურუში.  
მოჭრის წელი არ ჩანს. ისლამბული. სიემ-მესტია  
Sultan Selim III (1789-1808). Year of emission  
not discernible. Kurush. Istanbul. SMHE-Mestia



6

სულთან სელიმ III (1789-1808). პიჯ.  
1203/1789 წ. ყურუში. ისლამბული. სიემ-მესტია  
Sultan Selim III (1789-1808). hijri 1203/1789.  
Kurush. Istanbul. SMHE-Mestia



7

ოსმალეთის იმპერია. სულთან მაჰმუდ I (1703-1730). პიჯ. 1143 (1730). ალთუნი. ოქრო.  
ონის (რაჭის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი  
Ottoman Empire. Sultan Mahmud I (1703-1730). hijri 1143 (1730). Altun. Gold  
Oni (Racha) Museum of Local Lore



ერეკლე II (1762-1798). 1796 წ.  
თბილისი. ბისტი. სპილენძი  
სიემ-მესტია  
Erekle II (1762-1798). Minted 1796  
in Tbilisi Bisti. Copper  
SMHE-Mestia



1



ერეკლე II (1762-1798). თბილისი.  
ნახევარიბისტი. სპილენძი  
სიემ-მესტია  
Erekle II (1762-1798) Minted in Tbilisi  
Half-Bisti. Copper  
SMHE-Mestia



2



ერეკლე II (1762-1798). თბილისი. ბისტი.  
სპილენძი  
სეგ  
Erekle II (1762-1798) Minted in Tbilisi  
Bisti. Copper  
GNM



3



ერეკლე II (1762-1798). 1781 წ. თბილისი.  
ბისტი. სპილენძი  
სეგ  
Erekle II (1762-1798) Minted 1781  
in Tbilisi Bisti. Copper  
GNM



4





- 1 სამარხი. მიცვალებული მონეტით („ქარონის ობოლი“). გუდაბერტისას არქეოლოგიური ექსპედიციის ფოტო. მონეტა დაცულია გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.
- Burial. Deceased interred with a coin (Charon's obol). Gudabertka archaeological expedition photo. the coin is preserved at Gori S. Makalatia Museum of History and Ethnography.



ჰისტამენონ-ნომისმა. კონსტანტინე X დუკა (1059-1067). ოქრო.  
ზურტაკეტის ყორლანის სამარხში აღმოჩენილი მონეტა. სეზ  
Histamenon nomisma. Constantine X Doukas (1059-1067). Gold. GNM

მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ჯვარი. გამოსახულების მარცხნივ ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი.

Rv. ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით. მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უჭირავს. წმინდანის მარცხნივ ბერძნული ასოების დეტალები.

#### №4/7. მეფის სახელი არ იკითხება. (დანართი XIII. 7)

ვერცხლი. №. 1, 72გრ.; ზ. 20/21 მმ.

Av. ფეხზე მდგომი იმპერატორის გამოსახულება სტემით, სამრკალიანი გვირგვინით და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო ტანისამოსით. მარჯვენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი ან ჯვარი უჭირავს, გარკვევით არ ჩანს. მარცხენა ხელით დოინჯი აქვს. გამოსახულების მარცხნივ ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი.

Rv. ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით. მარცხენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უჭირავს.

#### №4/8. გიორგი VII (1389-1407). (დანართი XIII. 8)

ვერცხლი. №. 0, 80 გრ.; ზ. 16/14 მმ.

Av. ე.წ. „ადამიანის გახელილი თვალის“ სახე. მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია, რომელსაც მარჯვენივ და მარცხნივ კიდევ თითო წერტილი უზის. წერტილები ჩასმულია წვეტიან ოვალში. ოვალის – ე.წ. „თვალის“ ირგვლივ წარწერის თუ ხაზების ნაშთები.

Rv. ხაზოვანი და წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი. ცენტრში წარწერის ფრაგმენტები. ამოკითხვა შეუძლებელია

შენიშვნა: მონეტის ატრიბუცია მოხდა სხვა უფრო კარგად დაცული ეგზემპლარების მიხედვით.

#### №4/9. აჰმედ ჯელაირი (1382-1412) და გიორგი VII (1389-1407). (დანართი XIII. 9)

ვერცხლი. №. 0, 55 გრ.; ზ. 11/15 მმ.

Av. არაბული წარწერის დეტალები. საკმაოდ გაცვეთილია იმისათვის, რომ ზუსტი ამოკითხვა გახდეს შესაძლებელი

Rv. ასომთავრული ასოების ფრაგმენტები.

შენიშვნა: მონეტა საკმაოდ დაზიანებულია, გახვრეტილია და ატრიბუცია მოხდა ანალოგიური, მაგრამ კარგად დაცული მონეტის მიხედვით, რომელიც დაცულია ს. ჯანაშიას მუზეუმის ნუმიზმატიკურ აღმოსავლურ ძირითად ფონდში №3100.

**№4/10. შეიხ ოვეისი (1356-1374) ჯელაირიდი. (დანართი XIII. 10)**

ვერცხლი. ნ. 0, 40 გრ.; ზ. 12/10 მმ.

Av. არაბული ზედნერილი: **السلطان اويش خلد ملکه** – سلطان اویش خلد ملکه „، მისი“.

Rv. არაბული ზედნერილი: **لا اله الا الله و محمد رسول الله** – لا اله الا الله و محمد رسول الله „არ არს ლმერთი, გარდა ალა-ჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“

**სვანეთში აღმოჩენილი მონეტების ცალკეული შემთხვევები**

**№62/1. მანუელ I (1238-1263). (დანართი XIV. 1)**

ვერცხლი. ნ. 2, 60; ზ. 20/21 მმ.

Av. ფეხზე მდგომი მეფის გამოსახულება საიმპერატორო სამოსლით, თავზე სტემით, თვლებით მოოჭვილი ტანისამოსით. მეფეს მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ლაპარუმი უჭირავს, მარცხენაში – აკაკია (გრაგნილი), საიდანაც ეშვება ქსოვილი რამდენიმე თვალით. მეფის მარცხინი ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი. ასევე მარცხინი ვერტიკალურად ბერძნული წარწერა აკმ (კომნენოსი). მეფის მარჯვნივ ასევე ბერძნული წარწერა მასალ (მანუილი)

Rv. ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ მთელი ტანით. თავზე შარავანდებით და წმინდანის წაკეცებიანი შესამოსლით. მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვრიანი ლაპარუმი უჭირავს. ბერძნული წარწერა წმინდანის მარცხინი ვერტიკალურად – ეყვ (ევგენიოსი). წმინდანის მარჯვნივ – ი აცი (წმინდა) ანუ წარწერა იკითხება ასე – წმინდა ევგენიოსი.

შენიშვნა: მონეტა ერთგან გახვრეტილია.

**№13/1. იოანე II-ის (1280-1297) ასპრის მიხედვით მოჭრილი მინაპაძი. (დანართი XIV. 3)**

ნ. 2, 24 გრ.; ზ. 19/19 მმ.

Av. მეფის გამოსახულება მთლიანი ტანით, სამრკალიანი გვირგვინით და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო ტანისამოსით. მეფეს მარჯვენა ხელში მოკლებუნიანი ჯვარი

უჭირავს. მარცხენა ხელით დოინჯი აქვს. გამოსახულების მარჯნივ ბერძნული ასოებია ვერტიკალურად და იკო (იოანე კომნენოს) მარცხნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი და ქვემოთ სოლომონის ბეჭედი.

Rv. წმინდა ევგენიოსის გამოსახულება ბოლომდე პირდაპირ შარავანდედით და გულ-ზე თვლებით მოჭედილი ნაკეცებიანი ტანისამოსით. მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უჭირავს. წმინდანის მარცხენა მხარეს ბერძნული ასოები: ყენი (ევგენიოს)

სვანეთის ეს განძები სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ხვდება. მათი შემადგენ-ლობის და სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა რამდენიმე კონკ-რეტული თუ ზოგადი ხასიათის მოსაზრების გამოთქმა.

უპირველეს ყოვლისა, ამ განძებმა კორექტივი შეიტანეს ტრაპიზონული ასპრების და მათი მინაბაძის მიმოქცევის არეალში. საქართველოში ამ მონეტების მიმოქცევის ტო-პოგრაფიულ რუკაზე აქამდე სვანეთი არ დაფიქსირებულა. მათი აღმოჩენის შემთხვე-ვები, ძირითადად, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფარავს. აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი – სვანეთის რეგიონი, რომელიც ეკონომიკურად დაკავშირებულია ბართან, ოფიკურია, რომ ამ მონეტების მიმოქცევის ტოპოგრაფიულ რუკაზე უნდა მოხვედრილიყო. ამ განძების არსებობა კიდევ ერთი საბუთია იმის სამტ-კიცებლად, რომ კავშირი ბართან ენგურს ზემოთ მცხოვრები მოსახლეობისა გვიან შუა საუკუნეებში საკმაოდ აქტიურია.

საინტერესოა, რა გზებით შემოდის ტრაპიზონული ასპრები საქართველოში? თ. ბე-რაძე დაეყრდნო რა ერთ-ერთ წყაროს, კერძოდ, ლამბერტო დე სამბუჩეტოს ნოტარია-ლურ საბუთს, წამოაყენა მოსაზრება, რომ ამ მონეტების შემოსვლის გზები არა მარტო უშუალოდ ტრაპიზონის იმპერიაზე გადიოდა, არამედ ასპრები ხშირად ჩრდილოეთ შა-ვი ზღვისპირეთიდან შემოდიოდა<sup>1</sup>. ეს კონცეფცია, ვფიქრობთ, არავითარ რევიზიას არ საჭიროებს და ნამდვილად ასეა, მაგრამ თუ უფრო დავაზუსტებთ, აქ ნაგულისხმებია დასავლეთ საქართველოს ბარი. სვანეთის რეგიონში კი ორიგინალური ასპრი ბარიდან ავიდა. სვანეთში ტრაპიზონული ასპრის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია დაფიქსირებული. მონეტა გახვრეტილია, რაც ორიგინალური ასპრებისთვის უცხოა. გახვრეტილი, ძირი-თადად, კირმანეული თეთრებია. ამ დეტალის გამო, ადვილად შესაძლებელია, მის უტი-ლიტალურ ფუნქციაზე ვიმსჯელოთ, მით უფრო მაშინ, როცა მონეტის წარმომავლობის შესახებ არაფერი ვიცით. ის ცალკეა შემოსული მესტიის მუზეუმში და არა კომპლექს-თან (განძთან) ერთად. შესაძლოა, მონეტა, მართლაც, სამშვენისად, მედალიონად იყო გამოყენებული, მაგრამ ტრაპიზონული ასპრი რომ ორგანულია სვანეთის რეგიონის მი-მოქცევისთვის, ამას ზურგს უმაგრებს სამი ზემოთ აღნერილი „სვანური“ განძის არსე-ბობა. სამივე განძის ძირითადი მონეტები ტრაპიზონული ასპრების მინაბაძია. მინაბაძი კი იქ არის მიმოქცევაში, სადაც ორიგინალი ფული ბრუნავს.

ეგრეთნოდებული „კირმანეული თეთრი“, იგივე ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბაძი, აგერ უკვე ორი საუკუნეა, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილია.

<sup>1</sup> Т. Берадзе, „Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии“ (Тбилиси, 1989), 111

ჯერ კიდევ 1844 წელს ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელმა მიხეილ ბარათაევმა (ბარათაშვილმა) გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოში იჭრებოდა ტრაპიზონის ასპრების იმიტაციები, რომლებიც მან გააიგოვა ქართულ წყაროებში მოხსენიებულ კირმანეულთან<sup>1</sup>. პირველი ფუნდამეტალური კვლევა ტრაპიზონულ ასპრებს მიუძღვნა რეტოვსკიმ<sup>2</sup> რომელმაც ტრაპიზონული ასპრების კლასიფიკაციის გარდა გამოყო იოანე II კომნენოსის ორიგინალური ასპრების ქართული მინაბაძები და მათ დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნია გამოსახულებათა დეტალების დამახინჯება, ლეგენდების არასწორი განთავსება და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ამოკითხვის შეუძლებლობა<sup>3</sup>. ვ. ლანგლუა მათ „კომნენოსების ასპრების იმიტაციას“ უწოდებს<sup>4</sup>. მინაბაძებად და საქართველოში მოჭრილად თვლის მათ თ. ლომოური<sup>5</sup>.

ე. პახომოვი თვლიდა, რომ ტრაპიზონის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს მჭიდრო პოლიტიკურ-დინასტიურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში ტრაპიზონული ასპრების ფართო ცირკულაცია, ხოლო როდესაც ამ მონეტების შემოსვლამ იყლო, დასავლეთ საქართველოში დაიწყო მათი იმიტაციების ემისია<sup>6</sup>. ტრაპიზონის ასპრების ქართულ მიმბაძელობად თვლიდა ამ სამონეტო ჯგუფს დ. ლანგიც<sup>7</sup>.

დავით კაპანაძე მათ არ მოიაზრებდა ტრაპიზონული ასპრების იმიტაციად და თვლიდა, რომ ეს სახელწოდება წმინდა ქართული წარმომავლობის იყო<sup>8</sup>.

სახელწოდება – „კირმანეული თეთრი“ ქართულ საბუთებში, სასისხლო სიგელებშია მოხსენიებული: თოფურიძეთა 1413-1444 წლების სასისხლო სიგელში წერია: „თუ ვისმენ ეშმაკისა მანქანებითა თოფურიძისა გუარისა კაცი მოკლას, ექვსასი ასი ათასი ძველი კირმანეული დაგიუროს...“<sup>9</sup>.

უურულიანთ 1460 წლის სასისხლო სიგელში ნათქვამია:.... „სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩინეთ ას სამოცი ათასი კილმანაური თეთრი... თუ ვინმე კადროს და თქუენისა გუარის კაცი მოკლას, დიდითა შემოხუენითა ას სამოცი ათასი კილმანაური დაგიურვოს“ ამ სიგელშივეა: „ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის“<sup>10</sup>.

სწორედ ამ წყაროების საფუძველზე დამკვიდრდა ქართულ მეცნიერებაში სახელწოდება – „კირმანეული თეთრი“<sup>11</sup>.

თამარ აბრამიშვილი თვლიდა, რომ ამ ფულს ქვეყნის (დასავლეთ საქართველოს) მმართველი ჭრიდა და სამონეტო ტიპი აღებული იყო ამ ტერიტორიაზე უკვე ბრუნვა-

<sup>1</sup> М. Баратаев, *Нумизматические факты грузинского царства*, СПБ (1844), 23-25

<sup>2</sup> O. Retowski, *Die Münzen der Komnenen von Trapezunt*. M. (1910) 108-129

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> V. Langlois, *Essai de Classification des Suites Monetaires de la Géorgie* (Paris, 1860), 8

<sup>5</sup> ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 302

<sup>6</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 197

<sup>7</sup> D. Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New-York. 1955), 82

<sup>8</sup> Д. Капанадзе, „Так называемые грузинские подражания трапезундским аспрам“. ВВ. М. (1950), 202

<sup>9</sup> თ. უორდანია, ქრონიკები. ნიგნი II (ტფილისი, 1897), 233

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია (ტფილისი, 1925), 177

<sup>11</sup> ს. კაკაბაძე „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“, საისტორიო მოამბე, ნიგნი I (ტფილისი, 1925), 8

ში შემოსული ტრაპიზონული ასპრების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად უარყოფდა ამ მონეტების მიმბაძველობად მიკუთვნებას და ფიქრობდა, რომ ზუსტი სახელწოდება „დასავლურ-ქართული ფული – კირმანეული“ უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას მეცნიერი ამყარებდა კიდევ ერთი საბუთით – 1455 წლის სასისხლო სიგელით, სადაც ნათქვამია: „ამა თეთრისა საქმე ასე უწოდეთ ბერძენ მეფეს კირმანეულ ერქვა და მისეულად კირმანეულისეული ჰქვიან“<sup>1</sup>. ამ მოსაზრებას გამოხმაურა გიორგი დუნდუა, რომელმაც სამართლიანად მიანიშნა ამ სახელის არა ქართული, არამედ ტერმინის ბერძნული წარმომავლობა<sup>2</sup>. გარდა ამისა, მეცნიერი თვლის, რომ ადგილობრივი ფული ამ მონეტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ენოდოს, თუკი დადასტურებული იქნება ემიტენტის (ქართველი მეფის) სახელი და ამბობს: „სხვა შემთხვევაში ისინი ან მინაბაძია ან სიყალბე“<sup>3</sup>.

თ. ბერაძემ თავის მონოგრაფიაში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო „კირმანეული თეთრის“ საკითხის შესწავლას. მან მიაკვლია ვაზელონის მონასტრის დოკუმენტებს, სადაც მოხსენიებული იყო ტერმინი „ასპრა-კირმანულატა“, ეს საბუთი იყო აქტი №64. მეცნიერმა ის გააიგივა ქართულ საბუთებში ნახსენებ „კირმანეულ თეთრთან“ და აღნიშნა, რომ ქართველებმა მხოლოდ და მხოლოდ გადმოთარგმნეს ეს სახელწოდება და ადგილობრივი მოსახლეობა ორიგინალურ ასპრსაც და მინაბაძსაც „კირმანეულ თეთრს“ უწოდებდა და ამგვარადვე მოიხსენიებდა სასისხლო სიგელებში<sup>4</sup>.

ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, არააირ რევიზიას არ საჭიროებს, ვინაიდან ქართულ ბაზარზე, სადაც ერთდროულად ბრუნავს ტრაპიზონული ასპრიც და მინაბაძიც, ხოლო წყაროებში ერთი სახელწოდებით იხსენიება, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ორივეს ერთი და იგივე სახელს უწოდებდნენ. უფრო მეტიც, ვფიქრობ, „კირმანეული თეთრის“ სახელწოდება შესაძლოა, სხვადასხვა ტიპის მონეტებსაც გულისხმობდა და ის, გარკვეულ პერიოდში, ქართული ფულის ზოგად ტერმინადაც იქცა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინი ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბაძი ყველაზე ზუსტი სახელწოდებაა. სახელწოდების სწორი შერჩევა ამ შემთხვევაში მისი არსის და ეკონომიკური ბუნების განმსაზღვრელიცაა და რატომ? ყველა ის პრობლემა თუ გადაუჭრელი საკითხი, რომელიც „კირმანეული თეთრის“ ორგვლივ არის დასმული, მეტნაკლებად გასაგები ხდება, როდესაც მინაბაძის არსს გავიხსენებთ. ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში ერთხმადაა აღიარებული მოსაზრება მინაბაძთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ამისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ ზუსტი ციტატა მოგვეყვანა: „Монеты-подражания следует отличать (особенно для античности и средних веков) от фальшивых монет, поскольку первые, как правило, чеканились правителями, обладавшими правом монетной чеканки. Изготовление монет-подражаний могло, однако, задевать интересы тех стран, где чеканились монеты, служившие образцом“.<sup>5</sup>.

<sup>1</sup> თ. აბრამიშვილი, „XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული)“ (თბილისი, 1959), 43

<sup>2</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ. „XIII-XV საუკუნეების დასავლურ-ქართული ემისიები“, 19

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Берадзе, „Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии“, 112

<sup>5</sup> В. Потин, „Введение в Нумизматику“. Труды государственного Эрмитажа, XXVI (Ленинградское отделение) (1986), 76

რაც შეეხება ტრაპიზონის ასპრების ქართული იმიტაციების გენეზისის მიზეზს, ამ საკითხთან დაკავშირებით თ. ბერაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომლის თანახმადაც მინაბაძების ემისის აუცილებლობა დავით ნარინის (1245-1293) დროს გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოს საზღვაო ვაჭრობის გაფართოების ინტერესებით. მისი განცხადებით, შავიზღვისპირეთის ყველაზე გავრცელებული მონეტა ტრაპიზონული ასპრია და ანალოგიური (მსგავსი) ფულის მოჭრა უადვილებდა ვაჭრებს ფართო მასშტაბით სავაჭრო ოპერაციების ჩატარებას<sup>1</sup>. გ. დუნდუა დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და დასინა, რომ იმ დროს, როდესაც შავიზღვისპირეთში XIII-XIV საუკუნეებში არსდება იტალიის ქალაქების (მაგ. გენუა) ფაქტორიები, შავი ზღვის სხვადასხვა რეგიონები ამ ფაქტორიების საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს. ფული, რომელიც მიმოქცევაშია ამ დროისათვის, ოქროს ურდოს დირჰემები და ტრაპიზონული ასპრებია<sup>2</sup>. ამავდროულად, გ. დუნდუა დაეყრდნო რა თ. ბერაძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შავიზრვისპირეთში ასევე მიმოქცეოდა ადგილობრივ ზარაფხანებში მოჭრილი ფული<sup>3</sup>, ჩათვალა, რომ საქართველოში მოჭრილი ფულიც თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო მიმოქცევაში. ტრაპიზონული ასპრების მინაბაძი, მეცნიერის მოსაზრებით, ინტერლოკალური მონეტების როლს ასრულებდნენ და მათი საშუალებით ხდებოდა ანგარიშნორება. როდესაც ქართველ ნეგოციანტებს შემოაკლდებოდათ ტრაპიზონული ასპრი, სწორედ მათი შეკვეთით უნდა მოჭრილიყო მინაბაძი დასავლეთ საქართველოს ზარაფხანაში. სახელმწიფოს, მათ შორის, მეფეს შეეძლო მონაწილეობა მიეღო მხოლოდ იმ ფორმით, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნება დაერთო ქუთაისის (სავარაუდოდ) ზარაფხანაში მოეჭრათ ეს ფული. რეგალიის საკითხიც, თვლის მეცნიერი, რომ არ იყო აქტუალური და ამდენად ტერმინი „ტრაპიზონული ასპრის ქართული მინაბაძი“ ზემდინევნით კარგად ასახავს დასავლეთ საქართველოში ჩატარებული ღონისძიების ზუსტ არსს<sup>4</sup>.

ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია. ე. წ. კირმანეული თეთრის სახით რომ საქმე გვაქვს მინაბაძებთან, ვფიქრობ, ეს კითხვებს არ უნდა აჩენდეს. მინაბაძის ფენომენი, თავისთავად გამორიცხავს მონეტაზე ემიტენტის, ამ შემთხვევაში ქართველი მეფის სახელის აღნიშვნას. ვერ გავიხსენებთ ქართულ ნუმიზმატიკაში შემთხვევას, როდესაც მინაბაძებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იჭრებოდა, სახელი განეთავსებინოს ადგილობრივ ხელისუფალს – მეფეს ან ფულის მოჭრაზე პასუხისმგებელ კონკრეტულ მმართველს. როგორც ჩანს, ეს მონეტები ითვლებოდა უცხო ქვეყნის ფულად, რომელსაც უკვე ჰყავდა ემიტენტი შესაბამისი გამოსახულებით. ამ შემთხვევაში ავერსზე – ტრაპიზონელი მეფის გამოსახულება და რევერსზე – ტრაპიზონის იმპერიის მფარველი წმინდანი ევგენიოსი. ადგილობრივი მმართველი თავის სახელს საიმპერატორო ტანისამოსით წარმოდგენილი მანუილ თუ იოანე კომნენოსის გამოსახულებაზე ვერ განათავსებენ. ეს კონცეპტუალურად ენინააღმდეგება მინაბაძის არსს. ასევე, ხელუხლებელია წმინდანის გამოსახულება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამონეტო ტიპის ბრუნვა თითქმის სამი საუკუნე გრძელდება (ქრონოლოგიის საკითხს ცალკე განვიხილავთ მ. პ.) და

<sup>1</sup> Берадзе, „Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии“, 112

<sup>2</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ. „XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები“, 21

<sup>3</sup> Берадзе, „Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии“, 111

<sup>4</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ. „XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები“, 22

ავერსზე გამოსახული ტრაპიზონის მფარველი ევგენიოსი ქართული სინამდვილისთვის არანაირად არ წარმოადგენს პოპულარულ წმინდანს, არ ყოფილა არც ერთხელ მცდელობა, ევგენიოსი ჩაენაცვლებინათ საქართველოსთვის უფრო მშობლიური წმინდანის გამოსახულებით. მაგალითად: მაცხოვრით, ღვთისმშობლით, წმინდა გიორგით და ა. შ. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ საქმე ნამდვილად გვაქვს მიბაძვასთან.

რაც შეეხება გენეზისის საკითხს. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ტრაპიზონული ასპრები ინტერლოკალურ მონეტებს წარმოადგენდნენ და ფართოდ მიმოქცეოდნენ მთელი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში. ამაზე მეტყველებს ჩვენს ქვეყანაში მათი აღმოჩენის არა ერთი შემთხვევა. მეორე საკითხია – რამ გამოიწვია მათი ადგილობრივი მინაბაძის გაჩენა? ერთადერთი პასუხია, რომ ქვეყანაში იკლო ორიგინალური ასპრების შემოსვლამ, ხოლო იმისათვის, რომ ადგილობრივი ბაზარი დაეკმაყოფილებინათ, იწყებენ ადგილობრივ ემისიას. მაგრამ საინტერესოა რომელი ქვეყნის და რომელი ბაზარისთვის იჭრებოდა ეს მონეტები? ვფიქრობთ, ამ მონეტების საჭიროება სხვადასხვა (გარე და შიდა) ბაზრებზე ქრონოლოგიურად ორ ეტაპად უნდა გაიყოს. ადრეული მინაბაძი, რომელიც ძალიან ახლოს დგას ორიგინალურ ასპრებთან, შესაძლოა გასულიყო შავიზღვისპირეთში სავაჭრო ოპერაციების შესასრულებლად. ეს, ძირითადად, ეხება მანუილ I კომენიოსის სახელით მოჭრილ ასპრების მინაბაძებს, რომელთა გარჩევა ორიგინალებისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს<sup>1</sup>. პირველ ეტაპად ჩვენ ვგულისხმობთ XIII ს. ბოლოს და XIV ს. დასაწყისს. ამ დროს მოჭრილი მინაბაძი წონით, გამოსახულების სისრულით შეიძლება ტრაპიზონული ასპრის ტოლფასად (მეტ-ნაკლებად) ჩაითვალოს და, შესაბამისად, მიმოქცევაშიც არ არის გამორიცხული, რომ ერთად იყო.

ამ მოსაზრების ნივთიერ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს განძი, რომელიც აღმოჩნდა უკრაინაში, ყირიმში, ქალაქ სუდაკთან ახლოს, ყურეში სოფელ “ნოვი სვეტში” (Новый Свет). წყალქვეშა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი, 1999 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოაჩინა XIII საუკუნის ჩაძირული სავაჭრო ხომალდი. ქალაქი სუდაკი, სადაც ეს აღმოჩენა მოხდა, თავის ციხესიმაგრესთან ერთად, შუა საუკუნეების მსხვილი ფორპოსტი იყო იტალიელი ვაჭრებისთვის შავ ზღვაზე<sup>2</sup>. ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი – სავაჭრო კონტრაქტის საბუთში, სადაც ის მოხსენიებულია, 1206 წლით თარიღდება. ამ დროიდან იწყება ყირიმის (ძველი სახელწოდებით ტავრიკის) იტალიური კოლონიზაცია, თავდაპირველად მშვიდობიანად და მხოლოდ ეკონომიკური ექსპანსიით. კერძოდ, გენუელები აქ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებენ. 1261 წლის ნიმუშების მოღაპარაკების შემდეგ უკვე საბოლოოდ იღებენ შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლებას ყოველგვარი გადასახადების გარეშე<sup>3</sup>.

<sup>1</sup> И. Соколова, „Кирманеули с именем Мануила из собрания Государственного Эрмитажа“. НС (Нумизматический Сборник) (Тбилиси, 1977), 110

<sup>2</sup> Л. Дергачева, С. Зеленко „Монеты Трапезунда с кораблекрушения XIII века в бухте поселка новый свет“. Судейский сборник вып. III. (Киев-Судак, 2008), 427

<sup>3</sup> იქვე, 426

წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩენილი ჩაძირული გემის დათვა-ლიერებისას, სავარაუდოდ, ერთ-ერთი კაიუტაში, აღმოჩნდა ერთმანეთთან შენიაღებული ვერცხლის მონეტების გროვა. ატრიბუციის შედეგად გაირკვა, რომ იყო 35 ვერცხლის მონეტა, ყველა ტრაპიზონის იმპერიის ასპრი, კერძოდ, მანუილ I-ის (1238-1263). არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ჩაძირვის მიზეზი გაჩენილი ხანდარი იყო, ეს კარგად ჩანს ხომალდის თანმხედებ მასალაზე – ამფორებზე, ხმელთაშუაზღვის კერამიკულ ჭურჭელზე, იტალიურ მინის ნაწარმზე. მონეტები, სავარაუდოდ, ქსოვილის საფულეში იდო, რომლისგანაც შემდეგ ერთი შენიაღებული გროვა დარჩა. კომპლექსი დათარიღებულია XIII ს.-ით<sup>1</sup>.

განძის შემადგენლობაში არსებული ყველა, 35 ცალი მონეტა, მეცნიერებმა ტრაპიზონულ ასპრად მიიჩნიეს. მხოლოდ ერთადერთ ეგზემპლარზე გამოთქვეს საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება. მონეტა, რომლის გამოსახულება უცნაურად მოეჩვენათ, წაგრძელებული ფორმების გამო, ჩათვალეს, რომ კონტრამარკას წარმოადგენდა<sup>2</sup>, უფრო ზუსტად, ტრაპიზონული ასპრი კომტრამარკირებული იქნა (монета контрамаркирована) რაღაც გაურკვეველი მიზნების გამო. ავტორი ამ საკითხს ლიდ ტოვებს, რადგან თვლის, რომ ლიტერატურაში ეს საკითხი არასოდეს გაშუქებულა და მოცემული მომენტისთვის შესაბამისი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი არ არის.

სამწუხაროდ, უშუალოდ მონეტა არ მინახავს, მაგრამ ფოტოს მიხედვით აშკარაა, რომ საქმე გვაქვს მანუილ I-ის (1238-1263) მინაბაძთან. არა მხოლოდ ეს (№28) მონეტა, განძის არის კიდევ ერთი (№26) საფასე, რომელზეც იგივეს თქმა შეიძლება<sup>3</sup>. მსგავსი მონეტების გამოქვეყნებული აქვს ი. სოკოლოვგას<sup>4</sup>, სადაც საკმაოდ დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ისინი მინაბაძებს წარმოადგენენ. იმავე ტიპის მონეტები დასტურდება კოპიტნარის განძშიც<sup>5</sup>. ამრიგად, ჩემი დაკვირვებით, საქმე გვაქვს შერეულ განძთან, რომელიც, სავარაუდოდ, რომელიმე ვაჭრის სახარჯო ფულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილი, სადაც ეს განძი აღმოჩნდა, შავი ზღვის აუზის ერთ-ერთ აქტიურ სავაჭრო რეგიონს წარმოადგენს. ორიგინალურ ასპრებთან ერთად მინაბაძების არსებობა აშკარად ადასტურებს მათ თანადროულ ბრუნვას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის გარეთაც. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ იქ ასპრებთან ერთად საქართველოდან გასული მინაბაძიც იბრუნვოდა.

იმავეს დასაბუთება, ვფიქრობთ, გაჭირდება XIV ს.-ის ბოლოდან XVI ს.-ის დასაწყისამდე მოჭრილ და ბრუნვაში მყოფ მინაბაძზე. მათი წონა (მონეტები არა ერთ ადგილზეა გახვრეტილი), დაბალი სინჯადობა და იკონოგრაფიული დეგრადირება არ მისცემდა საშუალებას, რომ ისინი ბრუნვაში ყოფილიყვნენ სრულფასოვან ასპრთან ერთად. ის მხოლოდ შიდა მიმოქცევისთვის განკუთვნილ მონეტათა ტიპს წარმოადგენდა, რადგან ადგილობრივი ბაზარი შეჩვეული იყო ამ ფულს და პოპულარობით სარგებლობდა.

<sup>1</sup> Дергачева Л., Зеленко С. „Монеты Трапезунда с кораблекрушения XIII века в бухте поселка новый свет“, 525

<sup>2</sup> იქვე, 426

<sup>3</sup> იქვე, 436

<sup>4</sup> Соколова, „Кирманеули с именем Мануила из собрания Государственного Эрмитажа“, 109

<sup>5</sup> აბრამიშვილი, „საქართველოს სახემწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კორმანეულის)“, 36-42

რაც შეეხება სამეფო კარის ჩართულობას ამ პროცესებში, მინაბაძი სრულფასოვანი ფულია, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ამ რაოდენობის ემისის წარმოება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ნათქვამიდან გამომდინარე, საინტერესოა, ვინ იყო საქართველოში ტრაპიზონული ასპრის მინაბაძის მოჭრაზე პასუხისმგებელი პირი ან ორგანო? რა პერიოდს უკავშირდება მათი მოჭრა?

ემისის დაწყების თარიღთან დაკავშირებით მეცნიერები თანხმდებიან და თვლიან, რომ მათი მოჭრა იწყება დავით ნარინის მმართველობის ბოლო ხანებში დასავლეთ საქართველოში. ეს თარიღი, სავარაუდო XIII საუკუნის 80-იანი წლებია<sup>1</sup>.

მიუხედავად ამისა, დავითის სახელი არ ფიქსირდება მონეტებზე. არამარტო დავითის, არც ერთი მეფე გარდა ერთისა (ვის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი) არ ათავსებს თავის სახელს ამ სამონეტი ჯგუფზე, მიუხედავად მისი სამსაუკუნოვანი ემისიისა.

საკითხთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა – თუ დავით ნარინმა ულუსთან ერთად დასავლური ტიპის ემისისას ჩაუყარა საფუძველი და მათი სახელები განთავსდა მონეტაზე (ნაგულისხმებია ორი დავითის მონეტა – მ. პ.), ამ შემთხვევაში რა უშლიდათ ხელს, რომ სახელმწიფობრივ ფულზე მათი სახელები ყოფილიყო განთავსებული?<sup>2</sup>

ჩვენი აზრით, დავით ნარინისთვის ეს პრინციპული საკითხი არ უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინაბაძზე ემიტენტის სახელის აღნიშვნა არ ხდებოდა, არ არსებობდა ამის ტრადიცია ქართულს სამონეტო საქმეში. გარდა ამისა, დავით ნარინმა თავისი რეგალია დააფიქსირა როგორც სპილენძის ფულზე თბილისის და დმანისის ზარაფხანაში მოჭრილზე, ასევე, თბილისში მოჭრილ ვერცხლის მონეტაზე. მისი სახელი დავით ულუსთან ერთად, ასევე, დასტურდება ორმეფობის დროს მოჭრილ 1261 წლის საფასეზე.

ორიოდ სიტყვით მინაბაძის იკონოგრაფიაზე. გამოსახულება ორიგინალურ ასპრებთან შედარებით გამოირჩევა სქემატურობით, არის უამრავი სახეცვლილებები ლაბარუმის, ჯვრიანი სფეროს, მაპას და ლვთაების მაკურთხეველი ხელის გამოსახვაში, შეინიშნება სიუჟეტის დეგრადაციის საკმაოდ თვალშისაცემი ხაზი ადრეული მინაბაძებიდან გვიანდელამდე, მაგრამ როგორც წესი, ორი მთავარი ფიგურა: მეფე და წმინდანი ადგილზეა. განსაკუთრებული ქაოსია წარწერებში. უმეტესად სახელები არეულია, ხშირად სარკისებურადაა წარმოდგენილი, ან უკულმა, ან ორივე ერთად. ხშირია გაუგებარი ლიგატურა (ასოთა გადაბმა) და ა. შ. ამ ფაქტის გამართლება, ერთი მხრივ, შესაძლებელია იმით, რომ ადგილობრივი ხელოსნები ამ ენას (ბერძნულს) არ იცნობენ, მეორე მხრივ, ბერძნულ წარწერებს, ჩვენი ვარაუდით, საქართველოში არც ანიჭებდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. როგორც ჩანს, მომჭრელი უპირატესობას ანიჭებს გამოსახულებას და არა ზედნერილებს. წარწერების ამოკითხვას უფრო მკვლევართათვის აქვს მნიშვნელობა, ჯერ ერთი – კლასიფიკირებისთვის და მეორე – იმისათვის, რომ გაირკვეს, რომელი კომნენოსის ორიგინალური ასპრის მიხედვით იჭრებოდა მინაბაძი. ამ კუთხით დიდი ხანია კვლევა ჩატარებულია და ერთხმად აღიარებულია, რომ საქართველოში მინაბაძი იჭრება მანუილ I-ისა და იოანე II-ის ასპრის მიხედვით. ამას მოწმობს სამონეტო ეპიგრა-

<sup>1</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ. „XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები“, 16

<sup>2</sup> იქვე

ფიკაც. ტრაპიზონის იმპერატორებიდან ვერცხლის ემისია არ აქვს გიორგი კომნენოსს, ამიტომაც შეუძლებელი იყო, მისი მინაბაძი მოეჭრათ, ხოლო თეოდორა კომნენოსი ისე ცოტა ხნით მეფობდა და მის მიერ მოჭრილი ასპრები იმდენად მცირე შემორჩა, რომ საკითხიც არც დასმულა მისი მინაბაძის არსებობაზე.

ჩვენ გვინდა შევჩერდეთ თეოდორა კომნენოსის სამონეტო ემისიაზე. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თეოდორას ასპრის ერთი ეგზემპლარია დაცული (დანართი XIV. 2). სამი ცალი კერძო კოლექციაშია, საიდანაც ორი საქართველოშია აღმოჩენილ<sup>1</sup>, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ეგრეთნოდებულ „პლატანას განძში“ 25 ცალი თეოდორას ასპრი შედის<sup>2</sup>. სიქების დათვალიერებისას აშკარა გახდა, რომ არც სემ-ში დაცული, არც კერძო კოლექციაში და არც პლატანას განძის თეოდორას სიქები არ მეორდება, ანუ სხვადასხვა სიქითაა მოჭრილი. ეს იმას ნიშნავს, რომ თეოდორამ, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი თვე იმეფა, საკმარისად მრავალრიცხოვანი ემისია განახორციელა, მათ შორის, არა მხოლოდ ვერცხლის, არამედ სპილენძის მონეტების<sup>3</sup>. დედოფალს ექსტრემალურ პირობებში მოუწია მეფობა. მან ფაქტობრივად გადატრიალება მოახდინა სამეფო კარზე: 1285 წელს თავისი ძმა იოანე II (1280-1297) გადააგდო ტახტიდან და თვითონ გამეფდა<sup>4</sup>. იოანე II იძულებული გახდა, გასცლოდა სამეფოს. არსებობს მოსაზრება, რომ მან ტახტის დაკარგვის შეურაცხმყოფელი ფაქტი იმით მიჩრება, რომ დევნილობაში მოჭრა ახალი ტიპის მონეტები<sup>5</sup>. თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრია და რევანშისთვის ემზადებოდა. დედოფალს ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო კართან – ის დედით ქართველი იყო და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სამეფო გადატრიალება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტრაპიზონში, პროქართული მიმართულების მქონე პირებისაგან იყო ინსპირირებული. თეოდორას, რასაკვირველია, საქართველოს სამეფო კარი უმაგრებდა ზურგს<sup>6</sup>. მჭიდრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ამ მონეტების შემოსვლა და ბრუნვა საქართველოში. მართალია, იმ რაოდენობის არა რამდენიც მანუილის და იოანეს ასპრები იყო, მაგრამ თეოდორას ასპრების არსებობა ეჭვგარებეა. უფრო მეტიც, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საქართველოში მოჭრილ მინაბაძის გარკვეულ ჯგუფზე თეოდორას ემისიებისთვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული დეტალიც დაფიქსირდა. ტრაპიზონული ასპრების მინაბაძების კლასიფიკაციისას თ. აბრამიშვილმა მეფის სპეციფიკური გამოსახულების მიხედვით გამოყო ერთი ჯგუფი. ეს მონეტები განსხვავდებოდნენ დანარჩენებისგან გვირგვინით. კერძოდ – სამრკალიანი გვირგვინით<sup>7</sup>. ამ ტიპის მონეტებში მეფეებს საკმაოდ მაღალი სამრკალიანი გვირგვინი ადგათ თავზე. როგორც უკვე

<sup>1</sup> პატარიძე მ., ჯანჯლავა გ., ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები (თბილისი, 2006), 21-25

<sup>2</sup> S.Bendall, Some Thoughts on the Silver Coinage of Manuel I and John II of Trebizond in the Light of a Recent Hoard. *Numismatic Circular*. February (2004), 8

<sup>3</sup> პატარიძე, ჯანჯლავა, „ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები“, 21-25

<sup>4</sup> მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ (1960), 15

<sup>5</sup> პატარიძე, ჯანჯლავა, „ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები“, 18

<sup>6</sup> P. Шукров, *Великие Комнаты и восток* (1204-1461) (Санкт-Петербург. 2001), 187

<sup>7</sup> აბრამიშვილი, „საქართველოს სახემნიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის)“ კატალოგი, 99











6; 136-9; 136-11; 136-14; 136-22 – მეფე სამრკალიანი გვირგვინით არის წარმოდგენილი. სამრკალიანი გვირგვინის წარმომავლობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, საინტერესოა მათი მოქრის თარიღი. ჩვენი მოსაზრება ამ პორტრეტის იკონოგრაფიულად თეოდორას-თან გაიგივების შესახებ არ გულისხმობს ნებისმიერი ამ ტიპის მონეტის XIII საუკუნით დათარიღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოქრის თარიღი დაკავშირებულია მონეტის წონის, ლითონის შემადგენლობის, გამოსახულების სიმკვეთრის და მოქრის ტექნიკის დეგრა-დაციაზე. ამ განძში წარმოდგენილი „სამრკალიანები“ საკმაოდ მაღალი წონით გამოირჩევიან და შესაძლებელია, ისინი XIII საუკუნეს მივაკუთვნოთ. ამავდროულად, განძში გვხვდება ერთგან და ორგან გახვრეტილი მონეტები. გამოსახულების დამახინჯებაც სახეზეა და წონის შემცირებაც. კომპლექსში ყველაზე მაღალი წონა 2,55 გრ (136-1). ხოლო ყველაზე დაბალი 0,80 გრ. (136-25). დაბალი წონა აქვს და, ასევე, ორგან არის გახვრეტილი 136-20 (ნ. 1, 65; ზ. 17/19მმ). ამათ გარდა, რამდენიმე მონეტას გამორჩეულად დაბალი წონა აქვს 136-16 (ნ. 1, 50 გრ.); 136-7 (ნ. 1, 58 გრ.) ამ შედარებით დაკინინებულ მონეტებს მეტროლოგიურად და მოქრის ტექნიკის გაუარესების მიხედვით XIV ს.-ის ბოლოს მივაკუთვნებთ.

ამრიგად, პირველი განძის თარიღი XIII საუკუნის ბოლო და XIV საუკუნის დასასრულია.

გაცილებით სხვა სურათი გვაქვს მეორე განძში. აქ დადასტურებული კირმანეული XIV საუკუნის ბოლოს და XV-ს განეკუთვნება. ეს ჩანს წონით, რომელიც საკმაოდ დაბალია და გამოსახულების დეგრადაციით. განძში არის ერთი მონლოლური მონეტა, ჯელა-ირიდი შეიხ ოვეის (1356-1374), რომელიც, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოსთვის არის ორგანული და იქ მისი აღმოჩენის არა ერთი შემთხვევა გვაქვს<sup>1</sup>. ამავდროულად, განძში გვხვდება ახალციხის ზარაფხანაში სამცხის ათაბაგების მიერ მოქრილი მონეტა. ათაბაგების მიერ მოქრილი ფულიდან ჩვენთვის ყველაზე ადრინდელი ცნობილია ყვარყვარე II ათაბაგის მონეტები. რომელთა აღმოჩენის არა ერთი შემთხვევა გვაქვს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, ასევე, გორის განძშიც<sup>2</sup>. ყვარყვარეს მონეტას ჩვენ უშგულმიაც მივაკვლიეთ (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ თავში – ეთნოლოგიური ასპექტები). მონეტა, რომელიც მეორე განძშია წარმოდგენილი, ანონიმურია, რაც ართულებს მის ატრიბუციას. თევზის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტები სამცხის საათაბაგოს მონეტად მიიჩნია დ. კაპანაძემ<sup>3</sup>. მოსაზრებას დაეთანხმა გ. დუნდუა<sup>4</sup>. მან საგანგებოდ განიხილა ამ ტიპის ანონიმური მონეტების ატრიბუცია-დათარიღების საკითხი და დაასკვნა, რომ მათი ემისია ათაბაგს ეკუთვნოდა, ოლონდ მისი მოღვაწეობის ადრეულ პერი-

<sup>1</sup> ც. ღვაბერიძე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოს-თან. (თბილისი, 1986), 79

<sup>2</sup> დ. კაპანაძე, „XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი“, საქართველოს სახემნიფო მუზეუმის მოამბე X-B (თბილისი, 1940), 279-299

<sup>3</sup> დ. კაპანაძე, „ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის“, საქართველოს სახემნიფო მუზეუმის მოამბე X I -B (თბილისი, 1941), 154-155

<sup>4</sup> გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში (თბილისი, 1964), 105



ვაში ყოფილიყო. მაგალითად, პატარა ჯიხაიშის განძი<sup>1</sup>. კოპიტნარის განძშიც აღმოჩნდა ოსმალური მოჭრილი, მაგრამ თ. აბრამიშვილმა ჩათვალა, რომ ის შემთხვევით შეერია აღნიშნულ განძს<sup>2</sup>. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული იმუამინდელი დოკუმენტაციით გადაჭრით ამის მტკიცება გაძნელდება.

საინტერესო ინფორმაცია შემოინახა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურმა კაბინეტმა. 2002 წელს მოქალაქემ მარტვილის რაიონიდან ჩამოიტანა აღმოჩენილი განძი, სადაც ძირითადად იყო უკიდურესად დაკნინებული და რამდენიმე ადგილზე გახვრეტილი ტრაპიზონული ასპრის მინაბაძები და მათთან ერთად იმერეთის მეფის, გიორგი II-ის (1565-1583) მონეტა. სამწუხაროდ, განძი ვერ შეიძინა მუზეუმში და დღეისათვის მისი ადგილი უცნობია. განძის შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა იმ დროს, როდესაც ცალკეული სამეფო-სამთავროების მეფეები ცალ-ცალკე ახორციელებენ ემისიას, მინაბაძს ჯერ კიდევ თავისი ადგილი ჰქონდა.

ყოველივეს გათვალისწინებით, ვვარაუდობ, რომ ამ განძის დაკნინებული მინაბაძები XVI საუკუნემდე ისევ იყო მიმოქცევაში. რასაკვირველია, ეს მოსაზრება ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოტეტურია. მინაბაძი, რომელიც კირმანეული თეთრის სახელით შემორჩა საბუთებში (სასისხლო სიგელებში), დიდხანს არ გადის არც მიმოქცევიდან და არც მეხსიერებიდან. სასისხლო სიგელებში ეს ტერმინი XVII საუკუნეში არა ერთხელ გვხვდება. ვინაიდან ჩვენი კვლევა სვანეთის რეგიონს უკავშირდება, გვინდა მოვიყვანოთ ერთი საბუთი – სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა აბესალომ გელუანისადმი<sup>3</sup>, სადაც ნათქვამია: "... ვისმინეთ აჯა და მოხსენება გელუანისა აბესალომისი, სვანისა ერისთავისა, მიუბოძეთ სასისხლო სიგელი ესე, ორი ათი ათასი კირმანეული თეთრი დაუუროს და გაუჩინეთ". . საბუთი ე. თაყაიშვილის მიერ დათარიღებულია 1462-1516 წლებით<sup>4</sup>. უფრო მეტიც, XVII საუკუნის ბოლოს დაწერილ სულხან-საბა ორბელიანი ნაწარმოებში – „სიბრძნე სიცრუისა“, ერთ-ერთ იგავ-არაკში „ხარბი გლახაკი“ „კირმანეული თეთრს“ იხსენიებს, რასაკვირველია, ფულის მნიშვნელობით<sup>5</sup>. ავტორი ასე განმარტავს ამ ტერმინს: „კირმანეული: ძეველებური თეთრი, უდრიდა ორ შაურს“. იმ სამონეტო სისტემის დროს, როდესაც შაურია ფულის ერთეული „კირმანეული თეთრი“ უდაოდ ანაქრონიზმია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ტერმინი დიდხანს შემორჩა მეხსიერებას და ადგილობრივი, ქართული ფულის სინონიმად იქცა.

## 2.8. XVII საუკუნის ირანული და ევროპული მონეტა სვანეთში

მესტიის მუზეუმში დაცული XVII საუკუნის ვერცხლის მონეტების ჯგუფი აერთიანებს რამდენიმე ირანულ წვრილ ნომინალს და ერთ პოლონურ მონეტას. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვი, რომ ჩვენ მიერ მათი საერთო კონტექსტში განხილვა განპირო-

<sup>1</sup> Е. Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып.VII* (Баку, 1957), №1836

<sup>2</sup> აბრამიშვილი, „XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული)“, 47

<sup>3</sup> ვ. სილოვანა, სვანეთის წერილობითი ძეველები I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანები, (თბილისი, 1986), 238

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1909), 513-515

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“ (თბილისი, 1986), 30

ბებულია არა მარტო ამ მონეტების ქრონოლოგიური თანხვედრით, არამედ ჰიპოთეზის დაშვებით, რომ ეს საფასეები ერთად იყვნენ ცირკულაციაში. ამაზე ცოტა მოგვიანებით. რაც შეეხება მათ წარმომავლობას, ცნობილია, რომ მონეტები ერთად შევიდა მუზეუმში, თუმცა აღმოჩენის გარემოება (დრო, ადგილი) ცნობილი არ არის.

ჯგუფში ერთი მონეტა პოლონეთისა და ლიტვის მეფეს სიგიზმუნდ III – ს (1587-1632) მიეკუთვნება.

#### აღწერილობა (დანართი XV. 1)

№7/1. სიგიზმუნდ III (1587-1632), ნ. 6, 60 გრ. ზ. 30/29 მმ. ორტა. ბიდგოშის ზარაფხანა. ვერცხლი.

Av. თოკისებურ რკალში სიგიზმუნდ III-ის წელზევითი გამოსახულებაა მახვილით მარცხენა ხელში და ჯვრიანი სფეროთი მარჯვენაში. თოკისებური რკალით ირგვლივ შემოვლებული აქვს ლათინური ზედნერილი: SIGIS. III. D. G REX POL M. D. LI. RVS PRVS. M (Sigismundus III dei gratia rex Poloniae, magnus dux Lithuaniae, Russiae, Prussiae, Mosoviae – სიგიზმუნდ III, დათის წყალობით მეფე პოლონეთის, დიდი მთავრის ლიტვის, რუსეთის, პოლოვოის, მოზოვოის).

Rv. თოკისებურ რკალში საგერბო ფარი პოლონეთ-ლიტვის გერბით, საგერბო ფარის თავზე გვირგვინი, მის მოპირდაპირე მხარეს – ხაზინადარ დანილოვიჩის გერბი, გვერდებზე თარიღი – 16-21; ირგვლივ თოკისებური რკალით გარშემოვლებულ ლათინური ზედნერილი: SAM: LIV: NECN SV GOT: VAN: Q: HRI. R. (Samogitia, Livoniae, nec non Svecorum, Gothorum, Vandorumque Haereditarius rex – სამოგიტიის, ლივონიის და აგრეთვე მემკვიდრე მეფე შვედების, გუთების, ვანდალების<sup>6</sup>.

დანარჩენი ოთხი მონეტა საკმაოდ არასახარბიელო დაცულობისაა, მაგრამ ფაქტურით, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შედარებით უკეთესად დაცულ მონეტებთან შედარებით და წარწერების აღდგენით, შესაძლებელი გახდა მათი ატრიბუცია. სახეზე გვაქვს XVII საუკუნის სპარსული მონეტები.

#### აღწერილობა

№121/1. სულეიმან I-ის (ჰიჯ. 1079-1105=1669-1694) მოჭრილია ჰიჯ. 1085 წ.= (1674/75 წ.) 0, 70 გრ., ზ. 14 მმ. ბისტრი. გახვრეტილი.

იკითხება შაპი სულეიმან „شاه سلمان“ (დანართი XV. 2) დიდი ვარაუდით მოჭრის ადგილი თავრიზი (?) تبریز“

№122/1. ბისტრი. წ. 0, 56; ზ. 14/11. გახვრეტილი. (დანართი XV. 3)

№123/1. შაპი. წ. 1, 15გრ., ზ. 16/15. გახვრეტილი. (დანართი XV. 4)

Av. ალი თანაგამზრახია ალაპისა “علی ولی الله“

Rv. „سینمیندیس ხელმიფის მონა ალი“ بندہ شاہ ولایت“

№124/1. ბისტრი. წ. 60გრ. ზ. 12/11. (დანართი XV. 5)

Av. რელიგიური ფორმულა არ არის ღმერთი გარდა ალაპისა, მუჰამედი არის მოციქული მისი. სავარაუდოდდ ტექსტი უნდა გარგძელდეს შემდეგ ნაირად: „ალი თანაგამზრახია ალაპისა“ علی ولی الله“ –

<sup>6</sup> M. Gumowski, „Podrgcznik numizmatyki Polskiej (Krakowie, 1914)“, 117

Rv. რაფეրი არ ჩანს, წარხოცილია.

პოლონური ორტისა და ირანული ფულის სვანეთში მოხვედრა რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს უკავშირდება, ახსნას საჭიროებს.

XVII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ევროპული ტალერები იწყებს შემოსვლას. ამ ფაქტს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. რ. ქებულაძის მოსაზრებით, მათი საქართველოში გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი რუსეთ-საქართველოს საგარეო პოლიტიკური ხაზის დაახლოება უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანის გარდა კავკასიაში გაბატონებას ცდილობდა ოსმალეთი და რუსეთი. ამ ნიადაგზე რუსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს დაუპირიდა. რუსეთს სჭირდებოდა მოკავშირე, რომელიც დაეხმარებოდა მას ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში. საქართველოსაც სურდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც მას მუდმივი შემოსვებისგან დაიცავდა<sup>2</sup>. ამრიგად, რუსეთ-საქართველოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და მათ შორის შემდგომი დიპლომატიური კავშირების საფუძველიც გახდა. 1564 წელს რუსეთის მეფემ ივანე IV-მ მფარველობა შესთავაზა კახეთის მეფე ლევანს და ჯარიც გამოუგზავნა კახეთის ციხეებში ჩასაყნებლად. ეს ურთიერთობა შემდეგი მეფეების ალექსანდრე II – ისა და თეიმურაზ I-ის დროსაც გაგრძელდა.

XVII საუკუნეში ქართლ-კახეთში შაპ-აბას I-ის ლაშქრობების გამო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ამ უკანას კნელისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. თეიმურაზ I-ის ჩანაფიქრით, საქართველოს მეფე-მთავრებს ფიცი უნდა დაედოთ რუსეთის ერთგულებაზე და მისგან ფული და სამხედრო დახმარება ეთხოვათ<sup>3</sup>. რუსეთის ხელმწიფებ დახმარება არ გაუნია მათ, რადგან თეიმურაზ I-ის ანტიორანული პოლიტიკა რუსეთის გეგმებს ხელს უშლიდა.

ფინანსური დახმარება თეიმურაზ I-მა მაინც მიიღო, რუსეთის ელჩებმა თავად მიშეცეკისა და დიაკ კლუჩარევის ხელით მიართვეს 20 000 ტალერი და 2. 220 მანეთის ლირებულების სიასამურის ბენვი<sup>4</sup>.

XVII საუკუნის 50-იან წლებში ასევე რუსეთის ხელმწიფისგან გამოგზავნილმა სტოლიკმა ტოლოჩიანოვმა და დიაკმა იევლევმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს საჩუქრად მიართვეს 3. 160 სიასამურის ბენვი<sup>5</sup>.

ამ საგარეო პოლიტიკური პროცესების შედეგად დაიწყო საქართველოში ევროპული ფულის შემოსვლა.

საქართველოში აღმოჩენილი ევროპული განძების შემადგენლობიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნეში გარდა ტალერებისა მიმოქცევაში იყო ვერცხლის შედარებით მცირე ნომინალები: პოლონეთ-ლიტვის სამეფოსა და ბრანდენბურგ-პრუსიის სახემწიფოს ორტები და პოლტორაკები<sup>6</sup>.

<sup>1</sup> რ.ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში (თბილისი, 1971), 104

<sup>2</sup> იქვე, 103

<sup>3</sup> მ. პოლოევექტოვი, თავადი მიშეცკი და დიაკ კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640-1643 წლებში, (თბილისი, 1928), 6

<sup>4</sup> იქვე, 56.

<sup>5</sup> მ.Полиевктов, *Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650-1652 гг.* (Тбилиси, 1926), 63

<sup>6</sup> ქებულაძე რ. „ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში“, 111

XVII საუკუნეში პოლონეთი ცდილობს, ურთიერთობა დაამყაროს ოსმალეთის მონინააღმდგე სახელმწიფოებთან: ავსტრიასთან, ირანთან და ა.შ. ირანში ჩასასვლელად მათ საქართველოს გზაზე უდა გაევლოთ, ეს ყველაზე უსაფრთხო და მოკლე გზა იყო. თუმცა წყაროებიდან ირკვევა, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ გასავლელად არ სჭირდებოდათ და გარკვეული დავალებებით მოდიშისა და გურიის მთავრებთან. 1627 წელს მოგზაური პიეტრო დელა-ვალემ რომის პაპს მოახსენა: „თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიმოწერა. პოლშის ხელმწიფეს შეუძლია კიდევ ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა, დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაფირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან სპარსელები, ან თურქები“<sup>1</sup>.

სიგიზმუნდ III ვერ შეძლებდა საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენას, რადგან თავისი მასშტაბური საგარეო პოლიტიკა ჰქონდა (ომი რუსეთთან, შვეციასთან და ოსმალეთთან) განსახორციელებელი. დიპლომატიური მისიების მიმოსვლას უნდა მოჰყოლოდა ამ ქვეყნებს შორის ფულის მოძრაობა და ეს ასეც მოხდა<sup>2</sup>.

საქართველოში პოლონური მონეტების შემოსვლის ერთ-ერთ გზად უნდა ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოს მთავრების ურთიერთობა დნეპრის კაზაკებთან. ოსმალეთზე სალაშქროდ წამოსულებს ეს მთავრები იფარებდნენ და ხშირად თავიანთი ტერიტორია და ნავსადგურებიც შეუთავაზებიათ<sup>3</sup>. ამ დახმარების სანაცვლოდ, შესაძლოა, კაზაკები გარკვეულ საფასურს იხდიდნენ კიდეც. კაზაკების დასახლების რაიონები პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ სამეფოს საზღვრებში შედიოდნენ და ამიტომ აქ პოლონეთ-ლიტვის სამეფოს ფული იყო ბრუნვაში<sup>4</sup>. შესაბამისად, კაზაკების კავშირი დასავლეთ საქართველოს მთავრებთან, შესაძლოა, ერთ-ერთი გზა იყო პოლონური ფულის შემოსვლისა საქართველოში<sup>5</sup>.

არა მარტო პოლონური, არამედ, საერთოდ, ევროპული ფულის შემოსვლა ჩვენ ქვეყანაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული. ეს იყო საქართველოს ჩართულობა აბრეშუმით ვაჭრობაში. საქართველოს მთავრებს დიდი ვაჭრობა ჰქონდათ კონსტანტინოპოლითან და საბერძნეთთან<sup>6</sup>, არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ თურქთა გემები ყოველწლიურად მიადგებოდნენ სამეგრელოს ნაპირებს და თურქები მეგრელებისგან ყიდულობდნენ აბრეშუმს, თაფლს, ცვილს, ტილოს, ბზის ხეს და სელის თესლს<sup>7</sup>. აბრეშუმით ვაჭრობაში დაინტერესებული იყო პოლონეთიც. ქართული და შირვანული აბრეშუმი ევროპაში გადიოდა შემახა-თბილისი-ქუთაისი-ანაკლია-კაფუ (თეოდოსიოპოლი) -დნეპრი-კიევი-ვარშავის გავლით, რომელიც გაცილებით უსაფრთხო იყო, ვიდრე გზა ირანიდან ევროპაში თურქეთის გავლით<sup>8</sup>.

<sup>1</sup> „მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, ი. ჭყონიას თარგმანი“, გაზეთი „ივერია“ (ტფილისი, 1897), N3, 57.

<sup>2</sup> გ. დუნდუა, თ დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა II ნაწილი (თბილისი, 2011), 175

<sup>3</sup> პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, 57

<sup>4</sup> И. Спасский, *Русская monetnaya sistema* (Москва, 1957), 69

<sup>5</sup> რ. ქებულაძე, „ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში“, 127

<sup>6</sup> პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, 57

<sup>7</sup> არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, თარგმნი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, (თბილისი, 1938), 165

<sup>8</sup> ი. ცინცაძე, მასალები საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობის ისტორიისთვის XV-XVII საუკუნეებში (თბილისი, 1966), 56

ამრიგად, საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის სამეფოების პოლიტიკურ ურთიერთობებს ეკონომიკური ურთიერთობებიც მოჰყვა და ეს ფულად მიმოქცევაზეც აისახა<sup>1</sup>.

საქართველოში მიმოქცევოდა პოლონეთ-ლიტვის სამეფოს ორტები და პოლტორაკები. ორივე ნომინალის ემისია ბრანდენბურგ-პრუსიის ზარაფხანებშიც ხორციელდებოდა და უკანასკნელის ერთეული, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პოპულარული იყო, დრაიპოლკერის სახელით არის ცნობილი<sup>2</sup>.

ჩვენ მიერ შესასწავლი მონეტების ჯგუფიდან სიგიზმუნდ III-ის საფასის სვანეთში არსებობა საინტერესოა, მაგრამ არა შემთხვევითი. თუ გავითვალისწინებთ პოლონელებისა და ოდიშის მთავრების აქტიურ ურთიერთობებს, გასაკვირი არ არის, ეს მონეტა სვანეთში ოდიშიდან ასულიყო. მით უფრო, როდესაც არქანჯელო ლამბერტი სვანებთან დაკავშირებით წერს, რომ ისინი ბარში ჩამოდიან, იგულისხმება სამეგრელო და ნაყოფიერი სამეურნეო საქმიანობით არიან დაკავებულები, განსაკუთრებით კარგად უძღვებიან საირიგაციო საქმეს<sup>3</sup>. მათ, ალბათ, შესაბამის გასამჯელოსაც უხდიდნენ, ასე რომ, სიგიზმუნდ III-ის მონეტის სვანეთში მოხვედრა ოდიშის გზით სრულიად შესაძლებელი იყო და სვანეთში მისი აღმოჩენა არ არის შემთხვევითი, უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ზრდის საქართველოში პოლონური მონეტების მიმოქცევის არეალს.

უფრო მეტად დიდ ყურადღებას მოითხოვს სიგიზმუნდ III-ის ორტის თანმხლები ირანული მონეტები.

სვანეთში აღმოჩენილი ამ ირანული მონეტების წონა საკმაოდ დაბალია. ისიც გასათვალისწინებულია, რომ გახვრეტილია, რაც კიდევ უფრო ამცრობს მათ წონას. XVII საუკუნის ირანული მონეტების ეს ნომინალები (შაჰი, ბისტი) საქართველოში საკმაოდ დიდ განძად არის აღმოჩენილი სოფელ ნორიოში<sup>4</sup>. ეს კი ამ მონეტების აქტიურ ბრუნვაზე მიანიშნებს საქართველოში<sup>5</sup>.

უკვე აღინიშნა, რომ ევროპული მონეტების ნომინალები: ორტები, დრაიპოლკერები და პოლტორაკები გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში სინქრონულად ირანული აბაზიანები ბრუნავდა, რომლის წონას თანდათანობით ორტის წონას უახლოებდნენ. აქედან გამომდინარე, წონითი დაახლოება, სავარაუდოდ, ორტების გავრცელების მიზეზიც უნდა გამხდარიყო<sup>6</sup>. ამ ლოგიკის გაგრძელებით გამოვთქვამ ვარაუდს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, ირანული მონეტების წვრილი ნომინალები (შაჰი, ბისტი) დრაიპოლკერებთან და პოლტორაკებთან მიესადაგებინათ წონით და ერთად გაეშვათ სამონეტო ცირკულაციაში. ამ მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას მატებს 2007 წელს აღმოჩენილი განძი სოფელ აბანოსთან (ქარელის მუნიციპალიტეტი)<sup>7</sup>. განძი შედგება 21 ცალი პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის

<sup>1</sup> რ. ქებულაძე, „ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში“, 130

<sup>2</sup> იქვე, 112

<sup>3</sup> არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღნერა“, 167

<sup>4</sup> თ. კუთეია, „Клад монет XVII века из Норио“, *Нумизматический Сборник*, (Тбилиси, 1977), 135

<sup>5</sup> იქვე, 136

<sup>6</sup> რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, 132-133

<sup>7</sup> თ. ქუთეელია, „XVII საუკუნის მონეტები სოფელ აბანოდან (კოდის განძი)“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბეჭდ III (48-B), (თბილისი, 2012), 147

(1587-1632), 4ც. ბრანდენბურგ-პრუსიის კურფულუსტრ გეორგ ვილჰელმისა (1619-1640) ორტების და ირანის შაჰ სულეიმან I-ის (1667-1694) დროს მოჭრილი 2 მუჰამადისგან. თ. ქუთელიამ, ერთი შეხედვით, ამ მონეტების ერთად აღმოჩენა საეკლესიო ნარმომავლობას დაუკავშირა. ეს განძი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩინეს ადგილობრივებმა. ამიტომ მეცნიერმა ჩათვალა, რომ შესაძლოა ეკლესიაში ორტები და ირანული მუჰამადები სხვადასხვა დროს შევიდა. მაგრამ თ. ქუთელია იმთავითვე უშვებს ამ მონეტების ერთად მიმოქცევაში ყოფნის, შესაძლებლობას რადგან წერს: „XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს სამონეტო ბაზარს თითქმის მთლიანად იპყრობს თბილისის ზარაფხანაში ირანული სისტემით მოჭრილი ფული“<sup>1</sup>. მართალია, აბანოს განძში სულეიმან I-ის (1667-1694) ხოვეიზაში მოჭრილი მუჰამადებია და არა შაჰები და ბისტი, როგორც სვანეთში, მაგრამ ამას უკვე პრინციპული მნიშვნელობა აღარ ენიჭება. დასაშვებად მიმაჩნია მოსაზრება, რომ სვანეთში აღმოჩენილი სიგიზმუნდი და ირანული მონეტები ერთად იყო მიმოქცევაში.

ამრიგად, სვანეთის მუზეუმის აქ წარმოდგენილ მონეტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი თვალსაზრისით. პირველი – სიგიზმუნდის ორტების, ირანული შაჰების და ბისტის გავრცელების არეალს ემატება სვანეთის რეგიონი და მეორე – გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს მონეტები თანადორულად იყო მიმოქცევაში. რასაკვირველია, მეტი დაბეჯითებით ამ მოსაზრების თქმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა მსგავსი შემადგენლობის რამდენიმე სამონეტო განძის აღმოჩენა დაფიქსირდება.

ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში სვანეთის რეგიონი, თავისი ფულადი ბრუნვით ეხმაურება მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს.

## 2.9. XVI – XVIII საუკუნის ოსმალური ემისიები სვანეთში

სვანეთში, კერძოდ კი, მის უმაღლესი წერტილში, უშგულში, აღმოჩნდა სამონეტო ჯგუფი, რომელიც არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის უაღრესად იშვიათ და, ამასთანავე, მნიშვნელოვან ნუმიზმატიკურ მონაპოვარს მიეკუთვნება.

მათი წარმომავლობა – აღმოჩენის ზუსტი დრო და ადგილი, ცნობილი არ არის. სავარაუდოდ, ეს მონეტები უშგულის მუზეუმში, ციხე-სახლში ერთად, განძის სახით შევიდა. ამ მოსაზრებას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ დანარჩენი მასალისგან გამოყოფილია და ერთ აცმად (თოკზეა აცმული) ინახებოდა მუზეუმის სეიფში. გარდა ამისა, ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან.

<sup>1</sup> ქუთელია, „XVII საუკუნის მონეტები სოფელ აბანდან (კოდის განძი)“, 147

<sup>2</sup> შენიშვნა: დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ აღნიშნულ ქვეთავში ცვლილებები შევიტანეთ კერძოდ, თავიდან განვსაზღვრეთ უშგულში აღმოჩენილი ოსმალური მონეტები. საქმე ის გახლდათ, რომ კერძო კოლექციებში გამოჩენდა მსგავსი ტიპის შედარებით უკეთესად დაცული მონეტები შესაბამისი პუბლიკაციებით, რომელთა გაცნობის შემდეგ ცვლილება შევიტანე ამ საფასეების განსაზღვრაში. განსაკუთრებული დახმარება გამინია ისტორიის დოქტორმა, ნუმიზმატმა ირაკლი ფალავამ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი.

უნდა აღინიშნოს, რომ მონეტათა ეს ჯგუფი, რომელიც კახეთის სამეფოში გამოშვებული ოსმალური მონეტების სახელწოდებით არის ცნობილი, არა თუ საქართველოს სხვა რეგიონალურ მუზეუმებში, არამედ ისეთ უდიდეს ნუმიზმატიკურ საცავში, როგორიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდია, დღემდე არ დადასტურებულა.

კახეთის სამეფო XVI საუკუნეში იძულებული გახდა, სეფიანთა სახელმწიფოს უზენაესობა ეცნო. შესაბამისად, კახეთის ზარაფხანებში მონეტები სიუზერენის – სეფიანთა შაჰის სახელით უნდა მოჭრილიყო. კახეთის ცენტრში, (ნაღმა) ბაზარში, როგორც მას უცხოელები მოიხსენიებენ და როგორც მონეტაზე წერია, ზაგემში სეფიანთა ფული იჭრებოდა. ეს საკითხი არა ერთმა ცნობილმა ქართველმა თუ უცხოელი მკვლევარმა შეისწავლა<sup>1</sup>.

2012 წელს ნუმიზმატმა ირაკლი ფალავამ ყურადღება მიაქცია XVI საუკუნის ოსმალო ქრონისტის, იბრაჰიმ რაჰიმიზადეს ცნობას<sup>2</sup>. ავტორი მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით ოსმალების ლაშქრობაზე თხრობისას შეეხო კახთა მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1601, 1602-1605) ჩატარებულ ღონისძიებებს. ქართველმა მონარქმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ოსმალეთის მხარეზე გადასულიყო; რაჰიმიზადეს ინფორმაციით ოსმალო სულთნის უზენაესობის აღიარების ნიშნად კახეთში მოჭრილ მონეტებზე მურად III-ის სახელი უნდა მიეთითებინათ და პარასკევის ღვთისმსახურებაში მოეხსენიებინათ (სიქა და ხუტბა)<sup>3</sup>. გამოდის, რომ კახეთში ოსმალო სულთნის სახელით მონეტები იჭრებოდა. ხოლო ი. ფალავას აზრით, ზარაფხანა, რომელიც დატანილი იქნებოდა მონეტებზე, ზაგემი უნდა ყოფილიყო.<sup>4</sup> უნდა ითქვას, რომ მეცნიერს ამ მოსაზრების გასამყარებელი მატერიალური დადასტურება მონეტების სახით არ ჰქონდა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ანტიკვარულ ბაზრობებზე გამოჩნდა მასალა, რომელიც, ძირითადად, დღევანდელ საინგილოში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნაპოვნი. მონეტები გაყიდვის მიზნით ჩამოიტანეს თბილისში. ეს საფასეები, ნაწილობრივ არის პასპორტიზირებული – პოვნის ადგილი, ძირითადად უცნობია, მაგრამ მათი მპოვნელები ამბობენ, რომ ზაგემის (ნაქალაქარის) სანახებში და მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი, რაც სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ბიბლიოგრაფია იხ. ი. ფალავა., გ. გოგავა, „კახეთის სამეფოში გამოშვებული ოსმალური მონეტები“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IX, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თბილისი, 2016), 271-272

<sup>2</sup> ი. ფალავა, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით“, კონსტანტინე ფალავა 90. რედ. ლ. უორულიანი, მ. კვაჭაძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, (2012), 128-129

ფალავა, ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით, 272; Гусейн Фарах, Османо-сефевидская война 1578-1590 гг. По материалам османского летописца Ибрахима Рахимизаде, (Баку-Нурлан, 2005)

<sup>3</sup> ი. ფალავა, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით“, 272; Гусейн Фарах, Османо-сефевидская война 1578-1590 гг. По материалам османского летописца Ибрахима Рахимизаде, 108-110

<sup>4</sup> ფალავა, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით“, 129

<sup>5</sup> იქვე.

როგორც ამ ინფორმაციიდან იკვეთება, კახეთში ემიტირებული ოსმალური საფასეების საკმაოდ მცირერიცხოვანი რაოდენობაა დღეისათვის საქართველოში. ამ ფონზე, სვანეთში, კერძოდ კი, უშგულის ციხე-სახლში დაცული ეს მონეტები უკიდურესად საყურადღებოა. სანამ მათ მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, მოვიყვანთ აღნერილობებს.

#### **№6-8. (სიემ-უშგული) (დანართი XVI. 1)**

მეჰმედ III (1595-1603/ჰიჯ. 1003-1012). ნ. 2, 01 გრ.; ზ. 19/22; ვერცხლი. ზარაფხანა ზაგემი.<sup>1</sup>

#### **№6-6. (სიემ-უშგული) (დანართი XVI. 2)**

მურად III (1574-1595/ ჰიჯ. 982-1003). ნ. 1, 77 გრ.; ზ. 18/22; ვერცხლი. ზარაფხანა ზაგემი<sup>2</sup>

#### **№6-7. (სიემ-უშგული) (დანართი XVI. 3)**

მურად III (1574-1595/ ჰიჯ. 982-1003) ??<sup>3</sup> ნ. 1, 12; ზ. 18/16; ვერცხლი.

#### **№6-8. (სიემ-უშგული) (დანართი XVI. 4)**

მეჰმედ III (1595-1603/ჰიჯ. 1003-1012), ნ. 2, 01; ზ. 19/22; ზარაფხანა ზაგემი. ვერცხლი.<sup>4</sup>

#### **№6-9. (სიემ-უშგული) (დანართი XVI. 5)**

მურად III (1574-1595/ ჰიჯ. 982-1003), ნ. 1, 07; ზ. 17/21; ზარაფხანა ზაგემი. ვერცხლი.<sup>5</sup>

ოსმალური ფული სვანეთის რეგიონში სხვა სახის ემისიებითაც არის წარმოდგენილი, მაგრამ ვიდრე მათ აღნერილობებზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა შეიძლება ითქვას ამ ჯვაფის მონეტების ისტორიული ღირებულების შესახებ. ზემოთაღწერილი სამონეტო ტიპები არსებით შენაძენს წარმოადგენს ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიისათვის. მათი ინვარიანტულობის გამო ქართული ქართული ნუმიზმატიკის ტიპოლოგიური გამრავალფეროვნების გარდა, ეს მონეტები საშუალებას გვაძლევენ უფრო დეტალურად ჩავწვდეთ ზოგადად, სვანეთის და განსაკუთრებით უშგულის რეგიონის მჭიდრო კონტაქტებს საქართველოს ყველა კუთხესთან, ამ შემთხვევაში კახეთის რეგიონთან. ამას გარდა, სვანეთში აღმოჩენილი ეს მონეტები სხვა ოსმალურ საფასეებთან ერთად რომ გადახდის კანონიერ საშუალებას წარმოადგენს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ამის პირდაპირი დასაბუთებად ნამდვილად გამოდგება. გარდა ამისა, დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის მონეტების აღმოჩენის პირველი შემთხვევაა, რაც მნიშვნელოვანია და მათი გავრცელების არეალს საკმაოდ

<sup>1</sup> ი. ფალავა, გ. გოგავა, „კახეთის სამეფოში გამოშვებული ოსმალური მონეტები“, 276; I.Faghava, „Telavi Hoard:New data on the ottoman coinage minted in the Georgian Kingdom of K'akheti“, 5<sup>th</sup> Simone Assemani Symposium on Islamic coins (Rome, 29-30 September 2017, edit by Bruno Callegher and Arianna D Ottone Rambach, Polimnia, Numismatica Antica e Medievale. (Studi, 12), 2.7.1.-2.7.5.

<sup>2</sup> D. Aleksanyan, D. Yanov. „Ottoman coin finds from K'akheti: issues of Zagemi, Kakheti/K'ak'i and an unknown mint“, ORIENTAL NUMISMATIC SOCIETY (ONS) 2018, 22-23

<sup>3</sup> იკითხება სახელი მურადი, ფაქტურით ჰეგავს კახურ-ოსმალურ ფულს

<sup>4</sup> ფალავა, გოგავა, „კახეთის სამეფოში გამოშვებული ოსმალური მონეტები“, 275; I. Faghava, Telavi Hoard: New data on the ottoman coinage minted in the Georgian Kingdom of K'akheti, 2.5.1.-2.5.7.

<sup>5</sup> Aleksanyan, Yanov, Ottoman coin finds from K'akheti: issues of Zagemi, Kakheti/K'ak'i and an unknown mint, 22-23.

ზრდის, ვინაიდან სანამ ეს ფული მთაში ავიდოდა, ბარში, სავარაუდოდ, უფრო დიდი ინტენსივობით იყო მიმოქცევაში.

უშგულის ციხე-სახლში დაცული ნუმიზმატიკური მასალას მისი ეთნოლოგიური თავისებურებების გამო, გარკვეული სპეციფიკა აქვს, რაზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. შეიძლება ითქვას, რომ უშგულში დაცული მონეტები საეკლესიო წარმომავლობისაა, მაგრამ მას ეკონომიკური ბუნებაც აქვს. სხვაგვარად შეუძლებელია ასეთი მოცულობითი რაოდენობის ოსმალური მონეტების კონცენტრაცია ამ რეგიონში.

უშგულის ციხე-სახლში არის ასევე აღმოჩენილი ერთი ოსმალური ყურუში და ნიმბეშლიყი.

№6-1. სელიმ III (1788-1808) ყურუში. მოჭრილი ისლამბულში (ჰიჯრით 1203) 1889 წელს. ვერცხლი (დანართი XVII. 1).

№6-2 აჰმედ III (დანართი XVII. 2) (1703-1730) ნიმბეშლიყი. მოჭრილი კონსტანტინიაში (ჰიჯრით 1115) 1703 წელს. ვერცხლი.

მესტიის მუზეუმში ოსმალური ფული მრავლად არის დაცული. აქ განსაკუთრებით სახჩები ჭარბობენ.

ჩამონათვალი: (დანართი XVII. 3; XVIII. 1, 2)

აჰმედ II-ის (1690-1695) მიერ კონსტანტინოპოლში მოჭრილი ახჩები;

მუსტაფა II (1694-1703) – კონსტანტინოპოლი, ახჩები;

აჰმედ III (1703-1730) – კონსტანტინოპოლი, ახჩები;

მაჰმედ I (1730-1754) – კონსტანტინოპოლი, ახჩები;

მუსტაფა III (1757-1773) – კონსტანტინოპოლი, მისრი, ახჩები;

აბდულ ჰამიდ I (1773-1788) – ისლამბული, მისრი, ახჩები;

სელიმ III (1788-1807) – კონსტანტინოპოლი, ახჩები;

მუსტაფა IV (1807-1809) – კონსტანტინოპოლი, ახჩები. მთლიანად 600 ცალი

გარდა ახჩებისა, გვხვდება ყურუშებიც.

სიემ – მესტია

№134/1. სულთან სელიმ III (1789-1808) ჰიჯ. 1203 = 1789 წ. ყურუში. ისლამბული. წ. 31, 69 გრ., ზ. 45/45 მმ. (დანართი XIX. 1)

№134/2. სულთან სელიმ III-ის (1789-1808) ჰიჯ. 1203 = 1789 წ. ყურუში. ისლამბული. წ. 31, 60 გრ., ზ. 45/45 მმ. (დანართი XIX. 2)

№134/3. სულთან სელიმ III-ის (1789-1808) ჰიჯ. 1203 = 1789 წ. ყურუში. ისლამბული. წ. 31, 59 გრ., ზ. 45/45 მმ. (დანართი XIX. 3)

№135/1. სულთან სელიმ III-ის (1789-1808) ყურუში. ისლამბული. მოჭრის წელი არ ჩანს. ისლამბული წ. 32. 01 გრ., ზ. 45/45 მმ.

№135/2. სულთან სელიმ III-ის (1789-1808) ყურუში (დანართი XIX. 4). ისლამბული. მოჭრის წელი არ ჩანს. ისლამბული წ. 31. 39 გრ., ზ. 45/45 მმ.

№135/3. სულთან სელიმ III (1789-1808) ჰიჯ (დანართი XIX. 5). 1203-1789 წ. ყურუში. ისლამბული. წ. 31. 60 გრ., ზ. 45/45 მმ. (დანართი XIX. 6)

საქართველოში ოსმალური ფულის საფუძვლიანი შესწავლა ქალბატონ მერი ანთაძის სახელს უკავშირდება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, (თბილისი, 1982)

ოსმალური საფასის გავრცელება საქართველოში XVI საუკუნიდან იწყება, რაც ფაქტობრივი მასალის გარდა გლობალური პოლიტიკური პროცესებით მტკიცდება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოსმალური მონეტები მისრის (ეგვიპტე), ჰილლას (ერაყი), ჰალების (სირია), ამიდის (სანჯარის, ჩრ. მესოპოტამია), ხანჯას (ტრაპიზონის ვილაიეთი), კონსტანტინოპოლის, ნოვარის (სერბია) ზარაფხანებშია მოჭრილი<sup>1</sup>. სვანეთის თურქული მონეტების ძირითადი ნაწილი კონსტანტინოპოლში (ისლამბული) და მისრშია მოჭრილი.

ოსმალეთის იმპერიის აშკარა გავლენა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე მკაფიოდ აჩვენა ამ რეგიონში მათი მონეტების გავრცელების ინტენსივობამ. კანტიკუნტად ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც გვხვდება, მაგრამ, ძირითადად, კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოში. მ. ანთაძემ, როდესაც შექმნა ოსმალური მონეტების საქართველოში გავრცელების ტოპოგრაფია, აღნიშნა, რომ განძების და ცალკეული მონეტების აღმოჩენა უმეტესად შემთხვევითობაზეა დამოკიდებული და ისინი ხშირად მკვლევარამდე ვერ აღწევს<sup>2</sup>. მასალის ხელმიუნვდომლობა იყო მიზეზი იმისა, რომ მეცნიერს სვანეთის რეგიონი არ შეუტანია მიმოქცევის არეალში, იმ დროს როდესაც ამ რეგიონში აღნიშნული მონეტების მოცულობით რაოდენობასთან გვაქვს საქმე.

XVII საუკუნეში ოსმალური ფული გადახდის კანონიერ საშუალებად ჩანს, რაც წერილობით წყაროებშიც დასტურდება<sup>3</sup>. მართალია, საქართველოს სამონეტო ბაზარი გაჯერებულია ევროპული საფასეებით, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ მიმოქცევაში მყოფი სხვა მონეტების ღირებულებაც სწორედ ახჩებში იანგარიშებოდა<sup>4</sup>. საინტერესო ის ფაქტი, რომ მოგზაურები არ ახსენებენ ოსმალურ ფულს. არქანჯელო ლამბერტი მხოლოდ უნგრულ ცეხინებს და ესპანურ რეალიებს ახსენებს<sup>5</sup>. რუსი დიპლომატები ტოლოჩანოვი და იევლევი იმერეთის ფულის მიმოქცევის ხსენებისას მხოლოდ ევროპულ ფულს ახსენებენ<sup>6</sup>.

სანინააღმდეგოს ამტკიცებენ დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი განძები. ამ აღმოჩენების საფუძველზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ბაზარი გაჯერებულია ოსმალური ფულით.

XVIII საუკუნეში ოსმალური საფასის როლი გაცილებით მნიშვნელოვანია. მათი ბრუნვის გეოგრაფიულ არეალში შედის: ქართლი, იმერეთი, ლეჩეუმი, აფხაზეთი, გურია, აჭარა, სამხრეთ საქართველო<sup>7</sup>. ოსმალური საფასე ამ დროისათვის კვლავ რჩება გადახ-

<sup>1</sup> მ. ანთაძე, „საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით“, 63

<sup>2</sup> იქვე, 64

<sup>3</sup> „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თურქული ტექსტი გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წიგნი I, (თბილისი, 1941), 67

<sup>4</sup> ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, 67

<sup>5</sup> არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, 156

<sup>6</sup> მ. პოლიექტოვ, *Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650-1652 гг.* (თბილისი, 1926), 110

<sup>7</sup> ანთაძე, „საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით“, 127

დის კანონიერ საშუალებად საქართველოში. ამას ადასტურებს ოსმალური საფასეების საკმაოდ დიდი რაოდენობის განძების აღმოჩენა და ასევე უკვე მათი უფრო ხშირი მოხსენიება დოკუმენტურ წყაროებშიც.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ადგილობრივი გადასახადების დავთარში დამოწმებულია ყურუში<sup>1</sup>, სტამბულის ოქრო<sup>2</sup>, რაშიც გულისხმობს სტამბულში მოჭრილ ოქროს მონეტებს. ოსმალურ საფასეებს ახსენებს გიულდენშტედტი თავის მოგზაურობაში. მაგალითად, ამბობს, რომ ვინაიდან იმერეთში არ არსებობდა სპილენძის ფული, ყველაზე ფართოდ გამოიყენებოდა ფარა (მისი ტერმინოლოგით ფარი), ასევე ახსენებს „ხუთფარიანს“<sup>3</sup>. საინტერესოა, აგრეთვე, მოხსენიებული „ათფარიანი ქართულად“, რომელიც იგივე ონლიქა<sup>4</sup>. მოგზაური ასევე აჩვენებს როგორი გაცვლითი ღირებულება არსებობდა ქართულ ფულსა და ოსმალურ საფასეს შორის. თბილისური აბაზში იგულისხმება ერეკლეს მიერ მოჭრილი სირმა აბაზი, წონით 3, 07გ., შემცველია 16 ფარისა, ხოლო შაური – 4 ფარისა<sup>5</sup>.

ოსმალური საფასე მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც დიდ როლს თამაშობს. ამ პერიოდის არა ერთი განძია აღმოჩენილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში<sup>6</sup>. დასავლეთ საქართველოში იმერეთში შედგენილი ფასების ნიხრი – მასში დასახელებულია ფულის ერთეულები: ყურუში, ფარა, ფლური<sup>7</sup>.

ზოგადი სურათი თურქული საფასეების მიმოხილვისა საქართველოში ასე გამოიყურება. წერილობითი ცნობები თუ ფაქტობრივი მასალა ნამდვილად გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებში იმადა საფასეები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ.

ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა გზით იყო შესაძლებელი ამ საფასეების მოხვედრა სვანეთის რეგიონში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანეთში დაცული ოსმალური საფასეების ქრონოლოგიური დიაპაზონი XVI საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისია. გავრცელების გეოგრაფიული არეალი თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა კონცენტრირებული დასავლეთ საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ სვანეთის რეგიონის მჭიდრო სამეურნეო-ფულად ურთიერთობებს დასავლეთ საქართველოს ბართან, აშკარაა, რომ ეს მონეტები ბარიდან უნდა ასულიყო, მაგრამ საინტერესოა, რა გზა უნდა გაევლო იმავე საფასეებს სვანეთამდე.

<sup>1</sup> 6. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წიგნი I (თბილისი, 1938), 133

<sup>2</sup> იქვე, 265

<sup>3</sup> „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“, გ. გელაშვილის თარგმანი, (თბილისი, 1962), 283

<sup>4</sup> ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, 134

<sup>5</sup> „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“, 287

<sup>6</sup> ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, 126

<sup>7</sup> ბერძენიშვილი, „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“, 261-262

ჩვენთვის უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა რაჭაში, ონის არქეოლოგიურ მუზეუმში, მუშაობა, სადაც მივაკვლიერ მნიშვნელოვან მონეტას. მუზეუმში დაცულია სულთან მაჰმუდ I-ის (1703-1730) მიერ ჰიჯრის 1143 (1730) მოჭრილი აღთუნი.

აღწერილობა:

მაჰმუდ I (1703-1730). 1730 წ. 3, 47 გრ. ზ. 19/19. აღთუნი (დანართი XIX. 7)

Av. მონეტის ცენტრში „თუღრა“ – მაჰმუდ I-ის სახელის დაქარაგმება. ქვემოთ ისლამ-ბულ. თარიღი ჰიჯრით 1143 (=1730).

Rv. ოთხსტრიქონიანი არაბული ზედნერილი:

„**سلطان البرتين و خاقان البحرين ابن السلطان ابن** | **السلطان**“ სულთანი ორი ხმელეთისა და ხაკანი ორი ზღვისა სულთანი ძე სულთნისა“

შენიშვნა: მონეტა გახვრეტილია, როგორც ჩანს, მოქალაქემ, რომელმაც იპოვა ეს მონეტა, გულსაკიდად გამოიყენა.

ამ სულთნის აღთუნის აღმოჩენის შემთხვევები გვაქვს ცნობილ “ქუთაისის განძშიც“.

1941 წელს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ეზოში თავშესაფარის თხრის დროს აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა 13 აღთუნისა და 8 ვენეციური დუკატისაგან. 13-დან 10 მოჭრილი ყოფილა სულთან აჰმედ III-ის მიერ ჰიჯრის 1115 (1703) წ. სამი აღთუნი – მაჰმუდ I-ის ჰიჯრის 1143 წ. (1730 წ.) ისლამბულში, მისრში და თბილისში იყო მოჭრილი. ეს მონეტები ქუთაისის რაიონულ კომიტეტს სახელმწიფო ბანკისთვის გადაუცია მოსკოვში თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. მხოლოდ ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ გახდა შესაძლებელი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის დაეპრუნებინათ ერთი ცალი – თბილისში მოჭრილი აღთუნი!

ჩვენდა გასაოცრად, თურქული ახჩების რაოდენობა ამჟამად მუზეუმში დაცული მასალის მიხედვით, რაჭაში ლარიბულად გამოიყურება. მაგრამ ისეთი ნომინალის არსებობა, როგორიც აღთუნია, უაღრესად მნიშვნელოვანია და სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ეს რეგიონიც დაემატოს ოსმალური საფასების მიმოქცევის არეალს. შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ოსმალური მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიაში არც რაჭა იყო შეტანილი. რაჭაში ამ მონეტების გავრცელება კი ჩვენთვის საკმარისი საფუძველია, ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია, ზემო სვანეთში ამ კუთხის გავლით ასულიყო ოსმალური ფული.

## 2.10. ერეკლე II-ის მონეტები სვანეთში

ერეკლე II-ის (1762-1798) მონეტა სვანეთში ორ ეგზემპლარად არის წარმოდგენილი.

აღწერილობა:

№138/2. ერეკლე II (1762-1798), 1796 წ. თბილისი. ბისტი. სპილენძი. (დანართი XX. 1)

წ. 19, 43 გრ. ზ. 28/29 მმ.

Av. ასომთავრულით გადმოცემულია ერეკლეს სახელი: ერეკლე. ქვემოთ სპარსულად: „**ضرب تقليس**“ – „**იჭედა თბილისს**“. თარიღი ჰიჯრით 1210 (=1796).

<sup>1</sup> Е.Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавка, вып. V*, (Баку, 1949), №1206; ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, 83

Rv. ერთთავიანი არწივის გამოსახულება. ქვემოთ ევროპული თარიღი – 1796.

№138/1. ერეკლე II (1762-1798). თბილისი. ნახევარიბისტი. სპილენძი. (დანართი XX. 2)

ნ. 5, 25 გრ. ზ. 19/19 მმ.

Av. ასომთავრულით გადმოცემულია ერეკლეს სახელი: ერეკლე. ქვემოთ სპარსულად: „**صرب تقليس**“ – „იჭედა თბილისს“. თარიღი ჰიჯრით არ იკითხება. სავარაუდოდ 1190 (=1776)

Rv. ყვავილოვან ორნამენტში ჩასმული თევზის გამოსახულება.

ერეკლე II-ის (1762-1798) ამ ტიპის მონეტები ცნობილია, ისინი არა ერთხელ მოხვედრილა სამეცნიერო პუბლიკაციებში<sup>1</sup>. ერეკლე II-ის სამონეტო ემისიოდან რამდენიმე ტიპია ცნობილი.

ერთი და იმავე გამოსახულებით მოჭრილია რამდენიმე ნომინალი: შაურიანი, ბისტიანი და ნახევარბისტიანი.

მათი აღნერილობა ასეთია:

Av. ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო ლერბი: გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი. (დანართი XX. 3)

Rv. ასომთავრულად ერეკლე ქვემოთ სპარსულად: „**صرب تقليس**“ – „იჭედა თბილისს“. თარიღი ჰიჯრით 1179 (=1765)

ერთ-ერთი ტიპი – ნახევარბისტიანი თევზის გამოსახულებით – უკვე აღვწერეთ. იხ. №138/1.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ტიპის აღნერილობა შემდეგია. (დანართი XX. 4)

Av. ასომთავრულად ერეკლე ქვემოთ სპარსულად: „**صرب تقليس**“ – „იჭედა თბილისს“. თარიღი სხვადასხვა ჰიჯრით.

Rv. ორთავიანი არწივის გამოსახულება და ქვემოთ სხვადასხვა თარიღი, მაგ., 1781, 1787, 1789 და სხვა.

შემდეგი ტიპი უკვე აღვწერეთ. იხ. №138/2

ერეკლეს მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში რუსეთთან ურთიერთობის გაღმავებით არის ცნობილი. სამონეტო იკონოგრაფიაზე ცვლილება, კერძოდ, ორთავიანი არწივის გამოჩენაც რუსეთის იმპერიისადმი დაახლოებით აიხსნა.

მეფის მიერ მოჭრილი სამონეტო ტიპების იკონოგრაფიული დეტალების განხილვა საკმაოდ ღრმა ანალიზს და შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ბევრი დეტალის კვლავ დაზუსტებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, საკითხს ჯერჯერობით ღიად ვტოვებთ, შემოვიფარგლები მხოლოდ ამ მონეტების გავრცელების არეალზე და შევეცდები ავხსნა, თუ რა გზით უნდა მოხვედრილიყო ერეკლე II-ის მონეტები სვანეთში.

საქართველომი ერეკლე მეორის მონეტების გავრცელებისადმი მიძლვნილი ტოპოგრაფია დღეისათვის არ მოგვეპოვება, გარდა ე. ჰახომოვის ნაშრომისა<sup>2</sup>, სადაც მეცნიერი გვაწვდის ცნობას ერთი უზარმაზარი განძის არსებობის შესახებ. ცალკეული აღმოჩენის

<sup>1</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, (თბილისი, 1969), 151; ე. პახომოვ, *Монеты Грузии*, (Тбилиси, 1970), 261; დუნდუა გ., დუნდუა თ. ქართული ნუმიზმატიკა II ნაწილი, 130

<sup>2</sup> ე. პახომოვ, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа*, вып. 3, (Баку, 1926), №230, 71

შემთხვევები გვაქვს, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილების კატოთეკაში, კერძოდ: ურბნისში და დმანისში აღმოჩენილი ერეკლე მეფის თითო-თითო და საშურის რაიონში აღმოჩენილი ერთი თეიმურაზ და ერეკლეს ერთობლივად მოჭრილი საფასე.

1906 წელს ცხინვალში აღმოჩენილ იქნა ერეკლე II-ის მონეტების საკმაოდ მოზრდილი განძი. განძი შედგებოდა 60 ცალი სირმა აბაზის, ერთავაიანი არწივის და ორთავიანი არწივის გამოსახულებით მოჭრილი სპილენძის 200-მდე მონეტისაგან. განძში შედიოდა, აგრეთვე, ეკატერინე II-ის მოჭრილი სპილენძის 2 – და 5 – კაპიკიანები მოჭრილი სხვა-დასხვა წელს: 1760 წ. – დან 1790 წ. – მდე<sup>1</sup>. ამ განძზე ე. პახომოვი წერს, რომ ის განაწილდა მპოვნელებს შორის. რამდენიმე წლის შემდეგ ხსენებული განძი ორჯერ სხვადასხვა დროის ინტერვალით შევიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ერეკლეს მონეტების ამ რაოდენობით კონცენტრირება აღმოსავლეთ საქართველოში გასაგებია და ლოგიკურიცაა, ვინაიდან ის ჯერ კახეთის, ხოლო მამის თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლისა და კახეთის მეფეა. დასავლეთ საქართველოში ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით ერეკლე II-ის მონეტა არ გვხვდება.

საყურადღებოდ გვეჩვენება რაჭაში, ონის რაიონის სოფელ ხურუთში, აღმოჩენილი თეიმურაზ II-ის ნახევარბისტიანი. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფეების ფული მთიან რაჭამდეც აღწევდა. რაც შეეხება ერეკლეს მონეტებს, ჩვენ მიერ მოყვანილი ცხინვალის განძი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ვივარაუდოთ ერეკლეს მონეტების მოხვედრა რაჭაში, რადგან ეს ის რეგიონია, რომელიც ემეზობლება რაჭას და ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა რაჭაში ასულიყო ერეკლეს მონეტები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით არც სვანეთშია ერეკლე II-ის მონეტების გამოჩენა უცნაური და სრულიად ლოგიკურად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ამდენად, ერეკლე II-ის მონეტების გავრცელების ამჟამინდელ მნირ ჭოპოგრაფიას ემატება სვანეთი და რაჭა.

<sup>1</sup> Е. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавка, вып. 3, #230, 71

## III თავი. სვანეთის სამონეტო განძების ეთნოლოგიურ-კონცესიური ასპექტები

სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის ეთნოლოგიური ასპექტის განხილვა, შეუძლებელია მთლიანად საქართველოში აღმოჩენილი იდენტური მასალის ფართო კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ვინაიდან სვანეთი ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაციით, სამონეტო განძები იყოფა შემდეგ ჯგუფებად.

- კონომიკური განძები: პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის განძები, რომლებიც ქვეყანაში თუ კონკრეტულ რეგიონში ფულადი მიმოქცევის სურათს ქმნიან.
- ეთნოგრაფიული განძები, რომლებიც შეიცავს ასევე საკულტო (ვოტიკურ) განძებს.

ეთნოლოგიური ხასიათის სამონეტო განძების სისტემატიზირების დროს ჩვენ განძები დავყავით პერიოდების მიხედვით: წინარეკრისტიანული და ქრისტიანული პერიოდი<sup>1</sup>.

უძველესი დროიდან ადამიანები თვლიან, რომ ფული საჭიროა როგორც ამქვეყნიურ, ისე იმიერ ცხოვრებაში<sup>2</sup>. ამიტომ მიცვალებულს სამარხში ფულს თუ ჩააყოლებდნენ, სწამდათ, რომ საიქიო ცხოვრებაში ფული იმავე ფუნქციას შეასრულებდა, რასაც ცოცხალი ადამიანების ყოველდღიურ ყოფაში. აქედან გამომდინარე, დაკრძალვის რიტუალის დროს სამარხში ფულის ჩატანების წესიც არაერთგვაროვანია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სამარხში მონეტის ჩაყოლების რამდენიმე შემთხვევა:


1. სამარხში მონეტის როგორც გადასახადის ჩაყოლება. ეგრეთ წოდებული ქარონის ობოლი.
2. მონეტა (ან მონეტები) სამარხში, როგორც სანქციონებული (ან, არასანქციორებული) ქონებრივი ცენზის განმსაზღვრელი.
3. მიცვალებულისთვის მონეტის (ან მონეტიდან აღებული გამოსახულების) სამკაულად ან ავგაროზად ჩაყოლება.
4. მონეტა როგორც წინარეკრისტიანულ ტაძარში შეტანილი ძღვენი.

### 3.1. „ქარონის ობოლი“

სამარხში მონეტის მოხვედრის ყველაზე არქაული ტრადიცია „ქარონის ობოლის“ სახელითაა ცნობილი.

<sup>1</sup> მ. პატარიძე, „სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, (თბილისი, 2013-2014), VIII, 186

<sup>2</sup> В.Потин, „Монеты в погребениях древней Руси и их значение для археологии и этнографии“. Труды Государственного Эрмитажа XII, (Ленинград, 1971), 54



### დანართი XXIII

დმანისის სამაროვანი, თხრილი N13-ის მიმდებარედ. N28 (ებიას) სამარხი გახსნის  
დროს. 1987 წ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი  
Dmanisi necropolis, vicinity of trench N13, while unearthing burial N28 (Ebias) in 1978.  
Archive of Dmanisi archaeological expedition



დანართი XXIV

სამარხი N24. ვანის არქეოლოგიური  
ექსპედიცია. 2003-2004 წწ.

Burial N24. Vani archaeological  
expedition 2003-2004.



დანართი XXV



1

საბეჭდავი ბეჭედი. ვანი. სამარხი N24. ვერცხლი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

Signet ring. Vani. Burial N24. Silver.

Georgian National Museum



2

საბეჭდავის ანაბეჭდი.

Imprinting of a signet ring



3

კოლხური ნახევარდრაქმა.

Colchian hemidrachm



4

საბეჭდავი ბეჭედი. ვანი. სამარხი N9. ოქრო. სემ


Signet ring. Vani. Burial N9. Gold. GNM



ვანი. მოზაიკურიატაკიანი საკულტო ტაძარი. 1967 წ.

საკულტო ტაძარის სამონეტო განძი ვანი.

Shrine with a mosaic floor, 1967. Hoard of coins near the altar. Vani



ვანის განძი. ძვ. წ. II-I სს. სპილენძის მონეტების განძი. აღმოჩნდა 1967 წელს. 119 ერთნაირი  
მონეტა. თარიღდება ძვ. წ. I ს. 80-იანი წლებით. ერთი მონეტა ქ. ამისოშია მოჭრილი.

ძვ. წ. 111-105. ვანი ბრინჯაოს ქანდაკებები. 1967 წელი. ვანი. სემ  
Vani hoard 2 – 1st cent. BC. Hoard of copper coins unearthed in 1967. 119 identical coins  
dated to the 80s of the 1st c. BC. A single coin minted in Amisus in 111-105 BC. Vani  
Bronze figurines, 1967. Vani. GNM



დანართი XXVIII



1

სანთელშემოხვეული ათკაპიკიანი სამეგრელოს სალოცავიდან. სემ  
10 kopeks wrapped in a candle for a shrine in Samegrelo. GNM



2

ბაგრატ IV (1027-1072) ნოველისიმოსი. ვერცხლი. სემ  
Bagrat IV (1027-1072) Novelissimos. Silver. GNM

სვანეთი. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის საგანძურო. მუშაობის პროცესი  
Svaneti. Working on the hoard from Kvirike and Ivlita church



ბერძნული წეს-ჩვეულების მიხედვით, მიცვალებულს პირზე აფარებდნენ ვერცხლის მონეტის მცირე ნომინალს ან ხელში უდებდნენ. ელინების წარმოდგენით, გარდაცვლილის სული მენავე ქარონს უნდა გადაეყვანა მდინარე აქერონზე ან სტიქსზე, ის ამ სამსახურისთვის ფულს – ობოლს იღებდა. ამიტომ ამ მონეტას ქარონის ობოლს უნოდებდნენ. უადრესი შემთხვევები მონეტის ჩატანებისა ძვ.წ. V ს.-ის მეორე მეოთხედს მიეკუთვნება (კორინთი) და სპორადულად გვხვდება ახ.წ. V საუკუნის დასასრულამდე.<sup>1</sup> ქარონის ობოლის შემთხვევაში მონეტა ორგზის გამოიყენება ფულის დანიშნულებით. ის ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ფულია, რომელიც მიმოქცევაშია და იმიერ ცხოვრებაშიც ფულის ფუნქცია უნდა შეასრულოს. სამარხში ხვდებოდა მიმოქცევაში ჩართული ფული, აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული ქარონის ობოლი უკვე დიდ ინფორმაციას აწვდის მეცნიერებს კონკრეტული ისტორიული პერიოდის ეკონომიკური და ფულადი მიმოქცევის სურათის აღსადგენად. ამავდროულად, ის არქეოლოგიური ფენისა თუ სამარხის სანდო დამათარიდებელია<sup>2</sup>.

ე.წ. ქარონის ობოლი საკმაოდ მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზეა აღმოჩენილი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ისტორიული კოლხეთის რეგიონში „ქარონის ობოლი“-ს შემთხვევები ხშირია შემდეგ არქეოლოგიურ ძეგლებზე: ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის, ელინისტური და ადრეელინისტური სამაროვნები, დაფნარისა და დაბლაგომის სამაროვნები (სამტრედის მუნიციპალიტეტი), ვანის სამარხები, აბაშა-ტეხურის მიდამოებში გათხრილ სამარხები, კერძოდ, ნოქალაქევი, ზემო ფარცხმის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) სამაროვანი, საირხესა და მოდინახეს სამარხებში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი)<sup>3</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში „ქარონის ობოლის“ შემთხვევები გაცილებით იშვიათია. ზემო ქართლში, მდ. ჭერათხევის ხეობაში, მცხეთიჯვრის სამაროვანზე (ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარი – III საუკუნის დასაწყისი) მონეტა მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა (სამარხი 93) – კოლხური ნახევარდრაქმა მიცვალებულის სახის არქში იდო<sup>4</sup>.

ტახტიძირის სამაროვანზე 8 სამარხში (ძვ.წ. IV-III სს.) ერთ-ერთ მიცვალებულს (ბავშვს) პირში ედო ალექსანდრეს ოქროს სტატერი<sup>5</sup>.

გუდაბერტყას ნამოსახლარის დასავლეთით, სოფ. სვენეთის დასაწყისში, თბილისი-გორის ავტომაგისტრალის სამხრეთით, სოფელ კვერნაქისკენ გზის გაყვანისას აღმოჩ-

<sup>1</sup> დ. კაჭარავა, „ქარონის ობოლი“, საქართველო (იბერია-კოლხეთი) და გარე სამყარო ძვ.წ. IV – III საუკუნეებში. 2009 წლის რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ანგარიში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე. სტატია, ხელნაწერი (იბეჭდება), 2009

<sup>2</sup> მ. პატარიძე, „სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა“, ივ. ჯავახიშვილის სახელმძღვანელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, (თბილისი, 2013-2014), VIII, 187

<sup>3</sup> კაჭარავა, „ქარონის ობოლი“.

<sup>4</sup> ბ. ბრაგვაძე, ა.დავითაშვილი, „მცხეთიჯვრის ელინისტური ხანის სამარხები“, (თბილისი, 1993), 19, 25

<sup>5</sup> ი. გაგოშიძე, „არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის მუნიციპალიტეტი)“, კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები: საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, არქ. კვლევის ცენტრი; (თბილისი, 1997), 16-17

ნდა დაზიანებული ორმოსამარხი. 2015 წელს გუდაბერტყას არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ექსპედიციის ხელმძღვანელი – გიორგი მინდიაშვილი) შეისწავლა სამარხი და დააფიქსირა მიცვალებულის პირის ღრუში მონეტა – „ქარონის ობოლი“ (დანართი XXI. 1), არტაბან II-ის ღრაქმა<sup>1</sup>.

თეძმის ხეობაში, კასპის მინიციპალიტეტის სოფელ გოსტიბეში, „ქარონის ობოლის“ აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. ქვემო გოსტიბეში სამაროვანზე, ორმოსამარხებში (III ს. II ნახევარი – IV ს. I ნახევარი) შემდეგი შემთხვევები დასტურდება: 7 სამარხში მიცვალებულის ყბასთან ვერცხლის მონეტა – არტაბან II-ის ღრაქმა, 15 ორმოსამარხში მიცვალებულის პირის ღრუში ოქტავიანე ავგუსტეს დენარი, 16 სამარხში გარდაცვლილის ყბის ძვალთან მონეტა – არტაბან II-ის ღრაქმა იდო, ხოლო თავის ქალის ძვლების ალაგებისას კიდევ ორი მონეტა – არტაბან II-ის ღრაქმა დადასტურდა<sup>2</sup>. 17 სამარხში მიცვალებულის პირის ღრუში – ავგუსტეს დენარი<sup>3</sup>, 18 სამარხში თავის ქალის უკან ოქტავიანე ავგუსტეს ორი დენარი<sup>4</sup>. ქვემო გოსტიბეს სამაროვნიდან განსაკუთრებულია 16 სამარხი. აქ ერთი მონეტა პირის ღრუში აქვს მიცვალებულს და ორი თავის ქალის უკან იდო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ „ქარონის ობოლ“ თან გვაქვს საქმე, მონეტა ან პირის ღრუშია, ან ხელში უჭირავს მიცვალებულს, ან ორ მონეტას თვალებზე აფარებენ. ამ სამარხში, ჩვენი აზრით, მიცვალებულს პირის ღრუშიც ჩაუდეს მონეტა და თვალებზეც დააფარეს.

„ქარონის ობოლის“ გარდა სამარხში მონეტის ან მონეტების მოხვედრის შემთხვევები საკმაოდ ხშირია, თუმცა მათი ფუნქციის განსაზღვრას ართულებს სხვადასხვა ფაქტორი. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს რთული ბუნებრივი პირობები, რამაც ძვლოვანი მასის ჩაშლა და სამარხეული ინვენტარის აღრევა გამოიწვია.

### 3.2. მონეტა (ან მონეტები) სამარხში, როგორც ერთებრივი ცენზის განმსაზღვრელი სიმპოზიუმი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცვალებულისთვის მონეტ (ებ) ის ჩატანება სხვადასხვა დანიშნულებით ხდებოდა. ხშირად მონეტების არსებობა სამარხში გარდაცვლილის ქონებრივი პრესტიჟის განმსაზღვრელი იყო. საქართველოში მსგავსი შემთხვევებიც საკმარისად მოგვეპოვება.

ვანში №15 სამარხში, რომელიც ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, აღმოჩნდა ოთხი მონეტა, ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 356-323) და ფილიპე III მაკედონელის (ძვ.წ. 323-316) სტატერები და ორი კოლხური თეთრი, ნახევარდრაქმიანები<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გ. მინდიაშვილი, გუდაბერტყას არქეოლოგიური ექსპედიცია, ანგარიში, ხელნაწერი, 2015

<sup>2</sup> ზ. თორთლაძე, გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები (III-VII საუკუნეები), გამომცემლობა მერიდიანი, (თბილისი, 2015), 40

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე, 41

<sup>5</sup> ვ. თოლორდავა, „ვანის ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი“, (თბილისი, 1986), ვანი VIII, 83

აშკარაა, რომ აღნიშნული მონეტების მოხვედრა სამარხში გარდაცვლილის სიმდიდრის განმსაზღვრელია. იგივე შეიძლება ითქვას ვანის ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრისა და III საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ №16 სამარხზე, სადაც 80 ცალი კოლხური ტრიობოლი აღმოჩნდა სამაჯურების ორ გროვას შორის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მონეტები ქისაში იყო მოთავსებული ან ქსოვილში გახვეული და ხელებში ედო მიცვალებულს<sup>1</sup>.

ვანის №24 სამარხში მთავარი მიცვალებულის თავის არეში დადასტურდა „ქარონის ობოლი“ – ბოსფორის სამეფოს, პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა, ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნის ბოლო. მაგრამ იქვე, დაკრძალულის თავის არეში, აღმოჩნდა ოქროს ზოდი<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, ოქროს ზოდი „ქარონის ობოლთან“ ერთად პირდაპირ მიანიშნებს მიცვალებულის განსაკუთრებულ ქონებრივ ცენზზე.

ქისით მონეტების გატანების შემთხვევა არის დაფიქსირებული საირხეში №8 სამარხში, მთავარ მიცვალებულს მეორე ტიპის 14 კოლხური ტრიობოლი ჰატანებული, ხოლო სარკოფაგის თავზე ქვაყრილში კი 20 ასეთი მონეტა აღმოჩნდა. ზოგიერთ მონეტაზე ქსოვილის ანაბეჭდია, რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მონეტები ქისაში ან ქსოვილში იყო გახვეული.

უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როდესაც სამარხში მონეტები ორგვარ ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, გვხვდება „ქარონის ობოლის“ და სიმდიდრის სახით. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ვანის №22 სამარხი, სადაც ორმოში დადასტურებული ოთხი მიცვალებულიდან მონეტები, ჩვეულებრივი კოლხური ტრიობოლი, მხოლოდ ერთს ჰატანებული, თუმცა იქვე დერგში, რომელშიც 300-მდე ოქროს სამკაული იდო, 5 ასეთივე მონეტა აღმოჩნდა, ხოლო მიცვალებულებს შორის არეზე ვერცხლის გროვასთან ორ ჯგუფად იდო იმავე ტიპის მონეტები. ერთ ჯგუფში 40 მონეტა შედიოდა, მეორეში კი – 41<sup>3</sup>. სვანეთში, ჭუბერის თემში, ლარილარის სამაროვნის ტერიტორიაზე, აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის სტატერი. მონეტის ზუსტი მდებარეობა სამარხში ცნობილი არ არის. ალექსანდრეს სტატერის ქარონის ობოლად აღმოჩენის შემთხვევა დადასტურებულია ტახტიძირის სამარხში, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქაც იმავე ფაქტთან გვქონდეს საქმე. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ოქროს მონეტა ამ შემთხვევაში გარდაცვლილის ქონებრივი პრესტიუსის განმსაზღვრელი იყო. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის არსებობა, სხვა სამარხეულ ინვენტართან ერთად, უმნიშვნელოვანესია იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ სვანეთის რეგიონი ელინისტურ პერიოდში ჩართულია საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში და არანაირად არ წარმოადგენს კარჩაკეტილი რეგიონს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> დ.კაჭარავა, ზ. მუავანაძე, „ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში“, ვანი VIII (თბილისი, 1986), 22

<sup>2</sup> დ. კაჭარავა, ს.ხარაბაძე, „დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში“, იბერია-კოლხეთი №7 (თბილისი, 2011), 25

<sup>3</sup> კაჭარავა, ქარონის ობოლი

<sup>4</sup> გ.ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე, „ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა“ (თბილისი, 2008), 23; მ. პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“.

### **3.3. სამარხში მონეტა როგორც სამკაული, ავგაროზი ან უფლებრივი ინსიგნია**

იმიერ ცხოვრებისთვის მონეტების გატანებას კიდევ ერთი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა – მონეტის გამოყენება სამკაულად ან ამულეტად. საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი შემთხვევები რამდენიმე არქეოლოგიურ ძეგლზე დადასტურდა.

ფიჭვნარის ძვ. ხ საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე 1998 წლამდე ჩატარებული გათხრების დროს №5 სამარხში (ძვ. ხ. 430-420) აღმოჩნდა პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა (ტიპი: ლომის თავი, ჩაჭდეული კვადრატი და წარწერა), დათარიღებული ძვ. ხ. 475-450 წლებით<sup>1</sup>. ალსანიშნავია, რომ ამ მონეტას ნახვრეტი აქვს. დ. კაჭარავას მოსაზრებით, შესაძლოა, ის სამარხში ჩატანებამდე სამკაულად იყო გამოყენებული. კერძოდ, საკიდად<sup>2</sup>; მონეტა თავის არეშია აღმოჩენილი და სწორედ ამიტომაც მას „ქარონის ობოლის“ დანიშნულება მიენერა. ჩემი აზრით, თუკი ის სამკაულად იყო სამარხში ჩაყოლებამდე გამოყენებული, ვერანაირად ვერ ექნებოდა სტიქსის მებორნისთვის გადასახდელად გატანებული ფულის ფუნქცია. ვთიქრობ, მონეტა მიცვალებულს სამკაულად ან ამულეტად გაატანეს.

ფიჭვნარის ძვ. ხ. IV საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე, 1976 წელს №22 სამარხში თავის არეში ორი მონეტა დაფიქსირდა, რომლებსაც საკიდისთვის განკუთვნილი ნახვრეტები ჰქონდა და ასევე სამკაულს წარმოადგენდა<sup>3</sup>.

87 სამარხში აღმოჩნდა გახვრეტილი პანტიკაპეიონის ჰემიდრაქმა, რომელიც ყელის არეში დაფიქსირდა მძივებთან ერთად. ეს შემთხვევაც მონეტის სამკაულად გამოყენებას უკავშირდება<sup>4</sup>. ეს კონკრეტული შემთხვევა საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ აქარა მონეტისა და ქვების იდენტური რიტუალური ფუნქცია. ეს განსაკუთრებით მკაფიო ხდება გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც საეკლესიო განძში მონეტებთან ერთად მძივებიც გვხვდება. ამ თემას მოგვიანებით შევეხებით.

სამარხში ფულის ჩაყოლების ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით ეს რიტუალი ბევრ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში, შუა საუკუნეებშიც სრულდებოდა, უფრო მეტიც, ის აქა-იქ დღესაც გვხვდება.

ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისში, მიუხედავად დოგმატიკური აკრძალვისა, სამარხებში ჯერ კიდევ ვხვდებით სამარხეულ ინვენტარს. დაახლოებით VIII საუკუნიდან იცვლება სურათი და შუა საუკუნეების პერიოდში თითქმის უინვენტარო სამარხები ჩნდება. ამ მოვლენას ლ. ჭილაშვილი დამპურობთა ხშირ ცვლას, ქვეყნის აოხრებას, მძიმე გადასახადებს და საერთოდ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას მიანერს<sup>5</sup>.

განსხვავებული ვითარებაა XII-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველო ერთიანი და საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ ყალიბდება. ქვეყანა ეკონომიკურად მოღონიერე-

<sup>1</sup> ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ბათუმი, 1975), 68

<sup>2</sup> კაჭარავა, „ქარონის ობოლი“

<sup>3</sup> ა. კახიძე, ფიჭვნარის ძვ. ხ. IV ს. ბერძნულ ნეკროპოლზე 1976 წელს განხორციელებული საველეკვლევა-ძიების შედეგები, (ბათუმი, 1979), 47

<sup>4</sup> ა. კახიძე, მ. ვიკერსი, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002). ფიჭვნარი I. (ბათუმი-ოქსფორდი, 2004), 87-103

<sup>5</sup> ლ. ჭილაშვილი, „ქალაქი რუსთავი“, ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკვევი, (თბილისი, 1958) 146.

ბულია და სწორედ ამ დროს ჩნდება შედარებით მდიდრული სამარხები, სადაც გარდა სხვა სამარხეული ინვენტარისა, ჩნდება მონეტებიც. მონეტის გამოჩენა სამარხებში შესაძლოა საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებასთანაც მჭიდრო არის დაკავშირებული, ვინაიდან ვაჭრობასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ფულზე. ფულის როლი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ცხოვრებისთვის. ამ რწმენა-წარმოდგენას, რომელიც მეცნიერებად ენინააღმდეგებოდა ქრისტიანულ დოგმატიკას, ვერაფერი მოუხერხა რელიგიამ.

საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ დღეისათვის სამარხებში მონეტები შუა საუკუნეების იმ ძეგლებზეა აღმოჩენილი, რომლებიც მსხვილ ქალაქებს ან საქალაქო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ნიშანდობლივია, რომ შემთხვევები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ, გავუსწრებ მოვლენებს და აღვნიშნავ, რომ ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს ერთ რეგიონში მდებარეობენ და შესაძლოა დამახასიათებელიც იყოს ამ რეგიონისთვის, კერძოდ, ქვემო ქართლისთვის<sup>1</sup>.

შუა საუკუნეებში სამარხში მონეტის ჩაყოლების შემთხვევა დასტურდება ქვემო ქართლში, გომარეთის (ზურტაკეტის) პლატოზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ, კერძოდ, №4 ყორდანში. 1962 წელს აქ აღმოჩნდა შუა საუკუნეების ჩაშვებული სამარხი<sup>2</sup>. ექსპედიციის ხელმძღვანელის ო. ჯაფარიძის მიხედვით, სამარხში აღმოჩნდა ცხენის რამდენიმე კბილი, რკინის ლაგამი, რკინის ჯაჭვის პერანგის ნატეხები, რკინის ისრის პირი და რაღაც კაუჭის მაგვარი ნივთი (მ. წურწუმიას მიგნებით, ის ქვაბის სახელურია); აქვე ნაპოვნი იყო სამად გაჭრილი, კონსტანტინე X-ის (1057-1067) ბიზანტიური ოქროს მონეტა (იხ. დანართი XXI. 2).<sup>3</sup> სამარხეული მასალის შესწავლის შედეგად მ. წურწუმიამ დაადგინა, რომ ზურტაკეტის სამარხში დაკრძალული იყო ყივჩაღთა ერთ-ერთი წინამძღოლი<sup>4</sup>. რაც შეეხება სამარხის გამართვის თარიღს, მეცნიერის აზრით, დაახლოებით 1124 წელი უნდა იყოს, რადგან ყივჩაღების დამკვიდრება ზურტაკეტში დმანისის აღების, ანუ 1124 წლის შემდეგ არის სავარაუდებელი<sup>5</sup>. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ოქროს მონეტის, კონსტანტინე X დუკას (1059-67) მიერ მოჭრილი ჰისტამენონ ნომისმას სამარხში მოხვედრის ფუნქციური დატვირთვა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის სამართლიანი შენიშვნით, აღნიშნული ტიპის მონეტები სამარხის გამართვის დროსაც გადახდის კანონიერ საშუალებას წარმოადგენდა. ვფიქრობ, იქ მისი მოხვედრა უფრო მიცვალებულის ძალაუფლების და ქონებრივი პრესტიჟის მიმანიშნე-

<sup>1</sup> ძნელია აიხსნას რატომ, მაგრამ დასავლეთ საქართველოში, შუა საუკუნეების სამარხი მონეტით არ დაფიქსირებულა ჯერჯერობით.

<sup>2</sup> მ. წურწუმი, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის“, საისტორიო კრებული, 3 (2013) 174; O.M. ჯაპარიძე, „Ареологические раскопки в Триалети в 1959-1962 гг.,“ *Советская археология*, 2 (1964), 107, рис. 11; ოთარ ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში (თბილისი, 1969), 14, 39, 42-3

<sup>3</sup> ი. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 42-3

<sup>4</sup> მ. წურწუმია, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის“, 179

<sup>5</sup> იქვე, 188

ბელი იყო. რაც შეეხება მონეტის სამად გაყოფას, აქ შესაძლოა, მართლაც, გარკვეულ რიტუალთან გვქონდეს საქმე<sup>1</sup>.

1950 წელს ქალაქ რუსთავში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქის საავადმყოფოს-თან ახლოს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად (ხელმძღვანელი გიორგი სზლომთათიძე) გამოვლინდა სამარხები, საკმაოდ მრავალფეროვანი ინვენტარით<sup>2</sup>. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თავის დროზე ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ყელსაბამს. საქმე ისაა, რომ ყელსაბამი შედგებოდა სხვადასხვა მძივისაგან და გიორგი III-ის ხუთი გახვრეტილი სპილენძის მონეტისაგან. ყელსაბამის მძივების უმეტესობა პასტის არის, 5 ნიუარა (დანართი XXII. 1, 2) (ე.ნ. კაური-ინდოეთის ზღვის მოლუსკის ნიუარა მ. პ.), ერთი პასტის ავგაროზია, ე.ნ. დამუჭული ხელი და ერთიც ცისფრად მოჭიქული ფაიფურის მწოლიარე ლომის გამოსახულება<sup>3</sup>. რუსთავის სამარხში აღმოჩენილი მონეტები სამარხში უკვე სამკაულის დატვირთვით მოხვდა. შეიძლება დავუშვათ, რომ აქ მონეტების სამკაულად გამოყენებასთან ერთად ქონბრივი დაწინაურების პრეზენტაციასთან გვქონდეს საქმე.

დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების სამაროვანზე (ქრისტიანულ უბანში) სამაროვნის სამხრეთ ნაწილში 1976 წელს გაითხარა №1 სამარხი, ექსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ჯაფარიძე, სადაც აღმოჩნდა ზრდასრული ადამიანის და მასზე ზემოდან დაკრძალული ბავშვის ჩონჩხი. ზრდასრული ადამიანის თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა თამარ-დავითის (1200 წ) ორი ცალი სპილენძის მონეტა<sup>4</sup>.

დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესიასთან არსებული სასაფლაოს არქეოლოგიური შესწავლა XX საუკუნის 1983-1984 წლებში წარიმართა და ის ეკლესიის სამხრეთ აღმოსავლეთით, ორ პარალელურ კედლებს შორის მოქცეულ ტერიტორიას მოიცავდა<sup>5</sup>. ექსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ჯაფარიძე. ხსენებული პარალელური კედლები ეკლესიაზე უფრო ადრეული საცხოვრებელი შენობის ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს, რომლის მოშლის შემდეგაც აქ სასაფლაო მოუწყვიათ.

გათხრების ტერიტორიაზე გამოვლენილი სამარხების უმრავლესობას საფლავის ქვები გააჩნდა, მხოლოდ წარწერის გარეშე. სამარხები უინვენტარო იყო. ხოლო რამდენიმე მათგანში აღმოჩნდა მონეტები, რომელთაგანაც სამი კარგად თარიღდება.

<sup>1</sup> ე. წურნუმია, „ვანისადა ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის“, 181

<sup>2</sup> გ. ლომთათიძე, „რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“ I, (თბილისი, 1955), ნაზი პაჭიკაშვილი, ძველი რუსთავი, (თბილისი, 2014), 182

<sup>3</sup> იქვე, 183

<sup>4</sup> В. Джапаридзе, Г. Гамбашидзе, „Раскопы в Дманиси“, *Полевые Археологические Исследования в 1976 году, Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И.А. Джавахишвили, Тбилиси: издат. „Мецниереба“, (1979), 213-214; ჯიმერ ჩხვიმიანი, „Гаნვითარებული შუა საუკუნეების ქართულნარნერიანი საფლავის ქვები დმანისიდან“, კადმოსი 7, (თბილისი, 2015), 42-43*

<sup>5</sup> Вахтанг Джапаридзе, ჯუმბერ კოპალიანი, ნუგзარ მგელაძე, მერი გოჩაშვილი, გივი ბოლკვაძე, თამაზ ბუგანიშვილი, „Дманисская экспедиция раскопки в 1984 году“. *Полевые археологические исследования в 1984-1985 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 105-119, Таб. CLXXXVIII-CCII*

1. მეფე რუსუდანის მონეტა (1227 წ) სამარხი №10 (0, 25 მ. სიღრმეზე);
2. მანგუ ყაენის მონლოლური მონეტა (1254-57) – სამარხი №9 (0, 40 მ. სიღრმეზე);
3. გაურკვეველი მონეტა (სპილენძის) – სამარხი №10 (0, 35 მ სიღრმეზე); სამწუხა-როდ, არ არის ცნობილი, თუ რა ვითარებაში აღმოჩენილი მონეტები.

დმანისის სამარვანზე (ქრისტიანულ უბანში) XIII კვადრატის გვერდით 1987 წელს გა-ითხარა ორი სამარხი. ქსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ჯაფარიძე. სამარხში №27 აღ-მოჩენდა ერთი მიცვალებული. მის ჩრდილოეთ გვერდზე გათხრილ სამარხში №28-29 აღ-მოჩენდა ორი ერთმანეთზე დაკრძალული მიცვალებული. ზედა მიცვალებულის (№28) მარ-ცხენა მხარეს აღმოჩენდა ორი მონეტა: ლავინისა და მხრის ძვალთან აღმოჩენდა ერთი და გუ-ლის არეში აღმოჩენდა მეორე მონეტა. საველე დავთარში მითითებულია, რომ მონეტა იყო სპილენძის, არაბული წარწერებით). ზედა მიცვალებულს, სადაც მონეტები აღმოჩენდა, უნ-და ეკუთვნოდეს სამარხზე აღმართული საფლავის ქვებიც, ე.წ. ებიას (საკუთარი სახელია – მ. პ.) ეპიტაფით (დანართი XXIII). სამარხი XIII ს.-ის II ნახევრითაა დათარიღებული<sup>1</sup>. გამოდის, რომ მიცვალებულს, სახელად ებია-ს, საფლავში ჩააყოლეს ორი ცალი მონეტა<sup>2</sup>. დმანისის ამ სამარხში მონეტების ზუსტი ლოკალიზაცია შეუძლებელი იყო, ამიტომ ძნელია კონტექსტზე ვიმსჯელოთ, მაგრამ ნინა №1 სამარხში თავის ქალის ქვემოთ ნაპოვნი მონე-ტები შესაძლოა მიცვალებულს რიტუალურად გააყოლეს. კერძოდ, ქარონის ობოლის ერთ-ერთი ფორმა გამოიყენეს, როდესაც მიცვალებულს თვალებზე აფარებდნენ მონეტებს.

2019 წელს სამშვილდები საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპე-დიციამ, ხელმძღვანელი დავით ბერიკაშვილი, სიონის უბანში თხრილი – 08. გათხარა სამარხი №4<sup>3</sup>. სამარხში აღმოჩენდა მიცვალებული, 20-30 წლის. ქესი – მდედრობითი. ქალს, სავარაუდოდ, ხელში ეჭირა ქისა, რომელშიც მონეტები იყო ჩაყრილი. ქსოვილის ფრაგმენტები შემორჩა მონეტებზე, რის გამოც გაჩნდა ვარაუდი, რომ ქისა იყო, თუმცა შესაძლოა, რომ ქსოვილმი იყო მონეტები შეხვეული. სამარხში დადასტურებული ფული რუსუდანის ვერცხლის 10 ცალი დრამაა, მოჭრილი 1230 წელს. ამ კონკრეტულ შემთხვე-ვაში სამარხში ჩაყოლებული ფული, ერთი მხრივ, ქონებრივი პრესტიუსის მაჩვენებელიც არის, მაგრამ, ამავდროულად, მონეტებს ფულის ფუნქცია აქვთ და იმიერ ცხოვრებისთ-ვის გამოსაყენებლად გაატანეს. უნდა აღინიშნოს, რომ რუსუდანის ათი ვერცხლის დრა-მა საკმარისად დიდ თანხას წარმოადგენდა XIII საუკუნის საქართველოში.

მიცვალებულის ფულთან დაკავშირებულმა ტრადიციამ არა მარტო არქეოლოგიაში, არამედ ეთნოლოგიაშიც დატოვა კვალი. ეს რიტუალი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხე-ებში არა თუ ძველად, ახლაც აგრძელებს არსებობას.

<sup>1</sup> ჩხვიმიანი, „განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისი-დან“, 54-58

<sup>2</sup> დასახელებულ სტატიაში ჯ. ჩხვიმიანს მონეტები ნახსენები არ აქვს, რადგან სტატიის გამო-ქვეყნებისას არ ჰქონდა დავთრის ჩანაწერი სრულად. მოყვანილი ინფორმაცია მან პირადად მო-მახსენა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

<sup>3</sup> მ. პატარიძე, „ახალი ნუმიზმატიკური მონაპოვარი სამშვილდედან“, მოხსენება, საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2019 წლის საანგარიშო კონფერენ-ცია.

ხევსურეთში მიცვალებულს „საიქიოში საგზლად ატანდნენ სამ მრგვალ პურს, სათუთუნეს, ასანთს, ბოთლით არაყს, ჯიბეში თეთრ ფულსაც ჩაუყრიდნენ“<sup>1</sup>. „სამეგრელოში მიცვალებულს საფლავში ჩაყოლებენ ხელადით ღვინოს, ფულს, არაყს, თუთუნით სავსე ქისას, ტალ-კვესს და აბედს, ყოველივე ეს საჭიროა მიცვალებულისათვის სულეთში“<sup>2</sup>. ხევსურეთშივე მიცვალებულის ტანისამოსის დალოცვისას „ტალავართაზე“ ფულიც იდებოდა<sup>3</sup>.

სვანეთში მიცვალებულის მოსახსენებელ დღებში ჭირისუფალი „სულის სკამზე“ (ფიჩქ) გააწყობდა საკურთხს, სადაც სხვადასხვა ნივთთან ერთად ხურდა ფულიც იყო<sup>4</sup>.

შუა და გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ტრადიცია მიცვალებულისათვის მონეტების გატანებისა, ჩვენი აზრით, არქეტიპულად „ქარონის ობოლის“ რიტუალს უკავშირდება.

სამარხში მონეტის ან სამონეტო მოტივის გამოყენებით დამზადებული სამკაულის ჩაყოლების საკმაოდ ხშირი შემთხვევაა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ<sup>5</sup>.

გლიპტიკურ ნანარმზე (საბეჭდავ ბეჭდებზე) მონეტის ფარაკად გამოყენების ფაქტები დადასტურებულია სკვითურ სამარხებში აღმოჩენილ ბეჭდებზე: დიდი რიუანოვკის ყორღანის ოქროს სამ ბეჭდებს და ზედა ტარასოვკის სამარხის ერთ ბეჭდებს ფარაკად პანტიკაპეიონის სტატერები აქვს<sup>6</sup>. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიუანოვკის მონეტები ძვ.წ. 330-315 და 314-294 წწ.-ს მიეკუთვნება<sup>7</sup>, ხოლო ტარასოვსკისა – ძვ.წ. 310-304 წწ.-ით თარიღდება<sup>8</sup>. უფრო გვიან, რომაულ ხანაში, მონეტებს (უპირატესად აურეუსებს) ფართოდ იყენებენ ფარაკებად<sup>9</sup>, როგორც უხედავთ, მოყვანილ მაგალითებში მონეტებია ფარაკებად გამოყენებული.

განსხვავებული, შეიძლება ითქვას, უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა ვანის არქეოლოგიურ ძეგლზე.

2002-2004 წლებში ვანში განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად (ხელმძღვანელი დარეჯან კაჭარავა), გამოვლინდა რამდენიმე სამარხი, რომელთა მორის განსაკუთრებული აღმოჩენა სამარხი 24 (დანართი XXIV).

მდიდარი ინვენტარის სიუხვისა და მრავალფეროვნების გამო, მთავარი მიცვალებულის გამოვლენა არქეოლოგებისთვის რთული არ აღმოჩნდა<sup>10</sup>. სამარხეული ინვენტა-

<sup>1</sup> მაკალათია ს. „ხევსურეთი“, (ტფილისი, 1935), 43.

<sup>2</sup> სახოკია თ. „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტომი 3, (1940), 178.

<sup>3</sup> მაკალათია, „ხევსურეთი“, 44

<sup>4</sup> ს. გულედანი, ეთნოგრაფიული ჩანაწერი, მესტიის მუზეუმის არქივი, (2009), 35

<sup>5</sup> დ.კაჭარავა, „არქეოლოგიური გათხრები ვანის ზედა ტერასაზე 2002-2005 წლებში“, ხელნაწერი, 2005

<sup>6</sup> ოქვე.

<sup>7</sup> С. Скорый, *Дата Большого Рыжсановского кургана. – Проблемы скифо-сарматской археологии Северного Причерноморья* (Запорожье, 1999), 240-241; В. Анохин, Монетное дело Боспора, (Киев, 1986), 140-141

<sup>8</sup> W. Seipl (Hrsgb.), „Gold aus Kiew, 170 Meisterwerke aus der Schatzkammer der Ukraine“, (Wein, 1991), Kat. N. 155

<sup>9</sup> F. Marshall, *Catalogue of the finger-rings. Greek, Etruscan, and Roman, in the Department of Antiquities, British Museum*, (London, 1907), 259, 267; 269-270

<sup>10</sup> კაჭარავა, ხარაბაძე, „დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში“, 24

რო შეიცავს 1000-ზე მეტ ოქროს ნივთს, ასობით ვერცხლის სამკაულს, თიხის 12 ჭურჭელს, ვერცხლის სარტყელს, ბრინჯაოს სარკეს, მინის, ეგვიპტური ფაიანსის, სარდიონის, ქარვისა და გიშრის 17 000-ზე მეტ მძივს. ასევე, რვა საბეჭდავ ბეჭედს, რომლებიც, ერთის გარდა, ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ადგილობრივი ნაწარმი არ უნდა იყოს<sup>1</sup>. თითოეულ მათგანს, სავარაუდოდ, სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. მთავარ მიცვალებულთან თანადაკრძალული იყო ოთხი ადამიანი და ერთი ცხენი<sup>2</sup>. ბოსფორის სამეფოს ქალაქ პატიკაპეიონის მონეტის საშუალებით სამარხი დათარიღდა ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულით<sup>3</sup>.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამარხში სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად აღმოჩენილი, თითზე სატარებელი ვერცხლის ბეჭედი, რომელიც ნუმიზმატიკური ასპექტით, ვფიქრობ, განსაკუთრებით საყურადღებოა.

აღწერილობა<sup>4</sup>

#### 9. 24-2006/21, ვანი, სამარხი №24. (დანართი XXV. 1)

ბეჭედი ვერცხლისაა, ფარავიანი, წრიული ფორმის, მასიური ფარავის ბრტყელ პირზე გამოსახულია ხარის თავი პროფილში. გამოსახულება არ არის ღრმა, მაგრამ მკაფიოა, შესრულებულია საკმაოდ რეალისტურად. ხარს მრგვალი ფოსოთი აღნიშნული დიდი თვალი, ოდნავ მოხრილი რქა და დიდი ზომის ყური აქვს; კისერი ირიბად დაღარულია და თითოეული ღარი მოზრდილი მრგვალი ბურთულით მთავრდება. გამოსახულებას გარს უვლის ხაზოვანი რკალი.

ქეთევან ჯავახიშვილმა იმთავითვე აღნიშნა ვანის ბეჭედზე გამოსახული ხარის თავის დიდი მსგავსება II ტიპის კოლხური ნახევარდრაქების რევერსზე გამოსახული ხართან. ეცნიერმა, აგრეთვე, გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ვანის ბეჭედი დამზადებული იყოს იმავე ზარაფხანაში, სადაც კოლხური მონეტა იჭრებოდა, სავარაუდოდ, დაახლოებით ძვ.წ. V ს.-ის მეორე ნახევარსა და IV ს.-ის მეორე ნახევარს შორის<sup>5</sup>.

საბეჭდავი ბეჭდის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა მეცნიერის შრომებში მივაკვლიერ.

ამ სამარხის უშუალო გამთხრელის, დარეჯან კაჭარავას ცნობით, „ვერცხლის საბეჭდავი ბეჭდის ფარავზე გამოსახულია ხარი, რომელიც კოლხური ვერცხლის მონეტების მცირე ნომინალის – ტრიობოლის რევერსზე არსებული გამოსახულების ასლია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევაა სამონეტო ტიპის ლითონის ბეჭდის ინტალიოზე დატანის“<sup>6</sup>.

აღნიშნული ბეჭდის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ მაიკლ ვიკერსის სტატიაში. მკვლევარი წერს: „ვანის ნაქალაქარის №24 სამარხის გამთხრელმა აღნიშნა მსგავსება

<sup>1</sup> ქ. ჯავახიშვილი, „ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები“. იბერია-კოლხეთი, (თბილისი, 2011), №127

<sup>2</sup> კაჭარავა, ხარაბაძე, „დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში“, 25

<sup>3</sup> D.Kacharava, G.Kvirkvelia, „Recent archaeological finds on the upper terrace of the Vani site“, – Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 14, pp. (2009), 237, 315

<sup>4</sup> ჯავახიშვილი, „ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები“, 127

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> კაჭარავა, „არქეოლოგიური გათხრები ვანის ზედა ტერასაზე 2002-2005 წლებში“, ხელნაწერი, 2005

ვერცხლის ერთ-ერთი ბეჭდის ფარაკზე არსებულ წრეში ჩასმული ხარის თავის გამოსახულებასა და კოლხური თეთრის რევერსის ტიპს შორის და დაასკვნა, რომ ეს ბეჭედი ოფიციალურ პირს ეკუთვნოდა<sup>1</sup>.

ბეჭდის შესახებ ნაშრომში – „კოლხური თეთრი“ – კულტუროლოგიური ასპექტები<sup>2</sup> გ. ლორთიფანიძე და გ. გერაძე აღნიშნავენ: „კოლხური თეთრი 200 წელზე მეტ ხანს, სულ ცოტა, რვა თაობისათვის მაინც ეროვნული ვალუტის როლს ასრულებდა – ის კოლხეთის მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, მონეტებზე მოცემული ღვთაება და მისი წმინდა ცხოველი, ნაყოფიერების კულტის სიმბოლო, არ უნდა ყოფილიყო კოლხთათვის უცხო, მათი რწმენისათვის მიუღებელი. ეს რომ ნამდვილად ასეა, დასტურდება დ. კაჭარავას მიერ ვანში ახლახან აღმოჩენილ მდიდრულ, №24 ძვ.წ. IV ს.-ის სამარხში ნაპოვნი ვერცხლის ფარაკიან ბეჭედზე ამოტვიფრულ ანალოგური ხარის თავის გამოსახულებითაც“<sup>3</sup>.

ბეჭედს შეეხო თავის ნაშრომში ნინო ლორთქოფანიძე: „ვანის 24 სამარხში აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის საბეჭდავი ბეჭდები, რომლებზეც გამოსახულია როგორც ბერძნული მოტივი – ელინური იარაღის ნაკრები, კერძოდ, წვივსაფარი, მუზარადი და ფარია არწივის, ასევე კოლხური სამონეტო ტიპი – კოლხური თეთრი ხარის თავის გამოსახულებით“<sup>4</sup>.

საბეჭდავზე გამოსახულება სარკისებურია. ანაბეჭდის აღებისას მივიღე კოლხური თეთრის ნახევადრაქმიანის, ტრიობოლის ზუსტი გამოსახულება, რომლის ადგილობრივი, კოლხური წარმომავლობა უკვე დიდი ხანია მეცნიერთა შორის დავის საგანს აღარ წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ გამოსახულებები იდენტურია, არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზომებიც ზუსტად ტრიობოლისაა (დანართი XXV. 2, 3). რადგან ინტალიოა, გამოდის, რომ ბეჭდის ფარაკი დამზადებულია არა მონეტის გამოსახულების, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, არამედ მონეტის მოსაჭრელი სიქის მიხედვით. ამ პრინციპით ქეთევან ჯავახიშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საბეჭდავი იმავე ზარაფხანაში დამზადდა, სადაც იჭრებოდა მონეტები, სავსებით მისაღებია<sup>5</sup>. სწორედ სიქაზე გვხვდება გამოსახულება სარკისებურად. ჩვენი აზრით, სწორედ ეს მომენტი ანიჭებს ხარის თავიან საბეჭდავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საბეჭდავისა და კოლხური ტრიობოლის იკონოგრაფიულმა იდენტურობამ დაგვაფიქრა სამარხში დასვენებული ცენტრალური პირის იერარქიულ სტატუსზე. საბეჭდავის მფლობელის სქესის გარკვევა შეუძლებელია, ვინაიდან ჩონჩხი არ შემონახულა. სამარ-

<sup>1</sup> მ. ვიკერსი, „ქარონის ობოლი, კოლხური მონეტები და კოლხები“, „საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები“ საერთაშორისო კონფერენცია. მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი. მოხსენებათა თეზისები, (თბილისი, 2010), 61

<sup>2</sup> გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე, „კოლხური თეთრი“, ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან, (თბილისი, 2007), 29

<sup>3</sup> ნ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული სამკაული (თბილისი, 2015), 296

<sup>4</sup> ზუსტად ზარაფხანაში დამზადდა თუ არა, ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ის არის, რომ ზარაფხანის მთავარი ატრიბუტია – სიქის მიხედვით დამზადებული ბეჭედია, რაც იმის ირიბი მტკიცებულებაა, რომ პატრონი სამონეტო რეგალის მფლობელი თუ არა, ამ საქმის მაკონტროლებელი მაინც უნდა იყოს.

ხეული ინვენტარის მიხედვით უდავოა, რომ ის ქონებრივად დაწინაურებული პერსონა<sup>1</sup>. ის ნამდვილად ოფიციალური პირი იყო და, რომ საბეჭდავი ბეჭედი ამ პირის ოფიციალური საჭიროებისათვის განკუთვნილი უფლებრივი ინსიგნია, ამაზე საუბარი ზედმეტია. მაგრამ ჩინდება კითხვები:

- რატომ გვხვდება სახელმწიფოს ან სხვა პოლიტიკური წარმონაქმნის (?) უმაღლე-სი იურიდიული დოკუმენტის – მონეტის (ან სიქის) გამოსახულება საბეჭდავზე?
- ვის ჰქონდა ამ საბეჭდავის გამოყენების უფლება?
- წარმოადგენდა თუ არა საბეჭდავის მფლობელის რეგალიას ფულის მოჭრა და თუ წარმოადგენდა, რა ფორმით?

ამ კითხვებს თავისითავად მივყავართ “კოლხურ თეთრთან” დაკავშირებულ სამეცნიერო დისკუსიამდე.

„კოლხური თეთრის“ გენეზისის საკითხი არა ერთი მეცნიერის მიერ იქნა შესწავლილი<sup>2</sup>.

საკმაოდ პრობლემატურია კოლხური თეთრის ემიტენტის საკითხი. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ამ ტიპის მონეტების ანეპიგრაფიკულობაა. არსებობს კოლხური ტრიობოლების მხოლოდ მცირე ნაწილი, რომლებზეც ბერძნული ასოებია აღმართული, მაგრამ რამდენად შეიძლება მათ დავეყრდნოთ ემიტენტის პრობლემის გადასაჭრელად, ძნელი სათქმელია. საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს ეს გრაფემები?

მათი ფუნქციისა თუ მნიშვნელობის შესახებ მეცნიერებაში დომინირებს ორგვარი შეხედულება: 1. ასოები აღნიშნავენ კოლხეთის ზარაფხანებს<sup>3</sup>. 2. ბერძნული ასოებით მონეტებზე მაგისტრატების სახელების ინიციალია აღმართული<sup>4</sup>.

რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, ტრიობოლებში გვხვდება სულ შვიდი ასონიშანი. ვერც ერთ წერილობით წყაროში, ვერც სხვა მონაცემებით ასოების გაიგივება ტრიობონიმებთან ვერ ხერხდება. გამონაკლისია ორი შემთხვევა. მაგალითად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ბერძნული ასო f (ფ) ნიშნავს ფაზისს და D (დ) – დიოსკურიას. კოლხური ტრიობოლის მსოფლიო მარაგი მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული ექსპონატების მიხედვით 5500 ცალია. ამ რაოდენობიდან მხოლოდ 140 ცალზეა აღმართული ბერძნული გრაფემები. საკმაო დიდი რაოდენობაა კერძო კოლექციებშიც<sup>5</sup>. კერძო კოლექციების მონაცემებიც იგივეა, ანუ აბსალუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება უცნაურად, უფრო მეტიც, შეუძლებლად მოგვეჩენოს ზარაფხანების სახელწოდების განთავსება მონეტებზე, რადგან ყველა ზარაფხანა თითო გრაფემით ათასობით მაინც მოჭრიდა „კოლხური თეთრის“ ნახევარდრაქმიანს. რეალურად კი ჩვენ ასონიშნებიანი ტრიობოლების საკმაოდ მცირე ფაქტობრივი რაოდენობა გვაქვს.

<sup>1</sup> ვიკერსი, „ქარონის ობოლი, კოლხური მონეტები და კოლხები“, 61

<sup>2</sup> ძირითადი ბიბლიოგრაფია იხ. დუნდა გ. ნუმიზმატიკა ანტიკური ერთი. (თბილისი, 1987), 3, 5

<sup>3</sup> გ. დუნდუა, ა. კახიძე, „კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები“. უურნალი ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, მაცნე №4, (თბილისი, 1978), 55

<sup>4</sup> გ. დუნდუა, „სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა საქართველოში ძვ.წ. VI ს. – ახ.წ. VII ს. პირველ ნახევარში“. იბერია-კოლხეთი 6, (თბილისი, 2013), №9

<sup>5</sup> ლორთქიფანიძე, გერაძე, „ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან“. კოლხური თეთრი, 26, 60

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც კოლხური ტრიობოლების ნაწილზე მოთავსებული ბერძნული ასოები საქალაქო მმართველობის ჩინოვნიკების, პოლისის მაგისტრანტების, სახელების ინიციალებია. ვინაიდან სწორედ ისინი იყვნენ პასუხისმგებელი ფულის ემისიაზე<sup>1</sup>. ამ მოსაზრებას მივყავართ კოლხეთის ხელისუფლების ხასიათსა და მის ადმინისტრაციულ მოწყობამდე. ეს საკითხიც გადაუჭრელ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. სამეცნიერო წრეებში საკმაოდ პოპულარულია მოსაზრება კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ<sup>2</sup>. იმის გამო, რომ ძვ. წ. VII-IV სს.-ის კოლხეთის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის შესახებ მონაცემები ძალზე მწირია, ვინაიდან არ არსებობს ადგილობრივი ნარატიული წერილობითი წყაროები და ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითად წყაროდ რჩება ბერძნულ-რომაული ცნობები. საინტერესოა, ამ მხრივ, სტრაბონის ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობით ო. ლორთქიფანიძემ დაადგინა, რომ კოლხეთის სამეფოს სათავეში იდგა მეფე, რომელსაც ქვეყანა დაყოფილი ჰქონდა სკეპტუხიებად<sup>3</sup>. სკეპტუხია, მეცნიერის აზრით, ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომლის სათავეშიც უთუოდ ადგილობრივი საგვარეულო არსისტორიკის წარმომადგენელი იდგა, რომელიც ამ უფლებებით სამეფო ხელისუფლებამ აღჭურვა. ამდენად, სკეპტუხის წოდება (თანამდებობა) ერთ-ერთი საფეხური იყო ქვეყნის მართვის იერარქიულ სისტემაში, რომლის უმაღლეს საფეხურზე იდგა კოლხთა მეფე<sup>4</sup>.

გარდა ადმინისტრაციულ წყობისა, საინტერესო კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების გენეზისის და ამ ქალაქების მმართველობის ფორმების საკითხები.

ამ მხრივ, ყურადსალებად მიმაჩნია მ. ინაძის მოსაზრება. მეცნიერი დაეყრდნო რა ძველი ბერძენი ავტორის ფსევდო – სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. IV ს) ცნობას რომლის მიხედვითაც, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები – გვიენოსი, ფაზისი, ოდენიოსი, ბექერია – ელინური პოლისებია, გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ქალაქები მსგავსებას იჩენდნენ ბერძნული სამყაროს პოლისებთან. აქედან გამომდინარე, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო საქალაქო თვითმმართველობა, რომელიც ანტიკური პოლისის ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენდა<sup>5</sup>. კოლხეთის სანაპიროზე საქალაქო ცხოვრება თავისებურებებით ხასიათდებოდა, რაც განპირობებული იყო იმითაც, რომ ბერძნული სამყაროს პოლისებისაგან განსხვავებით, რომლებიც კლასიკურ ხანაში დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზმებს წარმოადგენდნენ, კოლხეთის ქალაქებს თავიდანვე უხდებოდათ თანაცხოვრება და განვითარება ქვეყანაში, სადაც უკვე არსებობდა სამეფო ხელისუფლება<sup>6</sup>.

6. მინიშვილი ამ კონცეფციის გაზიარებით, გამოთქვამს საინტერესო ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ბერძნებს დასავლეთ საქართველოში შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებისაგან ერთობ განსხვავებული ვითარება დახვდათ (რაც იმაში მდგომა-

<sup>1</sup> დუნდუა, სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა საქართველოში ძვ. წ. VI ს. – ახ. წ. VII ს. პირველ ნახევარში, №6

<sup>2</sup> ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან (თბილისი, 2002), 159

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე, 160

<sup>5</sup> მ. ინაძე, „ანტიკური ხანის კოლხური ზღვისპირა ქალაქების თვითმმართველობის საკითხისათვის“, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, (თბილისი, 1958), ტ. XXI, №241

<sup>6</sup> იქვე, 242

რეობდა, რომ აქ ფაქტობრივად სახელმწიფო წარმონაქმნი არსებობდა), საფიქრებელია, რომ იკონოგრაფიის შემუშავებისას აუცილებელი იქნებოდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი სპეციფიკა<sup>1</sup>.

თუ ამ უკანასკნელ მოსაზრებას (რომელიც, ვფიქრობ, ანგარიშგასაწევია) დავეყრდნობით, საინტერესოდ ჩანს პროცესი, როგორ ხდება შეგუება და თანაარსებობა კოლხეთის სამეფო ხელისუფლებასა (თუ სახელმწიფო გაერთიანებასა) და ახალ საქალაქო თვითმმართველობას შორის. როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფო ადმინისტრაცია ანგარიშს უწევს ქალაქებს და მათ ავტონომიას, თავის მხრივ, კოლხეთში დაარსებული ბერძნული ახალშენებიც დაინტერესებული არიან სამეფო ხელისუფლების მფარველობით, რაც ვაჭრობის მშვიდობიანი წარმოების გარანტიებს შექმნიდა. ამიტომ ხდება ერთგვარი ურთიერთდათმობითი შეთანხმება მათ შორის. სამეფო ხელისუფლება ეგუება და აღიარებს ქალაქი (ები) ს წახევრადავგტონომიურ მდგომარეობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები (წახევარდრაქმები) იჭრება ქალაქის მიერ<sup>2</sup>, მაგრამ სამონეტო იკონოგრაფიის შემუშავებისას აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული ადგილობრივი სპეციფიკა. რაც გულისხმობდა იმას, რომ გამოსახულება უნდა ყოფილიყო ადგილობრივი, კოლხური გარემოსთვის ორგანული. შესაძლოა, მონეტაზე მაგისტრანტის სახელის სახელის მოთავსება სამეფო ხელისუფლებისთვის მისაღები არ იყო, რადგან ეს სამონეტო რეგალიის და, შესაბამისად, ირიბად თუ პირდაპირ ხელისუფლებაზე პრეტენზიის მიმანიშნებელი იქნებოდა. რაზეც საქალაქო თვითმმართველობა დათანხმდებოდა და სანაცვლოდ, სამეფო ხელისუფლებისგან ქალაქის მფარველობას გაუწევდა. მაგალითად: მეკობრეების თარეშისა და სხვა თავდასხმებისაგან დაცვა, შიდა ბაზარზე გარიგებების სამართლიანობის დაცვა და კოლხებისთვის საექსპორტო გარიგებების დადება ბერძნებთან<sup>3</sup>.

თუკი მოვლენების განვითარების ამგვარ სცენარს დავუშვებთ, გამოდის, რომ მაგისტრანტები ტრიობოლებზე ინიციალების განთავსებას მხოლოდ ემისიის დასაწყისში ახერხებენ, ხოლო შემდგომ, ეგრეთწოდებული ურთიერთდათმობითი პოლიტიკიდან გამომდინარე, ეს ინიციალები ქრება და მონეტები ანეპიგრაფიკულ სახეს იღებენ.

ამ მოსაზრებას, ვფიქრობ, ზურგს უმაგრებს ვანის საბეჭდავი ბეჭდის ანეპიგრაფიკულობაც. ბეჭედი, რომელიც კონკრეტული პიროვნების უფლებრივი ინსიგნიაა, წარწერის გარეშეა. ვერ ვიტყვით, რომ საბეჭდავზე საკუთარი სახელის მოთავსების ტრადიცია, იმავე კოლხეთის სამეფოსთვის უცხოა. ვანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილია 1969 წელს აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭედი ინიციალით, ეს იყო მეომრის სამარხი, რომელსაც ახლდა ოქროს საბეჭდავი ბეჭედი სარკისებური ბერძნული წარწერით – „დედატოს“ (დანართი XXV. 4). ეს ბეჭედიც უფლებრივი ინსიგნიაა და სამარხში დაკრძალული კოლხ მეომარ დედატოსს ეკუთვნის<sup>4</sup>. მეომარი საკუთარი ძალაუფლების საჩვენებლად

<sup>1</sup> 6. მიწიშვილი, „კოლხური თეთრის იკონოგრაფიის საკითხისათვის მოხსენების თეზისები“, 2002 წ. თსუ-ს კონფერენცია. 5, 6

<sup>2</sup> ინაქე, „ანტიკური ხანის კოლხური ზღვისპირა ქალაქების თვითმმართველობის საკითხისათვის“, 244

<sup>3</sup> იქვე, 243, 244

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი)“, (თბილისი, 1975), 91

საბეჭდავზე თავის სახელს ათავსებს, მაგრამ განსხვავებული შემთხვევაა 24 სამარხში. კონკრეტული წარჩინებული, დიდგვაროვანი საჭიროდ არ თვლის საკუთარი ინიციალის განთავსებას საბეჭდავზე. ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ გამოსახულება, რომელიც სახელმწიფოებრივი სიმბოლოა და მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი ინიციალი. იმ გამოსახულების, ფაქტობრივად სიქის ფლობა, რომელიც ფულზე – უმაღლეს სახელმწიფოებრივ დოკუმენტზე უკვე არსებობს, მიანიშნებს, რომ კოლხი იერარქი კარგად აცნობიერებს მონეტის მნიშვნელობას სახელმწიფოში და საბეჭდავზე ამ გამოსახულების დატანით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საკუთარ ძალაუფლებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საბეჭდავია, ინტალიოა, რომლის საშუალებითაც ის სხვა-დასხვა სახელმწიფოებრივი საქმის აღსრულებისას იყენებს, ბეჭედს სვამს. ამავდროულად, შესაძლოა დიდ როლს ასრულებს ის ერთგვარი კონსენსუსი პოლისების თვითმ-მართველობასა და კოლხეთის სამეფო ხელისუფლებას შორის, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. საბეჭდავის მფლობელი შესაძლოა უშუალოდ სამონეტო რეგალიის მფლო-ბელი არც იყო და სამონეტო ემისია კვლავ პოლისების ხელშია, მაგრამ ამ ინსიგნიის უფლებრივად გამოყენებით აჩვენებს, რომ ის სახელმწიფოს საერო (ან სასულიერო?) იერარქიის სათავეშია. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სხვა არანაკლებ მდიდრულ სამარხებთან შედარებით ამ სამარხის ცენტრალური ფიგურა გაცილებით მა-ლალ იერარქიულ საფეხურზეა.

ვანის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენებისთვის, რომლებიც უკვე თითქმის ორ საუკუნეს ითვლის, უცხო არ არის მდიდარი სამარხები. თუ გავიხსე-ნებთ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხს და 1961 წელს გათხრილ 6 სამარხს<sup>1</sup>, უნდა ითქვას, რომ არანაკლებ სიმდიდრესთან გვაქვს საქმე და ამ სამარხებში დაკრძალული პირვენებებიც კოლხეთის მმართველი წრის (წარჩინებულთა) ყველაზე მდიდარ ფენას მიეკუთვნებიან<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ „ვანის ქვეყანაში“ სოციალურ-ქონებრივად განს-ხვავებული სხვა ფენის კუთვნილი სინქრონული სამარხები ჯერ არ არის აღმოჩენილი, ამიტომაც შეუძლებელია ქონებრივი დიფერენციაციის დონის და ხარისხის ჩვენება<sup>3</sup>. ჩე-მი აზრით ვანის წარჩინებულთა სამარხების ინვენტარის შედარება 24-ე სამარხთან მათ შორის არსებულ იერარქიას გვაძლევს. აშკარაა, რომ სხვა არანაკლებ მდიდრულ სამა-რხებთან შედარებით ამ სამარხის ცენტრალური ფიგურა გაცილებით მაღალ იერარქიულ საფეხურზეა, რასაც მონმობს არა მხოლოდ უმდიდრესი ინვენტარი, არამედ უფლებრივი ინსიგნიები: საბეჭდავი ბეჭდები და განსაკუთრებით „კოლხური თეთრის“ გამოსახულე-ბიანი ინტალიო, რომელსაც ამ პირვენების ძალაუფლება სხვა ხარისხში აჰყავს. მსგავსი ინტალიო, არა თუ ვანის და, საერთოდ, სრულიად საქართველოს არქეოლოგიურ ძეგ-ლებზე, დღეისათვის მსოფლიოშიც კი არ არის მიკვლეული. ვფიქრობთ, ეს საბეჭდავი ბეჭედი გამოარჩევს ამ სამარხს სხვა სამარხებისაგან.

<sup>1</sup> რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი I, არქეოლოგიური გათხრები 1947-1969, (თბილისი, 1972), 113-115

<sup>2</sup> ლორთქიფანიძე, „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“, 162

<sup>3</sup> იქვე

საინტერესოა სამარხის გამართვის თარიღიც. სამარხი იქ დადასტურებული „ქარონის ობოლით“ – პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტით თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით. ეს ბეჭედი ამ დროისათვის ისევე დიდი იურიდიული მნიშვნელობის საბეჭდავია, როგორც ამავე პერიოდის მიმოქცევისთვის კოლხური თეთრის ნახევარდრაქმიანი.

ამრიგად, სამარხში არსებული ბეჭედი გარდა იმისა, რომ უნიკალურია და ამ პერიოდის მსგავს საბეჭდავ ბეჭედს მეცნიერება ჯერჯერობით არ იცნობს, ყურადღებას სხვადასხვა კუთხით იმსახურებს. უმთავრესია ნუმიზმატიკური ასპექტი, კერძოდ, ვფიქრობთ, გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევს კოლხური თეთრის ემიტენტის შესახებ. ის, აგრეთვე, იურიდიული საბუთია კოლხეთის სამეფოს სიმბოლიკის შესახებ. ასევე, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კოლხეთის სამეფოს სახელმწიფო ბრივი მოწყობის შესწავლისთვის. ჩვენი აზრით, თუკი დავუშვებთ კოლხეთში ერთი უმაღლესი ხელისუფლის (მეფის?) არსებობის ფაქტს, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ეს ის პიროვნებაა, ვინც იერარქიულ კიბეზე ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას.

### 3.4. სალოცავისთვის შენირული ძღვენი ნინარეპრისტიანულ ტაძრებში

როდესაც ვსაუბრობთ მონეტების რიტუალურ დანიშნულებაზე, ცალკე შემთხვევად უნდა გამოიყოს სალოცავებისადმი ძლვნად მიტანილი შენანირი. ეს შემთხვევებიც არა-ერთგვაროვანია. სალოცავში ფული სხვადასხვა ფორმით ხვდებოდა.

საინტერესოა, როდიდან იწყება სალოცავებისთვის ფულის შეწირვა? არის თუ არა ეს ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული? და მხოლოდ ქრისტიანული ტაძრებისათვის დამახასიათებელი? გარდა ქრისტიანული ტაძრებისა დაფიქსირებულია, არის თუ არა მსგავსი წეს-ჩვეულება წინარექრისტიანულ საკულტო ტაძრებისთვის?

ამ კითხვებზე პასუხი სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშებში მოვიძეთ. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ვანის და დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური გათხრები.

1967 წელს ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთარ ლორთქიფანიძე) გამოჩნდა მოზაიკურიატაკიანი საკულტო ტაძარი (დანართი XXVI), რომლის დასავლეთ ნაწილში საკურთხეველია აგებული. ამ ნაგებობის შიგნით უმდიდრესი მასალა იქნა მოპოვებული, რომლის ერთი ნაწილი აშკარად შეწირულობას წარმოადგენდა. მათ შორის იყო: ამფორები, ქვევრი, მონეტები<sup>1</sup>. დასავლეთ ნაწილში, საკურთხეველთან ახლოს, აღმოჩნდა მთლიანად დამსხვრეული კოლხური ქვევრი. ქვევრის ნამტვრევებში აღმოჩნდა ერთი მონეტა, ხოლო საკუთხევლის წინ 119 სპილენძის მონეტისაგან შემდგარი განძი (დანართი XXVII).

მონეტები მიმობნეული იყო 20 სმ რადიუსის ფარგლებში მოზაიკურიატაკიანი ტაძრის საკურთხევლის წინ და, როგორც ჩანს, მოთავსებული ყოფილა ქისაში განძის შე-

<sup>1</sup> ნ.ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, არქეოლოგიური გათხრები 1947-1969, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვანი I (თბილისი, 1972), 177, 178

მადგენლობაში შემავალი მონეტების ზოგადი აღნერილობა და დათარიღება ეკუთვნის გ. ლორთქიფანიძეს<sup>1</sup>.

განძიდან 118 მონეტა იდენტურია: შუბლი – ეგვიპტური ნაყოფიერების ღვთაების ისიდას თავსამკაულის – სტილიზებული ლოტოსის გამოსახულება, ზურგი – რვაქიმი-ანი რელიეფური ვარსკვლავი (რომელიც, ნახევარმთვარის გამოსახულებასთან ერთად, მითრიდატების დინასტიურ ემბლემად ითვლებოდა), განძის 119-ე მონეტა მოჭრილია ამისოში ძვ.წ. 111-105 ან 105-90 წლებში (მისი ცუდი დაცულობის გამო თარიღის ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება). ის ასე გამოიყურება: ავერსი – ომის ღმერთის არესის თავის გამოსახულება მარჯვნივ; რევერსი – ქარქაშში ჩაგებული მახვილი.

ამ საკითხს გიორგი დუნდუამ საკმაოდ დიდი კვლევა უძლვნა. გამოთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა ანონიმური სპილენძის მონეტები ვანში იჭრებოდა და ემიტენტი მითრიდატე უმცროსის სამეფო ხელისუფლება იყო. მითრიდატე ევპატორის ვაჟმა ეს ღონისძიება სეპარატისტული მიზნებით განახორციელა. ეს აზრი მეცნიერმა საკმაოდ მყარი არგუმენტებით დაასაბუთა და ჩვენ არ გვაქვს არანაირი საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ ამ მოსაზრებაში, მით უფრო, როდესაც ამ ეტაპზე ეს საკითხი ჩვენი კვლევის ამოცანებს შორდება.

მთავარი დაინტერესების საგანს ამ განძის ვოტივური ხასიათი წარმოადგენს. მონეტების ტაძრისათვის (სალოცავისთვის) შენირვა წინაქრისტიანულ სამყაროში გვაფიქრებინებს, რომ ეს რიტუალი იმ დროს იღებს სათავეს და სამყაროს ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი ატრიბუტი ხდება, როდესაც წინარქექრისტიანული ტაძრები და სალოცავები ჩნდება. ბუნებრივია, ის უკავშირდება გარკვეულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. შემდგომში, ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, ეს ტრადიცია უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა რიტუალურ განძად გადაქცევის თარიღი.

გ. დუნდუას მოსაზრებით შენირვა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. I ს-ის 80 ან 70-იან წლებში<sup>2</sup>. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება მოზაიკურ იატაკიანი ტაძრის სტრატიგ-რაფიაც<sup>3</sup>.

ის ფაქტი, რომ სპილენძის მონეტებზე მიმოქცევაში ყოფნის კვალი არ ჩანს და მალევე გადაიქცა შესანირ განძად, ერთი მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ ფულის ფუნქცია ამ მონეტებს ნაკლებად ჰქონდა და მითრიდატე უმცროსი აღნიშნულ საფასეებს ჭრის მხოლოდ როგორც საკუთარი სამეფო ლეგიტიმაციის საჩვენებლად. საკმარისია ის ფაქტიც, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მსგავსი მონეტების აღმოჩენის შემთხვევა არ დასტურდება, გარდა ერთი-ორი შემთხვევისა ემერაში<sup>4</sup>. ამას გარდა, აღნიშნული მონეტები კოლხეთის სამონეტო მიმოქცევისთვის არაორგანულია. სამაგიეროდ ის იქცა ძლვნად შენირვისთვის ყველაზე სახარბიელო განძად. ამ მხრივ, რაოდენობაც (118 ც.)

<sup>1</sup> Г. Лордкипаниძე, *К истории древней Колхиды*, (Тбилиси, 1970), 110

<sup>2</sup> გ. დუნდუა, „იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?“ მაცნე. 2. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1974, 153

<sup>3</sup> ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, „არქეოლოგიური გათხრები 1947-1969“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვანი I, (თბილისი, 1972), 179

<sup>4</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ., „ქართული ნუმიზმატიკა“, 84

ძალიან შთამბეჭდავია. განძში არის ერთი ძვ.წ. 111-105 წე მოქრილი ამისოს მონეტაც, რომელიც გ. დუნდუას მოსაზრებით, ათარიღებს განძის შემადგენლობაში შემავალ დანარჩენ ცალებს ძვ.წ. 105-90 წე.<sup>1</sup>

ჩნდება კითხვა – ამისოს მონეტა და ანონიმური სპილენძის მონეტები ერთდროულად იქნა შენირული თუ ეტაპობრივად?

როგორც ეს შემდგომში, უკვე ქრისტიანულ სალოცავებში შესწავლილმა სამონეტო განძების დეტალურმა შესწავლამ აჩვენა, საჭაძრო განძის დათარიღებისას სიფრთხილეა საჭირო. აშკარაა, რომ ეს წესი გარკვეულ რელიგიურ რიტუალს უკავშირდება, რომლის ჩატარების სიხშირე უცნობია. შესაძლებელია, მონეტა ამიტომაც ტაძარში სხვადასხვა დროს შედიოდა.

ქრონოლოგიური სიახლოვე ამ ორი სამონეტო ტიპის აშკარაა, თუმცა შესაძლოა ამისოს მონეტა შესაძლოა ცალკე უფრო ადრე შევიდა ტაძარში და, ასე ვთქვათ, დახვდა სპილენძის ანონიმურ მონეტებს.

ვანის არქეოლოგიურ ძეგლზე დასტურდება საკურთხევლისადმი განძის შენირვის მეორე შემთხვევაც არის დაფიქსირებული.

1981 წელს ვანის ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 6 მ-ის დაშორებით გამოვლინდა თიხით შელესილი ხის ნაგებობა (ნანგრევების სახით), სადაც იყო ე.წ. შენირულობათა საცავი. აღსანიშნავია, რომ საკურთხეველი და განძსაცავი ნაქალაქარის სხვა ძირითად უბნებთან ერთად დაინგრა. არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც საკულტო კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, მრავალფეროვანია.

წარმოდგენილია თიხის ნაწარმი. ადგილობრივი ჭურჭელი: ქვევრები, დერგები და ქოთნები, დოქები, მაღალფეხიანი თასები, ე.წ. თიმიატერიონები, ჯამები, ლანგრები და თეფშები, ორყურა თასების, ე.წ. კანთაროსისებური ჭურჭლის ორი ვარიანტი, ამფორები. დასტურდება იმპორტიც: ამფორები, წითელლაკიანი ორყურა თასი, ამფორისკი, სანაფები, კრამიტი და კვირისტავები.

განძსაცავში აღმოჩნდა, აგრეთვე, მინის ნაწარმი: სანელსაცხებლის კედლის ფრაგმენტი და მრავალფეროვანი მძივები<sup>2</sup>.

ნუმიზმატიკური მასალა წარმოდგენილია პართული დრაქმის ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-38/7) სახით<sup>3</sup>, რომელიც ნაპოვნია ბათქაშებიანი ყრილის ზედა ზღვარზე, თირის ქვებს შორის<sup>4</sup>.

აქვე აღმოჩნდა თითქმის ერთნაირი, ჭაბუკის ვერცხლის ორი ქანდაკება<sup>5</sup>.

ჭაბუკის პერსონიფიკაციის შესახებ მოსაზრება პირველად გამოთქმულ იქნა ოთარ ლორთქითანიძის მიერ. მან ფიგურების ვარცხნილობის საფუძველზე ეს ქანდაკებები

<sup>1</sup> დუნდუა გ., დუნდუა თ., „ქართული ნუმიზმატიკა“, 81

<sup>2</sup> მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წე. ჩატარებული საველე მუმაობის შედეგები, არქეოლოგიური გათხრები, ვანი III, (თბილისი, 1986), 77

<sup>3</sup> გ. დუნდა, გ. ლორთქითანიძე, დენეჯიო იმაგინაციების ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წე. ჩატარებული

<sup>4</sup> ფირცხალავა, ყიფიანი, „ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წე. ჩატარებული

<sup>5</sup> იქვე, 77

მიიჩნია აპოლონის გამოსახულებებად, რომლებიც ძვ.წ. II-I საუკუნეებში მცირე აზიის ბერძნულ სახელოსნოებში პოლიკლეტის სკოლის გავლენით უნდა იყოს დამზადებული<sup>1</sup>.

ამ ინტერპრეტაციის საფუძველზე ნ. ლორთქიფანიძემ დამატებითი იკონოგრაფიული არგუმენტებით გაამდიდრა ეს მოსაზრება და საბოლოოდ დაასკვნა, რომ ეს ქანდაკებები აპოლონს მიეკუთვნებოდა<sup>2</sup>.

ვანის ტერასის ე.წ. „საგანძურში“ შენირულობათა შორის აღმოჩნდა მონეტა. აშკარაა, რომ შენირული განძის უკან გარკვეული რელიგიური ფონი ჩანს, კერძოდ – ღვთაებების თაყვანისცემა. ღვთაებისადმი მონეტების შენირვა ქრისტიანულ პერიოდში უკვე საკმაო მაშტაბებს იძენს და საკმაოდ გავრცელებულია. ამ საკითხს ჩვენ მოვიანებით შევეხებით. საგანძური, მოპოვებული მასალის მიხედვით, ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება<sup>3</sup>.

დათარიღების მიხედვით დგინდება, რომ ეს განძსაცავი, ნინ უსწრებს მოზაიკურიატაკიანი საკურთხევლის თარიღს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვანში საკურთხევლისადმი მონეტების შენირვის ტრადიცია ძვ.წ. II საუკუნიდან იწყება.

თუმცა შესაძლებელია, რომ დასკვნა საბოლოო არ იყოს და ვანის ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კორექტივი შეიტანოს ამ დათარიღებაში.

მონეტების აღმოჩნის მსგავსი შემთხვევები გვხვდება დედოფლის გორის არქეოლოგიურ ძეგლზე. 2015 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს (ექსპედიციის ხელმძღვანელი იულინ გაგოშიძე), კერძოდ, დედოფლის გორის სასახლის №20 სათავსოს შესწავლისას, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სრულიად დაუზიანებელად შემორჩენილი ცეცხლის საკურთხეველი (დანართი XXX), რომლის ბრტყელ ზედაპირზე ხანძრის სიმხურვალი-საგან ერთმანეთთან შედუღებული ნივთები ეწყო. ლაბორატორიული დამუშავების და რესტავრაციის შემდეგ გამოჩნდა საინტერესო მასალა. ბრინჯაოსა და ვერცხლის ქანდაკებები – ბერძნულ-რომაული პანთეონი თითქმის სრული შემადგენლობით. აქ არის წარმოდგენილი: აპოლონ-ფეხუსი, მისი ტყუპისცალი არტემიდე – დიანა ვერცხლის შუბითა და ვერცხლისავე საწვივეებით და მათი დედა ლეტო-ლატონა (ვერცხლის), ტიხე-ფორტუნა, ვაზის ქვეშ მჯდომი სილენოსი, აგრეთვე, ბრინჯაოს არნივის, დელფინისა და დიდი ზომის ვერცხლის ყორნის ფიგურები. ქანდაკებები პოსტამენტზე მდგარა (დანართი XXXI). ქანდაკებების ჯგუფი აგვისტი 1978-1981 წწ. ჩატარებული არის საკურთხევლის თითქმის დაუჯერებელი თანარსებობა, რაც მხოლოდ საქართველოში (ქართლის სამეფოში) თუ იყო შესაძლებელი გახდა (დანართი XXXI). მონეტების ჯგუფი ერთად

ჭურჭელში არსებული მონეტებიდან 13 ავგუსტუსის დენარია და 2-ალექსანდრე მაკედონელის ადგილობრივი (ქართული) მინაბაძი. საკურთხეველზე იდო ხობბის 2 კვერცხი. არქეოლოგ იულინ გაგოშიძის თქმით, ამ ტაძარში კარგად ჩანს მაზდეანობისა და ბერძნულ-რომაული კულტების თითქმის დაუჯერებელი თანარსებობა, რაც მხოლოდ საქართველოში (ქართლის სამეფოში) თუ იყო შესაძლებელი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, 230

<sup>2</sup> ნ. ლორთქიფანიძე, „აპოლონის ორი ვერცხლის ქანდაკება ვანიდან“, წელიწერული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 2, (თბილისი, 2004), №204

<sup>3</sup> ფირცხალავა, ყიფიანი, „ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები“, 77

<sup>4</sup> ი. გაგოშიძე, „2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე“, იბერია-კოლხეთი №11, თბილისი, 2015, 125

განძი, შემადგენელი მონეტების მიხედვით, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნით და-  
თარიღდა.

დედოფლის გორის საკურთხეველში აღმოჩენილი მასალა ძალიან ახლოს დგას ვანის 1981 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად გამოვლენილი საკუთხევლის განძ-  
თან. ორივეგან აღმოჩენილია ქანდაკებები, ჭურჭელი, ვერცხლისა და ოქროს ნივთები  
და, რაც მთავარია, მონეტები. უკვე დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკურთხევ-  
ლისადმი განძის შენირვის ტრადიცია, გარკვეულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს  
უკავშირდება. კონკრეტულად რას, ამის კვლევა ჩვენს კომპეტენციას სცდება. მაგრამ  
მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იბერია-კოლხეთში ტაძრისადმი მონეტების შენირვა  
გავრცელებული ტრადიციაა ძვ.წ. II და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნებში.

არქეოლოგიური ძეგლებზე, ეგრეთწოდებულ ტაძრებში, დადასტურებული შენირუ-  
ლი სამონეტო განძები აჩვენებს ამ ტრადიციის უწყვეტობას ძველი წელთაღრიცხვის II  
საუკუნიდან ქრისტიანულ ტაძრებამდე. წინარექრისტიანულ საკულტო ტაძრებში შენი-  
რულმა სამონეტო განძების შესწავლამ აჩვენა, რომ სალოცავებისთვის ფულის შენირ-  
ვის ტრადიცია არ არის დაკავშირებული ქრისტიანულ ტაძრებთან და მას გაცილებით  
ღრმა ფესვები აქვს.

### 3.5. პრისტიანული პერიოდის რიტუალური მონეტები საქართველოში

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმართობის დროინდელ საკულტო ადგილებ-  
ზე დაიწყეს ეკლესიების აგება და წარმართული რწმენა-წარმოდგენების სასტიკად დევნა. ამ პრძოლის მიუხედავად, ქრისტიანობამ მაინც ვერ შეძლო ხალხის ცნობიერებაში ძველი  
იდეოლოგიის მოსპობა, ის ახალ რელიგიას შეერწყა და შეევუა. ქრისტიანულმა რელიგი-  
ამ ზოგიერთი არქაული მაგიური წესი თუ სიმბოლიკა მიიღო და ახალი შინაარსი შესძინა  
მათ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შენირვის ტრადიცია, რო-  
მელსაც ეთნოლოგები მსხვერპლად შენირვის სიმბოლურ ქმედებად მიიჩნევენ. ქრისტია-  
ნული სიმბოლოების (ხატები, ჯვრები) გარდა, ეკლესიებს სწირავდნენ წინაქრისტიანული  
იდეის მატარებელ შესანირავებს. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ფულის შენირვის ტრადი-  
ციას, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული და როგორც ეს არქეოლოგიურ-  
მა გათხრებმა დაადასტურეს, წინარექრისტიანული ეპოქიდან იღებს სათავეს.

სვანეთის ნუმიზმატიკური ძეგლების ეთნოლოგიური ასპექტის გააზრება შეუძლებე-  
ლია საქართველოს სხვა დანარჩენი რეგიონების ტრადიციების შესწავლის და ინტერპ-  
რეტაციის გარეშე. ამიტომაც ნაშრომში მოგვყავს არა ერთი შემთხვევა ქვეყნის სხვა-  
დასხვა რეგიონში გავრცელებული წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც ფულს (მონეტას)  
უკავშირდება<sup>1</sup>.

ეთნოლოგიური ცნობებით, სალოცავში მონეტის შენირვა სხვადასხვა მიზნით ხდებო-  
და: ავი თვალისა და ავი სულისა აცილების, კეთილდღეობის, ავადმყოფის გამოჯანმრთე-

<sup>1</sup> მ. პატარიძე, „სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართ-  
ველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII, (თბილისი, 2013-2014), 189

ლებისთვის და სხვა. ეთნოლოგიური მონაცემების მიხედვით, ფულის შენირვა ყველაზე ხშირად ავადმყოფობის დროს იცოდნენ.

სალოცავებისთვის ფულის შენირვის ტრადიცია მთელ საქართველოშია გავრცელებული. ეთნოლოგიური ჩანაწერებით ვიგებთ, რომ სალოცავში მონეტის შენირვა სხვადასხვა მიზნით ხდებოდა: კეთილდღეობის, ავი თვალისა და ავი სულის აცილების, ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის და სხვა. ცნობილია, რომ საქართველოში ავადმყოფობის და ავსულთა წინააღმდეგ ყველაზე ძლიერ მებრძოლად წმინდა გიორგი ითვლებოდა. ქართლში გიორგობის დღესასწაულებზე გერისთობას, არბოობას, ატოცობას, კახეთში ალავერდობას, აწყურის თეთრ გიორგობას სცოდნიათ გახვრეტილი მონეტების, თვალის კაკლების, თეთრი მანდილების შენირვა<sup>1</sup>. ილორში გიორგობას 23 აპრილს და 10 ნოემბერს თავს იყრიდა მრავალი მლოცველი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. შეხვეწილებს შესაწირავი: ხარები, ცხვრები, ციკნები, აბრეშუმის ქსოვილი, სამკაული, ვერცხლის ფული, სანთელ-საკმეველი მიჰქონდათ, რომელსაც ეკლესის მსახურნი ინანილებდნენ. მოჰყავდათ სნეულები, განსაკუთრებით, სულით ავადმყოფები და აქ ევედრებოდნენ წმინდანს მათ გამოჯამრთელებას<sup>2</sup>. ამავე მიზნით ხდებოდა შესაწირის მიტანა წმ. ბარბალეს, მთავარანგელოზის, თამარ დედოფლის და სხვა წმინდანების სახელზე.

სამეგრელოში სოფელ წალენჯიხაში არის ალერტ-ხარჩილის ნიში – რიყის თეთრი ქვებით აგებული რკინის ორკაპის ბოძალი. მასზე გამართულია თარო, სადაც ალაგია თაფლის სანთლები, თეთრი ქვები, თეთრი ფულები. მძიმე ავადმყოფის პატრონი ალერტ-ხარჩილს შეუთქვამდა – თეთრ ქვაზე დავდგები და ავადმყოფი მომირჩინეო. შემდეგ ეს კენჭები და ფული მიჰქონდათ და სწირავდნენ ალერტ-ხარჩილს<sup>3</sup>. მარტვილის რაიონში მდებარეობს „წაჩხურის მთავარანგელოზი“, სადაც დაცული იყო წაჩხურის მთავარანგელოზის ხატი<sup>4</sup>, რომელსაც უწოდებდნენ „მოსკე-წაჩხურს“, ე.ი. ვაჟების მიმცემს. აქ სალოცავად მოდიოდნენ სამეგრელოს ყველა მხრიდან, აგრეთვე, სამურზაყანო-აფხაზეთიდან და „სათათრეთიდან“ – ლაზისტანიდან. წაჩხურში დიდი ხატობა იმართებოდა ნაალდგომევის პირველ ხუთშაბათს („ცააშხა“ დღეს). სალოცავად აქ უმთავრესად ისინი მოდიოდნენ, ვისაც შვილი არ ჰყავდა ან ვაჟი არ ებადებოდა. შესაწირად მიჰქონდათ თავიანთი სიგრძის სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საკმეველი, ფული და პატარა აკვანი. აქ ხატის წინ მათ დააჩიქებდა მნათე, დაამწყალობებდა და ხატს შესთხოვდა, მიეცა მათთვის შვილი, სახელდობრ – ვაჟი<sup>5</sup>.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდში დაცულია სანთელშემოხვეული ათკაპიკიანები, რომლებიც ქართული ეთნოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს ქალბატონ ვერა ბარდაველიძეს ჩამოუტანია თიანეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს სოფელ იხინჭიდან. ისინი იახსარის ხატში ყოფილა

<sup>1</sup> ს. მაკალათია, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბა). (ტფილისი, 1941), 35

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი (ტფილისი, 1930), 422

<sup>3</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია (თბილისი, 2006), 430

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. ძველი საქართველო, ტ. III (ტფილისი, 1913), 129, 130

<sup>5</sup> მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, 430

შენირული. ივრის ხეობაშივე თამარ დედოფლის ხატში, ტრაპეზზე ვ. ბარდაველიძეს უნახავს სანთლის ნამწვავებთან ერთად ნაჭრებში გამოკრული შაურიანები<sup>1</sup>. მსგავსი მასალა, შენირული მონეტების განძთან ერთად, ნამოღებულია გუდამაყარ-ხანდოს ეთ-ნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1947 წელს ქოროლოს ღვთისმშობლის ეკლესიის მინა-შენიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდში დაცულია, ასევე, სანთელშემოხვეული ათენის სამეცნიერო უნივერსიტეტის მინაშენიდან. (დანართი XXVIII. 1)

ფულის შენირვის ტრადიცია განსაკუთრებით მრავალფეროვანია მთის რაჭაში.

„სოფელ სხიერში „ონის გზაზე“ არის ჯვარსალოცავი, ეს არის რცხემლის დიდი ხე. შადაც მიქონდათ ხურდა ფული „რკინეული“ და ვნირავდით“. მთხოობლები: ნადია სიმონის ასული ჩალაძე-გუგუშვილისა, დაბ. 1914 წელს; პიპინა მალაქიას ასული გუგუშვილი, დაბ. 1914 წელს; გრუნია გერესიმეს ასული სხიერელი, დაბ. 1925 წელს.

„სოფელი პიპილეთი, „ჯვარი პატიოსანი“ არის სოფლის მთავარ გზაზე სოფლის ხიდის გადაღმა მდ. ჯეჯორის მარჯვენა სანაპიროზე. ეს არის მუხის ხე. აქ ყრიან ხურდა ფულებს და ნალებს, კლავენ ცხვარს. მიცვალებული რომ მიჰყავთ, შეჩერდებიან და და-ასვენებენ ამ მუხასთან“. მთხოობლები: ვიქტორ გიორგის ძე ბაკურაძე. დაბ. 1891 წელს; მარიამ ივანეს ასული ბერელიძე ბაკურაძისა, დაბ. 1914 წელს; კესო დალოსტის ასული შერაზადიშვილი ბაკურაძისა, დაბ. 1912 წელს.

„სოფ. ჩორდი – სოფელში არის სალოცავი ადგილი „ჯვარად წოდებული“ მიჰყონდათ განატეხი (სარიტუალო პურები), ხურდა ფული და ნალები“. მთხოობელი: ელიზბარ ვარ-ლამის ძე გოგრიძიანი, დაბ. 1927 წელს.

„სოფელი ჯოისუბანი – სოფელში არის ადგილი „ჯვარი“. ეს არის იფნის ხე და ნანგრევები, აქ მიჰყონდათ ხურდა ფული და ნალები. „უბნების“ თავზე სათიბების „უდაბურის“ გზაზე არის ადგილი „ხარეულა“. იქ არის „ქვის ჯვარა“, სადაც მიჰყონდათ ხურდა ფული და სანთელ განატეხი“. მთხოობელი: ვალერიან ტომარაძე, დაბ. 1918 წელს.

სოფელ ბაჯიხევში არის ქვაჯვარა – ქვაზე გამოკვეთილი ჯვარი. მის ირგვლივ ყრიან ხურდა ფულს. მთხოობელი ზურაბ ლობჯანიძე. დაბადებული 1927 წელს.

სოფელ საკაოში სხვადასხვა ადგილას არის ორი „საჯვარე“. ეს არის მუხის ხე, სადაც მოსახლეობას მიაქვს ხურდა ფულები და სწირავენ. იმავე ხეებს აბამენ ფერად-ფერად ნაჭრებს და უთქვამენ სურვილებს. „ბატონების“ შემთხვევაში ბავშვს დედა წაიყვანდა ამ ადგილზე, დედა ძაფს ან ნართს შეაბამდა მუხის ტოტს, ბავშვს ხელში დააჭერინებდა ძაფს და წალმა შემოატარებდა სამჯერ და შემოახვევდა ხეს. მთხოობელი: ციალა გორ-დეზიანი-ბერელიძისა, დაბ. 1941 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი წმინდა ხეები, საკულტო ადგილები, საჯვარეები, ჯვრები და პირჯვრის საწერები, ასევე, ქვაჯვარები რაჭის თითქმის ყველა სოფელშია.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ფულის შენირვა ყველაზე ხშირად ავდმყობლების დროს იცოდნენ. კახეთში, როდესაც ოჯახში მძიმე ავადმყოფი იყო, „დიდებაზე“ ჩამოივლიდნენ. ავადმყოფის პატრონი ჩამოივლიდა სოფელს, ნაცნობ-უცნობებში ფულს და საჭმელს შეაგროვებდა, სალოცავს შესწირავდა და ავადმყოფის გამოჯანმრთელებას

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, „ივრის ფშავლები“, ენიმკის მოამბე. ტ. 11. (1941), 134

შეავედრებდა<sup>1</sup>. ხევსურეთში ტარდებოდა რიტუალი სწორის გამოჯანმრთელებისთვის, რომელსაც „ბალდის სახსარ“-ს უწოდებდნენ. მძიმე ავადმყოფთან მიიყვანდნენ ორ ხარს და ზედ უღელს დაადგამდნენ. უღელზე ქვაბს ჩამოკიდებდნენ და შიგ ბალდს ჩასვამდნენ. ვისაც ემეტებოდა, ხარს რქაზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალსა და შიბს (ვეცხლის მონეტებიანს) შეაბამდა და თავის სალოცავ ხატს შეავედრებოდა ავადმყოფის განკურნებას. ამის შემდეგ ხარებს აუშვებდნენ და ავადმყოფი განიკურნებოდა თუ არა, ორივე შემთხვევაში ხარს მაინც დაკლავდნენ. განკურნებასთან იყო დაკავშირებული ეგრეთწოდებული „სამხვეწრო“, რომელსაც ასრულებდნენ ვინმე სახელოვანი ვაჟუაცის ავადმყოფობის შემთხვევაში. ამ დროს სოფელი ერთ ხარს გაიღებდა და ხატს შეავედრებდა ავადმყოფის განკურნებას. ამასთანავე, დედაკაცები გულის არედან (ფარაგიდან) ვერცხლის ფულს აიხსნიდნენ და ხატს შესწირავდნენ, მანდილს აიხსნიდნენ და ხატს ისე შესთხოვდნენ ავადმყოფის განკურნებას<sup>2</sup>. ამ რიტუალის დასრულებისასაც ხარი იკვლებოდა. ფშავში სწორი განკურნების რიტუალში ხატის ხევის სპეციალის იღებდნენ მონაწილეობას. ხევის სპეციალი მხვენარს (მთხოვნელს) ამწყალობებდნენ, ზოგ ავადმყოფს „წამლის სახსრად“ ქადა-კვერები და ცხვარი მოჰყავდა, ზოგს კი „ხატის საკადრისი“ თეთრი მოსახვევი მოჰყონდა, რომლის ყურზე „წამლის სახსრად“ თეთრი ფული (ვერცხლის ფული) იყო გამოკრული<sup>3</sup>.

საინტერესოა დღემდე შემორჩენილი მთიულეთის მთავარი ხატის – პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობა – ახორბა. პირიმზე სოფელ ჩოხის ფერდობზე მდებარეობს და წმინდა გიორგის სახელზე აგებულ პატარა ეკლესიას წარმოადგენს. პირიმზის ეკლესის გალავანში ორი ახალგაზრდა დეკანოზი „საწირს“ იღებდა. ვისაც პირიმზისათვის შეთქმული ჰქონდა რაიმე შესაწირის მირთმევა, ამ დეკანოზებთან მიდიოდა. თან მიჰქონდა ქადის კვერი, რომელშიაც ვერცხლის აბაზიანი იყო ჩარჭობილი, ხელადა არაყი და კელაპტარი. დეკანოზი საწირს აიღებდა, კელაპტარს აანთებდა და დაილოცებოდა. შემდეგ დეკანოზი ქადიდან აბაზიანს ამოიღებდა და ჯიბეში ჩაიდებდა, კვერებს კი გალავანის შიგნით გადაყრიდა. შემდეგ აიღებდა დანას და შეხვეწილს მხარზე დაკერილ შარნას, რომელიც ან ჯვარი იყო და ან გახვრეტილი აბაზიანი, ააჭრიდა, ყელიდან ხატის უღელს შეხსნიდა და ნიშში დებდა. დეკანოზები საწირში აღებულ მრავალ თეთრ აბაზიანებს ჯიბეში იდებდნენ, მათი სიტყვით ეს ფული მხოლოდ ხატის ხარჯებს ხმარდებოდა<sup>4</sup>.

ხევსურეთში, კველა სალოცავ ხატს ჰქონდა ხატის დარბაზი, სადაც ინახებოდა და ხელშეუხებელი იყო „ხატის განძი“, რომელშიც შედიოდა: ვერცხლის თასები, ხუცესის კოჭობები, ვერცხლის მონეტებით შემკული შიბები – ვერცხლის ფულები, „ხატის შანები“, ვერცხლის ხატ-ჯვრები<sup>5</sup>. დარბაზში ხევსურები უცხოს არავის უშვებდნენ და ხატის განძსაც ძნელად თუ ვინმეს უჩვენებდნენ. განძის ნაწილს ხუცები მალავდნენ. ხევსურებმა ხშირად არც კი იცოდნენ რისგან შედგებოდა ეს განძი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> 6. მინდაქე, 6. ჩირგაქე, „ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები კახეთში“, 47

<sup>2</sup> მაკალათია, ხევსურეთი, 233

<sup>3</sup> ს. მაკალათია, „ფშავი“, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, (ტფილისი, 1934), 209

<sup>4</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, 164

<sup>5</sup> ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი. ე. ნადირაძე, (თბილისი, 2013), 505

<sup>6</sup> მაკალათია, „ხევსურეთი“, 246

ხატისათვის განძის, კერძოდ, მონეტების შენირვა ხდებოდა ფშავშიც. კოპალას ხატ-ზე ადიოდნენ, „საყეინო“ ლუდს სვამდნენ, რიგობით მიდიოდნენ, იჩოქებდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ და ფულსაც იქვე ტოვებდნენ<sup>1</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში სალოცავებს ხშირად სწირავდნენ ლითონის სხვადასხ-ვა საგანს, რომელთაც შანას – სანდო ნიშანი უწოდებდნენ<sup>2</sup>.

ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ეკლესიებს სწირავდნენ და ხატებს ამკობდნენ ხატის შანებით – ბეჭდებით, გულის ქინძისთავებით, სამაჯურე-ბით, სპილენძის და ვერცხლის მონეტებით. გარდა ამისა, თუ ვინმე შემთხვევით მინაში რაიმე ძვირფას ნივთს ან მონეტას იპოვიდა, ეკლესიაში მიჰქონდა და ხატთან ტოვებდა<sup>3</sup>. როგორც ჩანს, შანას შესანირ მონეტასაც უწოდებდნენ.

ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მონეტა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, სხვადასხვა რიტუალის და წეს-ჩვეულებების განუყრელი ატრიბუტია. აღნერილ რიტუალებში მონეტების შენირვის ფაქტი უნდა განვიხილოთ, როგორც მსხვერ-პლშენირვის გადმონაშთი, სადაც მონეტა ფიგურირებს როგორც საჩუქარი, ძღვენი ღვთა-ებისადმი, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში პიროვნება სწირავს უკუგების მიზნით<sup>4</sup>.

სალოცავებისთვის შენირული ფული, როგორც წესი, ხელშეუხებელი იყო (გამონაკ-ლისებიც გვაქვს, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ), ხშირად მათ შორის იშვიათი და უნიკა-ლური მონეტაც აღმოჩენილა, ამიტომ სალოცავებისთვის მონეტების შენირვის ტრადი-ციამ დიდი სამსახური გაუნია მეცნიერებას.

ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თუშეთში აღმოჩენილი იშვიათი მონეტა. 1975 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა პირველად მო-აწყო დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიცია მთათუშეთში (ხელმძღვანელი რუსუდან დოლაბერიძე). შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე, კორდოვანი ფენის აღების დროს, აღმოჩ-ნდა ვერცხლის მონეტა, რომელიც ექსპედიციის ხელმძღვანელის გადმოცემით, გან-საზღვრა რევაზ ქებულაძემ და დაადგინა, რომ ის იყო ბაგრატ IV (1027-1072) -ის მონეტა ნოველისიმოსის ტიტულით<sup>5</sup>. (დანართი XXVIII. 2)

XI საუკუნიდან საქართველოს სამონეტო საქმეში შემოდის ახალი ტიპის ვერცხლის საფასე – ქართული მონეტები ბიზანტიური ტიტულებით. ეს ფული სპეციალურ ლიტე-რატურაში ქართულ-ბიზანტიური მონეტების სახელით არის ცნობილი. ამ მონეტების ტიპი ბიზანტიურია, ხოლო ზედნერილები შესრულებულია ქართული ასომთავრულით, რომლებშიც საქართველოს მეფეები ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით მოიხსენი-ებიან.

<sup>1</sup> მაკალათია, „ფშავი“, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, (ტფილისი, 1934), 210

<sup>2</sup> ლექსიკონი, (თბილისი, 1991), 470

<sup>3</sup> ც.ბეზარაშვილი, ქსნის ხეობა (თბილისი, 1975), 75

<sup>4</sup> M. Moss, „Очерт о даре форма и основание обмена в архαιческих обществах“. Восточная литература (1996), 85.

<sup>5</sup> რ. დოლაბერიძე, „მთა-თუშეთის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“, საქა-რთველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები V (თბილისი, 1977), 145; მ. პატარიძე, „ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან“. საისტორიო კრებული წელიწერი 1 (2011), №284

ბაგრატ IV-ის საფასე, მასზე აღნიშნული ბიზანტიური წოდების მიხედვით, იყოფა ორ ჯგუფად: „სევასტიონის“ და „ნოველისიმოსის“ ტიტულით. ნოველისიმოსის ტიტულით XX საუკუნის 70-იან წლებამდე მხოლოდ ორი ცალი იყო ცნობილი: ერთი – მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული და მეორე – სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში. საქართველოს ტერიტორიაზე ამ აღმოჩენამდე მსგავსი საფასე დაფიქსირებული არ იყო. ვინაიდან ბიზანტიურტიტულებიანი ქართული საფასები იშვიათია, თითოეულ ეგზემპლარს დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს, ხოლო ამ მონეტას, გარდა იმისა, რომ ერთადერთია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზატიკურ ფონდში, მოპოვების ადგილისა და გარემოების მიხედვით, არქეოლოგიური და ეთნოლოგიური კონტექსტი ახლავს.

მონეტის აღმოჩენის ადგილი სალოცავია, ეგრეთ წოდებული „ხატი“. როგორც ცნობილია, ნიშტაყოს ბორცვი ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნიდან XII საუკუნემდე საკულტო-სარიტუალო სალოცავს წარმოადგენდა. „ხატისადმი“ სხვადასხვა ძვირფასი ნივთების შენირვის ტრადიცია საქართველოს მთიან რეგიონში უძველესი დროიდან არსებობს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ კი, სვანეთში.

შენაქოს ეგზემპლარი გახვრეტილია, სავარაუდოდ, ალბათ, გულსაკიდად გამოიყენებოდა. შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო წმინდანის გამოსახულებიანი მონეტების ამულეტად გამოყენების ტრადიცია. ამულეტების საკითხს ჩვენ ქვემოთაც შევეხებით. ამიტომ შესაძლოა, ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტას, მასზე არსებული ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულების გამო, ამულეტის დანიშნულება ჰქონდა<sup>1</sup>.

ამ მონეტის აღმოჩენის ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ – შენაქოა. აღმოჩენის კონტექსტი, ვგულისხმობთ სალოცავს, არ გვაძლევს საშუალებას, გაძედულად ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ეს მონეტა მიმოქცევაში შეიძლებოდა ყოფილყო. ერთი ცალით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს ფული ისე-თივე ინტენსივობით მიმოქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც დასავლეთ საქართველოში. აქ მხოლოდ ერთ შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ბაზაც არ გვიმაგრებს ზურგს საამისოდ. ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტების აღმოჩენის ადგილი, ძირითადად, დასავლეთი საქართველოა: აფხაზეთი, სვანეთი, ვანი (ციხესულორი). ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ამ მონეტის ტიპი ბიზანტიურია და XI საუკუნეებში ქართველი მეფეები, რომლებსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან, რეალურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მფლობელნი იყვნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში წამყვანი ადგილი აღმოსავლურ მონეტებს და ჯა'ფარიანთა არაბული დინასტიის მიერ თბილისში მოჭრილ ფულს ეჭირა. წყაროებით ცნობილია ბაგრატ IV-ის თანამედროვე თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარი და მისი ორი ვაჟი – მანსური და აბუ ალ-ჰეიჯა. ალი იბნ ჯაფარის მონეტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, მოჭრილია ჰიჯრის 386-418/996-97-1027-28 წლებში<sup>2</sup>.

2009 წელს თბილისში, მტკიცრის კალაპოტში, აღმოჩნდა აბუ ალ – ჰეიჯას სპილენძის საფასე (ამჟამად ის კერძო კოლექციაში ინახება). ახალაღმოჩენილმა მონეტამ მისცა

<sup>1</sup> პატარიძე, „ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან“, 286

<sup>2</sup> გ. ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. (თბილისი, 1991), 132-150

საშუალება ირაკლი ფალავას, დაემტკიცებინა, რომ თავის საფასეს ჭრიდა ჯა'ფარ III ბ. 'ალის კიდევ ერთი ვაჟიმვილი – აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარი. მაშასადამე, ირკვევა, რომ საკუთარი საფასის მოქრას ახორციელებდა თბილისის კიდევ ერთი-ერთი უკანასკნელი ჯა'ფარიანი ამირა – აბუ ალ-ჰეიჯაც. ეპოქის ისტორიის (წყაროთმცოდნეობითი ბაზის) გათვალისწინებით მონეტის გამოშვების თარიღად ი. ფალავა მიიჩნევს 1051 – 62, უფრო კი – 1064-1067/8 ანდა – 1068/9 წლებს<sup>1</sup>.

შენაქოში აღმოჩენილი, ბაგრატ IV ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტა, საქართველოში ერთადერთი, ხოლო მსოფლიოში მესამე ეგზემპლარია, ამრიგად, რომ არა სალოცავებისთვის შენირვის ტრადიცია, მეცნიერება შესაძლოა დაკარგავდა ამ ძალზედ მნიშვნელოვან მონეტას.

### 3.6. მონეტები სვანეთის ტაძრებში

სალოცავებისადმი ძლვნად მონეტის შენირვა ყველაზე ხშირია სვანეთის რეგიონის-თვის.

სვანეთის სალოცავებში დაცულ საეკლესიო შენირულობებზე, მონეტებზე დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი მონეტა ეკლესიაში როგორც სამკაული ან ძვირფასი ნივთი ისეა მოხვედრილი. პარალელურად, არის ჯგუფი მონეტებისა, რომელიც მიმოქცევის თანადროულად ფულის სახით შევიდა სალოცავში.

სვანეთში უძველესი დროიდან წესად იყო სხვადასხვა ეკლესია-სალოცავებისთვის მონეტების შენირვა, რაც ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ოჯახის ბედის, სიუხვისა და ჯანმრთელობის საწინდარი იყო. ეთნოგრაფიული ჩანაწერებით ვიგებთ, რომ მამაკაცები ეკლესიებს, ძირითადად, იარაღს სწირავდნენ (მშვილდს, ისარს, ისრისპირს, ხანჯალს, თოფის ტყვიებს და ვაზნებს) ქალები – მძივებს, გახვრეტილ ქვებს, მონეტებს და ქალის სამკაულს. თითოეულ ნივთს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგალითად, ისარი და ტყვია შენირული იყო ბიჭის დაბადების აღსანიშნავად; ქვა და მონეტა – ოჯახის ბედი-ბარაქის და სიუხვისათვის<sup>2</sup>.

სალოცავისთვის ფულის შენირვის ტრადიცია სვანეთში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და დღესაც ცოცხლია. 2014 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან მივლინებით ვიმყოფებოდით სვანეთში კალას თემში. კვირიკესა და ივლიტას სახელზე აგებულ ეკლესიაში (ლაგურკაში) დაცული ნუმიზმატიკური საგანძუროს შესასწავლად. მასალის დათვალიერებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ ტრადიციების უწყვეტობაში მასალის დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ XXI საუკუნემდე (ჩათვლით) იწირებოდა მონეტები, ძვირფასი და ნახევრადდვირფასი ქვები და იარაღი, რომელიც ნარმოდგენილი იყო სხვადასხვა თოფის თუ ავტომატური იარაღის ტყვიებით (დანართი XXVIII. 3,4). სვანეთის სალოცავებისადმი ფულის და სიმდიდრის შენირვა, გარდა ეთნოგრაფიული გადმოცემებისა, დაფიქსირებულია ჩანს სვანურ ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც.

<sup>1</sup> ი. ფალავა, „შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ეკოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს)“, სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თბილისი, 2015), 33

<sup>2</sup> მ. ჩართოლანი, „1973 წ. სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები“, საქართველოს სახემწიფო მუზეუმის მოამბე. XXXII-B. (თბილისი, 1977), 12

ზემოთ, როდესაც როდესაც შევეხეთ ამ რეგიონში ბიზანტიური მონეტების მიმოქცევის საკითხს, მოვიყვანეთ ორი საბუთი – „დაწერილი სოფლისა ხუცეს გიორგი ხაფთანანისადმი“ და „დაწერილი სოფლისა სინელისადმი“. ორივე დოკუმენტი შექმნილია XI საუკუნეში.

პირველი საბუთი ამოკაწრულია ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის (დანართი VI. 5) ჩრდილოეთით ნუსხური დამწერლობით. საბუთის ტექსტს წარმოადგენს მხოლოდ იმ განძის ჩამონათვალი, რომელიც სოფელს „მიუთვლია“ ხუცესისადმი. აქ დასახელებულია: სამი აჟურა, შვიდი დრახკანი, „ოცდაათისა დრახკანისა წონით სხვაი შეყრილი ვერცხლი“ და ხუთი ბეჭედი. ვ. სილოგავას მოსაზრებით, ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის წარწერაში აღრიცხულია შენირული ფული და ბეჭდები<sup>1</sup>.

მეორე საბუთში – „დაწერილი სოფლისასინელისადმი“, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე, ამოკაწრულია ადიშის მაცხოვრის ეკლესიაში (დანართი VI. 6) – სულ სამიოდე სიტყვა იკითხება „... აჟურა უ გუითვალეთ სინელი...“ ტექსტის დასაწყისიც და ბოლოც, შელესილობის ჩამოშლის გამო, უცნობია. ვ. სილოგავას წაკითხვით აქ საუბარია იმაზე, რომ სოფელმა სხვა ქონებასთან ერთად უ (400) აჟურა მიუთვალა („გუითვალეთ“) ადიშელ ხუცეს სინელს<sup>2</sup>. ვ. სილოგავამ იმის გამო, რომ მას თანხა კოლოსალურად მოეჩვენა და ეს ნამდვილად ასეა, ვინაიდან 400 აჟურა, ანუ 400 ბიზანტიური ვერცხლის ფული საკმაოდ ბევრია, ციფრის აღმნიშვნელი უ შეცვალა გრაფემით უ. რადგანაც გარდამავალ მხედრულ დამწერლობაში მოხაზულობით უ ხშირად ჰგავს გრაფემა ჟ-ს. შესაბამისად, გამოდიოდა 90 აჟურა<sup>3</sup>.

ვ. სილოგავა მიჯნავს ერთმანეთისგან ორ სიტყვას: „მითვლას“ და „შეყრას“. მეცნიერი სხვა საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ ტერმინი – „შეყრილი“ ნიშნავს საეკლესიო შენირულობას. ხოლო „მითვლა“ – ში იგულისხმებოდა სოფლის მიერ დაგროვილი განძის, ამ შემთხვევაში, ფულისა და ბეჭდების ჩაბარება და ასე შენახვა ეკლესიაში, რომელიც გამოყოფილი იყო საეკლესიო ქონებისაგან და მისი განკარგვაზე სოფელს ხელი მიუწვდებოდა<sup>4</sup>. ეს თანხა სოფელს სჭირდებოდა გარკვეული საჭიროებისათვის, ძირითადად, ისევ ეკლესიისათვის – გადახურვა, შეკეთება, მიშენება ან საეკლესიო დღეობებისათვის ხარის შესაძენად<sup>5</sup>.

ამ ეპიგრაფიკულ საბუთებს მოგვიანებით მიუბრუნდა მარინე ყენია, რომელმაც თეიმურაზ ჯოჯუასთან ერთად ჩათვალა, რომ „სინელის დაწერილი“ იყო ხუცესის, სახელად სინელის მიერ „გაცემული“ „დოკუმენტი“ – დადასტურება აჟურების მითვლისა<sup>6</sup>. მათი მოსაზრებით, სოფლის მიერ ეკლესიისთვის ქონების მითვლა აპრობირებული მეთოდი იყო. ხუცესი განძის მიღებისას („მითვლისას“) „საბუთს“ ქმნიდა, სადაც ფაქტს ამტკიცებდა, ფაქტსიმილეს ურთავდა და გასცემდა შესაბამის დოკუმენტაციას. ამ ვარაუდს აქვს

<sup>1</sup> ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები (თბილისი, 1988), 202

<sup>2</sup> იქვე, 204.

<sup>3</sup> სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები, 205

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> მ. ყენია, „სინელი ხუცესისი წარწერათა ინტერპრეტაციის ცდა“, საქართველოს სიძველენი, თბილისი, 2012, №15, 183

არსებობის უფლება, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო მეტ დასაბუთებას საჭიროებს, რადგან სხვა შემთხვევა საეკლესიო საგანძურის დოკუმენტურად გაფორმებისა არ გვაქვს.

ვფიქრობთ, ორივე წარწერას სხვა სახის მნიშვნელობაც აქვს. კერძოდ, ისინი ჩვენთვის სვანეთის ტაძარებში მონეტების და საგანძურის შენირვის ტრადიციის წერილობით წყაროს წარმოადგენენ. რაც შეეხება ტერმინებს, რის საფუძველზედაც ხდება სალოცავისთვის განძის გადაცემის კლასიფიკაცია – შენირვა და, უბრალოდ, მიბარება, ჩვენთვის ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია, მით უფრო, რომ „მითვლა“ თანამედროვე კუთხურ კილო-კავებშიც კი, მიტანას, ხშირად ამბის მიტანასაც ნიშავს. მაგალითად: „ამბავი მიუთვალა“, „შემოუთვალა“, აქედან გამომდინარე, განძის მიტანაზე უნდა იყოს საუბარი, ჩვეულებრივ შენირვაზე და არა დროებით ჩაბარება-შენახვაზე. ვინ განაგებდა სრულად საეკლესიო შენირულობას, სოფელი თუ საეკლესიო პირები, ჩვენ ამის გარკვევა ბოლომდე გაგვიჭირდება, თუმცა მოგვეპოვება ერთი ეთნოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც ამ საკითხს ეხმანება: „თანდილში, ვისაც ლოცვა „ემართა“, აუცილებლად სწირავდა ფულს, ამ ფულით ტაძრის „მოლზვენები“ ყიდულობდნენ საკლავს. თუ შესანირი „ვალი“ მეტი იყო, ინახავდნენ ტაძარში ამ ფულს“<sup>1</sup>. მოცემული ეთნოგრაფიული წყაროს მიხედვით, როგორც ჩანს, ეკლესიის მსახურები მოიხმარდნენ ეკლესიის შენაწირს გარკვეული რიტუალისთვის თუ საკუთრივ ტაძრისთვის.

ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია საეკლესიო ქონების განკარგვის დეტალები, საინტერესოა ერთი რამ, თუ სალოცავის განძი ხელშეუხებელი იყო, როგორც ამას ამტკიცებდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ირკვევა, რომ შემონახული მონეტების რაოდენობაც კოლოსალურად დიდი უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, მრავალფეროვანიც. მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც ჩანს, ეკლესიიდან მონეტები გარკვეულ ისტორიულ პერიოდში გადიოდა, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ეკლესია საჭიროებისთვის თანხას ხარჯავდა. აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენ სვანეთის ნუმიზმატიკურ მასალაში რომელიმე პერიოდის მონეტების დანაკლისი გვაქვს, სწორედ საეკლესიო მეურნეობის ამგვარი ორგანიზების შედეგია და არა იმის, რომ სვანეთი რომელიმე პერიოდში „ჩაკეტილი“ იყო და იქ ამა თუ იმ ტიპის ფული არ ბრუნავდა.

სიმდიდრის შენირვაზე მოგვითხრობს სვანეთის მკვიდრი სები გულედანი, რომელმაც 1940 წელს ჩაიწერა მთხოობლისგან, მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერის მცხოვრებ დავით გულედანისგან. „იფრარის ჯგრააგის ხატი ძალიან სასწაულმოქმედი ყოფილა, მლოცველი ბლომად მიღიოდა და ბევრი სწირავდა „კეთილ-ქონებას“. ამ ხატის (ეკლესიის) მოლზვენები (მსახურები) ხაჭვანები ყოფილან, მაშინ ყველაზე კარგად მოლზვენები ცხოვრობდნენ, რადგან უამრავი ფული და ქონება უგროვდებოდათ. ხაჭვანები ამით ვერ დაკმაყოფილებულან და გაუყიდიათ ხატი ჩოლურში. სოფელს დაუწყია ძებნა და მიუგნიათ. დიდი „სახსარი“ გადაუზდია სოფელს ხატის დასაბრუნებლად. ხაჭვანებისთვის ჩამოურთმევიათ „მოლზვენობა“ და იმის მერე ვერ მოუშორებიათ სიღარიბე“.

უკვე ითქვა, რომ ეკლესია-სალოცავებისთვის ფულის შენირვა უკავშირდებოდა ოჯახის ბედს, სიუხვესა და კეთილდღეობას. ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებ-

<sup>1</sup> მ. ჩამგელიანი, „საველე ეთნოლოგიური ჩანაწერების სოფელ ლატალიდან“ (მესტიის მუნიციპალიტეტი), ხელნაწერი, 2012

ში, სვანეთშიც განსაკუთრებით ხშირი იყო ავადმყოფობის გამო მონეტის, სამკაულის და ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვების შენირვა. ეს ტრადიცია დღემდეა ამ რეგიონში შემორჩენილი. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ 2012 წლის ეთნოლოგიური ჩანაწერი. ინფორმაცია ჩაიწერა ეთნოგრაფმა მადონა ჩამგელიანმა მესტიის რაიონის სოფელ ლატალში, მთხოვბელი იყო 1937 წელს დაბადებული დარიკო გვიჩიანი. აი, რა ისტორიას ჰყება ის: „ჩემი ნესტანი იყო ერთი წლის და უცებ გალურჯდა, ვერაფერმა ვერ უშველა, ექიმიც მოვიყვანეთ და ვერავინ ვერ ხვდებოდა, რა სჭირდა. ჩემმა დედამთილმა მითხრა: ეგ ხატის ამბავი იქნებაო და სასწრაფოდ გააგზავნა გიორგი (ქმარი) გულის თარინგზელში, თან მისცა კებზაარ, ძველი ვარჩხილ (ვარჩხილ-ვერცხლის ფული) ეკიდა ამ კებზაარს. ის დრო იქნებოდა, გიორგიმ რომ ილოცა და ბავშვს სახლში ფერი დაუბრუნდა, გონზე მოვიდა. ასეთი ძალა აქვს, დიდება მისვლოდეს გულს“<sup>1</sup>.

სალოცავი, რომელიც ამ მონათხრობშია მოხსენიებული, გულის თარინგზელი, ზემო სვანეთში, სოფელ ბეჩიში, მდებარეობს და გულა-გაბრიელს ეძახიან. ეს ეკლესია დღესაც ავადმყოფების შემწედ ითვლება, ძირითადად, სულიერად დაავადებულები მიჰყავთ იქ საბელმობმულნი. დღემდეა შემორჩენილი ფულის შენირვა უშგულშიც, კალას თემში. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე იშვიათი მონეტა კალადან, კერძოდ, კვირიკე და ივლიტეს ეკლესიიდან<sup>2</sup>.

სვანეთში იყო კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც დღემდე არსებობს – ვინც პირველად მოხვდებოდა ეკლესიაში, ფული აუცილებლად უნდა დაეტოვებინა. სვანეთის ეკლესიებისთვის მონეტის შენირვა ყოველთვის არ ნიშნავდა მიმოქცევაში არსებული ფულის შენირვას, რადგან მიმოქცევიდან დიდი ხნის წინ გამქრალი მონეტაც შეიწირებოდა. ამაზე ზემოთ მოხმობილი ისტორიაც მეტყველებს, როდესაც XX ს.-ში, ვერცხლის ფულს სწირავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მომლოცველს ის, როგორც ლამაზი და ძვირფასი ლითონის ნივთი მიაქვს სალოცავში. ხშირად ასეთ ნივთს შემთხვევითაც პოულობდნენ. ამ გზით მოხვდა უშგულის ციხე-სახლში ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძი<sup>3</sup>.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, ნ. 1, 52. ზ. 14/14

აღწერილობა<sup>4</sup> (დანართი III. 4)

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ ოთხი, ხოლო უკან ერთი რელიეფური წერტილი.

Rv. ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი), გამოსახულების ორივე მხარეს თითო წყვილი რელიეფური წერტილი.

მონეტა ორ ადგილზეა გახვრეტილი.

ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძის უშგულის ეგზემპლარზე არსებობს ცნობა, რომ ის 1972 წლის სვანეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ გამოავლინა და სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ჩაუაშის მაცხოვრის ეკლესიდან იქნა გადატანილი. ვინაიდან სხვა მინაბაძები გახვრეტილი არ გვხვდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონეტა

<sup>1</sup> ჩამგელიანი, „საველე ეთნოლოგიური ჩანაწერების სოფელ ლატალიდან“ (მესტიის მუნიციპალიტეტი), ხელნაწერი, 2012

<sup>2</sup> პატარიძე, „ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან“. საისტორიო კრებული, №276

<sup>3</sup> პატარიძე, „სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები“, 30

<sup>4</sup> იქვე

აღმომჩენმა გახვრიტა, ატარებდა როგორც სამკაულს და შემდეგ როგორც ძვირფასი სამკაული ისე შესწირა სალოცავს. სვანეთში ეკლესიებიდან მუზეუმში გადმოტანილი მონეტები, ძირითადად, გახვრეტილია და თოვზეა ასხმული.

მაგალითად, უშგულის ციხე-სახლში (მუზეუმში) დაცულია ასევე საინტერესო მძივების აცმა, მათ შორის: ქვა, მინა, ლითონი და მონეტა (დანართი XXXII). ქვები სხვადასხვა ეპოქისაა, ელინისტური, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების. ხოლო მონეტა გვიან შუა საუკუნეების ვერცხლის მონეტა. განსაზღვრა ცუდად დაცულობის გამო შეუძლებელია. არის შემთხვევები, როდესაც მონეტა სვანეთის სალოცავებში გახვრეტილი, თოვზე აცმული ან ხატზე ჩამოკიდებული გვხვდება. სვანეთის საეკლესიო განძებში უნდა გამოიყოს მონეტების ის ჯგუფი, რომლებიც მათი მიმოქცევის თანადროულად არის ეკლესიებში შენირული, როგორც ფული და ჯგუფი მონეტებისა, რომლებიც მათი მიმოქცევიდან გაქრობის შემდეგ იპოვეს და შესწირეს ეკლესიას, როგორც ძვირფასი ლითონი და სამკაული. ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძის უშგულის ეგზემპლარი სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება. მიუხედავად მონეტის საეკლესიო წარმომავლობისა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სვანეთში ალექსანდრე მაკედონელის არა მარტო სტატერი, არამედ მინაბაძებიც არის აღმოჩენილი, ეს მონეტა შეიძლება არა პირდაპირ, მაგრამ ირიბად სვანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონტექსტშიც განვიხილოთ.

მიმოქცევიდან გასვლის შემდეგ ტაძარში შენირული მონეტების ჯგუფს მიეკუთვნება არაბული დირჰემი, რომელიც მესტიის მუზეუმში ეკლესიიდან გადმოიტანეს.

№12-1; ნ. 2, 82გრ; ზ. 25/24 (დანართი XXXIII. 1)

Av. ცენტრში: لا الله الا وحده لا شريك له  
„არ არის ღმერთი გარდა ალაპისა, არ ჰყავს მას მოზიარე“

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة اثنين و ثمانين و مئة: გარშემო:  
„საახლითა ალაპისა მოიქრა ეს დირჰემი მადინათ ა-სა-ადლამში 182 ნ. (=798-799)“

Rv. ცენტრში: محمد بن امير المؤمنين ا جعفر  
„მუჰამედი მოციქული ალაპისა მოციქული ალაპისა მორწმუნე მორწმუნეთა შორის მუჰამედი ძე მართლ-მორწმუნე მბრძანებლისა ჯაფარი“

محمد رسول الله ارسله بالهدى و دين الحق ليظهره على الدين كله و لم يره المشركون: გარშემო

„მუჰამედი მოციქული ალაპისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზით და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ის ურწმუნებს.“

შენიშვნა: მონეტა გახვრეტილია. ეკლესიაში ის ხატზე დაკიდებული იყო და როგორც ჩანს, სანთლის ჭვარტლმა გააშავა, გამურა.

არაბული დირჰემები, რომლებიც არაბთა სახალიფოს სხვადასხვა ზარაფხანაში (მათ შორის, თბილისში) იჭრებოდა, საქართველოში განძებისა თუ ცალკეული აღმოჩენე-

ბის სახით მრავლადაა დაფიქსირებული. შესაბამისად, ეს მონეტები არა ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი სამეცნიერო საზოგადოებაში. ჩვენს ქვეყანაში ქუფური მონეტების მიმოქცევასთან დაკავშირებით ი. ჯალალანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ისინი ორ რეგიონში მიმოქცეოდა: თბილისა და მის შემოგარენში და ჰერეთში (დღევანდელი საინგილოს ტერიტორიის ჩათვლით). მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერს ჰქონდა ინფორმაცია არქაბისა და ჭოროხის განძების შესახებ, არაბული მონეტების ინტენსიურ ცირკულაცია დასავლეთ საქართველოში მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა<sup>1</sup>. შემდგომში გამოვლინდა ქუფური მონეტების საკმაოდ დიდი განძი მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ინჩხურში<sup>2</sup>, ნაქვას განძი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში<sup>3</sup> და საკმაოდ მასშტაბური განძების კონცენტრაცია დადასტურდა დასავლეთ საქართველოს შემდეგ რეგიონებში. გურია – სოფელი ზოტი<sup>4</sup> და სოფელი მერია<sup>5</sup>, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი კაპანდიბში<sup>6</sup>.

ჩვენ საგანგებო ყურადღება დავუთმეთ დასავლეთ საქართველოში ამ მონეტების მიმოქცევის სურათს, ვინაიდან სვანეთის ეკონომიკური კავშირები, როგორც წესი, უმეტესად დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონს უკაშირდება. ტოპოგრაფიულ რუკაზე აშკარაა, რომ ძირითადი აღმოჩენები შავი ზღვისპირეთში და მის შემოგარენშია დაფიქსირებული. ერთადერთი აღმოჩენა ზემო იმერეთში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაქვაში დასტურდება<sup>7</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანეთში ქუფური მონეტის არსებობის ეს ერთი შემთხვევა გვაქვს. ჰიპოტეტურად შეგვიძლია დავუშათ, რომ ზემო იმერეთიდან შესაძლოა შესულიყო სვანეთში სახალიფოს მონეტები მიმოქცევაში, მაგრამ ამ მოსაზრებას მონეტის არასაკმარისი რაოდენობა ელობება წინ. იმ ჰიპოტეზის, როდესაც ჩვენს განკარგულებაში ერთი მონეტა და არანაირი წერილობითი წყარო, რომელიც თუნდაც მინიშნებას მოგვცემდა სვანეთში არაბი დამპყრობლების კვალზე, ამ მონეტის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში განხილვა მართებული არ უნდა იყოს. ამიტომ ფრთხილი ვარაუდის სახით მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით. ეთნოლოგიური თვალსაზრისით, ამ მონეტის არსებობა ეხმაურება სვანეთის რეგიონისთვის დამახასიათებელ უკვდავ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ნაპოვნ მონეტას კეთილდღეობის სანაცვლოდ სწირავენ სალოცავს.

<sup>1</sup> ი. ჯალალანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-Xსს. საქართველოში“, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 4 (1973), 69-90; ი. ჯალაგანია, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* (Тбилиси, 1979), 44-73

<sup>2</sup> თ.ქუთელია, ც. ლვაბერიძე, „ინჩხურის განძი“, ეროვნული მუზეუმის მოამბე V (50-B) (თბილისი, 2014), 212-218

<sup>3</sup> მ. ჩადუნელი, მ. ქორიძე, „ნაქვას განძი“, ეროვნული მუზეუმის მოამბე II (47-B), (თბილისი, 2011), 260-269

<sup>4</sup> ი. ფალავა, ი.ვარშალომიძე, ს.თურქია, „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია)“, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრომები V, (2013), 11

<sup>5</sup> იქვე, 7

<sup>6</sup> იქვე, 16

<sup>7</sup> ჩადუნელი, ქორიძე, „ნაქვას განძი“, 260-269

### 3.7. უშგულის ციხე-სახლის (მუზეუმის) ნუმიზატიკური მასალის სპეციფიკა

2009 წლის ექსპედიციამ და უშგულის ნუმიზმატიკური განძებზე დაკვირვების სამეცნიერო ანალიზმა პასუხი გავვცა სვანეთის განძების (უმეტესობის) ხასიათზე. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, შეგვიძლია ის ერთგვარ ორიენტირად ვაქციოთ საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ ეკლესია-მონასტრებში დაუნჯებულ სამონეტო კომპლექსების შესწავლაში.

უშგულის ციხე-სახლის მონეტების შესწავლაში დიდი სამსახური გაგვიწია უნიკალურმა კომპლექსმა – ფულის ქისამ (დანართი XXXI), რომელშიც მონეტებთან ერთად ნახევრადძირფასი ქვებიც იყო წარმოდგენილი. უნიკალურს მას შემთხვევით არ ვუწოდებთ, რადგან ის დღემდე მოღწეული ერთადერთი ხელუხლებელი ქისაა მასში არსებული მონეტებით.

უშგულის ციხე-სახლში დაცული ქისა ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიდან გადმოიტანეს. ის თავისი პირვანდელი სახით დაგხხვდა, სავარაუდოდ, ისეთი, როგორიც სალოცავში იყო. ამ კომპლექსის შესწავლით ფაქტობრივად ცოცხლდება სალოცავებისათვის მონეტების, ქვების და მძივების შენირვის სვანური ტრადიცია. ერთი შეხედვით მცირე ზომის ქისა საკმაო ინფორმაციას იტევს. მასში მოთავსებული მონეტები, უეტონები და ქვები ერთდროულად საკულტო, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ხასიათისაა. მაგალითად: ქვა, მძივი და ცალმხრივი მონეტები, რომლებიც სამკაულად გამოიყენებოდა, ეთნოგრაფიული დანიშნულებას აძლევს ამ განძს, თუმცა იქვეა ერთად ასხმული 116 მონეტების (თურქული ახჩის განძის) აცმა (დანართი XXXI). აგრეთვე, სათითაოდ, სავარაუდოდ, რიტუალურად შენირული მონეტები. ეს კომპლექსი საკულტოა და ის ძლვენს, შენირულობას წარმოადგენს ეკლესისთვის, მაგრამ იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ამ განძის ხასიათი, მიზანშენონილად მივიჩნიეთ, დეტალურად შეგვესწავლა ამ კომპლექსის შემადგენლობა. როგორც უკვე განძის შემადგენლობის აღნერისას აღვნიშნეთ, ქისაში გახვრეტილი და ერთად ასხმული 116 თურქული ახჩა დაგხვდა. სავარაუდოდ, ეს მონეტები გარკვეულ დანაზოგს წარმოადგენდა, რომელიც მათი მიმოქცევის მომენტში ან მოგვიანებით გახვრიტეს და ძაფზე ასხმული შენირეს ეკლესიას ან შესაძლოა, ეს მონეტები განძად იპოვა პიროვნებამ და ეკლესიას არა როგორც ფული, არამედ, როგორც სიმდიდრე ისე შესწირა. ნებისმიერ შემთხვევაში, დასადგენია ქრონოლოგია, რათა დავადგინოთ არის თუ არა ის მიმოქცევის სურათის მომცემი თუ შემთხვევით შეგროვილი მონეტებია? ამისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ, დაგვემალა განძი და სათითაოდ განგვესაზღვრა თითოეული მონეტა.

#	სულთანი	წონა	ზომა	ლითონი	ზარაფხანა	თარიღი ჰიჯრით/ ევროპული	ნომინ
1	აჰმედ II (1690-1695)	0,59	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1103/1691-92	ახჩა
2	მუსტაფა II (1694-1703)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1110/1698-1699	ახჩა

3	აპმედ III (1703-1730)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-04	ახჩა
4	აპმედ III (1703-1730)	0,18	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-04	ახჩა
5	მაპმუდ I (1730-1754)	0,27	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
6	მაპმუდ I (1730-1754)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
7	მაპმუდ I (1730-1754)	0,44	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
8	მაპმუდ I (1730-1754)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
9	მუსტაფა III (1757-1773)	0,35	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
10	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
11	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	14/14	ვერცხლი	??	1171/1757-58	ახჩა
12	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
13	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	14/14	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
14	მუსტაფა III (1757-1773)	0,39	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
15	მუსტაფა III (1757-1773)	0.33	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა

16	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
17	მუსტაფა III (1757-1773)	0,26	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
18	მუსტაფა III (1757-1773)	0,38	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
19	მუსტაფა III (1757-1773)	0,36	14/14	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
20	მუსტაფა III (1757-1773)	0,32	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
21	მუსტაფა III (1757-1773)	0,11	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
22	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,28	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
23	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
24	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
25	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
26	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
27	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
28	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1187/1773-1774	ახჩა

29	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,38	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
30	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
31	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
32	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
33	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
34	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
35	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
36	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,34	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
37	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,25	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
38	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
39	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
40	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
41	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა

42	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
43	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
44	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,16	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
45	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
46	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
47	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	13/13	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
48	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,14	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
49	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,27	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
50	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,23	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
51	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
52	აბდულ ჰამიდ III (1788-1807)	0,18	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1798-1799	ახჩა
53	სელიმ III (1788-1807)	0,17	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1212/1797-1798	ახჩა
54	მუსტაფა IV (1807-1809)	0,09	14/14	ბილონი	კონსტანტინოპოლი	1222/1807-1808	ფარა

55	მაპმუდ II (1808-1840)	0,16	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
56	მაპმუდ II (1808-1840)	0,15	12/12	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
57	მაპმუდ II (1808-1840)	0,33	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1243/1827-1828	ახჩა
58	აბდულ მეჯიდი (1840-1860)	0,30	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1271/1854-1855	ახჩა
59	აპმედ II (1690-1695)	0,59	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1103/1691-1692	ახჩა
60	მუსტაფა II (1694-1703)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1110/1698-1699	ახჩა
61	აპმედ III (1703-1730)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-1704	ახჩა
62	აპმედ III (1703-1730)	0,18	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-1704	ახჩა
63	მაპმუდ I (1730-1754)	0,27	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
64	მაპმუდ I (1730-1754)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
65	მაპმუდ I (1730-1754)	0,44	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
66	მაპმუდ I (1730-1754)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
67	მუსტაფა III (1757-1773)	0,35	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა

68	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
69	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	14/14	ვერცხლი	??	1171/1757-1758	ახჩა
70	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
71	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	14/14	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
72	მუსტაფა III (1757-1773)	0,39	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
73	მუსტაფა III (1757-1773)	0,33	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
74	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1171/1757-1758	ახჩა
75	მუსტაფა III (1757-1773)	0,26	14/14	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
76	მუსტაფა III (1757-1773)	0,38	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
77	მუსტაფა III (1757-1773)	0,36	14/14	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
78	მუსტაფა III (1757-1773)	0,32	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
79	მუსტაფა III (1757-1773)	0,11	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-1758	ახჩა
80	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,28	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა

81	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
82	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
83	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
84	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
85	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
86	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1187/1773-1774	ახჩა
87	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,38	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
88	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
89	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
90	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
91	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
92	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
93	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა

94	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,34	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
95	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,25	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
96	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
97	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
98	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
99	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
100	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
101	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
102	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,16	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
103	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
104	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
105	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	13/13	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
106	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,14	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა

107	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,27	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
108	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,23	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-1774	ახჩა
109	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
110	სელიმ III (1788-1807)	0,18	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1798-1799	ახჩა
111	სელიმ III (1788-1807)	0,17	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1212/1797-1798	ახჩა
112	მუსტაფა IV (1807-1809)	0,09	14/14	ბილონი	კონსტანტინოპოლი	1222/1807-1808	ახჩა
113	მაჰმედ II (1808-1840)	0,16	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
114	მაჰმედ II (1808-1840)	0,15	12/12	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
115	მაჰმედ II (1808-1840)	0,33	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1243/1827-1828	ახჩა
116	აბდულ მეჯიდი (1840-1860)	0,30	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1271/1854-1855	ახჩა

მონეტების ატრიბუციამ აჩვენა, რომ სულთნების ზეობა და სამონეტო ემისიის ქრონოლოგია გვაძლევს მიმოქცევის 150 წლიან დიაპაზონს. ინყება სულთან აჰმედ II-ის (1690-1695) და მთავრდება აბდულ მეჯიდის (1840-1860) მონეტებით. ეჭვს არ უნდა იწვევს ის გარემოება, რომ ქისაში მოთავსებული, ერთად ასხმული ოსმალური ფული ეკონომიკური ინფორმაციის მატარებელია და შეგვიძლია დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში, როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე მის უკიდურეს მთიანეთში, სვანეთში, ოსმალური გავლენა მძლავრობს და გადახდის კანონიერ საშუალებასაც თურქული ფული წარმოადგენს. ამის საფუძველს გვაძლევს ოსმალური ახჩების ის დიდი ოდენობა, რომლებიც გვხვდება უშგულში და მესტიაში. საქართველოში ოსმალური საფასეების შესწავლა მერი ანთაძე-ჩადუნელის სახელს უკავშირდება. ჩვენს ქვე-

ყანაში თურქული მონეტების აღმოჩენის უამრავი შემთხვევაა დაფიქსირებული, მაგრამ გასაოცარია, რომ იმ დროს, როდესაც არა მარტო უშგულის, არამედ მესტიის მუზეუმის ნუმიზმატიკური განძების 70 %-ს ისმალური მონეტები წარმოადგენს, მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიაში სვანეთი შეყვანილი არ არის<sup>1</sup>. უფრო მეტიც, უშგულში დაცული ზოგიერთი ნომინალი არ გვხვდება ისეთ დიდ საცავში, როგორსაც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდი წარმოადგენს (ეს მონეტები ჩვენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტებით უკვე განვიხილეთ).

ქისაში იყო თურქული ფულის ცალკეულ ეგზემპლარებიც, რომელთა შენირვა, სავარაუდოდ, სათითაოდ, ეტაპობრივად ხდებოდა. მათში შერეულია 1961 წლის საბჭოთა კავშირის 1 კაპიტანი, უეტონები, რომლებიც ასევე მე-20 საუკუნით თარიღდება. ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული მეთოდოლოგიის მიხედვით, განძი თარიღდება მასში შემავალი ყველაზე ადრინდელი და ყველაზე გვიან მოჭრილი მონეტით<sup>2</sup>, მაგრამ, ვფიქრობ, როდესაც საქმე გვაქვს შენირულ განძთან, კომპლექსის დათარიღება სხვაგვარად უნდა მოხდეს. კონკრეტულ შემთხვევაში, განძის პირველი ნაწილი აშკარად ეკონომიკური ინფორმაციის მომცემია, რადგან მიმოქცევას აჩვენებს და XVII-XIX საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ხოლო განძის მეორე ნაწილი – XX საუკუნით. ქისის მთლიანი შემადგენლობა XVII-XX საუკუნეებისაა.

სვანეთის რეგიონში და მათ შორის, უშგულში, თურქული მონეტების მიმოქცევა, რომ ორგანულია, ამ ქისის მონაცემებითაც კარგად ჩანს, მაგრამ თურქული ახჩების განძი რაოდენობით 250 ცალი ამ კოპლექსის გარდაც დადასტურდა უშგულის ციხე-სახლში. ჩვენი დასკვნა იმის შესახებ, რომ რიტუალურ განძები შესაძლოა მიმოქცევის სურათის მაჩვენებელიც იყო, უფრო ცხადი გახადა უშგულის მუზეუმ-ციხე-სახლში ეკლესიიდან გადმოტანილმა ამ ისმალურმა მონეტებმა.

აქვე მივაკვლიერ ისმალური მონეტების აცმასთან ერთად ყვარყვარე II ათაბაგის (1451 – 1498) მონეტას.

**აღწერილობა:**

**№6-4 (დანართი XXXIII. 2)**

ვერცხლი. ნ. 0, 77გრ; ზ. 18/13 მმ.

ავერსი: ხაზოვან ოთხუთხედში ორსტრიქონიანი ზედნერილი მხედრული ასოებით – ყრ/ყრ (ზედნერილი შესრულებულია შებრუნებულად) „ყვარყვარე“

რევერსი: თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი.

მონეტა ორგანაა გახვრეტილი.

მონეტა ჩაუაშის მაცხოვრის ეკლესიიდან იქნა გადმოტანილი. ერთი ეგზემპლარით ძნელია დავასკვნათ, რომ სამცხის ათაბაგის მიერ მოჭრილი ფული დიდი ინტენსივობით მიმოქცეოდა სვანეთში. ვინაიდან ის გახვრეტილია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ როგორც

<sup>1</sup> ანთაძე. „საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით“, 42

<sup>2</sup> მ. პატარიძე, „სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII (თბილისი, 2013-2014), 197

სამკაული ისე შესწირეს ეკლესიას. თუმცა, დაბეჯითებით მტკიცება მოსაზრებისა, რომ ამ მონეტას მხოლოდ საკულტო ფუნქცია აქვს, ვფიქრობთ, მართებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც მესტიის მუზეუმში დაცულია განძი, სადაც ე.წ. კირმანეულ თეთრთან ერთად არის სამცხის ათაბაგების მონეტაც (იხ. აქვე სვანეთში აღმოჩენილი ტრაპიზონული ასპრების მინაბაძის სამი განძი). ყვარყვარე II ათაბაგის მონეტების მრავალი ვარიანტია ცნობილი, რაც მონმობს იმას, რომ ახალციხის ზარაფხანა საკმაოდ დიდ პროდუქციას უშვებს და მიმოქცევის არეალიც არა მარტო სამხრეთ, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი სვანეთში ამ მონეტების ბრუნვაში ყოფნა. რაც შეეხება ოსმალურ მონეტებს, თუ დავაკვირდებით მათში ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა, რაც გვაძლევს ფრთხილი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი სვანეთის რეგიონში აქტიურ ბრუნვაშია, ისევე როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოში. ოსმალურ მონეტებთან ერთად ყვარყვარე II ათაბაგის ფულის მოხვედრა, განსაკუთრებით სულეიმან I-ის და მეჰმედ II-ის მონეტებთან ერთად მიმოქცევაში ყოფნა ლოგიკურია. ამას ადასტურებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მათი ერთად ბრუნვის უამრავი მაგალითი<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, უშგულის ციხე-სახლის (მუზეუმის) სამონეტო განძების შესწავლამ საინტერესო დასკვნებამდე მიგვიყვანა. გამოიკვეთა სპეციფიკა, რაც მდგომარეობს შემდეგში – უშგულის მონეტები, რომლებიც, ძირითადად, საკულტოა და სალოცავების-თვის შენირულ განძს წარმოადგენს, ერთდროულად ეკონომიკური ხასიათიც აქვს და ქვეყანაში არსებულ საერთო პოლიტიკურ პროცესებსაც ეხმიანება.

### **3.8. მაგიური დანიშნულების მონეტები, ავგაროზები, ამულეტები, საგანეზოდ სატისტვის დამზადებული მონეტის გამოსახულების მინაბაძები და შანა ხატი**

სვანეთის (მესტიის) მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებში დაცულია ორი მნიშვნელოვანი არტეფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, მონეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ცალმხრივია. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევები არცთუ ხშირია, უფრო მეტიც, ისეთ მნიშვნელოვან ნუმიზმატიკურ საცავში, როგორიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ნუმიზმატიკური ფონდია, მსგავსი ნივთი არ მოგვეპოვება. ამდენად, ვფიქრობთ, საინტერესოა მათი შესწავლა და ფუნქციური დატვირთვის გარკვევა.

აღწერილობა. (დანართი XXXIII. 3)

ნონა – 1, 14გრ. ზომა – 21 მმ. მასალა – ვერცხლი

Av. მაცხოვრის გამოსახულება წელს ზემოთ, ირგვლივ ქართული ასომთავრული წარნერა: სახულების უკანაშიას სახელობის ნუმიზმატიკური ფონდია, მსგავსი ნივთი არ მოგვეპოვება. ამდენად, ვფიქრობთ, საინტერესოა მათი შესწავლა და ფუნქციური დატვირთვის გარკვევა.

სახულების უკანაშიას სახელობის ნუმიზმატიკური ფონდია, მსგავსი ნივთი არ მოგვეპოვება. ამდენად, ვფიქრობთ, საინტერესოა მათი შესწავლა და ფუნქციური დატვირთვის გარკვევა.

<sup>1</sup> ც. ღვაბერიძე, „ახალციხის ზარაფხანა (XIV-XV სს)“, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში №19, (თბილისი, 2010), 227-229

Rv. მხოლოდ ლითონის გლუვი ზედაპირი. არც წარწერისა და არც გამოსახულების არანაირი ნიშანწყალი არაა.

ზედაპირული დათვალიერებით ის ნაჭედია.

აღნერილობის მიხედვით, ერთი შეხედვით, ის რუსუდან დედოფლის ვერცხლის, დრა-მის შთაბეჭდილებას ტოვებს. მასზე გამოსახულია მაცხოვარი და ირგვლივ ასომთავრული ზედნერილი, რაც, ძირითადად, გვხვდება რუსუდანის დრამაზე. დიამეტრიც იგივეა, ხოლო წონა დიამეტრთან შეუსაბამოა და ნახევარდრამიანს უტოლდება.

ამ არტეფაქტთან დაკავშირებით შემდეგი კითხვები ჩნდება: ეს არის ყალბი მონეტის მოჭრის მცდელობა თუ მონეტაზე არსებული რელიგიური სიუჟეტი – მაცხოვრის გამოსახულება გამოიყენა ხელოსანმა იმისათვის, რომ ეგრეთნოდებული შანა-ხატი შეექმნა და ეკლესიისთვის შეენირა?!

პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ დიამეტრიც და გამოსახულებაც ზუსტად იმეორებს რუსუდანის დრამის ავერსის გამოსახულებას. შესაძლებელია, ყალბის მქმნელმა იმის გამო, რომ წონაში აცდენა მოხდა<sup>1</sup>, ის ცალმხრივი დატოვა. საბოლოოდ ეკლესიაში მოხვდა როგორც ძვირფასი ლითონი და რელიგიურმა სიუჟეტმაც დიდი როლი შეასრულა. დასაშვებია, რომ სულაც არ არის ყალბი და ჩვეულებრივ სახელმწიფო ზარაფხანაშია მოჭრილი სანარმოო წუნია. შესაძლებელია, სხვა ვერსიაც განვიხილოთ.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო წმინდანის გამოსახულებიანი მონეტების საგანგებოდ ეკლესიებისთვის დამზადება. როგორც ჩანს, რუსუდანის მონეტიდან მხოლოდ ის მხარე აიღეს, სადაც მაცხოვრის გამოსახულება იყო და შექმნეს შანა-ხატი, რომელიც სალოცავს შესწირეს. ვერსიების სიუხვიდან გამომდინარე, ამ ნივთის დანიშნულება ბოლომდე შეუცნობი რჩება. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ეგზემპლარია და საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მომავალში აღმოჩენილმა ახალმა ეგზემპლარმა შეძლოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთი მონეტად ვერ ჩაითვლება, მას გარკვეული წუმიზმატიკური მნიშვნელობა მაინც აქვს. მისი დამამზადებელი ხელოსანი შესანიშნავად იცნობს რუსუდანის ვერცხლის მონეტას, რადგან დიამეტრიც და ავერსის გამოსახულებაც ზუსტად ემთხვევა. აქედან გამომდინარე, სვანეთში მისი აღმოჩენა ირიბი მტკიცებულებაა იმის, რომ აქ ეს საფასეები ბრუნვაში იყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დასავლეთ საქართველოში რუსუდანი ვერცხლის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის დღემდე დადასტურებული, მთიან რეგიონში მისი პოვნა ამ ნივთის მნიშვნელობას განსაკუთრებულს ხდის.

წმინდანის გამოსახულებიანი მონეტების მსგავსი ნივთების ამულეტებად გამოყენების უშუალო მაგალითი უნდა იყოს მესტიის მუზეუმშივე დაცული ლითონის მრგვალი ფირფიტა საკიდით, რომელზეც ცხენზე ამხედრებული შარავანდიანი, გველეშაპის მლახვრავი წმინდა გიორგია გამოსახული (დანართი XXXIII. 4). ცნობილია, რომ წმინდა გიორგის გამოსახულებიანი გეორგსტალერები იჭრებოდა ინგლისში, შვედეთში, რუსეთში<sup>2</sup>. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წმინდანის გამოსახულების გამო მალევე გაჩნდა

<sup>1</sup> წონით ის ნახევარდრამიანს უტოლდება მ. პ.

<sup>2</sup> X. Фенглер, Г. Гироу, В. Унгер, *Словаръ Нумизматика* (Москва, 1982), 47

იმიტაციაც, რომელსაც მიარჩილავდნენ ყუნწს და ატარებდნენ როგორც ამულეტს. იკონოგრაფიულად ირჩეოდა რელიგიური სიუჟეტი ან ცნობილი ისტორიული პიროვნების პორტრეტი.

საკუთრივ მონეტების ამულეტად გამოყენების საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე სვანეთის, მესტიის მუზეუმში. სელჩუკი სულთნის ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ I-ის (1192-1200) ფელსი გახვრეტილია და მირჩილული აქვს ყუნწი. ამ მონეტის არსებობა არა მარტო სვანეთის რეგიონისთვის, სრულიად საქართველოს ფულადი მიმოქცევის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული სულთნის მიერ მოჭრილი სპილენძის ფული სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის ფონდებში ერთი ეგზემპლარია მხოლოდ. აქედან გამომდინარე, მონეტას პოლიტიკურ-ეკონომიკური ქვეტექსტიც აქვს, მაგრამ სვანეთმა ის სამკაულის (ავგაროზის) სახით შემოინახა (დანართი XXXIII. 5).

აღწერილობა

მონეტაზე მირჩილულია ყუნწი

წონა. 4, 65 გრ; ზომა. 25/29 მმ. მასალა სპილენძი.

თარიღი არ იკითხება

**ზარაფხანა მალატრია მლტია**

Av. მეფე ამხედრებული ცხენზე, მიიმართება მარჯვნივ. ცხენი ჩანს მთლიანად, ყალყზე შემდგარი. მეფის გამოსახულების უკან ვარსკვლავია.

**السلطان المعظم | كيخسرو بن ارسلان | ضرب ملطيه**

სულთანი უდიდესი ქაიხოსრო ძე ყილიჯ არსლანისა იჭედა მალატრიაში

როგორც აღწერილობიდან ჩანს, მონეტაზე მხედარია გამოსახული. არ არის გამორიცხული, რომ ქართულ სინამდვილეში ის იკონოგრაფიულად წმინდა გიორგის დაუკავშირეს (მიამსგავსეს) და ვინაიდან ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში წმინდა გიორგი ბოროტებაზე გამარჯვების სიმბოლოა მაგიური ძალის გულსაკიდად, ავგაროზად გამოიყენეს, როგორც ეს გეორგსტალერების შემთხვევაში მოხდა.

ამულეტებს საქართველოში უმეტესად ავი სულისგან დასაცავად და ავადმყოფობის ასაცილებლად იყენებდნენ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციების ფონდში დაცულია ამულეტებად გამოსაყენებელი გახვრეტილი მონეტები ან ვერცხლის ფულებისაგან ასხმული მანისტები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არის ჩამოტანილი. ქართველი და კავკასიელი ხალხის რწმენით აპოტროპული (ავი სულისაგან დასაცავი) ძალის მატარებელი იყო, მაგალითად: ცხოველის ძვალი, ღორის ეშვი, მგლის კბილი, გველის პერანგი, ნიჟარა, ბამბის ფთილა, ლითონის ნაჭერი, ნახევრად ძვირფასი ქვების (ქარვა, გიშერი, მარჯანი) ან უბრალო შუშის დაწინწკლული თვალის ფორმის მძივები... ასეთ სხმულს, ხშირ შემთხვევაში, სათვალე ღვინწილას უწოდებდნენ და ავი თვალის ზემოქმედებისაგან გასანეიტრალებლად იყენებდნენ<sup>1</sup>. ამულეტების და სარიტუალო ნივთების კომპლექტში შედიოდა ასევე მონეტები, რომლებსაც, ჩვენი აზრით, იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

ამულეტი ადამიანებს იცავდა ავადმყოფობისაგან, ავი თვალისაგან, საშიშროებისა და სხვადასხვა უბედურებისაგან<sup>2</sup>. სავარაუდოდ, სელჩუკური მონეტისაგან დამზადებუ-

<sup>1</sup> Г. Чурсин, *Амулеты и талисманы Кавказских народов* (1907), 17

<sup>2</sup> Фенглер, Гироу, Унгер, *Словарь Нумизматы*, 159

ლი ნივთიც ისეთივე კონცეფციით არის დამზადებული, როგორც გეორგსტალერის მიხედვით დამზადებული ამულეტი, რომელსაც ყელზე ატარებდნენ, შესაძლოა, მას, ამავ-დროულად, სამკაულის დანიშნულებაც ჰქონდა.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ქსნის ხეობაში „სათვალდვინჭილას“ ბავშვის თუ ქალის ტანსაცმელს, მარჯვენა მხართან ფარულად, ზოგჯერ თვალსაჩინოდ დააკერებდნენ. როცა სათვალ-ღვინჭილიდან რომელიმე მძივი გასკდებოდა ან ამოწყდებოდა თვლიდნენ, რომ ბავშვს თვალი ეცა<sup>1</sup>. ამ ამულეტში ქვებთან ერთად ხშირად მონეტაც დასტურდებოდა. ხევსურეთში მშობიარეს თავქვეშ ხანჯალთან ერთად სპილენძის ფულსაც უდებდნენ ავი თვალისგან დაცვის მიზნით. თუშეთში ავი თვალის ნინაალმდეგ აკვანზე ჰკიდებდნენ ღორის კბილს, გველის მძივს. ბავშვი რომ არ შეშინდეს, ყელზე შეაბამენ ჩვარში გამოხვეულ ღორის ჯაგარს და რომ არ იტიროს, აკვანზე ჩამოჰკიდებდნენ გახვრეტილ აბაზიანს<sup>2</sup>. ავი თვალისგან დამცავ ამულეტად მონეტის გამოყენება იცოდნენ რაჭაშიც. „გულ-მკერდს იმკობენ: ნიშნის ბალთით, ვერცხლის ღილით, უინულილით, ფიფინდურებით, „ანგაროზით“ და სხვა სამკაულებით<sup>3</sup>.

სვანეთის მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეგზემპლარი – ვერცხლის მრგვალი, ცალმხრივი ფირფიტა, რომლის ერთ მხარეს სიქაა დარტყმული. აღნერილობის მიხედვით ირანული ტიპის, კერძოდ, მუჰამედ შაჰის, ყაჯარის (1835-1848) მონეტაა<sup>4</sup> (დანართი XXXIII. 6).

### აღწერილობა

#### شاهنشه انبیا مخ

ნინასწარმეტყველთა შაჰინშაჰი მოჰამმადი.

წონა – 0, 75 გრ; ზომა – 19/19 მმ. მასალა – ვერცხლი.

ამ მონეტაზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაჭედია, რაზეც რევერსზე გამოჩენილი რელიეფიც მეტყველებს. გარდა ამისა, მონეტის უზადო გამოსახულება აშკარად მეტყველებს, რომ არანაირ სიყალბესთან და, მით უმეტეს, არც მიმბაძველობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე და ის ნამდვილი, ორიგინალი სიქითაა მოჭრილი. საინტერესოა მხოლოდ ის გარემოება, რომ აღნიშნული შაჰის ორმხრივი მონეტის რემედიუმი თუ მერყეობს 3, 6 გრ-დან 5, 5 გრამამდე, ეს მონეტა 0, 74 გრამს იწონის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უფრო საწარმოო წუნთან გვაქვს საქმე. როგორ უნდა მოხვედრილიყო ის საქართველოში? არ არის გამორიცხული, რომ მონეტა მუჰამედ შაჰის მონეტებს შემოჰყვა. მისი დანიშნულება გასარკვევია: გამოიყენებოდა როგორც ვერცხლი, თუ შესაძლოა, ცალმხრივ მონეტებსაც ჰქონდა რომელიმე, ვთქვათ, უკნინესი ნომინალის დანიშნულება? თუკი არსებობდა მონეტების გაჭრისა და წვრილ ნომინალებად გამოყენების ტრადიცია, რატომ არ შეიძლება, რომ ცალმხრივ მონეტებსაც ჰქონდა მსგავსი ფუნქცია? სხვაგვარად თავისივე ქვეყანაში, ირანში, აღმოჩენა ღოვიური იქნებოდა, მაგრამ საქართველოში მისი მოხვედრა ცოტა არ იყოს, უცნაურია. შესაძლოა, დროთა განმავ-

<sup>1</sup> ც. ბეზარაშვილი, ქსნის ხეობა (თბილისი, 1975), 131

<sup>2</sup> მაკალათია, თუშეთი (თბილისი, 1983), 171

<sup>3</sup> მაკალათია, მთის რაჭა, (თბილისი, 1987), 59

<sup>4</sup> Catalogue of Coins Of The Shahs Of Persia in the British Museum. London. By Reginald Stuart Poole, LL.D. Correspondent of the institute of France, (1887), PL. XV, 177

ლობაში მან მაინც მხოლოდ ლითონის ღირებულება შეიძინა და ის მპოვნელმა როგორც ვერცხლი შესწირა ეკლესიას. მონეტა გახვრეტილი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სამკაული არ იყო.

ორივე ეგზემპლარი ტექნოლოგიურადაც და წარმომავლობითაც განსხვავებულია. რუსუდანის მონეტის მიხედვით დამზადებული ნივთი (გაგვიჭირდება, მას მონეტა ვუნიდოთ) ადგილობრივია და, სავარაუდოდ, კერძო პირის მიერ დამზადებული, ხოლო მუჰამედ შაჰის მონეტა ზუსტი სიქითაა მოჭრილი და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ირანში სახელმწიფო ზარაფხანამ გამოუშვა და საწარმოო წუნია. მიუხედავად ყველაფრისა, მათ საერთო ეთნოლოგიური კონტექსტი აქვთ – ორივე შენირულია სვანეთის სალოცავისთვის.

### 3.9. მონეტა სვანურ ცეს-ჩვეულებებში

დიდი ადგილი უჭირავს მონეტის გამოყენებას სვანურ „ხალხურ სარწმუნოებრივ წესჩვეულებებში“<sup>1</sup>. სვანურ დღეობათა კალენდარში, ახალი წლის ციკლში, როდესაც ადამიანების ყურადღება მიმართულია სიმდიდრის, სიუხვის და კეთილდღეობის დაბედებაზე, ფულის, როგორც ამ კეთილდღეობის მომტანი ნივთის, როლი განსაკუთრებულია.

31 დეკემბერს, ახალი წლის წინა დღეს, უშხვამს (იეშუამ) უწოდებდნენ. ამ დღეს სხვადასხვა თემში, სხვადასხვა რიტუალი ტარდებოდა.

სოფელ ჩუქეხევში, ახალი წლის სამზადისში, მნიშვნელოვანი იყო მეკვლის არჩევა. ეკვლე, ძირითადად, ქორა მახუში (სახლის უფროსი) იყო ან ოჯახის უმცროსი წევრი (გოგონა). სამეკვლეოდ მათ უმზადებდნენ გოდორში (კუიდოლ) ან მოწნულ კალათაში ლემზირებს (სარიტუალო პურები), ნაძვის ტოტს, ვერცხლის ფულს – თეთრს, ჯამით ფქვილს, ბოთლით არაყს, მატყლს, კანაფს, თეთრი ფერის ფართალს (ბარდანს)<sup>2</sup>.

სოფელ ფარში უშხვამს, საღამოს დაამზადებდნენ მეორე დღის შემოსალოც ლაჭაშხიარს, ანუ სამეკვლეო ხაჭაპურს. გიდელში ჩადებდნენ ჯერ ლემზირებს (სარიტუალო პურებს), შემდეგ ძალიან დიდი ზომის ყველიან პურს – ლესკარს, ზედ გოჭის თავით, წველა ყველს, კანაფს, ბამბას, ვერცხლის ფულს (თეთრს) ვაშლში ჩარჭობილს, ჯამით პურის ფქვილს<sup>3</sup>.

სოფელ ლენჯერში ახალი წლის წინა საღამოს, ვახშმის გათავების შემდეგ, მინელებულ კერიას ბლომად შეაყრიდნენ შეშას და დიდ ცეცხლს გააჩაღებდნენ. გამოაცხობდნენ ნაჭაშხუნს, ეს იყო ორი კვერი, რომელთაგან ერთი მრგვალი იყო და შუაზე ჰქონდა თითით გაკეთებული ჯვრის გამოსახულება, მეორე – საქონლის ფეხის ძვალით (ჭიშხით) დაჭრელებული ლემზირ-ი. ნაჭაშხუნ-ის ჯვრის სახიან კვერს მუჟელ-ი ეწოდებოდა. ამ ორი კვერის გამოცხობას დაესწრებოდა ყველა ის პირი, ვისაც ჰქონდა სურვილი ოჯახის საიდუმლო დღეობების მონაწილე გამხდარიყო მომავალი წლის განმავლობაში. როდესაც მუჟელ-ი გამოცხვებოდა, მას შუაგულში ვერცხლის ფულს – თეთრს ჩაურჭობდნენ<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, ახალი წლის ციკლი, (ტფილისი, 1939), 8

<sup>2</sup> იქვე, 82

<sup>3</sup> იქვე, 84

<sup>4</sup> იქვე, 95

უშგულში, მეკვლისთვის სამეკვლეო შემოსალოცში, მონწულ კალათაში ჩააწყობდნენ ერთ ჯამ ფქვილს, საახალწლო ღორის თავს, ვერცხლის ფულს – თეთრს, მანეთიანს ან, უფრო ხშირად, აბაზიანს, თხილის კონას, ხავსა, ყველის კვერს<sup>1</sup>.

ახალი წლის პირველ დღე, ე.წ. ზომხა, პირველი იანვარი რომ გათენდებოდა (ამ დღეს სვანეთში კანდას (იგივე კალანდა) უწოდებდნენ, ფარში პირველი რაც უნდა გაეკეთებინათ, ოჯახში სამეკვლეო შემოსალოცი – ლაჭმებიარ-ი უნდა გამოეტანათ დილა ალიონზე მოსული მეკვლისთვის. ყველა რიტუალის შესრულების შემდეგ გაშლილ სუფრას შემოუსხდებოდნენ, უხვი სადილის შემდეგ მეკვლე გამოეთხოვებოდა მასპინძელს თეთრით – ვერცხლის ფულით დასაჩუქრებული<sup>2</sup>.

ზომხა დღეს სოფელ დავბერში ციგაობის გამართვა იცოდნენ. დიდი და პატარა პირუკულმა შეაჯდებოდა ციგას ან მარხილს და ერთხელ მაინც გაცურდებოდა თოვლზე – წლის განმავლობაში წელი ალარ ამტკივდებაო. სადილობამდე, როცა მეკვლეს გაისტუმრებდნენ, იმართებოდა ე.წ. შიმი ლიფშუდე (ხელის ახსნა): მეზობლები ერთმანეთში დადიოდნენ და ერთიმეორეს ვერცხლის ფულს (თეთრს) უცვლიდნენ<sup>3</sup>.

უშგულში ზომხას დღეს, როცა მეკვლე სახლს მოადგებოდა, დახურული კარის წინ დაიძახებდა – კარი გამიღეთო. ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ – რა მოგაქვსო? მეკვლე ჩამოთვლიდა ყოველგვარ სიკეთეს, რომელიც მას ოჯახისათვის ემეტებოდა და შემდეგ შინ შევიდოდა, კერიას გარს შემოუვლიდა და ლოგინში მწოლიარე ოჯახის წევრებს შემდეგ რიტუალს შეუსრულებდა (სვანურად ლიშიაბ): თითოეულ მათგანთან მიიტანდა კარუა (ხის ჭურჭელი, რომელშიც ½ ფუთი მარცვლეული ჩადიოდა) წერექუს, ვერცხლის ფულს, ხილეულს მარჯვნივ დაუტრიალებდა და დალოცავდა. დალოცვილი პირი კი საახალწლო შემოსალოცის ნაწილებს ხელს მოავლებდა<sup>4</sup>.

სვანური სადღესასწაულო რიტუალების თითქმის ყველა ეპიზოდში თვალსაჩინოა „ვარჩხილ“ – ვერცხლის მონეტა. რასაკვირველია, ეს მონეტები ვერანაირად თანადროული ფული ვერ იქნებოდა, მე-20 საუკუნეში ვერცხლის მონეტები მიმოქცევაში ფაქტობრივად არ გვხვდება. როგორც ჩანს, ხალხის ცნობიერებაში ამ ლითონს განსაკუთრებული, მაგიური ძალა ჰქონდა, სწორედ ამიტომაც იყენებდნენ სხვადასხვა რიტუალის შესრულებისას. მონეტების წეს-ჩვეულებებში გამოყენების ტრადიცია ზემო სვანეთში და მთის რაჭაში დღემდე ცნობილია.

ამ რიტუალს უნდა ვუმადლოდეთ იმ ფაქტს, რომ სვანეთის სამონეტო მიმოქცევისთვის ისეთი ორგანული მონეტა, როგორიცაა სასანიანთა ირანის მიერ მოჭრილი დრაქმა, ჰორმიზდ IV (579-590), უძვირფასეს რელიქვიად შემორჩა მესტიის რაიონის სოფელ ლატალში ფარჯიანების ოჯახს. მონეტა სვანეთშია ნაპოვნი, სამწუხაროდ, კონკრეტული ადგილი უცნობია, მაგრამ პოვნის შემდგომ ინახებოდა ოჯახში და მამიდან შვილს გადაეცემოდა მემკვიდრეობით.

როგორც სვანეთის რეგიონის, ასევე საქართველოს დანარჩენი კუთხეების ეთნოლოგიური კვლევებიდან იკვეთება, ტრადიციული წეს-ჩვეულებების ყველაზე გავრცე-

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დრეობათა კალენდარივ I, ახალი წლის ციკლი, 107

<sup>2</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, ახალი წლის ციკლი, 130

<sup>3</sup> იქვე, 158

<sup>4</sup> იქვე, 159

ლებული თანამდევი ატრიბუტი ლითონის ფულია. ჩვენი აზრით, მონეტის როლის ასეთი მნიშვნელოვნობა განპირობებულია, ერთი მხრივ, იმით, რომ მას, როგორც ლითონს, აპოტროპული (ავი თვალისგან დამცავი) დანიშნულება აქვს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას შემდეგაც კი, რაც კაცობრიობა ქალალდის ფულის გამოყენებაზე გადავიდა, ტრადიცია აგრძელებს არსებობას, მაგრამ რიტუალისთვის მაინც მხოლოდ მონეტა (ლითონის ფული) გამოიყენება. გარდა ამისა, მონეტას როგორც ფულს, ყოფითი საჭიროების გამო, მაგიური ძალა აქვს ხალხის წარმოდგენებში. ის ფიგურირებს როგორც ძლვენი ღვთაებ (ები) ისადმი ნაცვალების პრინციპით – პიროვნება ერთგვარად ყიდულობს, იხდის ქრთამს იმისათვის, რომ მიიღოს ყოველგვარი კეთილდღეობა: ჯანმრთელობა, ბედნიერება და ბარაქა.

### 3.10. უტილიტარული დანიშნულების მონეტები

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მონეტას, როგორც ეთნოლოგიურ არტეფაქტს, სარიტუალო ფუნქციის გარდა, უტილიტარული დანიშნულებაც გააჩნია, კერძოდ კი, მას იყენებენ როგორც სამკაულსა და სამოსის მოსართავ სამშვენისს. მონეტების გამოყენება საიუველირო საქმესა და გამოყენებით ხელოვნებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ხდებოდა და დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოში ამის უამრავი მაგალითი არსებობს. ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ხევსურ ქალს გულ-მკერდი შემკობილი ჰქონდა ვერცხლის შიბით, რომელზედაც ასხმული იყო ვერცხლის ფულები და ჯვრები. შიბი აქ ძვირად ფასობდა და მას უფრო შეძლებულები ატარებდნენ<sup>1</sup>. თუშის პატარძლები პალტოს შიგნით იცვამდნენ ფარაგასა და მოკლე უბეს, რომელიც შემკული იყო წმინდა შიბით – ვერცხლეულის ძენკვი ფულებით შემკული და ხმალა შიბით, რომელიც ფულების გარეშე იყო<sup>2</sup>.

მონეტების სამკაულად გამოყენების უამრავი შემთხვევა გვხვდება სვანეთში.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (მესტია) დაცულია სამკაული, სასაფეთქლე, ე.წ. ყოჩა-ბოინუზი (დანართი XXXIV. 1), რომელიც საქართველოში ზილფის და კავის სახელნოდებითაა ცნობილი. სამკაულის ფოტო ესაა ვერცხლის ვოლუტისებური ფირფიტა, რომელსაც თავსაბურავზე ლეჩაქზე იმაგრებდნენ მარჯვენა და მარცხენა საფეთქელთან საკიდით<sup>3</sup>. ფირფიტის სიგანე – 10 მმ. ბოლოებისკენ ფართოვდება, სისქე – 1 მმ, ვოლუტის დიამეტრი – 40 მმ, სიმაღლე – 60 მმ, შემკულია ზედნადები გრეხილით, თვალბუდეებით, რომლებშიც ფერადი თვლებია მოთავსებული. ვოლუტს ირგვლივ მოვლებული აქვს გრეხილის მავთული. ქვემოდან ვოლუტზე მიჯრით მოვლებული აქვს შვიდი ცალი თურქული მონეტის (ახჩის) იმიტაცია. საკიდზეც დამაგრებულია ერთი თურქული მონეტის იმიტაცია, რომელზედაც რგოლია მირჩილული.

„ყოჩა-ბოინუზი“ სარიტუალო დატვირთვა გააჩნდა. საქმროს ოჯახს პატარძლისთვის აუცილებლად უნდა გაეგზავნა შემდეგი ძლვენი – ვერცხლის მონეტებით განყობილი გა-

<sup>1</sup> მაკალათია, ხევსურეთი, 144

<sup>2</sup> მაკალათია, თუშეთი, 157


<sup>3</sup> ლ. სოსელია, „ტრადიციული სამკაულის ზოგიერთი სახეობის სიმბოლიკისათვის“, ეთნოლოგიური ძეგბანი. ტ II. (თბილისი, 2003), 151

ქისა მონეტებით და მძივებით  
სიემ-უშგული  
A purse with coins and beads  
SMHE-Ushguli



ოსმალური ახჩების აცმა  
სიემ-უშგული  
Ottoman akces on a string  
SMHE-Ushguli







დედოფლის გორის სასახლის N4 ოთახის  
საკურთხევლის არქეოლოგიური  
ექსპედიციის 3D გამოსახულება.  
ფოტო აღებულია სტატიიდან: ი. გაგოშიძის  
და ე. როვას

3D image of the altar in room N4 of the palace  
at Dedoplis Gora by archaeological expedition

Photo from the article by I. Gagoshidze

– E. Rova 2013-2015 Activities of the  
Georgian-Italian Shida Kartli Archaeological  
Project at Aradetis Orgora





დედოფლის გორა. საკურთხეველზე აღმოჩენილი სამონეტო განძი. მინის ჭურჭელი. ალექსანდრე მაკედონელის ადგილობრივი მინაბაძი. ოქრო. 3 იქტავიანე ავგუსტუსის დენარი.

ვერცხლი. იმავე საკურთხეველზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკებები. სემ

Dedoplis Gora. Hoard of coins discovered on the altar. Glass ware.

Local imitation of coins of Alexander of Macedon. Gold. 3. Denarius of Octavian Augustus.

Silver. Bronze figurines found on the same altar. GNM





მძივების და მონეტის აცმა. საეკლესიო შეწირულობა  
სიემ-უშგული

Beads and coins on a string. Church offering  
SMHE-Ushguli



1

დირჰემი. ხალიფა ჰარუნ აღ-რაშიდი.  
მადინათ ას-სალამი 798/799. ვერცხლი.  
სიემ-მესტია  
Arabic Dirham of the Abbasid dynasty Caliph  
Harun al Rashid 798/799. Bagdad. Silver.  
SMHE-Ushguli



2

სამცხის საათაბაგო. ყვარყვარე II  
(1451-1498). ვერცხლი. სიემ-უშგული.  
Atabegate of Samtskhe. Kvarkvare III  
(1451-1498). Silver. SMHE-Ushguli



3

რუსუდან დედოფლის დრამის მიხედვით  
მოჭრილი ცალმხრივი მონეტა (?) ვერცხლი.  
სიემ-მესტია  
One-sided (?) coin struck according to Queen  
Rusudan drachm  
SMHE-Mestia



5

რუმის სასულთნო. სულთანი დიას-დინ  
ქაი-ხუსრაუ (1192-1200). სპილენძი. სიემ-მესტია  
Seljuk coin Sultan Rhias AD-Din Kaikhusrau I  
(1192-1200) Copper. SMHE-Ushguli



4

ამულეტი  
სიემ-მესტია  
Amulet  
SMHE-Mestia



6

ირანი. მუჰამედ შაჰ ყაჯარი (1835-1848).  
ცალმხრივი მონეტა. ვერცხლი. სიემ-მესტია  
Persia. One-sided coin of Muhammad Shah  
Kajar (1835-1848). Silver. SMHE-Mestia

დანართი XXXIV



სასაფეთქლე ზილფი. (ყოჩ-ბოინუზი). XIX ს.

ვერცხლი. მინა.

სიემ-მესტია

Zilpi women's temple ornament 19th century

Silver, glass

SMHE-Mestia



ჩაფრასტი. XIX ს. ვერცხლი. სევადა

სიემ-მესტია

Chaprasts 19th century. Silver, niello

SMHE-Mestia

ნიერი ქამარი (წინათ ქართული ფული იცოდნენ) განიერი ბალთებით (ყაშებით), აგრეთვე ლილები, ჟინჟირი (ძენკვები), ჩაფრასტები და ყოჩ-ბოინუზი. თუ ბაზარზე ვერ იშოვნიდნენ სამკაულს, ოქრომჭედელს შინ მიიწვევდნენ. ოქრომჭედლებად წახურელი (დაღესტნელი) ლეკები იყვნენ<sup>1</sup>, საინტერესოა ამ სამშვენისის შემადგენელი მონეტების წარმომავლობა და ტექნოლოგია. არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, არამედ ბევრ სამკაულში, რომლებიც მონეტებითაა შედგენილი, ცალმხრივად სიქადარტყმული მონეტების იმიტაცია გვხვდება. რაც შეეხება სიქას, ის არ იმეორებს ორიგინალი მონეტის გამოსახულებას და რელიეფიც დაბალია. უფრო მეტიც, სამკაულად გამოყენებულ იმიტაციებზე წარწერები იმდენად დაშორებულია ორიგინალს, რომ უკვე დეკორის სახითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ხელოსნები იღებდნენ მონეტებს, კონკრეტულ შემთხვევაში, თურქულ ახჩებს და მის მიხედვით ამზადებდნენ სიქას. დროთა განმავლობაში ხანგრძლივი გამოყენებისას შექმნილი სიქა ძალიან შორდებოდა რეალურ გამოსახულებას და უფრო იმიტაციას ემსგავსებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი მინაბაძებიც გვხვდება. როგორც ჩანს, იმდენად ხშირი იყო მონეტების სამკაულად გამოყენება, რომ ორიგინალური მონეტები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ამიტომ შესაძლებელია, დავუშვათ, რომ ზარაფხანაში ჰყავდათ ხელოსანი, რომელიც საგანგებოდ ჭრიდა სამკაულისთვის ცალმხრივ მონეტებს. ზუსტი მინაბაძები, ალბათ, ზარაფხანაში მზადდებოდა, ხოლო ის ეგზემპლარები, რომლებზედაც მოტივია აღებული, ადგილობრივი, ამ შემთხვევაში დაღესტნელი ხელოსნის გამოჭედილი იყო.

ზემოთ აღნიშნული სამკაულის გარდა, ქართველი და კავკასიელი ხალხის ეთნოლოგიურ ყოფაში მრავლად დასტურდება მონეტებითა და მათი მინაბაძებით შემკული სამშვენისები, მკერდის სამკაული, სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, თავსამკაული, ჭურჭელი. სვანეთში საკმაოდ გავრცელებული იყო ქალის ტანისამოსის სამკაული-ჩაფრასტი, რომელიც, ძირითადად, მონეტებით იყო შემკული (დანართი XXXIV. 2).

როგორც ჩვენი დაკვირვებებიდან იკვეთება, ყველა იმ მონეტას, რომელთაც არაეკონომიკური (არაფულადი) დანიშნულების მკვეთრად გამოხატული ნიშნები აქვთ, კვლევის ეთნოლოგიური, ზოგადი-ისტორიულ-არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მეთოდებით წყალობით ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკური და პოლიტიკური სურათის აღდგენა შეუძლია.

<sup>1</sup> მ. ჯანაშვილი, „საინგილო, ძველი საქართველო“, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტომი II, (ტფილისი, 1913), 139

## შევამება

სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლების კომპლექსურმა კვლევამ, რაც გულისხმობს – ეთნოლოგიურ, ზოგად ისტორიულ-არქეოლოგიურ და საკუთრივ ნუმიზმატიკური მეთოდოლოგიურ დამუშავებას, საშუალება მოგვცა შევაჯამოთ ჩვენ მიერ განეული მუშაობის შედეგები და გარკვეული კონკრეტული თუ ზოგადი სახის დასკვნები გამოვიტანოთ.

სვანეთში სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ. V საუკუნის II ნახევრიდან „კოლხური თეთრით“ იწყება და იქიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით, თითქმის ქრონოლოგიური უწყვეტობით, რაც შესაბამის წყაროებთან ერთად, გვაჩვენებს, რომ რეგიონი ყოველთვის ჩართულია ქვეყნაში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში. კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი იმ ფაქტს, რომ ენგურის ზემო წელზე მცხოვრები მთიელების და, საერთოდ, ამ რეგიონის როლი და მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გეოგრაფიულად უსაფრთხო მდებარეობით. მათ განუწყვეტელი კავშირი აქვთ ქვეყნის ბართანაც და გარე სამყაროსთან. ამას ადასტურებს აქ აღმოჩენილი ადგილობრივი და უცხოური ფული, რაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველაზე ძლიერი საბუთია. ამასთანავე, პირველად ვცადეთ კომპლექსურ კვლევაში გლიპტიკური მასალაც ჩაგვერთო, რამდენადაც, თავისი იურიდიული ბუნების გამო, საბეჭდავი ბეჭდები მეტ დამაჯერებლობას მატებს ამა თუ იმ მოსაზრებას.

ნუმიზმატიკური მასალის ატრიბუციით მოვახდინეთ ქრონოლოგიური პერიოდიზაცია. თითოეულ პერიოდი მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესაბამისი წერილობითი წყაროებისა თუ ნივთიერი მასალის მიხედვით წარმოვადგინეთ.

ანტიკური პერიოდის სვანეთის კავშირები ქვეყნის შიგნით, კოლხეთის ბართან თუ ბარის საშუალებით წინა აზიის და ბერძნული სამყაროს ცივილიზებულ ქვეყნებთან ნუმიზმატიკური მონაცემების გარდა, არქეოლოგიურ ექსპედიციების საშუალებით მოპოვებული სხვა მასალითაც ვაჩვენეთ.

სვანეთის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლის, ლარილარის სამაროვანისა და რაჭის არქეოლოგიური ძეგლის – ბრილის მასალის კომპლექსურმა შედარებამ და წერილობითი წყაროებიდან აღებულმა ინფორმაციამ, მოგვცა საშუალება, ეს ორი ძეგლი ერთი კულტურის მატარებელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცედ განვვეხილა. ეს მთლიანობა თითქმის XV საუკუნემდე გძელდება და ამ საკითხს ჩვენ არა ერთხელ მივუბრუნდით ნაშრომში სხვადასხვა ისტორიული პერიოდის განხილვისას.

არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მონაპოვრებთან ერთად რეგიონის გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამამტკიცებელ საბუთად ნაშრომში შევიტანეთ გლიპტიკური ძეგლები. ბერძნული ფორმის, ადგილობრივად შესრულებული ძვ.წ. IV საუკუნის საბეჭდავი ბეჭდების დადასტურება სვანეთში და, საერთოდ, ამ დარგის განვითარება,

მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გარე სამყაროსთან ამ რეგიონის და ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. რომაულ სამყაროსთან კავშირზე მეტყველებს სვანეთში აღმოჩენილი რომაული გემა – სექსტ პომპეუსის გამოსახულებით. თუ გავითვალისწინებთ თითქმის აქსიომატურ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყანაში იმპორტის არსებობა საგარეო კავშირ-ურთიერთობების მანიშნებელია, გამოდის, რომ ანტიკური გლიპტიკური ნაწარმის გამოჩენა სვანეთში, ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსში, კერძოდ, რომაულ სამყაროსთან ურთიერთობები, სვანეთი, როგორც ერთ-ერთი ორგანული ნაწილი კოლხეთისა, აქტიურად იყო ჩართული.

სვანეთის რეგიონის შიდა თუ გარე სამყაროსთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების ჩვენება შეუძლებელია გზების გარეშე. ჩვენ ვეცადეთ პარალელური მასალის აღმოჩენების მიხედვით სვანეთის მეზობელი მთის რეგიონებთან და ბართან დამაკავშირებელი გზები გვჩვენებინა. სვანეთი ფაქტობრივად „იკვებება“ როგორც კოლხეთის დაბლობიდან, ასევე, იბერიიდან არგვეთის, ლეჩებუმისა და რაჭის გავლით ასული ფულით. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ ლეჩებუმში და რაჭაში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა.

დღემდე სვანეთში აღმოჩენილი მონეტებიდან (ანტიკური პერიოდის გამოკლებით), ძალიან მცირე რაოდენობას იცნობდა სამეცნიერო საზოგადოება.

მნიშვნელოვანია იმ რამდენიმე სამონეტო განძის და ერთეული აღმოჩენის ატრიბუცია-დამუშავება, რომლებიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. მაგალითად: სასანური დრაქმა სოფელ ლატალიდან, ზემო რაჭის კონკრეტული ნაწილისა და სვანეთის ოდინდელი ერთიანობის გათვალისწინებით. ასევე, გამოვაქვეყნეთ ონის მუზეუმში დაცული სასანური მონეტა, რომლებიც ბიზანტიური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს. სვანეთისა და სასანური ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის მაჩვენებელია უშგულის ციხე-სახლში აღმოჩენილი გლიპტიკური მასალაც – VI საუკუნის სამი სასანური გემა.

სამეცნიერო საზოგადოებისთვის სიახლეა აქ აღმოჩენილი არაბული დირჰემი, რომელიც საეკლესიო წარმომავლობისაა, მაგრამ პოლიტიკურ-ეკონომიკური დანიშნულებაც აქვს. კერძოდ, მისი სვანეთში მიმოქცევა ნაწილობრივ გამართლებულად მივიჩნიეთ, რადგან დასვლეთ საქართველოში აღმოჩენილი არაბული მონეტების საკმაოდ დიდი განძებია დადასტურებული.

კიდევ ერთხელ შევეხეთ სვანეთის რეგიონისთვის და, საერთოდ, მთელი ქვეყნისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს მონეტებს, როგორიცაა დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასები. რომელთაგან ერთ-ერთის პირველადი ატრიბუცია ჩვენ გვეკუთვნის.

გაერთიანებული საქართველოს მეფეების გიორგი III-ის (1184-1210), თამარ-დავითის 1200 წ., გიორგი IV ლაშას (1210-1223) 1210წ. და რუსუდანის (1223-1247) 1227 წელს მოქრილი მონეტები, რომელთა სვანეთში დადასტურება აპრიორულად ისედაც დასაშვები იყო. რეალურად, ეს ემისიები პირველად ერთვება საქართველოში მსგავსი ჯგუფის მონეტების გავრცელების გეოგრაფიულ არეალში. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მაჩვენებელი განვითარებულ შუა საუკუნეებში, ფულად მიმოქცევაზე მეტად, სვანეთის შუასაუკუნოვანი ხელოვნებაა.

სვანეთის კულტურულ კავშირებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რასაკ-ვირველია, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებიც ახლდა. ვინაიდან ბიზანტიური, სირიული და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნივთები ამ რეგიონში სხვაგვარად ვერ მოხვდებოდა. ამგვარად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ამ კუთხის საგარეო კავშირების მაჩვენებელი სვანეთში არსებული მატერილური კულტურის ძეგლებია.

სვანეთში აღმოჩენილ ცალკეულ მონეტათა რიგს მიეკუთვნება XIII საუკუნის უცხო ქვეყნის ფული: რუმის სელჩუკების, ტრაპიზონული ასპრის და ანონიმური ყანური მონეტები. იქიდან გამომდინარე, რომ სამეცნიერო საზოგადოება დიდი ხანია, უკვე რაც იცნობს საქართველოში აღმოჩენილ განძებს ამავე მონეტების შემადგენლობით, სავსებით დასაშვებად მივიჩნიეთ სვანეთის რეგიონის მიმოქცევაში ხსენებული მონეტების ერთდროული ბრუნვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბაძის სამი განძის პუბლიკაცია, რომელთა ნუმიზმატიკურ-მეტროლოგიური ატრიბუცია პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონტექსტთან ერთად პირველად წარმოვადგინეთ ჩვენს ნაშრომში. გარდა იმისა, რომ ამ განძებმა გაზარდა საქართველოში ამ ჯგუფის მონეტების გავრცელების დღემდე არსებული გეოგრაფიული არეალი, საკითხის დამუშავებისას წინ წამოინია მთელმა რიგმა კარდინალურმა საკითხებმა, რაც ამ მონეტების გენეზისს უკავშირდება. კერძოდ, ემიტენტის, სახელონდების – „კირმანეული თეთრის“ და მიმოქცევის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენის საკითხს. „სვანურმა“ განძებმა ჩვენთვის ტრაპიზონული ასპრების მიმოქცევის ზედა ქრონოლოგიური საზღვრების კორექცია გახადა შესაძლებელი. ვარაუდის სახით, მიმოქცევის გავრცელების ზედა ზღვარი XVI საუკუნემდე გადავწიეთ. სვანეთში ერთეულად აღმოჩენილი ტრაპიზონული ასპრის ქართულმა მინაბაძმა დაგვაფიქრა ამ მონეტების იკონოგრაფიულ დეტალზე, კერძოდ, გვირგვინის თავისებურებაზე, რამაც ასპრების მინაბაძის ახალი ტიპის არსებობა დაგვაშვებინა, კერძოდ, გამოვთქვით ვარაუდი, რომ მანუილ და ოოანე კომნენოსის ასპრის მინაბაძთან ერთად შესაძლო იყო თეოდორა კომნენოსის ასპრის მინაბაძის არსებობაც. ამასთანავე, ვეცადეთ, რომ დაგვეზუსტებინა ამ მონეტების სახელნოდება, ჩვენი აზრით, „კირმანეული თეთრი“ ადგილობრივი ქართული ფულის და ტრაპიზონული ასპრების ზოგადი სახელია და არა საკუთრივ ასპრების მინაბაძის. აქედან გამომდინარე, გამოვთქვით მოსაზრება, რომ საჭიროა სახელნოდების ზუსტი შერჩევა, ასეთად მიგვაჩნია – ტრაპიზონული ასპრის ქართული მინაბაძი.

საქართველოში ევროპული მონეტების მიმოქცევის გეოგრაფიას დაემატა სვანეთი, კერძოდ, სიგიზმუნდ III-ის (1587-1632) ორტა, რომლის სვანეთში მოხვედრა, XVII საუკუნეში შესაბამის წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, სავსებით შესაძლებლად მივჩინიეთ. სიგიზმუნდის მონეტასთან ერთად საინტერესო აღმოჩენდა ირანული მონეტების ჯგუფი, რომელთა კომპლექსურად შესწავლამ საქართველოს სხვა რეგიონის სამონეტო განძებთან ერთად, საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპულ ფულთან ერთად სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს ბარში, ირანული ფულიც თანადროულად იყო მიმოქცევაში.

სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის უმეტესობას ოსმალური მონეტები წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ დღემდე არსებული ნუმიზმატიკური ტოპოგრაფიული

რუკები ამ მონეტების არსებობას არ იცნობდა, სვანეთის ოსმალურ საფასეებში აღმოჩნდა XV საუკუნის ოსმალეთის საკმაოდ იშვიათი მონეტები, რომლის მსგავსი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავებშიც არ არის დაცული. დავადგინეთ, რომ სვანეთშიც, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს ბარში, გადახდის კანონიერ საშუალებას სხვა მონეტებთან ერთად XV-XVIII საუკუნეების ოსმალური ფული წარმოადგენდა. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ასევე, ონის მუზეუმის თურქული აღთუნიც გამოგვექვეყნებინა, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ერთადერთია, ის მიმოქცევის გზას გვაჩვენებს, თუ საიდან ადიოდა სვანეთში უმეტესად ოსმალური საფასეები. უნდა აღინიშნოს, რომ რაჭაც პირველად შევიდა ოსმალური საფასეების მიმოქცევის არეალში.

სვანეთის სამონეტო მიმოქცევის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნაწილს ვასრულებთ ერეკლე II-ის (1762-1798) მონეტებით, რომელთა აღმოჩნდის დღემდე არსებულ რუკაზე, არა თუ სვანეთი, დასავლეთ საქართველოც არ შესულა. პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში ცხინვალში აღმოჩნდილი ერეკლეს მონეტების საკმაოდ მოზრდილი განძი. ამ განძმა და რაჭაში აღმოჩნდილმა თეომურაზ II-ის (1700-1762) მონეტამ, გვაფიქრებინა, რომ ცხინვალის გზით შესაძლოა ქართლ-კახეთის, ამ შემთხვევაში კი, ერეკლე II-ის მონეტები რაჭაში და შემდეგ სვანეთშიც შესულიყო.

ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოადგენს სვანეთის სამონეტო აღმოჩნების ეთნოლოგიურ-კონფესიური კვლევა.

საკითხის ამ მიმართულებით შესწავლამ საშუალება მოგვცა, გამოგვეთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ წლების განმავლობაში ქართველი და უცხოელი ნუმიზმატების მიერ შემუშავებული სპეციფიკური მეთოდოლოგია იმ მონეტებისა და სამონეტო განძების შესწავლისა, რომელთაც გარეგნულად და ფუნქციურად მკვეთრად დამახსიათებელი არაეკონომიკური ნიშნები აქვთ, მართებული არ იყო და ეთნოლოგიური დანიშნულების მონეტების გადაქცევა პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის წყაროდ, სავსებით შესაძლებელია. ამ თეორიის გასამყარებლად ცალკეულ აღმოჩნებს მივუსადაგეთ წერილობითი თუ ეთნოლოგიური ცნობები ან რეგიონში იმავე ტიპის მონეტების ბრუნვის დამაჯერებელი სამეცნიერო დასაბუთება. მხოლოდ ამ სამუშაოების შედეგად ჩავთვალეთ შესაძლებლად, ერთი შეხედვით, ეთნოლოგიური ხასიათის მონეტები გვექცია საისტორიო წყაროდ.

სვანეთის საეკლესიო თუ ეთნოლოგიური ხასიათის მონეტების ამგვარი შესწავლა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მოდელად იქცეს სხვა რეგიონში არსებული იმავე ხასიათის მასალის გაანალიზებისა და კვლევისათვის.

მონეტა დღემდე ტრადიციული ყოფისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამიტომ ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთვარი პრობლემის გადაჭრა, რაც გულისხმობს ტაძრებში მონეტების შენირვის ტრადიციის ცოცხალი კავშირების მოძებნას სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფასთან და მოსახლეობის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, შესაძლებელი გახდა საკითხის ეთნოლოგიური დამუშავებით. მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი ტრადიციების შესწავლით, ჩვენ შევძელით გაგვერკვია სალოცავებში მონეტების მოხვედრის მიზეზები და ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებაში მონეტების როლი. როგორც სვანეთის რეგიონის, ასევე, საქართველოს სხვა კუთხეები ეთნოლოგიური

კვლევებიდან იკვეთება, რომ ტრადიციული წეს-ჩვეულებების ყველაზე გავრცელებული ატრიბუტი ლითონის ფული – მონეტაა. ვფიქრობთ, მონეტის როლის ასეთი მნიშვნელობა განპირობებულია, ერთი მხრივ, იმით, რომ მას, როგორც ლითონს, აპოტროპული (ავი თვალისგან დამცავი) დანიშნულება აქვს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას შემდეგაც კი, რაც ადამიანმა გამოიგონა ქაღალდის ფული, ტრადიცია აგრძელებს არსებობას, თუმცა რიტუალისთვის მაინც მხოლოდ მონეტა (ლითონის ფული) გამოიყენება. გარდა ამისა, მონეტას როგორც ფულს, ყოფითი საჭიროების გამო, მაგიური ძალა აქვს ხალხის წარმოდგენებში. ის ფიგურირებს როგორც ძლვენი ღვთაებ (ები) ისადმი წაცვალების პრინციპით – პიროვნება ერთგვარად ყიდულობს, იხდის ხარჯს იმისათვის, რომ მიიღოს ყოველგვარი კეთილდღეობა: ჯანმრთელობა, ბედნიერება და ბარაქა. სალოცავისადმი მონეტების შენირვა არა მარტო ეთნოლოგიური ტრადიციას სვანეთში, არამედ არსებობს დოკუმენტური დადასტურებაც, კერძოდ, წაკანი წარწერები ჩვაბიანისა და ადიშის ეკლესიებზე, სადაც ეს რიტუალია წახსენები.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, დაგვედგინა რა დროიდან – იღებს სათავეს მონეტისადმი, როგორც ფულისადმი თუ ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი ატრიბუტისადმი ამგვარი დამოკიდებულება.

საკითხის განზოგადებისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ ეთნოარქეოლოგიური კვლევა, რაც მიზნად ისახავს, განათხარი მასალით მიღებული ინფორმაციის ინტეგრაციას სულიერ კულტურაში შემორჩენილ რეალობასთან. ამგვარმა კვლევამ გვიკარნახა, რომ ადამიანები ფულს საჭიროდ თვლიდნენ როგორც ამქვეყნიური, ისე იმიერ ცხოვრებაშიც. გამოიკვეთა ტრადიციების თითქმის უწყვეტობა მცირედი ტრანსფორმაცით. მაგალითად:

ადამიანს ყოველდღიურობაში სჭირდება მონეტა, როგორც ფული. წინარქერისტიანულ ეპოქაში სამარხში მიცვალებულს ატანენ ფულს – „ქარონის ობოლს“, მიმოქცევის თანადროულს, რის გამოც არქეოლოგებისთვის შემდგომ სამარხის დათარიღება გაცილებით მარტივია და ზუსტი.

მონეტებს საიუველირო საქმესა და გამოყენებით ხელოვნებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იყენებდნენ და დიდი ხნის ისტორია აქვს. თუ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილია მონეტების სამკაულად, ტანისამოსის მოსართავად გამოყენება, განათხარ მასალაშიც გვხვდება სამშვენისად გამოყენებული მონეტები.

არქეოთნოლოგიურმა კვლევამ, ასევე, გვაჩვენა რომ რიტუალი – ტაძარში მონეტის შენირვა, არ არის მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიებისთვის დამახასიათებელი და წინარქერისტიანული პერიოდიდან იღებდა სათავეს. ამას მონმობს არქეოლოგიური გათხრებით მიღებული ცნობები. კერძოდ, ვანში და დედოფლის გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ინფორმაციებიდან ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ტაძარ-სამლოცველოებს ქ.წ. II-I საუკუნეებშიც სწირავდნენ მონეტებს.

ძნელია იმის თქმა, რომ შემდგომ ეს ტრადიცია ქრისტიანულ კონფესიას შეერწყა და ადაპტაცია მოხდა. ქრისტიანულის შემოსვლის შემდეგ მათი როგორც წარმართული რწმენის გადმონაშთის უარყოფა ხდება. მაგრამ ისინი არ ქრება და ტრადიციული ყოფის ელემენტად იქცევა. ჩვენი აზრით, ქრისტიანული სარწმუნოება ამ ტრადიციის პაგანიზაციას, ეთნოლოგიურ მოვლენათა მეორეულ აღდგენას და გაცოცხლებას ახდენს.

სამარხეული მონეტების ფუნქცია სხვადასხვა იყო. განსაკუთრებულ შემთხვევად მივიჩნიეთ სამონეტო იკონოგრაფიით შესრულებული საბეჭდავი ბეჭედი. ეს უკანასკნელი ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა აღმოჩენილი №24 სამარხში. საბეჭდავი ბეჭედი კონკრეტული პირის ინსიგნია – ოფიციალური საჭიროებისათვის განკუთვნილი უფლებრივი საბეჭდავი. მას „კოლხური თეთრის“ მცირე ნუმიზმატიკური კონტექსტი ახლავს და კიდევ ერთხელ გვაფიქრებს „კოლხური თეთრის“ გენეზისის საკითხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამარხში ფულის ჩაყოლების ტრადიცია მეტ-ნაკლებად დაასრულა ქრისტიანობის შემოსვლამ, მაგრამ მთლიანად ვერ ამოძირკვა ხალხის ცნობიერებაში, რის გამოც შუა საუკუნეებშიც და აქა-იქ დღესაც გვხვდება ერთეული შემთხვევები. ქრისტიანობამ, ძირითადად, მიიღო და შეითვისა ტრადიციული ყოფის ის ელემენტები, რომლებიც მისაღები იყო და არ ეწინააღმდეგებოდა მის მთავარ არსს. ტაძრისადმი ფულის შეწირვა, ხალხურ დღეობათა რიტუალებში მონეტების მონაწილეობა, ყველაზე უწყინარი ჩვეულება იყო, რაც გადაურჩა ქრისტიანულ დოგმატიკას და ის დღესაც აგრძელებს ცხოვრებას. ამ ტრადიციას უნდა ვუმადლოდეთ, რომ სვანეთმა დღემდე უმნიშვნელოვანესი ნუმიზმატიკური საგანძურო შემოუნახა მეცნიერებას.

# NUMISMATIC TREASURE OF SVANETI

Political-economic and ethnological-confessional aspects  
(5th century BC - 18th century AD)

## GENERAL CHARACTERISTIC OF THE PRESENTED RESEARCH

**Scientific relevance of the research:** The main task of numismatics as a scientific discipline is the study of coins and hoards of coins. Throughout history, however, people would ascribe to the coins the characteristics of a sacred object with magic powers besides their primary function and they would thus become attributes of various rituals and traditional customs. For years, both Georgian and foreign numismatists regarded coins used for ritual as jewelry and amulets and votive offerings rather as subject of ethnological study and refused them the capacity of reflecting political-economic processes. It can even be said that no fundamental study of rituals and traditional customs that imply coins as an immanent part have been undertaken by Georgian ethnologists to date. Researchers usually just attest the designation and usage of coins as historical facts.

The same is true of ethnoarchaeological study. The integration of archaeological data within the context of still existent nonmaterial traditions of modern society is extremely valuable with the view of ascertaining of continuity between ancient and modern modes of everyday life. Presented work implies this very type of research backed with numismatic data.

The scholarly study of hoards of coins had been conducted in Georgia for already two centuries. Considerable effort was put into identification of composition, topography and chronology of hoards attributed to various historical epochs. It should be noted though, that the work of systematization and classification of hoards according to the circumstances and context of their discovery is still to be done. We mean typological classification of hoards into different ethnological-confessional coin complexes in the first place.

Numerous hoards of coins discovered in Svaneti have been hitherto unknown for the scholarly circles, therefore been absent from topographic maps of the numismatic finds. This, in turn, impeded reconstruction of the full picture of spread of the various coin types. We believe that the presented research will somehow contribute to the development of numismatic science.

**Main tasks and goal of the research.** The present work analyzes the ethnological aspects of the numismatic materials from Svaneti (Mestia-Ushguli). Moreover, it is intended to introduce to the research community hitherto unknown coins.

Our main task was to conduct a thorough complex ethnological-numismatic study and to introduce to the students of numismatics all those coins that at the first sight have clearly noneconomic function. To systematize and identify hoards of coins having economic, ethnological-confessional, utilitarian and ritual (magic) purposes.

An attempt was made to consider Svaneti not as an isolated region, but rather as integral part of Georgia instead. We tried to demonstrate, on the bases of numismatic, as well as narrative, epigraphic, archaeological, ethnographic sources and specimens of glyptic arts that almost intermittent money circulation can be attested on the territory of Svaneti starting from the 2nd half of the 5th cent. B.C. through the 18<sup>th</sup> cent. This, in turn, shows that this region has always been in the midst of both political and economic processes taking place in Georgia. Once again, it was stressed that the significance of Svaneti cannot be confined solely to a status of geographically safe province, but is to be viewed as region constantly interacting with the lowlands within the country and the outer world as attested, in the first place, by quantities of coins and artifacts discovered on its territory.

**Scientific innovations and main results.** The main innovation of the presented research is ethnological-confessional study of numismatic finds from Svaneti. This very approach to the subject gave us the opportunity to claim that coins of ethnological designation can be used as a source for the reconstruction of political-economic history. In order to validate this assumption, we tried to juxtapose specific finds with both narrative and ethnological data and scientifically attested circulation of the same types of coins in the above region. Only after this preliminary work was completed, we found it acceptable to turn coins as ethnological artifacts into historical source.

The Svaneti coin offerings and the ones of ethnological designation were studied with the above methodological approach for the first time and we believe that this research can serve as the model to be applied to similar archaeological and ethnographic materials in other regions of Georgia as well.

Another innovation of the work is an attempt to ascertain viable connections between the tradition of making coin offerings to church and traditional customs of modern everyday life and religious beliefs of inhabitants of Svaneti. We have clarified the reasons why did coins end up in temples and shrines and their significance in a customary mode of living through the analyses of traditions still persistent in Svaneti.

The research introduces a few hoards of coins to students of numismatics for the first time (e.g. three hoards of the so-called “Kirmaneuli Tetri” and a complex hoard of Turkish akche, as well as a few single finds).

Still another main innovation is ethnoarchaeological research that enabled us to integrate the information retrieved from excavated material within the context of realities of still existing nonmaterial culture. A logical chain connecting traditional and modern modes of everyday life was ascertained tracing ritual behavior of the Christian epoch to its origin in pre Christian period.

**Theoretical and methodological bases of the research.** The research presents critical revision of some theories accepted in the numismatic discipline. Some of them are refined, others rejected and new hypotheses are suggested instead on the bases of fresh interpretations and analysis of primary sources: coins, hoards of coins and archaeological artifacts. Synthesis of the research objects, namely numismatic finds from Svaneti of various periods into integrated picture of money circulation and re-

construction of the political-economic developments in Georgia was also one of the bases of our study. The nature of research itself determined the interdisciplinary method as a core approach to problems from the very beginning. Several branches and scientific disciplines were involved in our study. They are - archaeology, ethnology, history of Georgia, art history and archaeological ethnology. A technique of comparative analysis was also one of the methods applied throughout the research. In particular, the aspects of coinage, customs and rituals and political-economic developments of a specific region (Svaneti) were juxtaposed to the similar phenomena/processes in the country in general. Modelling is another empirical method used during the research that implies reconstruction of a tradition on the bases of deposited archaeological materials and conceptualization of its possible logical connections/transmissions to the modern traditions. Quantitative analyses of numeral parameters were carried out, e.g. a share of various coins and hoards of coins relative both to the region of Svaneti and Georgia in general was ascertained.

**Theoretical value of the research.** The interdisciplinary study of the Svaneti numismatic materials made it possible to revise some outdated hypotheses. Introduction of the hitherto unknown hoards of coins to the scholarly community has altered previously suggested picture of circulation of money in various periods. The old canonical dictum that numismatic artifacts bearing ritual (votive offerings), magic or utilitarian functions, are exclusively the subject of scholarly interest of ethnologists has been somehow shaken. The interdisciplinary approach has validated a status of a historical source for the above artifacts. Apart from the political-economic study of the numismatic data, its ethnological-confessional analysis has been introduced to the scholarly community for the first time.

**Practical value of the research.** The presented research fills in the gaps for detailed and comprehensive reconstruction of the history of Svaneti – an integral part of Georgia. The research served as a tool for integration of science and museology – a new strategy practiced by modern museums. The numismatic exhibition of Mestia museum serves as clear testimony to it. The presented paper might be interesting not solely for the students of numismatics, but for the students of and the broader audience interested in political-economic, ethnographic and archaeological questions of the history of Georgia.

**Structure and volume of the research.** The is comprised of annotation (both in Georgian and English), introduction and three chapters. Every single chapter is divided into sections. Attached to the research are conclusions, bibliography, appendix (photos, tables and charts). It consists in total of 194 computer pages.

## INTRODUCTION

Only those coins discovered in Svaneti and preserved in the museum funds became familiar for the scholarly community that were considered rare and/or almost unique specimens and acquired special status. These are mainly coins dated to antiquity and medieval coins attributed to King David's reign.

The bulk of coins stored in Svaneti (Mestia and Ushguli) museums have been hitherto unknown to the students.

The mixed group of experts from the National Museum of Georgia was commissioned to Svaneti (Mestia and Ushguli) in 2009 within the frames of the UNESCO project “Classification of the Exhibits of Svaneti Museum of History and Ethnography”. The project aimed at making a full inventory of the exhibits of the Svaneti (Mestia and Ushguli) Museum of History and Ethnography. My responsibility was to determine and classify coins at museums of Mestia and Ushguli and to prepare exhibit design.

The working process demonstrated qualitative variety of the hoards of coins unearthed on the territory of Svaneti. Hoards of almost all categories and provenances were attested. A few new discoveries were identified that had not been known to the scholarly community before. Precise attribution of very rare specimens was also carried out.

We distinguished two types of hoards among the hoards preserved at Svaneti (Mestia-Ushguli) Museum: one can be called “hoards of coins in circulation” that reflects the nature of money circulation, variety of denominations in the region and economic contacts both within the country and outside its borders. Another type of hoards can be designated as “votive offerings”. These are hoards of coins that at the first sight bear ethnological i. e. ritual meaning and were designated as offerings for shrines.

Chronological frames of Svaneti numismatic collections were identified as ranging from the second half of the 5th cent. BC. – when the so-called Kolkhidkas were minted, to the 20th cent. foreign coins.

The exhibit design was prepared on the bases of the above findings. It was decided to dedicate a separate space to the coins and to create numismatic cabinet for the first time in Georgian museology in order to narrate the history of this region as integral part of the money circulation of both inside Georgia and connections with the outside world. A special emphasis was to be laid on peculiar characteristics of Svaneti numismatic heritage – the cultic-ritual designation of coins.

The exhibition was prepared with the consideration of all the above elements and resulted in representation of political-economic developments of Svaneti throughout centuries.

Though the exposition was organized successfully, a few scientific problems arose in the process of scrutiny of coins for their preparation for exhibition. They called for application of modern scientific apparatus. Materials seemed to be properly classified at the first sight, but a separate research was needed to put them within a broader context. This became the very reason for choosing the topic for the presented research. Typological variety of numismatic materials obtained in Svaneti could not be confined merely to its numismatic-metrical classification. On the contrary, the involvement of other disciplines into the research was on agenda. The interdisciplinary study resulted in many scientific innovations and their validation.

## CHAPTER I

### Political-economic and ethnological-confessional aspects of numismatic materials discovered in Svaneti (5th cent. BC. – 18th cent.). Historiography

We chose to apply methods of numismatic, historical and ethnological research based on speci-

fication of topic. Scholarly literature and sources belong to various branches of historical narrative. Therefore, we separated the survey of bibliography and sources relevant to the study political-economic aspects of numismatic monuments from the one related to ethnological-confessional aspects of coins. The coins form the Svaneti (Mestia-Ushguli) Museum and coins unearthed in Svaneti and preserved in funds of Simon Janashia Museum of Georgian National Museum up to date served as primary source for the presented research.

### **We review the ancient coins discovered in Svaneti upon the background of foreign**

narrative sources, archaeological finds and numismatic researches. We have presented the classical period starting from the 5th cent. BC. through the 3rd cent. AD. Consequently, we start with the Kolkhidkas and finalize with an imitation of an Augustan denarius. Numerous researches have been published on the topic. Since our task was to integrate the Svaneti materials within a context of the Cholchian culture in general, we found it necessary to get familiar with all articles and monographs about history of Colchis. Its history in antiquity has been reconstructed primarily on the bases of information from the artifacts obtained from archaeological excavations. The survey of unearthed specimens of glyptic arts was essential due to its semi-judicial connotations that enabled us to consider them a source for reconstructing the political developments.

We analyzed both Georgian and foreign narrative sources and epigraphic data for the study of coins discovered on the territory of Svaneti dated back to antiquity through 18th cent. Researches on glyptic materials, collections of articles and monographs concerning specific problems were also of great value.

One of the important novelties, brought in by our research is demonstration of ethnological aspects of the hoards of coins. We could find only two monographs that touch to some extent the above aspects of coins. Therefore, the respective part of our research presents mainly our interpretations.

A solid part of our research is dedicated to ethnoarchaeological analysis that implies linking the information retrieved from the archaeological artifacts to the still existing traditions of nonmaterial culture. This would be impossible to carry out without getting familiar with various scholarly publications of the results of archaeological excavations.

